

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი  
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР

აკად. ნ. ვარის სახელობის ენის, ისტორიისა  
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მ რ ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ  
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

II 1

Арнольд

Шота Дзид  
ского диалекта

Тинатин Гон  
зинском языке

Степан М  
материалы

ათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა

1937

Тбилиси

დაიბეჭდა სსტკ მენიორუშათა აკადემიის  
საქართველოს ფილიალის განკარგულებით  
თბილისში პრინტ. ნ. შიხისელიძის

რედაქტორი პროფ. სიმონ ჯანაშია

## შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია . . . . .	1—14
2. არნოლდ ჩიკობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ . . . . .	15—27
3. აკაკი შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები . . . . .	29—42
4. არნოლდ ჩიკობავა, მთიულურის თავისებურებანი . . . . .	43—65
5. შოთა ძიძიგური, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი . . . . .	67—109
6. თინათინ გონიაშვილი, ერთი ბგერის ისტორიისათვის ქართულში . . . . .	111—137
7. სტეფანე მენტეაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები	139—178

## С О Д Е Р Ж А Н И Е

1. Иван Джавахишвили, Илья Чавчавадзе и история Грузии . . . . .	1—14
2. Арнольд Чикобава, Илья Чавчавадзе об языке . . . . .	15—27
3. Акакий Шанидзе, Кембриджские отрывки ханметского текста древне-грузинской версии Иеремии . . . . .	29—42
4. Арнольд Чикобава, Особенности мтикульского говора . . . . .	43—65
5. Шота Дзидзигური, Основные особенности Мтарачинского диалекта грузинского языка . . . . .	67—109
6. Тинатин Гониашвили, К истории одного звука в грузинском языке . . . . .	111—137
7. Степан Ментешацвили, Аджарские этнографические материалы . . . . .	139—178

## TABLE DES MATIÈRES

1. J. Djavakhichvili (J. Žavaxišvili), Ilia Tchavtchavadzé et l'histoire de la Géorgie . . . . .	1—14
2. Arn. Tchikobava (Arn. Čikobava), Ilia Tchavtchavadzé sur la langue . . . . .	15—27
3. A. Chanidzé (A. Šanize), Fragments de la version géorgienne de la prophétie de Jérémie à la bibliothèque de l'Université de Cambridge . . . . .	29—42
4. Arn. Tchikobava (Arn. Čikobava), Particularités du parler mthioul . . . . .	43—65
5. Chota Dzidzigouri (Šota žiziguri), Particularités principales du dialecte mtharatchien de la langue géorgienne . . . . .	67—109
6. Tb. Gontachvili (T. Goniašvili), Sur l'origine du son ž dans la langue géorgienne . . . . .	111—137
7. St. Mentechachvili (St. Montešašvili), Matériaux ethnographiques adjaris . . . . .	139—178

ილია ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორია

თუ წინათ ილია ჯავახიშვილის საქართველოს ისტორიისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ მსჯელობა მხოლოდ მისი ისტორიული პოემების მიხედვით შეიძლებოდა, 1927 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენი დიდებული მოღვაწის ნაწერების სრული კრებულის მე-5 ტომი გამოვიდა, მკვლევარს სრული საშუალება მიეცა ეს საკითხი უკვე ვრცლად და ბევრი სხვა მისი ნაშრომის მიხედვითაც განეხილა. მე მგონია, რომ ილია ჯავახიშვილის ისტორიული კონცეფციისა და მისი მოღვაწეობის ამ დარგში მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ჩვენი მგონის ისტორიული პოემების გამოყენება არც საჭიროა და არც მართებული. პოემები ხომ არსებითად მხატვრული ნაწარმოებებია და მიზნადაც იქ ავტორს საქ. ისტორიის დაწერა არ ჰქონია დასახულად. ამიტომაც ილია ჯავახიშვილის შეხედულებათა გამოსარკვევად და იმ წვლილის ცხად-საყოფელად, რომელიც მას საქართველოს ისტორიის გაშუქებაში შეტანილი აქვს, მისი ისტორიული პოემები არც გამოიყენებია. უამისოდაც ესლა საქმარ და მრავალფეროვანი მასალა მოგვეპოება, რომ ზემოდასახული ამოცანის განხორციელება შეეძლოთ. სრულებით ბუნებრივია, რომ ჩვენი მიზნის მისაღწევად ჯერ ილრა ჯავახიშვილის ზოგადი კონცეფციის განხილვით დავიწყოთ, ხოლო შემდეგ უკვე მისი მეთოდოლოგიის განხილვაზე გადავიდეთ.

ილიას არა ერთხელ, მაგ. თუნდაც 1888 წელს, უთქვამს: „როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა“, რომელსაც „ალარ ახსოვს, ვინ არის, საიღამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად ს. ხსენებელი არ არის იგი, რომელსაც... თავისი ისტორია არ ახსოვს“-ო (V, 207).

1888 წელს, დ. ბაქრაძის ნაშრომის „ისტორია საქართველოსი“-ს პროგრამის გამოქვეყნების შემდგომ, ამავე საკითხს ჩვენი მოსანი კვლავ უბრუნდებდ და ამბობს: წინათაც არა ერთი იყო ისეთი ხალხი, რომელსაც თავისი ისტორია არ ჰქონია და „ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ“- მაგრამ, ილია ჯავახიშვილის აზრით, „ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიღამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება“. ჩვენი მოსნის სიტყვით, „ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში“-ო (V, 240). „თუ ესეთი არა, ბევრით მეტი ალარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონდა.

და იგი ისტორია<sup>ა</sup> დაუვიწყანია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ“-ო (V, 240).

ამიტომაც არის, რომ ილია ამბობდა: „არ ვიცი, სხვა როგორ თქვით და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“-ო (V, 207):

ამგვარად, ილ. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული.

მაგრამ ჩვენ დაუვიწყარს მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთნელი შეფასება აინტერესებდა. ილია ჭავჭავაძე მაგ. 1888 წ. სწერდა: „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყო და მყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალ-წინა გვაქვს. რა შეგვიინახავდა ამ ერთ მუქა ხალხს ამ ორი-ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით—რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია. და, თუ იგი დავივიწყეთ, მაშ—დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ესეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?“-ო (V, 241-242).

რა იყო ჩვენი წარსული სიმაგრე და რა იყო სისუსტე, სიფუყე, ამის გამოკვლევა ხომ ისტორიული პროცესის შეგნებით შეიძლება.

მაგრამ ისტორიის გავება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის, მით უფრო ძნელი საქმე იყო მაშინ, წარსული საუკუნის იმ ხანაში, როცა ილია ჭავჭავაძე ჩვენი კულტურის სწორუპოვარი ბელადი და ხელმძღვანელი იყო.

როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილ არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგეგმოდ წარმოებული კვლევა-ძიება ხოლმე გა-

„ბატონებულო, მეორე მხრით კი მიმბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. პირველი დამაღონებელია თავისი უსისტემობითაც და თანაც არც გულსა და არც გონებას არაჲ ეუბნება. მეორემ კი, თუმც შესაძლებელია გამოუცდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოჰხიბლოს, მაგრამ მანებელია იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სურათის მაგიერ, რეალურ შინაარსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც. ჩვენში წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგებ-მო, შემთხვევითი ხასიათის, ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა. აი, მაგალითად, რას ამბობდა ილია ჭავჭავაძე 1880 წ.: „ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუშუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტიკუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმის თანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვითებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდობა უხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი «ქართლის ცხოვრება» ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა“-ო (V, 201).

სწორედ ასეთი უსისტემო და უმეთოდო ისტორიის საწინააღმდეგოდ 1889 წ. „Северный Вестник“ („ჩრდილოეთის მოამბე“-) ში ნ. დ.-ს ფსევდონიმით ივ. ჯაბადარის წერილები გამოქვეყნდა საქართველოს შესახებ („Письма к Грузии“). ავტორი იქ, მისივე განცხადებით, საქართველოს ისტორიაზე ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით მსჯელობდა: ამ თავის წერილებში, ვითომც სწორედ ამ ორი მძლავრი მეთოდით აღჭურვილმა, საქართველოს ისტორიაც განიხილა და, მისი წარსულის შეფასების შემდგომ, თავისი მსჯავრიც დასდო. მაგრამ, საფუძვლიანი, დინჯი, კვლევა-ძიების მაგიერ, ივ. ჯაბადარის წერილებში სწორედ ისეთი სქემატიზმი აღმოჩნდა, რომელიც, ავტორის სრული მოუშხადებლობის გამო, მთლიანად მცდარი გამოდგა: ამისდა მიუხედავად, მაინც, ვითარცა თითქოს ისტორიის უმაღლესი და მკვეთრი მეთოდებით მომარჯვებული ადამიანის ნამუშევარსა და ნასიბრძნს, ქართული საისტორიო წყაროების უცოდინარსა და გამოუცდელს ჩვეულებრივ მკითხველზე ივ. ჯაბადარის კატეგორიულს დასკვნებს დიდი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო. ხოლო, რამდენადაც მთელი მისი მსჯელობა თავაშვებული ნიჰილისტური მსოფლმხედველობით იყო გამსჭვალული, იგი მკითხველს დიდს ვნებას მოუტანდა. ამიტომაც ივ. ჯაბადარის წერილების უყურადღებოდ და განუხილვე-

ლად დატოვება არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ეს უპირველესად ქართველ ისტორიკოსთა მოვალეობა უნდა ყოფილიყო; მაგრამ, რაკი ისინი სდუმდნენ, ვითარცა ქართ. საზოგადოებრივი აზრის მესაქეს, ისტორიკოსის მოვალეობის ასრულებაც უნებლიედ ისევ ილ. ჭავჭავაძეს მოუხდა. მან ივ. ჯაბადაძის ნაშრომი ვრცლად განიხილ. თავის წერილებში, რომელთაც სათაურად „აი ისტორია“ უწოდა. ფრიად სტუდიისხმოა, თუ როგორ მოეპყრო იგი ამ საქმეს და რა გააკეთა მან ამ დარგში.

რაკი ილ. ჭავჭავაძეს ისტორიის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა და შეგნებული ჰქონდა, ცხადია, მას არ შეეძლო საქართველოს წარსულის შესწავლის სავალალო მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიექცია. და შერთლაც, ჩვენს დიდებულს მგოსანსა და პუბლიცისტს წინათაც და შემდეგშიც არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუწებებია და ისტორიული კვლევა-ძიების საკითხებში ჩარეულა.

ვინც ილ. ჭავჭავაძის ამ დარგის საკმაოდ მრავალრიცხოვან წერილებს გულდასმით გადაიკითხავს, მას საშუალება ექმნება, როგორც მისი კონცეფცია გამოარკვიოს ისტორიის ზოგადს საკითხებზე, ისევე ისიც გაითვალისწინოს, თუ რა წვლილი აქვს ილ. ჭავჭავაძეს საქ. ისტორიის შესწავლაშიც შეტანილი. სწორედ ეს მიზანი გვაქვს ჩვენ ამ ჩვენს მოხსენებაში დასახული.

ივ. ჯაბადაძის უკვე ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობის გამმაჟღავნებელი იყო. იგი ღრეპერის ოდესღაც გავრცელებულს აზრს ემყარებოდა, ვითომც ყოველ ერს, თავისი ბავშვობისა, ყრმობისა და ჰაბუკობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე ეწეოდეს ხოლმე. ამიტომ იყო, რომ ჯაბადაძის ერთს თავის წერილთაგანში ნათქვამი ჰქონდა: მართალია, თუ არა, რომ ქართველი ერი უკვე მოხუცებულია და ღონე გამოელია, თუ მას ჯერ კიდევ სრული ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყია და თავის ძალღონე მერმისისათვის შეუნახავსო? და თითონვე პასუხს აძლევდა მკითხველს: არა, ჯერ ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყიაო. ილ. ჭავჭავაძე ამ მცდარსა და ასე უცნაურად გამოთქმულ დებულებას სასტიკად შეებრძოლა. იგი ირონიულად ამბობდა: „ავტორი (ე. ი. ჯაბადაძი) მერე დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიური ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვინაროდეს!) ღონე შეგვინახავს მერმისისათვის“-ო (V, 8). ასეთი რამის თქმა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც სწამდა, რომ «სრული ინტენსიური ცხოვრება» ღონისაგან სცლის ერსა, ე. ი. ასუსტებს, აუძლურებს, ხოლო „არა-ინტენსიური ცხოვრება კი ანახვინებს ღონეს მერმისისათვის“-ო (V, 8). ამაზე ილ. ჭავჭავაძე სამართლიანად სწერდა: „დღეს-აქამომდე გვეგონა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვიო, დასარჩობი ფონი-კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა“-ო (V, 9). აქეთგან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ „ბედნიერი ერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიური ცხოვრების მაცდურობას არ აპყობია, მისგან არ გაბრწყინებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის“-ო (V, 9).

ილია ჭავჭავაძეს ეს მოძღვრება: სლავიანოფილების მსოფლმხედველობის ანარეკლად მიიჩნდა: „ესეც გამოვიდა სლავიანოფილების მოძღვრება, მკრე მართო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულა“-ო (X, 11).

ჩვენმა დიდებულმა მოღვაწემ ამ მოძღვრებას თავისი შემდეგი მსჯელობა და რწმენა დაუპირისპირა: „ინტენსიური ცხოვრება ერთსადიამევე დროს საზავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ღონისაგან დიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საკიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედი“-ო (V, 9). „ღონე შეინახება მერმისისათვისაო, გვანუგეშებს ავტორი. კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა ჭამოს, რომ კბილები, არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. რა ოხრობისათვის-ლაა საჭირო, რილას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავ ინტენსიურ ცხოვრებისთვის. თუ ასეა, ან თითონ ინტენსიური ცხოვრება არის. მაქნისია, თუ ღონისაგან სკლის ერსა, ასუსტებს, აუძღურებს“-ო (V, 9—10).

ასეთ სქემატიზმსა და გაზეპირებულ აზრებს ილ. ჭავჭავაძემ სულ სხვანაირი შეგნება დაუპირისპირა. მაგრამ ილ. ჭავჭავაძე ასეთ აკვიატებულ აზრს რომ წინააღუდგა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ისტორიის ღრმად გაშუქება არ ენატრებოდა. მისთვისაც ისტორია მართო ფაქტების გროვა არ იყო. მას ისტორიული პროცესის საფუძველი და ამამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ მოვლენათა შეფასებაც. ამასთანავე მისი რწმენით მთავარი ყურადღება შინაგანს, ე. ი. სოციალ-ეკონომიურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიჰქცევოდა.

ილ. ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციით, კაცობრიობის პროგრესისათავე შემოქმედების წყურვილი დანიჭია, რომელიც წინათ ზოგჯერ ისეთ დარგში და იმ სახითაც იჩენდა ხოლმე თავს, რომელიც თანამედროვე შეხედულებას უკვე ვეღარ აკმაყოფილებს, მაგრამ ისტორიკოსს უნდა ესმოდეს, რომ მაშინ „დრო იყო ამისთანა“. აი თუნდაც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, ტაძრების და მონასტრების ნაგებობანი რომ ავიღოთ, რომელსაც ყურადღების ღირსად არ სთვლიდა და საძრახისადაც კი მიიჩნდა მათ ამგებელთათვის ივ. ჯაბაძარს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ეკლესიები და ტაძრებია. ილია ასეთ მსჯელობის საწინააღმდეგოდ ამბობდა: „ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენს ხუროთმოძღვრებას საბერძნეთისა და რომისთანა მნიშვნელობას არ ვაძლევთ“-ო, „მხოლოდ ვამბობთ, რომ ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა, თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით,—წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა-რა“-ო (V, 67).

ნამდვილი ისტორიკოსის მოვალეობა, ილ. ჭავჭავაძის რწმენით, იმაში მდგომარეობს, რომ, რაკი „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ

ტივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა“, ამიტომაც „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ესე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდაც მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინალამ თავი არ შეაკლა“-ო (V, 66). აქვე ჩვენი ავტორი სამართლიანად უმატებს: „ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა“-ო.

საისტორიო მეცნიერებაში ამას ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობა ეწოდება და მართლაც. ცხადია, რომ უამისოდ წარსულის არც ერთ შეფასებას ღირებულება არ ექმნება.

თუ რა გარემოებას აქცევდა ილ. ჭავჭავაძე ისტორიული პროცესის დროს და რა საფუძვლის გამჭოლკვევა მიაჩნდა საჭიროდ მოვლენათა გასაგებად, ამას მისი ერთი საყურადღებო წერილი გვაგვბინებს.

1880 წელს დაბეჭდილ წერილში ილ. ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულებით უცნობი თვალსაზრისით მიუდგა. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წარსულში „არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერაფერ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია“ (V, 201). ყველამ იცის, „რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. შეეკვლია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმიყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად“. თითქმის მთელი თავისი ისტორიული არსებობის დროს საქართველო „იარაღით ხელში იდგა“, რადგან „მტერი თითქმის ყოველ-მხრიდამ მოწოლილი იყო“ (V, 202). ყველანი აქ მხოლოდ გულადობითა და გრძნობით იყვნენ აღტაცებულნი, მაგრამ არავის ფიქრად არ მოსვლია ამ საგულისხმო მოვლენას ღრმად ჩაჰკვირვებოდა. ილ. ჭავჭავაძე-კი აქაც საქართველოს ისტორიას სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა და საჭიროდ სცნო სულ სხვა მხრით გაეშუქებინა.

„ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა“-ო, ნათქვამი აქვს მას ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინათ, ეს კიდევ თუნდაც არაფერი იყოს, უმთავრესად „საკვირველი ეს არის,—რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჟა ხალხი თითქმის ქუღზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტერად არ აღგვილიყო,—და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“-ო, კითხულობდა ჩვენი დიდებული მგოსანი და პირველი ქართველი პუბლიცისტი (V, 202).

როგორც ხედავთ, საქართველოს ისტორიის ასეთს გაეშუქებაშიც ილ. ჭავჭავაძეს პირველობა ეკუთვნის და ამ მხრითაც ის დიდი ღვაწლი მიუძღვის, რომ მან პირველმა ქართველი ხალ-

ხის მრავალსაფუძვან და წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამოკვლევის აუცილებლობა აღიარა. საქართველოს ისტორიოგრაფიას მის დროს არამც-თუ ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის თავდადასავლის გაშუქება აზრადაც-კი არ მოსვლია, ის მაშინ იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ, ასეთი საკითხის წამოყენების შემდგომაც, პასუხის გაცემა ვერაფერს შესძლო. ილ. ჭავჭავაძემ ეს გარემოება, ეს უმწეობა თითონაც კარგად იცოდა და ამიტომაც იქვე დამატებული აქვს: „ყოველს ამა საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი «ქართლის ცხოვრება» ხელს ვერაფრით შეგვიწყობს, ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვინმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურ აკვებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველად, ჩვენი წინანდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქილამ ჰქონია ის ქონებითი ძალღონე, რომლითაც იგი გასდლოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“-ო (V, 202).

ეს პრობლემა ილ. ჭავჭავაძეს სრულებით სამართლიანად საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ამოცანად აქვს აღიარებული. ის ამბობს: „აჲ, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევიად. ეს საგანი რომ თვალ-წინა ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“-ო (V, 202—203).

მაგრამ ილ. ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ საკითხზე პასუხის გამოცემა რომ მაშინ საქართველოში არავინ იყო, ეს-მას სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა და, რაკი საქმე ასე იყო, თითონვე სცადა შეძლებისამებრ ამ საგულისხმოსა და დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესახებ თავისი მოსაზრება გამოეთქვა. თუმცა ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შეესდგომოდით, ამისთვის არც მომზადება გვაქვს, არც საჭირო წყარო“-ო, ამბობდა იგი, და მხოლოდ „ფიქრად მოგვედის ორიოდე აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი, და ვგონებ მეტი არ იყოს ის ორიოდე აზრი მკითხველსაც გაუზიაროთ“-ო (V, 203).

იმ ეკონომიურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა, ილ. ჭავჭავაძემ მიწისმფლობელობის წესი მიაჩნდა, მისი სიტყვით, „ჩვენს ეკონომიურს წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მაჟულები, მიწა, მინდორი, ტყე,—საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო, მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფუნს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწისმფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა. და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა—მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა. აქედამ ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა

გაჭტრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდევ, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქილამა სჩანს“-ო, ამბობს ილია, „რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან რუმოცის დღიურითა, მამულების ნოციერებისა გვარად“-აო. თანაც „ტყისა და მინდვრის გაწსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო“-ო (V, 203—204).

შემდეგ საუკუნეებში, ილ. ჭავჭავაძის სიტყვით, საქართველოს ეკონომიური წესწყობილების ამ კარგს მხარეს „ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლუელობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში არამცთუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“-ო (V, 204) და, როგორც ეტყობა, საქართველოს მერმინდელი პოლიტიკური დასუსტების ერთ მთავარ მიზეზთაგანად ჩვენ მგოსანს სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა.

საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თვით ილ. ჭავჭავაძის ზემომოყვანილი განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა.

რაკი ეხლა უკვე ვიცით ილ. ჭავჭავაძის ზოგადი შეხედულება ისტორიისა და ისტორიკოსის უპირველეს მოვალეობაზე, საინტერესოა ვაგვეგო, თუ კერძოდ კიდევ საქართველოს ისტორიის რომელი საკითხები იპყრობდა მის ყურადღებას.

ილ. ჭავჭავაძე ამბობდა: ყოველ ერს თავის გამოჩენილი მოღვაწეები უნდა ახსოვდეს, რადგან „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შემძლებელობას, თავის ხატსა და მაგალითს“-აო (V, 208).

ისეთ პირად, რომლის ღვაწლისა და ამაგის დავიწყება საქართველოს არ შეჰშვენის, ილ. ჭავჭავაძეს, რასაკვირველია, დავით აღმაშენებელიც მიაჩნდა და ჩვენთვის სწორედ ის არის საინტერესო, თუ რა მოსაზრებით. მისი სიტყვით, „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა“, საქართველოს მაღლიანობის დამყარებითა და სახელმწიფოებრივობის შექმნით, „არამედ თავის დიდებულებოვან კაცობითაც. იგი, თავადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და... სარწმუნოებისა“, იმავე ღროს „დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისა და სარწმუნოებისა“. ყველაზე უფრო საყურადღებოა, რომ დავით აღმაშენებელი იყო „ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლად-შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლისა და სარწმუნოების ერისა“ (V, 209), როდესაც ის უკვე „სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და; მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო იმის დიდ-ბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას“-აო

(V, 211). ამასთანავე განმაცვიფრებელი სწორედ ის გარემოებაა, რომ დავით აღმაშენებელი „სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი ოყო იმ დროში“. დავით აღმაშენებლის ამ თვისებას ხომ მარტო ჩვენი ქართველი მათინეები არ მოგვითხრობენ, სომეხთა ავტორებიც ამასვე ადასტურებენ. ხოლო, თუ სომეხთადმი დავით აღმაშენებლის ასეთი დამოკიდებულება შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ სომხები ქრისტიანები იყვენ, „დიდბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა“ ხომ „მაჰმადიანებსაც მიუფინათ“. ჩვენთვის ეს გარემოება და თვისება შით უფრო საგულისხმოა, „მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მის ერის სარწმუნოებას ეროდნენ აღმოსაფხვრელად“ (V, 210) და, მაშასადამე, მოსალოდნელ გულისწყრომასაც იგი არ წაუტყუებიაო. აქვე თავისი დებულების დასამტკიცებლად ილ. ჭავჭავაძეს ალ-აინის ცნობა აქვს დამოწმებული, რომელშიც სხვათა შორის აღნიშნულია, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოში „ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები და სადგომი სახლები მოქადაგეთა, სუფიებთა და პოეტთათვის, რომელთაც უღუფას უნიშნავდა“-ო და საერთოდაც „დავითი უფრო მეტს პატივსა სცემდა მუსულმანთ, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“-ო (V, 210—211).

როგორც ზემომოყვანილითგან დარწმუნდებოდით, ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნამოქმედარში მარტო პოლიტიკური მხარე-კი არაა, არამედ ამ მოღვაწეობის უფრო მეტად კულტურული გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავდა.

საუცხოვოდ აქვს მას მათი პოლიტიკის მთავარი ამოცანა მე-XII ს. განმარტებული. როდესაც ივ. ჯაბადარმა თამარის საქართველოს წინაშე ღვაწლის დამცირება სცადა და საბუთად ის მოსაზრება მოიყვანა, ვითომც თამარს ყარსზე გაელაშქრებინოს „მარტო იმისთვის, რომ თავის ახლად დაბადებულის შვილის გიორგის ბედი გამოსცადოსო და ამისთვის აუარებელი სისხლი დაიღვარა ტყუილბრალდო“-ო, ილ. ჭავჭავაძე ამ საკითხის განხილვასაც ზოგადი თვალსაზრისით შეუღდა. ჯერ იმ წყაროს შეეხო, რომლითგანაც ეს ცნობა მომდინარეობდა, მერმე-კი ბეცი ადამიანისაგან თვით ამ ამბის ნამდვილ ჩიზებად მიჩნევაზე დაიწყო მსჯელობა. ილია ამბობდა: „იქნება გვითხრან—«ქართლის ცხოვრებაში» ესე სწერია“, როგორც ჯაბადარს აქვს ნათქვამიო. „თუნდაც რომ ეწეროს, რა დასაჯერია?!“-ო. სწორედ უცნაურია „ასეთი მალე დაჯერება დაუჯერებელისა იმ კაცისაგან, რომელიც მართალსაც არ იჯერებს ვითომ-და ჟურტიკოდ!“-ო. „ქართლის ცხოვრებაში“ რაც სწერია, განა ყველაფრის განუსჯელად დაჯერება შეიძლება? „ნუთუ ძველ ის ძველ საქართველოს მეთისტორიემ ეს ანბანი არ უნდა იცოდეს“-ო, ამბობდა ილია, „რომ მას შემდეგ, რაკი სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთით ჩვენი კარიღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად. ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არც ერთი მეფე არ ყოფილა ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არ სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გასულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზე შორს გაედგა

მოსვენებისა და უშიშროებისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებნებდა-რა საქართველოსათვის. ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა. შანქორის ომსაც განჯისაკენ ესევე აზრი ჰქონდა და საჭიროება“-ო (V, 68).

დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის და თამარის დროინდელი სამხედრო პოლიტიკის მიზნების შესახებ, როგორც ცნობილია, იოს. გედევანიშვილს ჰქონდა 1915 წ. საინტერესო გამოკვლევა გამოქვეყნებული. ურიგო არ არის გავიხსენოთ, რომ არსებითად ამ პრობლემის გაშუქების პირველობაც, ამასთანავე 26 წლით უფრო ადრე, ილ. ჭავჭავაძეს ჰკუთვნებია.

საქართველოს ისტორიითგან ილ. ჭავჭავაძეს შემდეგ ერისთვის თავგანწირულობა ჰხიბლავდა. ცნობილია, რომ მისი ისტორიული პოემის „დიმიტრი თავდადებული“-ს დედა-აზრი და სულისკვეთება სწორედ ეს არის: ქართველი ერის, უდანაშაულო ხალხის მონღოლთა ყაენისაგან განადგურებას დიმიტრიმ ხომ თავისი სიცოცხლის განწირვა არჩია. დიმიტრი თავდადებულის შემდგომ საქართველოს გმირ პიროვნებათაგან ილ. ჭავჭავაძის ყურადღებას ლუარსაბ მეფის პიროვნება იზიდავდა. აქაც მისი მოღვაწეობის მშვენიერად შას ქვეყნისათვის იგივე თავგანწირულება მიაჩნდა: უნდა გავიხსენოთ საქართველოს ის გმირი, რომელმაც „სთქვა: რა მადლია თავი გადავარჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინოო,--წავიდა“ და თავისი თავი ქვეყნის უვნებლობას შესწირაო (V, 219).

მაგრამ ილ. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ გმირობასთან ერთად საქართველოს წარსულს წოდებრივს სიამაყეზე და უპირატესობის შენარჩუნების წინადაგზე აღმოცენებული ბევრი შური და მტრობაც უნახავს. სწორედ ამ თვალსაზრისით აინტერესებდა ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიითგან გიორგი სააკაძის პიროვნებაც. ის ჩივის, რომ მისი „მოქმედება და ქცევა აღდგინა აუხსნელია ჩვენთა ისტორიკოსთაგან“ და იმისდა მიუხედავად, რომ ის იყო „უხვად შემკული ყოვლის სამამაცო და საგმირო ღირსებითა“, მაინც „დღეს-აქამომდე არც ავად არის ჩვენ მიერ დაჯილდოებული და არც კარგადა. მისი ავკარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი, ჯერ შიგნეულად გამომძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს გამკითხველსა“-ო (V, 215).

გ. სააკაძეზე, როგორც ცნობილია, არჩილ მეფესვე ჰქონდა თავის ისტორიულ პოემაში მოსაზრება გამოთქმული, მაგრამ ამ აღამიანის მოღვაწეობა სხვადასხვანაირად იყო ყოველთვის შეფასებული. ვერა გადაწყვეტიტათ მხოლოდ ქართ. ისტორიკოსებს. ილიას-კი მაინც თავისი მოსაზრება გაკვრით გამოთქმული აქვს. ლუარსაბ მეფის „აზნაურიშვილის მოყვრობამ და ნამეტნავად აზნაურიშვილის ქალის გადედოფლებამ გული აუმღვრია მაშინდელ დიდებულებს, რომელთაც ითაკილეს აზნაურის ქალის დედოფლობა და ბატონობა“. შესაძლებელია ლუარსაბი უბედურებაში სწორედ ამ გარემოებამ ჩააგდო. „დიდი მოუ-

რავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატიებდა მას მდაბალ-ბუნებიანთა კაცთა შურისაგან. ეს ნაძირალი გრძნობა ადამიანის ავ-ზნინობისა ბევრს მეტოქეს და მოშურნეს მოუბოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდ-ბუნებიანობა“ (V, 216).

ეხლა რომ ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებზე ილ. ჭავჭავაძის მსჯელობასა და იმ წვლილის განხილვას შევუდგეთ, რომელიც მას ამ დარგშიც საქართველოს ისტორიის წინაშე მიუძღვის, ილ. ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, ისტორიული კრიტიკაცა და შედარებითი მეთოდიც ისტორიის მძლავრ და აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა, მაგრამ ივ. ჯაბაძარის ნაშრომმა დაარწმუნა, რომ მას ვერც ერთი ამ მეთოდთაგანის ვერც დანიშნულება გაუგია და ვერც მათი გამოყენება შესძლებია. რაკი ილ. ჭავჭავაძემ თითონაც კარგად იცოდა, რომ საქართველოს წარსულის შემსწავლელთა შორის ამ ორი მეთოდის მცოდნე და გამოყენებელი მართლაც არავინ ჩანდა, ივ. ჯაბაძართან კამათის დროსაც ილ. ჭავჭავაძე ამას არამცთუ არ უარყოფდა, არამედ თითონაც ადასტურებდა: „არა ერთხელ გვიტყვამს და ეხლაც საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ავტორი (ე. ი. ივ. ჯაბაძარი) ჩვენს ლიტერატურას უკიჟინებს, კრიტიკა და შედარებითი მეთოდი მისთვის უცნობიაო. ეს მართალია“ (V, 134), მაგრამ ილია იმაზე სწუხდა, რომ საუბედუროდ თვით ყიჟინის დამცემიც სრულებით უვიცი გამოდგა (V, 27 და 134). რაკი ამნაირად თვით ჯაბაძარსაც არც ამისი ცოდნა და არც უნარი არ აღმოაჩნდა, აქაც მაშინდელი ქართველი მკითხველისა და მკვლევართათვის ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის განმარტებას თვითონვე შეუდგა. მაგრამ ამაზე საყურადღებო და უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ მართო ამით არ დაკმაყოფილებულა, არამედ ყველას საქართველოს წარსულის შესასწავლად ამ ორი მეთოდის მარჯვედ და ნაყოფიერად გამოყენების რამდენიმე მაგალითიც უჩვენა.

უბრველესად საგულისხმოა, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს ისტორიის მაშინდელ მკვლევართ „ქართლის ცხოვრების“ ყოველივე ცნობა სჯე-როდათ და იქ ნაამბობს იმეორებდნენ ხოლმე, ილ. ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრებას“ კრიტიკულად ეპყრობოდა და ყველაფერი, რაც იქ მოთხრობილია, ქე-შმარტივებად კი არ მიაჩნდა, არამედ არა ერთხელ მას იქ ჩართული ზოგი ცნობების მკდარობა აღუნიშნავს. მაგ. ის ამბობდა: „ქართლის ცხოვრების“ ცნობა დარუბანდის ფრიდონისაგან აგების შესახებ ზღაპარია, რათვან სხვაგან ასეთი ცნობა არსად მოიპოვებო (V, 52, 53). უეჭველია, რომ „ქართლის ცხოვრებას“ „აურევია სახელები“ (V, 53).

ივ. ჯაბაძარს ფარნავაზ მეფე, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, საქართველოს უდიდეს და ცენტრალურ პიროვნებად ჰყავდა გამოყვანილი, ილია კი ამ-

ბობდა, „არა გვეგონია «ქართლის ცხოვრების» გარეთ, ჩვენმა ავტორმა გვიპოვნოს რაიმე ხსენება ფარნავაზისა ჩვენს ხალხში“-ო (V, 60—61). ხოლო შემდეგ უკვე პირდაპირ ნათქვამიცაა აქვს, „ძალიან შესაძლოც არის, რომ ყოველივე“ ის, რაც „ქართლის ცხოვრებას“ ფარნავაზზე მოთხრობილი აქვს, „ტყუილიც იყოს“-ო (V, 62).

შედარებითი მეთოდის სახელი, ილიას სიტყვით, სრულად „არ შეეფერება იმგვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ეს-გვარი კვლევა შედარება კი არ არის“-ო, არამედ „სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან თავიდან ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიციოთ და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო გიციოთ და სათავე არა, და ამისთვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი უჩენია“-ო (V, 22).

მეტად საგულისხმოა ილ. ჭავჭავაძის მსჯელობა საისტორიო კვლევა-ძიებისათვის, შედარებითს მეთოდთან ერთად, ლინგვისტიკური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენებაზეც. გერმანელი ენათმეცნიერის შრადერის ნაშრომზე დაყრდნობით პირველად ილიამ მიაქცია ყურადღება ქართული ზმნის „მართლად გასაკვირველი ფორმების“ სიუხვეს და აზრის გასაოცარი სიმოკლითა და სიმარჯვით გამოთქმისათვის ჩვენი ენის ამ თვისების მნიშვნელობაც კარგად განმარტა (V, 92—95). მანვე მაშინდელ ქართველ მეცნიერებართ დაანახა, თუ რაოდენად საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით. ილ. ჭავჭავაძე ამბობდა: ივ. ჯავახიშვილი რომ ენის „სარკვეში ჩახედვის და ნახვის უნარი რამ ჰქონოდა და ერთი ბეწვა გაგება“, განა ის უ-ს „გაზანდრის ადლით გაზომვას“ დაიწყებდა? არა, ის „სხვა გზით დააკვირდებოდა ჩვენს ენას და სულ სხვა ამბავს გამოჰკითხავდა“-ო (V, 97). მერმე ილ. ჭავჭავაძის თავისი შემდეგი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული: „განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არ არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მიწყალე, შემიწყალე, მოწყალეობა“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყლობა“ ნატერისა და ვედრების საგნად გახდომია“. შუა მდინარესაც რომ თავი დავანებოთ და თუნდაც რომ „მარტო არმენია ავილოთ, საცა წინათ ბინადრებულა ქართველი და საცა დღესაც „წყლობა“ მართლა დიდი ღვთის წყალობაა, იმიტომ, რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ კი არა მოჰყავს-რა“-ო (V, 97), კარგად გვიხსნის, თუ რატომ უნდა მიჰნიქებოდა „წყალობა“-ს ასეთი მნიშვნელობა. საუტხოო და გონება-მახვილი დაკვირვებაა!

ან ავილოთ, განაგრძობს ჩვენი დიდებული მოღვაწე, „სიტყვა «მიცვალება», «მიცვალებული», რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარავენას, არამედ «გარდაცვლას», სხვა სახედ გა-

დასვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია? ან ქალის «გათხოვება», «მითხოვება» განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში «თხოვებას» რაღაც ადგილი ჰქონია. განა ეს სიტყვა არ ხსურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლქმრობის შესახებ? აო, კითხულობდა ილია (V, 97—98).

საინტერესოა აგრეთვე ილ. ჭავჭავაძის მსჯელობა ქართველთა სხვა ერებთან კულტურული ურთიერთობის ლექსიკური მასალის ანალიზის საშუალებით გამორკვევის შესაძლებლობაზეც. იგი ამბობდა: „ვთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშური სიტყვა «აჩუა». საიდან არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა, რასაც ბავში ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვით. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვჩხრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად *açva*, ზენდურად *aspa*, ლათინურად *equus*, ირლანდურად *ech*, ლიტოვურად *aszwa* ცხენს ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური «აჩუა». ცხადი არ არის ეხლა, რის ნაშთია და საიდან წარმომავალია ეს სიტყვა «აჩუა», რომელსაც დღეს ჩვენში მარტო ბავში ჰხმარობს, ან ბავშვისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერ?«-ო (V, 22—23).

თავის ზემომოყვანილი საგულისხმო დაკვირვებების შემდეგ, ილიას სამართლიანად აქვს აღნიშნული: „ბევრს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენი ენა, თუ რომ ბრმა კაცი და, ჩვენი ავტორსავეით ყოვლად უვიცი არ შეხვდა?«-ო (V, 98). ლებოკმა ამ მეთოდითა და ასეთი მასალით პირველყოფილი რწმენის, წესწყობილებისა და კულტურის სურათის აღდგენაც-კი შესძლო (იქვე) და განა ქართველი ხალხის წარსულის ასევე აღდგენა არ შეიძლებოდა, სათანადო ცოდნა და ნიჭი რომ ყოფილიყო, ფიქრობდა ილ. ჭავჭავაძე.

ივ. ჯაბადარის მცდარ დებულებათა კვალდაკვალ განხილვისას ილ. ჭავჭავაძე არქეოლოგიასა და შედარებით მითოლოგიასაც შეეხო და აქაც არა ერთი საგულისხმო მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ზნეჩვეულებებსა, კაციმკამლობასა, წარმართული რწმენის წინაპართა თაყვანისცემისა და დასაფლავების წესების შესახებაც. მანვე სკადა გაეაზრებინა მემატინის ზოგიერთი ცნობაცა და ძველს სამარხებში აღმოჩენილი ვითარების შესაძლებელი მიზეზიც განმარტა (V, 23—26, 111—113, 125—126, 142—143, 147 და სხ.).

ყველა ზემომოყვანილი იმედია დაარწმუნებს ყველას, თუ რამდენად საინტერესო ყოფილა ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიის დარგშიც: როგორც ამ მეცნიერების ზოგადს ამოცანებსა და მეთოდოლოგიაზე, ისევე კერძოდ საქართველოს ისტორიისა და ისტორიკოსთა ამოცანებსა და სწორი მეთოდოლოგიით მნიშვნელოვანი შედეგის მოპოვების შესაძლებლობაზეც ჩვენს დაუფიწყარს მოამაგეს ფრიად საგულისხმო მოსაზრებანი

ჰქონდა გამოთქმული. მაგრამ ქართულს მაშინდელ ისტორიოგრაფიაში ისეთი უმწეო მდგომარეობა იყო, რომ, არამცთუ არსად ჩანდა მკვლევარი, რომელსაც თითონვე ნათლად გაეთვალისწინებინა, თუ რა იყო უპირველესად გასაკეთებელი და შესასწავლი, როგორის თანდათანობითა და რა საშუალებით უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უამრავი მასალები განხილული, არამედ, ილ. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული წერილების შემდეგაც, არავინ აღმოჩენილა, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მგოსნისა და პუბლიცისტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება ეცადოს და მეთოდების გამოყენება შესძლებოდეს: ქართველ ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“-ო. და, ჩვენდა საუბედუროდ, მაშინ ილ. ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია. მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის?! თუ თავდაპირველად ილ. ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა, საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადად ითვლებოდა, წარსული საუკუნის დამლევითგან მოყოლებული, როგორც ცნობილია, თავი იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამცთუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარპყოფდა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლაშობდა. საბედნიეროდ, ამ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო და, უეჭველია, მთელი საქართველო გულწრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წყალობითაც ეს საშინელი უსამართლობა მოსპობილია და ილ. ჭავჭავაძის დიდი ღვაწლიც საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულია. ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ მხოლოდ, რომ, ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის დაგვიადსავლის მე-19 ს. ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქმნება ისიც აღნიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძე დიდებული იყო მართო პოეზიასა და პუბლიცისტის კაში კი არა, ანდა კიდევ მართო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს\*.

წაკითხულია, მწახსენების სახით, 1937 წ. ენიშკი-ს საჯარო სხდომაზე, რომელიც მიძიგო ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავისადმი.

ილია ჭავჭავაძე მისი შესახებ

ამ მოხსენების მიზანია გაცეს პასუხი კითხვაზე: რა თეორიულმა სენათმეცნიერო კონცეფციებმა პოვეს გამოხატულება ენის შესახებ კამათში ძველს თაობასა და ილია ჭავჭავაძეს შორის და რა ადგილი უჭირავს ამ კონცეფციებს ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში.

მაგრამ სანამდის კამათის ანალიზს შევუდგებოდეთ, ორიად შენიშნა კამათის საგნის შესახებ. ისტორიული პერსპექტივის დაცვა არაფერს ისე არ სჭირდება, როგორც წარსული კულტურულ-ისტორიული პრობლემების სწორად გაგებას.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა მიღებულია ძვ. ქართულის გადაშეშავების შედეგად ქართლ-კახეთის ცოცხალი მეტყველების საფუძველზე. ეს რთული პროცესი არსებითად უკვე დამთავრებული იყო XVII ს. დამლევისათვის<sup>1</sup>. სამეფო კანცელარია და სასამართლო, ისტორიული თაზულებანო, მხატვრული ლიტერატურა ამ ენის სარბიელს წარმოადგენდა. მეთვრამეტე საუკუნის დიდი მწერლის დავით გურამიშვილის ენა (მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა-ფრაზეოლოგია ცი!) ახალი სალიტერატურო ქართულის ნიმუშს წარმოადგენს. მისი ორთოგრაფია უფრო მარტივიცაა, ვინემ მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლების ახალი ქართულისა: არც ერთი ზედმეტი ასო (ჟ, ლ, ჟ, ზ, ჟ) მასთან არ გვხვდება. მართალია, არის ჯ, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საამისო ბგერა იმ დროის ცოცხალ მეტყველებას გააჩნდა...

ახალი სალიტერატურო ქართულის ნორმალურ განვითარებას ვზა გადაუღობა ანტონ კათალიკოზმა და მისმა სკოლამ: ეს სკოლა განაგებდა სალიტერატურო ქართულის ბედს მთელი საუკუნის მანძილზე—მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდის. სამი სტილის თეორიამ<sup>2</sup> მეცნიერებისა და ლიტერატურის სარბიელიდან განდევნა

<sup>1</sup> ამ დებულების დასაბუთება აქ შეუძლებელია; ეს მოცემული იქნება ნარკვევში: „ახალი ქართულის გენეზისისათვის“.

<sup>2</sup> ამ თეორიის თანახმად, როგორც ცნობილია, ენა უნდა ყოფილიყო განსხვავებული იმისდა მიხედვით, თუ რაგვარ საგანზე გვექნებოდა მსჯელობა: „მაღალ მატერიებზე“—„მაღალი სტილით“ უნდა გველაპარაკა, უფრო ორდინალურ მოვლენებს საშუალო ენა („სტილი“) შეეფერებოდა, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის „მაღალი სტილი“ იყო განკუთვნილი.

სამი სტილის თეორია ჯერ კიდევ ძველმა რომმა იცოდა; გასავალი ჭკონდა მას საშუალო საუკუნეებში და შემდეგ—უფრო მეტად—ალორჰინების ხანაში. რუსეთში მას დიდი პატი-

ენა „დავითიანისა“, საბასი, პაპუნა ორბელიანისა. ამ დარგებში დამკვიდრდა ენა ლვლარქნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღეობებით მდიდარი, ზმნებით ლარიბი, გასაგებად ძნელი, — ძველი ქართულის თავისებური სუროგატი. ლიტერატურისა და მეცნიერების ენას ანტონის სკოლამ მიატოვებინა ხალხური მეტყველების მიწაზე სიარული და სქოლასტიკური რიტორობის ოჩოფეხაზე შეაყენა.

არ იყო ეს ადვილი საქმე. არიან ისეთნი — ამბობს ანტონი — რომელნიც „სძულ ობენ და სიმწარით გარემიექცევიან ბრწყინვალეებას ფრასისასა, რეცა რიტორებისა მაქებელნი და მეტყველნი: უმჯობეს არს წერილთა შინა, რათა იყვნენცა ესე ვითარნი სისტემანი ლექსთა და ჰაზრთანი, რომელნი დიდითა შრომითა გულისხმა იყოფებიანო“... არაჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო ანტონის ავტორიტეტი, რომ „ფრასის ბრწყინვალეების სიმწარეს“ შერიგებოდნენ იმ ხანების მწიგნობარნი. ანტონის ავტორიტეტის ძალა ნათლად იგრძნობა ერთი საუკუნის შემდეგაც ილია ჭავჭავაძის სიტყვებში: „ნურაინ ნუ გაიფიქრებს, რომ მე არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდს ალაგს დაიქვრს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა“... („პასუხი“, — ილიას „კრიტიკულ წერილებში“, წ. კ. გ. საზ. გამოცემა 1909 წ. ტფილისი, გვ. 62).

ამას ამბობდა ანტონის სისტემის უარყოფელი, ანტონის სკოლის დაუნდობელი მოწინააღმდეგე. რალა ითქმის თანამოაზრეთა ანდა ნეიტრალური წრეების შესახებ!

შეწყდა თუ არა ახალი ქართულის ისტორია ანტონის სკოლის ზეგავლენით? არა. ახალ ქართულს წაართვეს ლიტერატურა და მეცნიერება, მაგრამ მას დარჩა „დაბალმატერიათა“ სამყარო; პრაქტიკული ყოველდღიური საქმიანობის სამწერლო ენად იგი კვლავ იხმარება: ახალი ენა აღარ არის სალიტერატურო, მაგრამ სამწერლოდ მიიწეო რჩება „განპირა უბნებში“, — მესამე სტილის საჭიროებისათვის.

აი განჩინების წიგნი, ახალი ქართულით „შესრულებული“:

1801, აპრილის 29. ქ. ციხისთვისშვილის იოსების ეზოში ღორი გაერეკა ამისი სახლის კაცის შერმაზინის მელორეს. ამ იოსების შვილს გამოერეკა; ამ შერმაზანს გაელახა ის ყმაწვილი; ეს იოსები შინ არ ყოფილიყო. როდესაც მოსულიყო და შეეტყო, თავის სახლის კარზედ გამოსულიყო და ლანძღვა დაეწყო, რათ მომიკლეს შვილიო. მას უკან ის შერმაზან თავის ვენახში ყოფილიყო, გადმომხტარიყო და მისულიყო იოსებთან

ვი მოუპოვებ ლომონოსოვმა; მისი „განსჯა საეკლესიო წიგნების სარგებლობისათვის“ პირველად 1757 წ. გამოქვეყნდა.

ანტონ კათალიკოზი 1762 წ. დაბრუნდა რუსეთიდან, სადაც ის ხუთი წლის განმავლობაში ვლადიმერის ეპარქიას მღვდელმთავრობდა.

ლომონოსოვის გავლენა ანტონ კათალიკოზზე სამი სტილის საკითხში უდაა, თუმცა ამის გარეშე, ადრევე, მისთვის მისაბამ ნიმუშს წარმოადგენდა იოანე პეტრიწის რთული და მძიმე მეტყველება. დაწერილებით — ცალკე.

თავის სახლის კარზედ. ქვემოდამ შვილი გაქცეულიყო და მიხდომოდენ და ორთავ მამა-შვი თ გაელახათ თავის კარზედ. მოვიდა, იჩივლა იოსებმა; ისიც მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ და ასე ყოფილიყო მათი შფოთი. მეც ეს სამართალი მივეც საქართველოს სამართლის ძალით: შინ მიხდომისათვის მთელი სისხლი გაეჩნდა, მაგრამ ზოგი ლანდღვაში ჩაუტარეთ, ზოგი სამართალმა იპატა (sic!) და თექვსმეტი თუმანი კი დაედო, რადგან აზნა რევილები კი არიან. ეს თექვსმეტი თუმანი—ორი წილი ვეჭი უნდა მისცეს და მესამედი—თეთრი შერმაზანმა ამ იოსებს. აპრილის 30 ქს უკო, მდივანბეგი სვიმონ (ჩხ. „საქ. სიძველენი“, ტ. I, გვ. 199).

ამ განჩინების ენა ხალხურზე ხალხურია, სანიმუშოა თავისი სისადავით— არა მხოლოდ სასამართლოს კანცელარიისათვის, —მასთან სავეებით გამართული წიგნის ენაა: არც ერთი მორფოლოგიური თუ სინტაქსური შეცდომა (ახალი ქართულის ნორმათა თვალსაზრისით)! ეკუთვნის ეს განჩინება 1801 წ., როცა ანტონის სკოლა მძვინვარებდა. ასეთივე სადა ენით წერს თვით კათალიკოზის კანცელარიაც:

1797, თებერვლის 18. ქ. ყოვლისა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი მეფის ირაკლის ძე ანტონი გიბრძანებ არხიმანდრიტო ხოფისავ დოსითეოს! მერმე ეგ ხოფის საარქიმანდრიტო ხომ ჩვენი სამწყსო არის, რომელზედაც რომ არხიმანდრბტად ჩვენ გაკურთხედ (sic!) შენ და დაგადგინეთ და იმისი ყმა და მამული ყოველივე შენ გარწმუნეთ და მოგეცით. ახლავ შენ მასალა უნდა იშოვნო და ან, რაც ეკლესიას კურთხევაში ესაჭიროება, ისინიც და ეგ ხოფის ეკლესიაც უნდა განაახლო. შენთვის ნება მოგვიცია და ჩვენის შენდობით აკურთხე. და ან რაც ეკლესიას რაც ეჭირება, წიგნით თუ შესამოსლით, ყოველითავე უნდა სისრულე მისცე და კარგად მოუარო და გაუძღვე მაგ ეკლესიას. და შენსას და მაგ ეკლესიის საქმეს, რაც გეჭირებოდესთ, ყოველსავე ჩვენ უნდა მოგვახსენებდე დაუყოვნებლად და კველას ჩვენ განემართავთ კარგათ და სისრულეს მივცემთ. ეს ჩვენი ბრძანებული ასრე უნდა აღასრულო ყოველივე. ფებერვალს იუ, წელსა ჩლუჴ. კათალიკოზი ანტონი<sup>1</sup> („საქართვ. სიძველენი“, II, გვ. 465).

მართლწერა ორივესი—სადაა, ზედმეტი ასოები არ იხმარება. კათალიკოზის კანცელარია გარკვეულ შემთხვევაში მარტივად მეტყველებს, მაგრამ ერისკაცი ყოველგვარ ეკლესიურ „მაღალ შტილს“ გადააქარბებს, თუ „საგანი ამას მოითხოვს“; აი სამძიმრის წერილი ფარნაოზ ბატონიშვილისა გიორგი ქსნის ერისთავის გარდაცვალების გამო:

„არა ვუწყ, თუ ვისდა შეევასწორო ჟამი ესე გოდებისა და მწუხარებისა, ანუ რაბამი ხმა გლოვისა აღმოუტეო და ანუ ვითარ ვცრემლეოდე დაკვეთებულისა ამისა საქმისათვის. გონებად მოვიღებ დღეს ჟამს მას საგოდებელსა და საბავთოსა განსვენებულისა მამისა შენისა აღსასრუ-

<sup>1</sup> ესაა: ანტონი II.

ლისა, რომელი სწორი იყო შშობელისა მამისა ჩემისა აღსასრულისა და რამეთუ ჩემდა ეგრეთ საწუხებელი და საგლოველ არს, ეამი ესე არა არს ნამდვილ ნაკლულეგან მწუხარება ჩემდა, ვითა დღე იგი, ოდეს უბედურ ექმენ სანატრელისა შშობელისა მამისა ჩემისა აღსასრულითა. ვინა შევასწორო ესე არა თუ მისსა, სადაჲთ მოვიდნენ ტრემლნი საგოდებელნი, არაჲინ არს ნოვეშინის მცემელ ჩემდა და უმეტეს ადგილისა ამის ძლით, ვითარ შევრაცხო, რომელ არდა იყოს ტყბილ მოუბარი ენა დედისა ჩემისა მზგავისსა, ვითარ დაესდნა ორიხთაჲე კერძოჲთ ობლობა ბრწყინვალეებისა თქვენისა? ნეტარ თუშვა ვიყო მახლობელ თქვენდა, რათა არა წერილით, არამედ ცხოველითა ხმიითა განვცხადო შინაგან მდებარე მწუხარება ჩემი... („საქართვ. სიძველენი“, ტ. I, გვ. 224).

საკმაოდ ხელოვნურად ბგერს მეორე ბატონიშვილის თეიმურაზის ქართულიც, როცა ის საქართველოს ისტორიის შესახებ მოგვიხსრობს:

„შემდგომად დიდისა მის მეფისა თამარისა შოთა რუსთაველი, რომელიც იყო მთავარი რუსთავის ქალაქისა და თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი, იყო იგი კაცი განსწავლული და ყოვლითა კეთილ-ზნეობითა, სრული ფილოსოფოსი და უსწორო პიიტიკოსი...

ესე უჩუტ რუსთაველი, შოთა მოხუცებულებისა თვისისა ეამსა მისრულ არს წმინდასა ქალაქსა იერუსალიმს, ჯვარის მონასტერსა შინა ქართველთასა დაუსადგურებია... და ოჯცთა ვიდრე გარდაცვალებამდე თვისსა ყოფილარს და მუნვე ჯვარის მონასტერსა შინა დაფლულ არს, სადაცა სახეცა მისი შუნვე კედელსა ზედა დახატული და ჰგიეს ვიდრე მოდღეინდელად დღემდე“ (იხ. „ისტორია დაწეებითგან ივერიისა, ე. ი. გიორგისსა, რომელ არს სრულიად საქართველოს“, სპბ. 1844 წ., გვ. 284, 285; ძველი დაწერილია 1843 წ.).

ეს არ არის პირველი რანგის ენა, „მაღალი შტილ“, მაგრამ მისი განსხვავება ბუნებრივი, სადა ახალი ქართულისაგან ცხადია.

ეს ბუნებრივი ახალი ქართული „ცისკრის“ პირველ ნომრებშივე შეგხვდებათ, როცა მსჯელობის საგანზე ამის ნებას იძლევა. ამ ენით არის მაგალდაწერილი „სოფლიური სახლის პატრონობა“, რომელიც სხვადასხვა სამეურნეო საკითხების შესახებ დარიგებას იძლევა და გაჰყვება მთელ რიგ ნომრებს.

„ცისკრის“ № 2 1852 წ., მაგალითად, ლეონის გაკეთების შესახებ ვკითხულობთ:

„ლეონოს ქვევრმა თუ რომ ცული სუნი მისცეს, უკეთესი არა იქნება რა ნახშირისა. დანაყეთ ნახშირი თილისა ანუ სხვა ხისაც წმინდად, შეეკრეთ პარკი

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ ზედმეტი ასოები აქაც არ არის ნახმარი.

<sup>2</sup> შდრ. მეთვრამეტე საუკუნის ისტორიულ-ოთხობის ენა: „გამოვიდა ჩუქის ელჩი ყაენთან მოსასვლელად, მოუვიდა ბრძანება კახ-ბატონს მეფის ერეკლეს: „ქართლსა და კახეთს დამ ათასი კაცი ააჩივე და წინ მიიყვებო“. შექმნეს შხადება ქართველთა და კახთა, წაბრძანდა მეფე ერეკლე ათასის კაცით რუსის ელჩის წინ მისაგებებლად. ქართველ ბატონს თან ჯავცა ყაზახამდის და იქიდან დაბრუნდა“...

ტილოსი, რომ ბოლო წვრილი ძაბრივით იყოს, ჩაყარეთ პარკში ნახევრ-  
ბამდისინ ნახშირი, დაახებით წყალი ამდენი, მანამ წმინდა წყალი არ გამოვიდეს  
ბოლოდან; როცა წყალს წმინდა გამოვიდეს, შერე ღვინო დაახებით. რაც უნდა  
კუდი სუნი ჰქონდეს, ნახშირი გამოიტანს. ეს თვითონ მეც ვაძლევ... აგრეთვე და-  
ობებულ ქვევრში ჩასხმულ ღვინოს, რომელიც სრულებით არ დაილეოდა, ნახ-  
შირით ვაშოუვიდა გემო. ეს თითონ მე ვცხადე. თეთრ ღვინოს ეძლევა საუცხო-  
ვო ყვითელი და წმინდა ფერი, ძალას კი ართმევს ცოტას“...

არც მართლწერაა ანტონისეული, არც სტილი. არც არავის აწუხებს ეს.  
ნორ მალურია ასე იყოს და იმიტომ ამასთან დაკავშირებით თა-  
ვისებური გაშუქება ეძლევა იმ ფაქტს, რომ გიორგი ერისთავის კომედიები  
სადა ქართულით იწერებოდა. 1862 წელს „ცისკარში“—მარტის ნომერში—მო-  
თავსებულია მოლიერის კომედია „ცოლის შერთვევინება“, დიმიტრი ყოფიანის  
თარგმანი, 1860 წლის სექტემბრის ნომერში კომედია-ვოლუნილი „ცოლები დაე-  
კარგეთ!“, გადმოკეთებული ივ. კერესელიძის მიერ: ამ თარგმანთა ენა ისეთი-  
ვეა; როგორც გ. ერისთავის კომედიებში.

ეს გასაგებიცაა, თუ მოვიფიქრებთ, რა აზრისა იყვნენ სამი სტილის თეო-  
რეტიკოსები კომედიის ენის შესახებ; ლომონოსოვი, მაგალ., პირდაპირ ამბობ-  
და: „დაბალი შტილი“ მხოლოდ წმინდა რუსულ სიტყვებს ხმარობს (და არა სე-  
ეკლესიო ლექსიკას): დაბალი შტილით იწერება: კომედიები, ეპი-  
გრამები, სიმღერები; პროზაში—მეგობრული წერილები და ჩვეულებრივი საქ-  
მეების აღწერილობა“ (მოგვეყავს ი. გროტის მიხედვით; იხ. მისი: *Филологическое разсуждение*, СПб. 1873, გვ. 5, 89).

ამიტომ კომედიებში ახალი ენის შემოღება კიდევ არ ნიშ-  
ნავს სალიტერატურო ქართულისათვის ამ ენის ხმარებას.

ზემოთქმულის მიხედვით უნდა დაეასკვნათ: მესამოცე წლებში გაჩაღებული  
ბრძოლა ახალი ქართულისათვის ობიექტურად იყო ბრძოლა არა ახალი  
ენის შექმნისათვის, არამედ შექმნილისა და უკვე არსებუ-  
ლის გაყოყენებისათვის ლიტერატურაში; ეს იყო ბრძოლა ახა-  
ლი ქართულის უფლებისათვის, ისტორიულს ასპექტში—ბრძოლა (სამი  
სტილის თეორიის წყალობით) დაკარგული უფლებების აღდგენისათვის.

ვის როგორ ესმოდა ეს უფლება?

მესამოცე წლებში ანტონის სკოლის მიმდევართა შორის ენის საკითხში  
რევიზიონისტულმა მიდრეკილებამ იჩინა თავი: ანტონის ოჩოფებათი სიარული  
შეუძლებელი იყო, სამგვარი ენის გამოყენება რთული და საძაელო. ეს ცხადად  
ჩანს ალ. ჯამბაკურ-ობელიანის წერილში: „ქართული უბნობა ანუ წერა“  
(„ცისკარი“, 1860, ტ. II, მაისი).

„ცისკარში“ ერთნაირი წერა უნდა იყოს, ამბობს ავტორი. სახელ-  
დობრ როგორი? წერა სამგვარი: ეკლესიური, დარბაისლური და გლეხა-  
კური. აქედან ერთ-ერთზე უნდა ამოვარჩიოთ, იმაზე შემოვიღოთ წერა და ლა-  
პარაკი... ეკლესიური ძნელია, მას ვერ შემოვიღებთ. კმე საშუალოს ენას ამო+

† თვით ამ ბრძოლის ზოგ მონაწილეს საქმის ვითარება სხვა რიგად ესმოდა.

ვარჩევ, დარბაისელთ ენას“... ამ ენაზე უწერიათ „უწინდელი საერო წიგნები: რუსუდანიანი, ვისრამიანი, დავრიშიანი, სიბძნე-სიცრუვე, ყარამანიანი... ვე-  
ფხვის-ტყაოსანი“...

„ჩუტნი ლაპარაკი და წერა, კვალად ვიტყვ, ერთგვარი უნდა იყოს: რა გუარად ილაპარაკონ, ისე დაიწეროს, და რა-  
გუარად დაიწეროს, ისე ილაპარაკონ. ამისთვის ჩუტნი საშუალო ანუ დარ-  
ბაისელთ ენა ასეთი უნაკლულო ენა არის, რომ დიად ადვლად შეიძლება რომ  
ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს, ამაზედაც და კარგადაც გამოვაცოველი  
ქართული სიტყვება“ (გვ. 97. ხაზი ჩეხია. — ა. ჩ.).

ნუ იქნება სიტყვულ „ცისკარი“ არა სამისტილი, სამი წიგნუ-  
რი ენა, არამედ—ერთი; იმ ენით ვლაპარაკოთ, იმ ენით ვწეროთ. ამ  
ენად დარბაისლური ენა იყოს; მისი გრამატიკა ვსთხოვოთ ბაქარ ქარ-  
თელს, რომ შევიდგინოსრ...

ბაქარ ქართლელი (დომ. ბაქრაძე) გამოეხმაურა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის  
ამ წერილს, სავეებით გაიხიარა ერთი ენის საჭიროება, ოღონდ შენიშნა: „ვე-  
ფხვის-ტყაოსნის“ ენას ვერ დაგუბრუნდებით, ეს ისტორიის კუთვნილებაა. ისე-  
ვე, როგორც ბერძენი არ უბრუნდებიან ჰომეროსის ენას... ჩვენ საშუალო ენა  
უნდა დავაკნონოთ („ოკეთესი საზოგადოების ენა“, როგორც ის ამბობს.  
„ცისკარი“, 1860, II, მისი, გვ. 329). როგორც ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის,  
ისე დომ. ბაქრაძისათვის უღია, რომ გლექციის ენა არ გამოდგება სალიტე-  
რატურო ენად:

„ჩუტნის საშუაღს ქართულს ენას, როგორც ვნებაეთ ისე მიმოხრით, ისე  
მიმოაჭყვეთ და გამოთქმას ხომ ისე ღბილად გაიგონებს ყური, მეტი სააპო  
იყოს სპენისათვის მაშინ, როდესაც რომ გლექციაც ს ენაზედ ეს არ შეიძლება.

1 ამ წერილში დომ. ბაქრაძე აყენებს, სხვათა შორის, საინტერესო დებულებას ენისა და  
გრამატიკის ურთიერთობის შესახებ (მას მხედველობაში აქვს ანტონის ნორმატიული გრა-  
მატიკა): გრამატიკა ისევე ვერ გვასწავლის ენას, როგორც ლოგიკა—აზროვნებასა; ენის  
შესასწავლად „ორი წყარო“ გვაქვს: „ცხოველი საზოგადო თუ დარბაისლური ენა“ და „ყურა-  
დლებით კითხვა იმ მწერალთა, რომელნიც შეიცვენ უკეთესს საზოგადო საუბარსა“.

ავტორის რევიზიონისტული განწყობილებისათვის დამახასიათებელია მისი მსჯელობა:  
„გრამატიკა შემოვიდა ჩუტნში პირტლად მეთვრამეტე საუკუნეში და პირველ გრამა-  
ტიკოსად აღმოგვჩნდა ანტონი პირველი, გაბრწყინებული მაღალი სწიქითა  
და დიდი მამუტრალი; მისი მეცადინეობით სხოლასტიკის გავლენას  
გაეხსნა გზა საქართულსა. ეს იყო იმ დროს, ოდესაც თვთ ევროპაში იგრძნეს  
სხოლასტიკის უსარგებლობა. შემდეგ ანტონისა გრამატიკები დაგვწერეს უფალთ—დოდავემა,  
იოსელიანმა, ჩუბინოვმა. თვთ იმათი კანონები არ არიან ქართული ენის თვისე-  
ბაზედ დამყარებულნი. არ შეგვძლია არ ვსთქვათ, რომ ამ მამუტრალთ ამაო შრომა  
დაუდკათ, თუ ვიფიქრებთ, რომ იმათ კანონებს არავინ კითხულობს გარდა ახალ  
მოსწავლეთა ყრმათა, რომელთაც იძულებით აკითხებენ და რომელნიც მეორესავე დღეს ივიწ-  
ყებენ მსგავსად რომელთამე ფრთოვანთა“ („ცისკარი“, 1860 წ., ტ. II, გვ. 327, მისი).

ამ სტრიქონების დანწერიც სცნობს სამი სტილის თეორიას: „სტუტენ (ე. ი. ალ. ჯამ-  
ბაკურ-ორბელიანი.— ა. ჩ.) ჰყოფთ უპირატესს ქართულს ენასა სამ ნაწილად: საღმრთო წე-  
რილად ანუ ეკლესიურად, მდაბიურად ანუ დარბაისელთ უბნობად და გლექციაცების ენად. ეს  
კეშმარტება“ (იქვე).

მართალია, გლახაკების ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადვილი გასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი რომ ვერ გამოვა რეგიანად, არა ყურის საამოდ, რადგან მოშტებულ ენა არის გლახების ლაპარაკი“—ასე ისჯელობს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი.

კადვე უფრო კატეგორიულია დიმ. ბაქრაძის დებულება: „დაბალი ანუ გლახური ენა სათქმელი არ არის. გლახების საუბარი ვერ შეიძლება მაღალთა საგანთა გამოხატვასა შუამავლობასა“ („ციცქარი“ 1862, ტ. II, 329).

იშვიათად თუ გამოვლინებულა ოდესმე ასე ამკარად კლასობრივი თვალსაზრისის სალიტერატურო ენის პოლიტიკისა და, კერძოდ, სტილის საკითხებში: „სალიტერატურო ენად“ უკეთესი საზოგადოების ენა უნდა იყოს—გლახური ენა სათქმელი არ არისო“. ტყუილად კი არ ამბობს ამ სიტყვების ავტორი: „როგორათავე ერთი და იგივე ნათესაობა (ე. ი. ხალხი.—ა. ჩ.) იყოფა ტომებათა, აგრეთვე იყოფა ენაც: თუ ერთი და იგივე ტომი განაწილდება მაღალსა და დაბალს კლასებათა, აგრეთვე მისი საუბარი განაწილდება მეტათ თუ ნაკლებათ!“ (ჩხ. დ. ბაქრაძის ხსენებული წერილი, იქვე, გვ. 310).

მაგრამ ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი და დიმ. ბაქრაძე ანტონის მიმართ მაინც იყვნენ რევიზიონისტულად განწყობილნი. მოიპოებოდნენ ანტონის ორთოდოქსალური მემკვიდრებიც. ეს ნათელი გახდა ილია ჭავჭავაძის „კრიტიკული წერილის“ („შეშალას“ თარგმანის გარჩევა!) და „პასუხის“ შემდეგ:

„ოჰ, ღმერთო! რა მესმის! ქართველი კაცის სასმენელი იმდენად როგორ უნდა შეიცვალოს, რომ ანტონ კათალიკოზის მაღალ-ნიჭიერს სიტყუაობას სწუნობდეს და რას სახელდობ: მის წყობილ-სიტყუაობას, მის აკროსტიხულებას და მის იამბიკობას. ან რა გასაკრველია, ვისაც ოლტერის (!) მოძღვრების თანახმად მარხუა და მუუდაბნობა არ მოსწონს, იმას არც ანტონის ქმნულება მოეწონება!“—სწერდა ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ზემოური იმერელი, გორისელი წერეთელი ეფთვიმე“ (ასეთი სრული წოდებულებით წარუდგა იგი ისტორიას—„ციცქარში“ 1862 წ., თებერ., გვ. 204).

უდიდესი მოქალაქობრივი გამბედაობა და დემოკრატიული რადიკალიზმი იყო საჭირო, რომ ასეთ პირობებში კაცს წამოიყენებინა დებულება: ხალხის ენა, ე. ი. „გლახაკის მეტყველება“ უნდა იყოს სალიტერატურო ენა.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე არ დაერიდა ამას, თეორიულადაც დაიცვა და პრაქტიკულად გზა გაუკაფა ხალხურ ენას ლიტერატურაში, დაანახვა ყველას, რომ ამ „დაშვებული ენით“ შეიძლება უდიდესი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებთა შექმნა, მეცნიერებისა და პოლიტიკის ურთულეს საგნებზე მსჯელობა.

მძაფრი იყო შემოტევა მის წინააღმდეგ, კრიტიკა მისი სალიტერატურო პრაქტიკისა და თეორიისა. პოეტიკისა და ენის საკითხები იყო დავის მთავარი საგანი. რას ამტკიცებდა ძველი თაობა?

1. ენა საბევარი: მაღალი, საშუალო, დაბალი; თითოეული ცალკე საგანს შეეფერება.

2. ენის ცოდნისათვის საჭიროა ვიცოდეთ „საზოგადო და განსხვავებითი იმისი ნიშატი“. პირველს გვასწავლის გრამატიკა, ხოლო განსხვავებულ თვისებათა ცნობისათვის, „საჭირო არიან კანონნი აზრთა განწყობილებისათვის... რომელთაც გვასწავლის რიტორიკა“.

ამრიგად, გრამატიკა და რიტორიკაა ენის საკითხებს რომ სწყვეტს. აღსანიშნავია, რომ ეს გრამატიკა მოწოდებულია ენის საზოგადო ნიშნები წარმოგვიდგინოს.

ამის უტოლდინარობას უკიყინებდნენ ილია ჭავჭავაძეს: „თუ გცოდნოდით, რა არის ენა, რა არის სიტყვიერება, მწერალს რა ზრდილობიანი თვისება ეჭირება... არასოდეს არ ეცდებოდით ასე ენის წახედნას და მამა-პაპათ დამაბლებასაო!“— წერს ბარბარე ჯორჯაძისა (იხ. „პასუხის პასუხი“ „ცისკარში“ 1861, სექტემბერი, გვ. 92).

ანტონის მიღწევართა კონცეფცია ენისა ანტიისტორიულია: მისთვის არ არსებობს გარკვეული ენა გარკვეულ ისტორიულ პირობებში, არც გრამატიკა, ამ კერძო ისტორიული მონაცემის შემსწავლელი; ის ლაპარაკობს საერთოდ ენისა და გრამატიკის შესახებ.

გრამატიკა ამ გაგებით ნორმატიული დისციპლინაა. რიტორიკასთან ერთად ის გვასწავლის, როგორ უნდა მოვიხმართ ენა.

რის საფუძველზე იქნება გრამატიკის კანონები? აზროვნების კატეგორიებზე დაყრდნობით. აზროვნების კატეგორიები ურყავი საფუძველია ასევე ურყვევი გრამატიკული წესებისათვის. არც მეტყველება და არც აზროვნება არ განიაზრება ცვლადობაში; ერთიც და მეორეც ღრობისა (და სივრცის) გარეშე აღებული.

ასეთი გაგებით გრამატიკა წინარემეცნიერული გრამატიკაა. ისტორიულად: ცნობილია ორი მისი ვარიანტი: ფილოლოგიური და რაციონალური გრამატიკა, რომელიც ხშირად ფილოსოფიური გრამატიკის სახელწოდებითაც გვევლინება.

ანტონის გრამატიკა იყო არსებითად ფილოლოგიური, მაგრამ რაციონალური გრამატიკის მომენტებიც არ იყო მისთვის უცხო.

ეს გრამატიკა მართლწერისა და წესიერ-უმნობის ნორმებს აწესებდა. საუკუნეთა ტრადიცია ზურგს უმაგრებდა ამგვარ გრამატიკას. ამ ტრადიციის ძალა ისე დიდი იყო, რომ დღესაც, გრამატიკაზე რომ ლაპარაკობენ, ამგვარი ნორმატიული დისციპლინა აქვთ მხედველობაში. და ხშირად ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება არსებობდეს გრამატიკა, რომელიც ნორმებს კი არ აწესებს, არამედ ენის მოქმედ კანონზომიერებას არკვევს, იმას კი არ ამბობს— რა უნდა იყოს, არაჲდ იმას გვაჩვენებს, რა გვაქვს ენაში და როგორ არის მიღებული ის, რაც გვაქვს<sup>1</sup>.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ გრამატიკა მეცნიერულ დისციპლინად მას შემდეგ იქცა, რაც მიზნად დაისახა ენის შესწავლა მის განვითარებაში ისე, როგორც ეს არის და არა ისე, როგორც ეს უნდა იყოს.

<sup>1</sup> ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მეცნიერული გრამატიკა ნორმების დადგენისათვის გამაღუსადევარია; პირიქით, ის ქმნის მტკიცე მეცნიერულ საფუძველს ნორმატიული ხასიათის დასკვნისათვის.

ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც გრამატიკა ნორმატიული დისციპლინიდან იქცა პოზიტიურ დისციპლინად.

ამგვარად ესმის გრამატიკისა და ენის ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესაც; „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“. სხვანაირად რომ ვთქვათ, ენაში კი არ შეგვაქვს კანონი, არამედ კანონები ენიდან გამოგვაქვს, ენაში ეპოულობთ მას...

როგორია ბუნება ამ კანონისა: გარდაუვალი, ზედროჟულია თუ ცვალებადი ხასიათი აქვს მას? რაკი კანონს ენა ქმნის, ცხადია, ამ კანონის ბუნება ენის ბუნებით იქნება განსაზღვრული: თუ ენა უცვლელია, კანონიც უცვლელი იქნება, თუ ენა ცვალებადია, კანონიც ცვლებადი იქნება. ენის ცვალებადობის პრინციპი ამოსავალი დებულებაა ენათმეცნიერებისა; ენის უცვლელობის თეზაზე იყო დაფუძნებული ნორმატიული არამეცნიერული გრამატიკა და ამ უკანასკნელის დამცველი ანტონის სკოლის არგუმენტაცია.

ილია ჭავჭავაძე ამ შემთხვევაშიც ენის მეცნიერულის გაგების ნიადაგზე დგას: „კაცის ენა კერძო პირსავეთ იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე. ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე. ამიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცს. მაშასადამე, თუ მიბრძანებთ, რომ, რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულა, ამიტომ ახლაც უნდა ვიხმაროთ ეგ ასო, ეგ უსაფუძვლო ბრძანება იქნება...“ („პასუხი“, გვ. 49—50. ხაზი ჩვენია.—ა. ჩ.).

ენა იზრდება, ვითარდება; ენის კანონებიც იცვლება; ძველი კანონი ახალ ვითარებას არ გამოხატავს; ენის კანონი ისტორიული უფლებებით ვერ დასაბუთდება...

ეს დებულება მტკიცე და თანამიმდევრული საენათმეცნიერო მსჯელობის გამოხატულებაა. ის ძალაში რჩება დღემდის. ერთადერთ შენიშვნას იწვევს ანალოგია ენასა და კაცს შორის, ენის ზრდასა და კაცის ზრდას შორის. ისიც არა აქ მოცემული მსჯელობის ფარგლებში, არამედ მაშინ, თუ ანალოგიას განვავრცობთ. ადაპიანი იბადება, იზრდება, შემდეგ ბერდება და კვდება. ენამ კი ასეთი დაბერება და კვდომა არ იცის.

ჩვენ არც გვქნებოდა უფლება ილია ჭავჭავაძე გაგვხადა პასუხისმგებელი ასეთი დასკვნისათვის, რომ ერთი გარემოება არა: ვასული საუკუნის მესამოცე წლებში ენათმეცნიერებაში დიდს პატივში იყო ენის შედარება ორგანიზმთან და ენაზე გადატანა ყველა იმ თვისებისა, რაც ორგანიზმს ახასიათებს. ილიას ანალოგიაში ენასა და კაცს შორის თითქოს მოჩანს ამ ბიოლოგისტური გაგების კვალი:

როგორ ეძებს ენაში კანონს ილია ჭავჭავაძე? ვისი მეტყველება აქვს მხედველობაში, როდესაც ენის კანონის მიკვლევას ლამობს?

ხალხის მეტყველება, „გლეხკაცის ენა“ საივედო საყრდენი და საპელაციო ინსტანცია მისთვის.

„სრულიდაც არ მესძის რა განსხვავება არის ამ ასოთ შორის: ც და იე, ა და ი, ვ და ივი, ფ და ჰოი“... თუ ხელავს ვინმე განსხვავებას: „ანბანთ თერ-

რტიკით კი ნუ ცდილობს დამტკიცებას, არამედ ყურადღება მიაქციოს დაკვირვებით ხალხის სიტყვის გამოთქმასა, ხალხის ენაში მონახოს ფაქტი, დამახასის და მაშინ დავეთანხმები... („პასუხი“, გვ. 50. ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

და მერე: ფ-ს საკითხის განხილვისას ილია ქავჭავაძე ამბობს: „ეგ ასო ახალი შემოღებულია, არ ვიცი კი რისთვის. ეგ ასო ქართულს ენაზე ფ-ად იცვლებოდა ხოლმე, მაგ. ფილოსოფია. ამას გარდა ქართველ გლეხკაცს (თუ ბატონთან არ არის ნამყოფი) მაგ ასოს ხმას ვერც კი გამოათქმევინებთ, ფ-ს მაგიერათ სულ ფ-ს გამოსთქვამს, მინამდინ ბევრჯელ არ გაამეორებინებთ. ჰსჩანს ეგ ასო ჩვენის ენის თვისებისა არ არის და რაღათა ხმარობთ“ („პასუხი“, გვ. 51. ხაზი ჩვენია. — ა. ჩ.).

„...ამბობენ «ჩემის თვალთ ვნახეო, ჩემის ფეხით მოვედიო»; ნუთუ მართლა ერთის «ფეხით» მიხტოდნენ და ერთის თვალთ ხიდ ვინ. სულაც არა! მაგრამ ამბობენ კი! მაშასადამე, ჯერ ხალხს მოაშლევინებთ ეგრეთი ულოლიკო ლაპარაკი და მერე—მე. წინათვე მოგახსენეთ: «ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა»“ („პასუხი“, გვ. 52. ხაზი ჩვენია. — ა. ჩ.).

ხალხის მეტყველება, ქართველი გლეხკაცის ენა—აი ვინ მოყავს მოსამართლედ ილიას! შეძლება ეს სახიფათო რადიკალიზმად გვეჩვენოს: სალიტერატურო ენის საკითხებია მოსაგვარებელი; ხალხი სალიტერატურო ენით არ მეტყვილებს, მის მეტყველებაში ბევრი რამაა უცხო, მიუღწეული სალიტერატურო ენისათვის. როგორ შეიძლება ასეთი მოსამართლის არჩევა? ილია ქავჭავაძე მაინც მართალია და აი რატომ. ჯერ ერთი, ენის კანონი ენის თვისებას უნდა გამოხატავდეს; ენა ბუნებრივი, მართალი სახით ცოცხალ ხალხურ მეტყველებაშია მოცემული. თანამედროვე ენათმეცნიერების ერთი ძირითადი დებულებათაგანია ის, რომ ენათმეცნიერების შესასწავლ ობიექტს ცოცხალი მეტყველება წარმოადგენს და არა წიგნის ენა, და ეს იმიტომ, რომ წიგნის ენის განვითარება შეზღუდულია, მის განვითარებას კონტროლი ეწევა, მასზე გავლენას ახდენენ. ცოცხალი ხალხური მეტყველების განვითარება კი ასეთი ზეგავლენისაგან თავისუფალია. ამიტომ, ენის დამახასიათებელი თვისება, ენის განვითარების კანონზომიერება ცოცხალ მეტყველებაში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ ილიას მსჯელობა მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დგას.

სალიტერატურო ენის ვითარება, მართალია, ჯერ თვით ამ სალიტერატურო ენის არეში უნდა იქნეს განხილული, მაგრამ თუ ეს საკითხს არ სწყვეტს, ისევე ხალხურ ცოცხალ მეტყველებას უნდა მივმართოთ. საბოლოო ანგარიშში წიგნის ენა უკოფენაა ცოცხალი მეტყველებისა, წიგნის ენა ამ უკანასკნელს ემყარება, მას ასახავს, ზოგჯერ ზუსტად, ზოგჯერ მიახლოებით, წიგნის ენის განვითარება ცოცხალი მეტყველების განვითარებას მიყვება, ჩვეულებრივად—ნელა, ტატიით, მაგრამ მაინც მიყვება, ვინაიდან სხვა საყრდენი მას არ გააჩნია, თუ კი უნდა ცოცხალი ენა იყოს. ილიას დროს წიგნის ენა განსაკუთრებით ცოდვილი იყო; მასში ისეთი რამ ბოგინობდა, რაც ქართული ენის ბუნებით ნაკარნახევი არ იყო, და ამიტომ მეცნიერულად მტკი-

ცე და გამართლებულია ილიას მოთხზვნა: ხალხის მეტყველებით დამისაბუთეთ და დაგიჯერებთ, ანბანთ თეორეტიკა, ე. ი. სქოლასტიკური ფილოსოფია, აქ მოსამართლედ არ გამოდგებაო.

ამ მეცნიერული სწორი დებულების წამოყენება საზოგადოებრივად გაღატოილენ მოასწავებდა. აჭვარ რადიკალიზმს, ცხადია, ვერ აპატიებდნენ მას ვერც ანტონის აკროსტიქების მადიდებლები და ვერც დარბაისლური „უკეთესი საზოგადოების“ ენის მომხრეები. მით უფრო, რომ ილიას ქადილი ლიტონსიტყვიერი როდი იყო; თვით მისი წერილები ლიტერატურულ ენად ხალხური ენის გამოცხადებას მოასწავებდა; „დაბალი კატეგორიის“ მოვლენებისთვის განკუთვნილი ენა მაღალი საგნების გამოსახატავად შემოჰქონდა, ლიტერატურიდან განდევნილი ახალი ქართული უფლებებში აღდგენას ლამობდა.

ცნობილია, რა მძაფრი რეაქცია მოყვა ამას: ატყდა განგაში—ილია ჭავჭავაძე ქართულ ენას ამახინჯებსო.

სარდიონ ალექსიევი-მესხიევი, რომლის გვარის დაბოლოება ქართული ენისადმი განსაკუთრებული პატივისცემის მაუწყებელია, დინჯად შენიშნავდა: „უწყალოდ ამახინჯებ და ამდაბლებ ქართულ სიტყვებებს“... „შეუფერებლობა ლექსთ-თხზულებისა დიდად აუშინოებს ენას და ჰქენჯნის სასმენელსაო“...

„ჩუშნს დედა-ენას თქუშნს უნებურად და შეუგნებლად თქუშნვე ფიზიკებრ ჰკოდავთ და ამახინჯებთ და ზნეობრივად ჰრყენით და აუძლურებთო“ („ცისკარი“ 1861, იენისი ტ. I, 257—258).

უფ. გ. ბარათოვი ნიშნის მოგებით ამბობდა ილიასა და მისი თანამოაზრეების შესახებ: „ეს გუნდი ჩაივლის ნახშირის მოედანზე შუა ბაზარში და იქ ჰკრეფს ნამდვლს ქართულს სიტყვებს, რომელშიაც (?) შეამსებს თვს ლექსიკონს და დიდის ჭეჭა-ქუხილით დაეცემა საბრალო ქართველების მწერლებს“... („ცისკარი“ 1861, იენ., გვ. 163).

„...ზოგნი პოულობენ უფ. ჭავჭავაძის კრიტიკაში ნამდვლს ქართულს ენას და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ უგუჟანი სიტუაზრს ძალას არ უკარგავსო. ამის დასარღვევათ ვიტყვ, რომ ვის იამება ჰკვან კაცთან ლაპარაკი, თუ მას ამოზდის ნივრისა და არაყის სუნი. რაც შეხება ნამდვილს ქართულს ენას, მას ბაზარში და ჩორჩო ბაზარში კი ნუ დაუწყებენ ძებნას, როგორადაც პირველში და სხუაგან ყველგან იპოვნიან“ (იქვე, გვ. 164).

ბარბარე ჯორჯაძისაც გაცხარებით მოსძახის: „არა ლიტერატურას არ შეშვენის უშუშრს ლექსების (ე. ი. სიტყვების) მოხსენება... ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურსა და დარბაისლურს ენას და არა უშუშრებას“. („ცისკარი“ 1861 წ., მაისი, გვ. 34).

„...როგორ შემოურევს ამ უშუშრს, მორყენილს და ბიჭუჭების სიტყუშბს: წრიპლიანი, მორახუნები, აგანგალა-განგალა და სხუა. აი კიდევ ეს სიტყუშბი: ისე ნირად ჰრიკინებენ თავად ერისთავის ლექსები როგორც... (აქ გამოტოვებულია ილიას სიტყვები: „გაუჰსაპნავი საპალნის ურმის თვლები“—ა. ჩ.)... „მე მრცხუშნიან ამ საძაგელის ლექსების განმეორებაო“ (იქვე,

გვ. 41) — პათეტურად ამბობს პოეტი ქალი, რომელსაც სხვებთან ერთად ბედმა არგუნა უიმედო საქმე—ილიასგან დაეცვა ანტონი, ესე იგი ლომონოსოვის. საქურველით ჩერნიშევსკი და ბელინსკი<sup>1</sup> დაემარცხებინა.

ილია ჭავეჭავაძემ გაიმარჯვა. მეცნიერულად სწორი, საზოგადოებრივად მართალი, ისტორიულად საბუთიანი იყო მისი ბრძოლა ენ-სათვის. ახალი ქართული უფლებებში აღდგა: წიგნის „მესამე შტილის“ ქართული—სალიტერატურო ქართულად იქცა. ქართული ენის განვითარების გაწყვეტილი ხაზი გამრთელდა.

ბრძოლაში ენისათვის ანტონის მიმდევართა წინამეცნიერულ და ანტიმეცნიერულ კონცეფციას უპირისპირდება ილიას მეცნიერული შეხედულება ენის რაობისა, ენის კანონისა და ენის ჭანვითარების შესახებ<sup>2</sup>. ტყუილად არ ამბობს იგი ერთგან: „ასე ფიქრობენ უკეთესნი ფილოლოგებიო“! ჩანს, ის ფილოლოგიის მიღწევებს საკმარისად იცნობდა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ მართლწერის ზოგადი თეორიული პრინციპებიდან ამ კამათში ილია ჭავეჭავაძემ მართლწერის სიმარტივის პრინციპი წამოაყენა და მას მტკიცედ იცავდა.

„თუ მართლა ეგ ასოები არ ისმის ეხლანდელ ენაში, რატომ არ უნდა გადაიგდონ? შესუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანის განა ცოტა საქმეა?.. ეხლა მთელი ევროპია (sic!) ცდილობს ყველაფრის გამარტივებას, გაადვილებას და, სხვათა შორის, ანბანისასაც და მართლწერისასაც. შორს არ წავალ; აი თითონ რუსეთში [მოითხოვენ] i ж т -ს ამოშლას თავის ანბანიდგან, რადგანაც ეხლანდელ იმათ ენაში აღარ ისმის ეგ ასოები. მე შემეხვედრია წიგნი 1859 წელში თუ 1860 წ. დაბეჭდილი, სახელდობრივ, сказание от языческих слуг (ამ მართლწერით), სადაც i ж т არ არიან ხმარებული („პასუხი“, გვ. 51).

<sup>1</sup> ილია ჭავეჭავაძის „პასუხს“ „ცისკრის“ რედაქციამ შენიშვნები დაურთო, სულ 24 შენიშვნა. მათგან ზოგი ვრცელ მსჯელობას შეიცავს და ცხარე პოლემიკური ხასიათისაა.

ილ. ჭავეჭავაძის „პასუხს“ ეპიგრაფად ბელინსკის სიტყვები აქვს; ამას რედაქცია გამოეხმაურა ვრცელი შენიშვნით, რომელიც ასე თავდება: „უფ. ჭავეჭავაძე ბელინსკის ჰბაძავს და ბელინსკობა ჩიტუნში არ გამოდგება. თუ მცა ბელინსკი საფუძვლიანი და უპირველესი კრიტიკი იყო რუსეთში, მაგრამ როგორათა ც სნეული და ზაფრიანი კაცი, ყოველთვის ილანძღებოდა და ამ მიზეზით იმისი ბაძტა არ არის მოსაწონი და თვთ რუსეთში ეხლა ვინ ბაძავს იმას?“ (იხ. „ცისკარი“, 1861 ივნისი, გვ. 183).

<sup>2</sup> ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ქართული ენის კერძო მოვლენათა შეფასებისას ილ. ჭავეჭავაძე ყოველთვის მართალი ყოფილიყოს. აქ არა იშვიათად სიმართლე მოწინააღმდეგეთა მხარეზე იყო. მაგრამ ჩვენი მოხსენების საგანს ეს არ შეადგენს; ჩვენ თავშივე აღვნიშნეთ, რომ აქ გვიანტერესებს ილ. ჭავეჭავაძის თეორიული საენათმეცნიერო კონცეფცია.

აქვე დავხსენო, რომ ილია ჭავეჭავაძე კამათში ხაზგასმით აღნიშნავს: „სადაც აზრი არ არი, იქ ენა... სულ უქმია... აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“... ამ დებულებას არ შევხებივართ. დებულება სპეციფიკურს არაფერს შეიცავს ილია ჭავეჭავაძის პოზიციისათვის, მასთან ამას მისი მოწინააღმდეგენიც არ უარყოფდნენ.

ამაზე სარდიონ ალექსიევი-მესხიევმა მიუგო:

„თქმუნის კანონდებულებისა-მებრ ჰსჩანს, რო ხელსა (კეჟიღამ შეშლილ-სა) არ განარჩევთ თქმუნ კელისაგან (სხეულის წევრისაგან), როგორც თქმუნ მართლწერის კანონით რუსულშიაც [უნდა] მოისპოს და არ იყოს გარჩევა ჩხუ და есху-სა შორის“... („ცისკარი“, 1861, ივნ., გვ. 254).

პასუხში, რომელიც მაშინ არ გამოქვეყნებულა, ილია ჭავჭავაძე წერს: „თუ ეგრე არის, მაშ „დაარიგე“ (ქალღლის დარიგება) და „დაარიგე“ (დარიგების მიცემა სხვადასხვა დ-ებით უნდა დაიწეროს. „ააგე“ (ააშენე) და „ააგე“ (ეთქვათ, მწვადი ააგე) სხვადასხვა ასოებით უნდა დაიწეროს. „გავეცი“ (მითამ სხვას მივეცი) და „გავეცი“ (ხმა ამოვიღეო) სხვადასხვა ასოებით უნდა იწეროს. ესე რომ მიჰყვეთ, ათას სხვა მაგალითს გიჩვენებთ, მაშასადამე, თქვენის თეორიით ათასი სხვადასხვა ასო უნდა შემოვიტანოთ, და ჩვენი ახალი მოსწავლენი ძალიან მადლობელნი იქნებიან“ (სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო, თხზულ. კრებ. პ. ინგოროყვას და აღ. აბაშელის რედაქციით. ტ. IV, ტფილისი, 1927 წ., დამატება).

სრული ჭეშმარიტებაა! სამწუხაროდ, დღესაც კი არ არის ყველასთვის ცხადი, რომ ცალკე სიტყვა შეუძლებელია ყოველთვის მხოლოდ თავის ფორმით თავს აღწევდეს ორაზროვნებას, რომ ამისათვის არსებობს კონტექსტი, და რომ დროთა ვითარებაში ყოველ ენაში ამ კონტექსტს ენიჭება თანდათანობით მეტი მნიშვნელობა: მორფოლოგიის განტვირთვა ფორმებისაგან და სინტაქსის საკომპენსაციო „დატვირთვა“ ენის განვითარების ერთ-ერთი ძირითად ტენდენციათაგანია. ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი აქაც მეცნიერულად სწორია, თუმცა მას საენათმეცნიერო დასაბუთება არ ახლავს: სწორი აღლო დიდი მოაზროვნისა სპეციალური ცოდნის გარეშეც მართალ დასკვნას იძლევა.

ხანმეტი იმამიას კემბრიჯული ნაწყვეტები

იერემია წინასწარმეტყველის ქართ. ვერსიის ოქსფორდულმა ნაწყვეტმა გარკვეული როლი ითამაშა უძველესი ქართ. ლიტერატურის აღმოჩენა-გამომუშავების საქმეში<sup>1</sup>. ეს ნაწყვეტი, რომელიც დაცულია ბოდლეის სახელობის წიგნთსაცავში და სულ ერთი ფურცლისაგან შედგება, შეიცავს შემდეგ ადგილს: XVII, 26 XVIII, 8. იგი გამოსცეს: პირველად პროფ. ი. ჯავახიშვილმა<sup>2</sup>, უკანასკნელად კი რ. ბლეიკმა<sup>3</sup>. ჩვენდა სასიხარულოდ კიდევ აღმოჩნდა იმავე წიგნის ორი ფურცელი ინგლისშივე, კემბრიჯის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში, სადაც ისინი სხვადასხვა ნომრითაა დაცული: T—S. 12.183 და T—S. 12.741.

ცნობა იმის შესახებ, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ქართ. ხელნაწერის ნაწყვეტები იყო დაცული, უკვე მოიპოვებოდა სერ უორდროპის მიერ შედგენილს ბრიტანიის მუზეუმის ქართ. ხელნაწერების კატალოგში<sup>4</sup>. იქ სახელდობრ სწერია, რომ ბრიტანიის მუზეუმში Or. 6581 ნომრით დაცულის ხელნაწერის ქართული ნაწერი ჰგავს კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის T—S. 12.183-ისასა და რომ ორივე, ალბათ, ბიბლიის ერთსა და იმავე ხელნაწერს ეკუთვნისო. ეს ნაწყვეტები კვიროს გენიზიდან არისო<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართ. ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (სტფილ. უნივ. ბოამბე, II, 1923, 312 და შემდ.) *R. P. Blake, The Caesarean text of the Gospel of Mark (The Harvard Theological Review, Vol. XXI, No. 4, October, 1928, p. 288).*

<sup>2</sup> სენ. თხზ., გვ. 373—374.

<sup>3</sup> *Khanmeti palimpsest fragments (Harv. Theol. Rev. XXV № 3, July 1932).*

<sup>4</sup> ეს კატალოგი დამატებდა აქვს დართული კონიბერის მიერ შედგენილს კატალოგს ბრიტანიის მუზეუმის სომხური ხელნაწერებისას: *A Catalogue of the Armenian Manuscripts in the British Museum by F. C. Conybeare, to which is appended a Catalogue of the Georgian Manuscripts in the British Museum by J. O. Wardrop. Lond. 1913.* ქართ. ხელნაწერთა აღწერილობას უჭირავს გვ. 397—410.

<sup>5</sup> *O. c., p. 406* (უორდროპი მეორე ნომრით დაცულ ნაწყვეტს არ ასახელებს).

ამ ცნობის მიხედვით პროფ. R. P. Blake-მა გამოიკვლია კიდევ აღნიშნული ნაწყვეტები და აღნიშნა, რომ კემბრიჯის ნაწყვეტები უეჭველია ეკუთვნის იმავე ხელნაწერს, რასაც ბოდლეიანას ფურცელი, რომელიც, თუმცა იერუსალიმშია ნაყიდი, მაგრამ კაიროდანაა მოსულიო<sup>1</sup>.

ჩემს კემბრიჯში ყოფნის დროს, 8. IX. 1928, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არდადეგების გამო დახურული იყო და, სამწუხაროდ, პირადად ნახვა აღნიშნული ნაწყვეტებისა ვერ შევეძლ. სამაგიეროდ მდლობით უნდა მოვიხსენიო კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი F. H. Minns-ი, რომელმაც ტფილისს ვადმომიგზავნა 22. II. 1929, მშვენივრად შესრულებული ფოტოგრაფიული სურათები და მაცნობა, რომ T-S=Taylor-Schechter. Schechter-ი იყო ოდესღაც ჩვენი ლექტორი რაბბინული ებრაული ენისა და ლიტერატურისა, Taylor-ი კი აქაური ჰებრაისტი. მათი მეცადინეობით ჩვენმა ბიბლიოთეკამ შეიძინა კაიროს სინაგოგის გენიზაში გამოჩხრეკილი ფრაგმენტების ნაწილი, მეორე ნაწილი კი ოქსფორდში მოხვედრილაო.

## II

კემბრიჯის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში T-S. 12.183 და T-S. 12.741 ნომრით დაცული ქართულ-ებრაული პალიმფესტის ნაწყვეტი სულ ორი ფურცელია, მაგრამ ორია ქართული ტექსტის მიხედვით, ებრაული ტექსტით კი ოთხი ფურცელია: ქართული ხელნაწერის ფურცლები, ებრაული წიგნისათვის საწერ მასალად გამოყენებისას, ორად გაუკეციათ ისე, რომ ქართ. ფურცლის განი ებრაულისათვის სიმაღლედ მიუციათ, ხოლო ქართულის სიმაღლე განად უქცევიათ ებრაულისათვის. ამის გამო ებრაული ნაწერი პირვანდელი ქართულის მიმართ გარდი-გარდმოა გამოყვანილი. როგორც ჩანს, ქართ. ნაწერი კი არ წაუშლიათ ან გადაუფხეციათ, არამედ თითქო ხელუხლებლად დაუტოვებიათ; ოღონდ ზემოდან მოუთავსებიათ ებრაული ტექსტი. ამიტომ ებრაული ნაწერის ქვეშ საზოგადოდ კარგა მკაფიოდ მოჩანს ქართ. ასოები, ხოლო T-S. 12.183 ფურცლის გაკეცის ხაზის ორსავე მხარეს, ებრ. ტექსტისათვის შინაგან აშვიდ დატოვებულ ადგილზე, საუცხოვოდ იკითხება recto-ზე სამი, verso-ზე კი ორი სტრიქონი, სრულიად თავისუფალი ებრაული ტექსტისაგან. ორივე ფურცელი ძალიან დაზიანებულია, მაგრამ დაზიანებულია სხვადასხვა გვარად: პირველ მათგანს (T-S. 12.183) უსწორ-მასწორად ჩამოფლეთილი აქვს ზემო და ქვემო ნაწილები და, ამას გარდა, გარეთა აშისაკენ მდებარე ნაწილი ისე, რომ ორ სვეტთაგან ერთზე (recto-სათვის მარჯვენაზე; verso-სათვის კი მარცხენაზე). რამოდენიმე სტრიქონი-ღა გადარჩენილა შუაში და იქაც თითო-ოროლა ასო იკითხება. მეორე (T-S. 12.741) ფურცელს კი შუა წელი სულ მთლად

<sup>1</sup> „The manuscript fragments in question are in the Taylor-Schechter collection in the Cambridge University Library, Nos. 12.183 and 12.741; and contain Jeremiah 12, 10—17 and 27, 26—28, 6. They unquestionably belong to the same manuscript as the Bodléian leaf, which, though bought in Jerusalem, came from Gaird“; p. 289 (როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეორე ფურცლის შინაარსია არა 27, 26—28, არამედ 20, 9—16).

გამოფლეთილი აქვს, რის გამოც გადარჩენილი ზემო და ქვემო ნაწილი ერთი-მეორისაგანაა დაშორებული. თუ ოქსფორდის ფურცლის მიხედვით ვიმსჯელებთ და კემბრიჯის ფურცლებზედაც თვითველ გვერდზე ოც-ოც სტრიქონს ვივარაუდებთ, მაშინ ისე გამოვა, რომ T-S. 12.183 ფურცელს სრულიად უნდა აკლდეს ზემოთ ორი ან სამი სტრიქონი, ქვემოთ კი, ამის შესაფერისად, ორი ან ერთი. ასე რომ აქ ავად თუ კარგად მოღწეულად უნდა ჩავთვალოთ შემდეგი სტრიქონები: 3—18 (ან 4—19). მეორე ფურცელზე კი (T-S. 12.741) შენახულია შემდეგი სტრიქონები: 1—7 და 17—20, ხოლო სრულიად დაღუპულია სტრიქონები: 8—16. როგორც ამ წერილის ბოლოს დართული ტექსტიდან ჩანს, კემბრიჯის ნაწყვეტების შინაარსია იერ. 12, 10—16. და 29, 9—16. მაგრამ აღნიშნულ მუხლთაგან თითქმის ყველა დაზიანებულია: ზოგი მეტად და ზოგი ნაყლებად.

გამოცემისათვის უნდა შევნიშნო შემდეგი: კაგებში ჩასმულია ის ასოები, რომლებიც ჩამოფლეთილ ნაწილებს გაჰყოლია, ფრჩხილებში კი ის ასოები, რომლებიც არ იკითხება, მაგრამ რომელთა ადგილიც ეტრატზე მოიპოება.

ხანმეტი იერემიას მოღწეულ ნაწილში ენის მხრივ პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ხანმეტი ფორმების გვერდით ჰაემეტებიც გვხვდება. ხანმეტებია: ხიყოს 12, 16; 20, 14 და 20, 15; შეხუძლოთ 20, 10; ნუ ხიყოთ(ინ) 20, 14 და ხ(ეს)მინ 20, 16, ხოლო ჰაემეტებია: დაჰიდვა 12, 11; განპირყუნა 12, 11 და პასწავეს 12, 16. ოქსფორდულ ნაწყვეტში, სამაგიეროდ, სულ ხანებია: მოხაქუნდეს 17, 26, ხისმინოთ 17, 27; აღხილოთ 17, 27; აღხუაგზენ 17, 27; შეხიმუსრა 18, 4; ხუნდა 18, 4; ხიყო 18, 5; ხიტყვს 18, 6; ხვტყოდი 18, 7; მოხაქციოს 18, 8 და ხვტყოდ 18, 8. ასე რომ სამსავე ფურცელში (ერთს ოქსფორდისაში და ორს კემბრიჯისაში) ოცი მაგალითიდან <sup>1</sup> ხანმეტია 17, ჰაემეტი კი 3. მასასტადმე, ხანმეტ ფორმათა რიცხვი თითქმის ექვსჯერ სჭარბობს ჰაემეტისას. ასეთი შეფარდების გამო სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ძეგლს ხანმეტი ეწოდოს. ხანმეტ ფორმებთან ერთად ჰაემეტების ხმარება ერთსა და იმავე ძეგლში ალბათ სხვა პალიმფსესტებშიც აღმოჩნდება, ჯერჯერობით კი ასეთი თავისებურებისათვის შეიძლება ხანმეტი ლექციონარი დავიპოვოთ <sup>2</sup>.

სხვა ფორმათაგან აღსანიშნავია: ძუაალთა 20, 9 (აქ ორი ა ალბათ კალმის შეცთობა არის); შეხუძლოთ 20, 10: ამ ფორმაში სუბიექტისათვის პირგ. პიოია მრ. რიცხვისა, სადაც მოსალოდნელი სუბ. ნიშანი 1. პირისა ვ, მესამე პირის ობიექტური ხანის გავლენით, უბრჯგუდაა ქცეული: „გულის ხმის მყოფელო“-ში 20, 12 კ. ხანად არის ქცეული წინამავალი ხანის გავლენით.

ხანმეტ ფორმებთან ერთად ჰაემეტების ხმარება იერემიას წიგნის უძველეს ქართ. ვერსიაში მეტისმეტად დამახასიათებელია იმ მხრივ, რომ ეს ძეგლი, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ყველა ხანმეტ ხელნაწერზე ძველი თუ არა, ერთი უძველესთაგანია მაინც. პროფ. რ. ბლეიკს ხანმეტი ძეგლების დართარღების გამო სპეციალ ლიტერატურაში წამოკრილი სადაო. საკითხების გადაწყვეტის მიზნით თან წაუღია სინას მთაზე გამგზავრებისას (1927 წლის

<sup>1</sup> მხედველობაში არაა მიღებული შემდეგი საუკუნეებისათვისაც ჩვეულებრივი „შეხუძლოთ“ 17, 27 და „ხართ“ 18, 6.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართ. ხელნაწერები ვრაცში (კრფილ. უნივ. მოამბე, IX, 324—325).

აპრილში) მშვენივრად შესრულებული ფოტოგრაფიული სურათები ოქსფორდული ნაწყვეტისა და მისი ნაწერი შეუდარებია სინას მთაზე და ულის უძველესი თარიღიანი ხელნაწერის (864 წლის მრავალთავის) ხელთან. ამ შედარებისას, როგილიც მას დიდი დაკვირვებით უწარმოებია, რ. ბლეიკი იმ დასკვნამდე მისულა, რომ ოქსფორდული ხელნაწერი პალიოგრაფიული თვალსაზრისით უძველესია ბევრად უძველესია სინას მთის ხელნაწერზე. მისი ფიქრით, იერეიას ხელნაწერი სანურ მრავალთავთან შედარებით ყოველ შემთხვევაში ერთი საოკონით ადრე უნდა იყოს გადაწერილი, უფრო კი 700 წლის ახლოვო. ამასთანავე იგი დასძინს: შეიძლება თუ არა ამაზე ადრე მისი გადაწერის დროის გადატანა, არ შეიძლება ვთქვა, რაოგანაც შესადარებელი მასალა გვაკლია<sup>1</sup>. მე კი მგონია, რომ თამამად შეიძლება კიდევ დახვევა ერთი საუკუნით და მისი გადაწერის დროის გადატანა მეექვსე საუკუნის და მოზვიდის მიჯნაზე. ამას უფლებას გვაძლავს იერემიას ნაწერის შთარება მცხეთა-ბონის წარწერებთან. ამ წარწერებს, ასოთა მოყვანილობის მხრივ იერემიას ხელნაწერი ყველაზე უფრო ენათესავება, ხოლო ენის ფორმების მხრივ იერემიას ნაწყვეტებმა შეძლება კიდევაც წააცილონ მცხეთის წარწერებისას, სადაც მერყეობაა: „მეობ ხეყავ“-ის გვერდით „მეობ იყავი“-იც გვხვდება<sup>2</sup>, ე. ი. ისეთი ფორმა, რომელიც ხანის ნაცვლად ჰავსაც კი არ გვაძლავს. ეს ძალიან დამაფიქრებელი ამბავია, როგილიც პრეფიქსული ჰავს პრეველობაზე უფრო მიგვითითებს, ვიდრე ხანისაზე: ჰ აღარაა მკვიდრა, — წარწერის ეპოქაში იგი ან სრულიად იკარგება, ან და ხანათ ქცევით იტარავს თავს დაკარგვისაგან. მეორე მხრით, თუ რომ ხანმეჭ ლექციონარში პრეფიქსული ჰ მხოლოდ ინისა და ენის წინ გვხვდებოდა<sup>3</sup>, ეს შემთხვევით მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგანაც უეჭველად მასზე ადრინდელ ძეგლში, როგორიცაა ჩვენი იერემია, ჰ ანის წინაც მოიპოვება: ჰასწავეს 12, 16.

### III

კემბრიჯის ქართულ-ებრაული პალიმფსესის ნაწყვეტების ებრაული ნაწილის შინაარსის გამოსარკვევად მივმართე ჩემს მასწავლებელს აკადემიკოს II. K. Коквиц-ს ლენინგრადში და თან სურათები გავუგზავნე. მან დიდი ვალი დამიღო და შემატყობინა (8. XII. 1929-ის წერალში) შემდეგი: „Достоточно было для меня взглянуть на фотографии, чтобы убедиться, что еврейский текст в палеографическом отношении примыкает теснейшим образом к изданному мною в свое время еврейскому тексту Оксфордского палимпсеста<sup>4</sup>. И по содержанию оба текста в самой тесной связи, так как и Кембриджские отрывки T—S. 12.741 и T—S. 12.183 содержат части того же трактата Bābbā-Qammā (именно: T—S. 12.741=части VIII главы, а

<sup>1</sup> ხსენ. თხზ., p. 372.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის კმარების კომენტების წინ ქართ. ზმნებში (ტფ. უნ. მოამბე, II, 268).

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართ. ხელნაწერები გრაცში, ტ. უ. მ. IX, 324.

<sup>4</sup> ЗВО, XI.

Т—S. 12.183—части IX главы) Иерусалимского Талмуда, другие части которого находятся в оксфордском палимсиесте. Я несколько не удивляюсь, если ближайшее расследование присланных Вами фотографий со стороны содержания установит, что оксфордские и кембриджские отрывки из трактата *Bābbā-Qamṭā* Иерусалимского Талмуда являются продолжением друг друга. К сожалению, я в настоящее время болен. Я не могу поэтому сам установить в точности содержание всех отрывков, т. е. каким именно частям печатанного текста Иерус. Талмуда они собственно отвечают. Я попрошу это сделать моего бывшего ученика, окончившего недавно Университет по гебраистике А. Я. Борисова и результаты его сличения, после собственной проверки, сообщу Вам незамедлительно. მართლაც, რომცხნმე დღის შემდეგ მივიღე მეორე წერილი (14. XII. 1929-ის თარიღით), სდაც დაწვრილეთ აქა გახხილული ნაწევრების შესახარსი: „Высказанные мною в последнем письме предположения относительно обоих кембрижских отрывков из Иерус. Талмуда вполне оправдались. Кембриджские и оксфордские отрывки действительно служат продолжением друг друга. Благодаря детальному расследованию кембрижских отрывков, произведенному по моей просьбе нашим молодым гебраистом, моим бывшим учеником А. Я. Борисовым, удалось установить, что кембриджские и оксфордские отрывки идут подряд: одни за другими и дают непрерывный текст трактата *Bābbā-Qamṭā* Иерусалимского Талмуда, f. 4d—6d, в следующем порядке:

V.-Q., f. 4d—5a=Cambr. T—S. 12.183, f. 1a—1b.

V. Q., f. 5a—5c	}	Oxf. MS. Georg. c. 1, f. 1a (в моем изд., табл. I, левая страница);
		Oxf. MS. Georg. c. 1, f. 1b (в моем изд., табл. II, правая страница).

V.-Q., f. 5c—5d=Cambr. T—S. 12.741, f. 1a—1b;

V.-Q., f. 5d—6b=Cambr. T—S. 12.741, f. 2a—2b;

V.-Q., f. 6b—6c	}	Oxf. MS. Georg. c. 1, f. 2a (в моем изд., табл. II, левая страница);
		Oxf. MS. Georg. c. 1, f. 2b (в моем изд., табл. I, прав. стран.);

V.-Q., f. 6c—6d=Cambr. T—S. 12.183, f. 2a—2b.

Таким образом, оксфордские листки в сложенном виде обхватывали с обеих сторон кембриджские листки T—S. 12.741, а кембриджские листки T—S. 12.183, в свою очередь, в сложенном виде, обхватывали с обеих сторон оба оксфордских листка. И те и другие несомненно составляют части одной и той же первоначально грузинской рукописи большо-

го формата (in fol.). Интересно было бы теперь разыскать парижские и франкфуртские листки того же грузинско-еврейского палимпсеста. Я думаю, что некоторые листы могли попасть в Bibliothèque Nationale в Париже и хорошо было бы навести там у кого-либо справки. Я с своей стороны попытаюсь навести справки у еврейских ученых касательно нахождения частей этого грузинско-еврейского палимпсеста (или других грузинско-еврейских рукописей из Каирской генизы) во Франкфурте и Берлине“.

## IV

ბრიტანიის მუზეუმში Or. 6581 ნომრით დაცულ სამ პაწაწა ნაგლეჯს შორის ქართულსათვის საყურადღებოა ერთი (ამასთან დართულ სურათზე შუახე მოთავსებული), რომელიც დაფარულია ქართულ-ებრაული ტექსტით. იგიც თითქო ნაწილი უნდა იყოს ხანმეტი იერემიისა, მაგრამ იმის გამორკვევა ძალიან ძნელია, თუ რომელი ადგილია, რადგანაც ორიოდ სიტყვა-და იკითხება. მუზეუმთან გამოწერილ სურათზე გვიჩინად ჩანს:

ცალ მხარეს:

ყოდი მ

ხ(უ)უზმ

მეორე მხარეს:

ხემი დ [ხ]

კულის

ეს არის და ეს<sup>1</sup>.

ამ ნაწყვეტების ებრაული ტექსტის შესახებ აკად. II. К. Кочков-იწერდა: «Что касается фрагментов Британского Музея, то они, повидимому, содержат другой еврейский текст. В частности, отмеченные мною листами 1a и 1b (ეს არის ყველაზე დიდი ნაგლეჯი, რომლის პირვანდელი ტექსტი ქართული კი არ არის, არამედ, უორდროპის აღწერილობის თანახმად, პალესტინური სირიული), содержит часть гомилетического толкования на книгу Бытия, известного под названием Midrasch Bereschith-Rabbā, а именно, f. 1a содержит гл. LVI § 4-5, a f. 1b — гл. LVI § 7-9 названного мидраша. Установить принадлежность двух других фрагментов, в виду слишком незначительного размера их, для меня представляется затруднительным. По почерку все три фрагмента Брит. Музея, на мой взгляд, также отличаются от кембриджских и оксфордских листков.

<sup>1</sup> უორდროპის ასე წაუკითხავს:

ცალ მხარეს { დ. მ.  
აქ]მ

მეორე მხარეს { ეი. დ(ა)  
(?) ყოვლის  
9

## V

ეგვიპტეში ნაპოვნისა და ამჟამად ოქსფორდსა და კემბრიჯში დაცულის იერემია წინასწარმეტყველის ქართული თარგმანის ნაწყვეტების მიხედვით შეიძლება შემდეგი დავასკვნათ: ქართული ხელნაწერი, რომელსაც ერთ დროს ოქსფორდ-კემბრიჯის ფურცლები ჰკუთვნებია, თავის დროზე მთლიანი ტექსტი უნდა ყოფილიყო წინასწარმეტყველებისა, ვინაიდან გვაქვს: 12, 10—16 (კემბრ.). 17, 26 — 18, 8 (ოქსფ.) და 20, 9—16 (კემბრ.). ასე რომ შეშვიდე საუკუნის დასაწყისში იერემიას წიგნი ქართულად ნათარგმნი ყოფილა უკვე. ძნელია იმის თქმა, არსებობდა იგი როგორც ცალკე წიგნი, თუ შედიოდა, სხვა წინასწარმეტყველებთან ერთად, ძველი აღთქმის კრებულში. პირდაპირ საკვირველია მისი ბედი: ქართული წიგნი, დაწერილი დაახლოვებით მეექვსე საუკუნისა და მეშვიდის სახლვარზე და ხმარებული, როგორც ჩანს, აღმოსავლეთში, ალბათ იერუსალიმში, მეთერთმეტე საუკუნეში დაუხვევიათ და საწერ მასალად გამოუყენებიათ ებრაელებს-თალმუდისათვის. მისი მერმინდელი ისტორიიდან ის-ლა ვიცით, რომ მე-19 საუკუნის მიწურულში იგი აღმოუჩენიათ კაიროს სინაგოგის გენიზაში<sup>1</sup>. ერთ ფურცელს, იერუსალიმზე გამოვლით, ოქსფორდამდე მიუღწევია, ხოლო ორი ფურცელი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის შეუძენიათ. აღმოჩნდება თუ არა დანარჩენი ნაწილები პარიზში, ფრანკფურტში თუ სხვაგან, როგორც ამაზე მითითებულია აკად. პ. კოკოვცოვის წერილში, არ ვიცით, თუმცა კი ძალიან შესაძლებელია, როგორც ამას გვაფიქრებინებს ის ვარეშობა, რომ ერთი პატარა ნაგლეჯი ქართ.-ებრაული პალიმესტისა ლონდონშიც მისულა, ბრიტანიის მუზეუმში<sup>2</sup>. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ პროფ. E. H. Minns-ს ჩემთან მოწერილს ერთს წერილში მოჰგონებოდა ტერენციან მავრის ცნობილი სიტყვები: *Habent sua fata libelli!*

<sup>1</sup> გენიზა, აკად. პ. კოკოვცოვით, ებრაული ტერმინია და ნიშნავს სინაგოგის საწყობს ძველი ხელნაწერებისას, უმთავრესად ბიბლიისას. აქ მოხსენებული გენიზა ყოფილა ახლანდელ ძველ კაიროში (ძველ ფუსტათში) ძველებურ სინაგოგასთან, რომელიც ეხლა გადაკეთებულია და რომელსაც ძველად, უკვე XI—XII საუკუნეთა დოკუმენტებში, ჰრქმევია პალესტინელთ სინაგოგა. ამ სინაგოგით განსაკუთრებულად მოქონდათ თავი უკანასკნელ ხანებამდე კაიროელ ებრაელებს (И. Коковцов, Новый еврейский документ о казарах и казаро-русско-византийских отношениях в X веке: Ж. М. Н. II, 1913, ноябрь, стр. 150).

<sup>2</sup> კაიროს გენიზის ხელნაწერთა მთავარი ნაწილი მოხვედრილა კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ოქსფორდის ბოდლეიანაში, სადაც პირველ ნაწყვეტებს აღნიშნული გენიზისას უკვე 1890 წელს დაუწყია მიღენა. 1906 წ. ბოდლეიანას ჰქონია უკვე 2675 ნაწყვეტი ხელნაწერებისა კაიროს განთქმული გენიზიდან. დანარჩენი ნაწილი გენიზის ხელნაწერებისა, წასულ-წამოსულა ლონდონში, პარიზში, ფრანკფურტში და ევროპისა და ამერიკის სხვა ცენტრებში (И. Коковцов, op. cit., p. 151).

## იერ. XII, 10—16

		1		
		2		
ქ		3	Univ. Lib.	
		4	Cambridge	
			T—S. 12.183	
		5		
11	ლად დაჰიდვა	6		
	უხინოდ ႁ [ა] რ	7		
	საწუმ [ედ] ელად	8	[ დახ]	13
	ხე [მ] თუხ განჰირ	9	თეს [ეთ] იუქლი	
	ეუნა განრ	10	დ [ა] ეკალი მოიმ	
	ეუნით ე . ქუე	11	ამთ [ნაწილნი]	
	ენად: რ არს	12	მთ [ნ] ი [არს]	
	ვინ არს ეაცი რს	13	სა [რგებელ ხე]	
	მცა დაიდვა	14	ე [ვსენ მათ]	
	გულისა თუსსა	15	გრცხ [უენოდენ]	
12	ელ [ნ] ა [..] ი ბლსა	16		
	ვალს [ა] უდაბ	17		
	ნო [სა] სა [მოუი]	18		
	დე [ს საარ?]	19		
		20		

14

[აბა ეს]ერს ძე  
 [აღვისუნ]ე  
 [იგინი ძუ]ეფა  
 [ნისაგან მ]ათ[ისა]  
 [და სახლი ი]უ  
 [დადს]ი [კამ]ო  
 [ვიუქ]ანო

16

- 1
- 2
- 3 [დავს]კუ<sup>ღ</sup>
- 4 |ო თუთოე|
- 5 ული სამკუდ
- 6 რებელსა თუნი
- 7 სა და კა[ვად]
- 8 კა[ვად] [ი] ძუეფა
- 9 ნასა თუხსა
- 10 ღა ხიეოს უ
- 11 ვუეთუ სწავ
- 12 ღით ისწაონ
- 13 კსად ერისა
- 14 ხეძინად: და
- 15 ფუწვიდენ სა
- 16 ხელსა [ნ]ემ[ს]ა
- 17 ცხოვ[ელ] ანს
- 18 [ო]ი ვ[ა] [იგი] მას
- 19 [წ]ავეს [ერს]ა
- 20

16

იერ. XX, 9-16

9	ჳა (გეცხლი აღვსე ბული შემწუე ლი მუხალთა ხემთა და და [    ] ნ [    ]	1	ძას და მოვიღ [ოთ]	
		2	შურის გებ. [ა] ე	
		3	წი მისგჳ[ნ]	
		4	და ოი ხემთ [ანა]	11
		5	ჳა მბრმო [ღ] ი,	
		6	მ [ღიერ] ამის	
		7	[ თჳს    ] ვდეს(ღ)	
		8		
		9		
		10		

Univ. Lib.

Cambridge

T-S. 12.741

10	[    ] ი მდ(ღ)	14		
		15		
		16		
	[    ] ვასა მის	17	<b>მ</b> ო ძალთა [ო]	12
	სა (ათეს წ თუ	18	გამომ [ც] დე [ლო]	
	და შეხუძლოთ	19	სიძარტლის [აო]	
		20	გულის ხმის მყო	

[უ] ელო გულინა 1 მშუა შე დედა

[დ] ა თ [ი] რკუქელ 2 მან ჩემძან

[თაო] შესილამ 3 ნუ სიუოუ (ინ)

[ცა] შურის გე 4 სალოცველ წუ [ე]

15

ბა [დ] მათი შენ 5 [ულ] სიუაუნ

გან რ შე [ნ] და 6

შიპარ [თ ] 7

8

9

10

11

12

13

14

14

15

16


16

[წე] ულ სიუაუნ 17 ა [რ] ა შე [ინ] ა [ნა]


[დღ] იგი რ ლსა 18 ხ [ე] სძინ და [ლა] დე]

[სუ] ევ დღესა 19 ბაე განთიად


მას რ ლსა 20 და ვალაღება [დ]




Univ. Lib. Cambridge 12.183



Univ. Lib.   
Cambridge  
T-S. 12.741





ბრიტ. მუზეუმი, Ot. 6581

პ. ს. ნარკვევი დაწერილია 1929 წელს. იგი აწყობილიც იყო კრებულისათვის, რომელიც ტფილისის სახ. უნივერსიტეტს უნდა გამოეცა 1930 წ. კრებული არ გამოსულა. გავიდა ხანი.

ამასობაში დაიბეჭდა პროფ. რ. ბლეიკის ორი ნაშრომი: 1) Catalogue of the Georgian Manuscripts in the Cambridge University Library და 2) Khanmeti Palimpsest Fragments of the Old Georgian Version of Jeremiah (Harvard Theol. Review, Vol. XXV, July, 1932, No. 3). გამოცემას ღართელი აქვს მშვენიერად შესრულებული სურათები კემბრიჯული ნაწყვეტების ოთხივე გვერდისა. როგორც ბლეიკის ნაშრომიდან ჩანს (გვ. 225, შენიშვნა), პალიმფესტის ებრაული ტექსტი კემბრიჯის ნაწყვეტებისა გამოცემული ჰქონია L. Ginzberg-ს: Yerushalimi Fragments from the Genizah (ებრაულად), New York 1909, pp. 242—244.

პროფ. ბლეიკი ტექსტს აქა-იქ სხვაგვარად კითხულობს, ვიდრე მე. აღვნიშნოთ ზოგიერთი განსხვავებანი (B=Blake):

XII, 11 დაჰიდვა| და ჰიდვა B; განჰირყუნა| განგირყუნა B; გულსა თვსსა| გულსა თვსა B; 15 (თვთოე)ული... ოგნი B; 16 ჰასწავეს| -ასწავეს B; XX, 17 ვა მბრძოლი| ვა მ.მო,ი B და სხვ. ამიტომ საჭიროდ დავინახე, რომ ხელახლა გამოეცა უადრესად მნიშვნელოვანი ძეგლი. ოღონდ სურათები ოთხის ნაცვლად მხოლოდ ორი გვერდისა მოვიყვანე, სამაგიეროდ დავურთე ბრიტანიის მუზეუმის ნათელეთის სურათი.

14. X 1937

## Corrigenda

33,2 удмелюсь  
— 8: печатаймдо

უდმელუს  
печатного

მთიულურის თავისებურებანი

მთიულეთი მდებარეობს არაგვის ხეობაში; მღეთის — თემში არაგვის ხეობის გარდა — მთიულთა სოფლები კადას-ს ხევშიცაა, ფასანაურის თემში — კანდო-ს ხევშიც. ჩვენი მასალების მეტი წილი ჩაწერილია სოფ. მღეთეში, სოფ. ქვეშეთში, სოფ. ყველაანთ-კარში (სამივე არაგვის ხეობაშია, სამხედრო გზასთან). მცირეოდენი მასალა კანდოს ხევშიც გვაქვს მოპოებული. კადას ხევში მუშაობის შესაძლებლობა ჩვენ არ მოგვეცა, რაც გვზღუდავს მთიულურის შესახებ მსჯელობისას: აქ წარმოდგენილია მთიულურის ზოგადი დახასიათება და მას წინასწარი ცნობის ხასიათი აქვს.

**ფონეტიკური მოვლენები.** მთიულურის ბგერითი შედგენილობისათვის და-მახასიათებელია კ, ჯ და ჰ/ხ. ქონა.

კ ბგერა მთის ყველა კილოს (მოხეურს, ხევსურულს, ფშაურს, თუშურს) აქვს დაცული; ბარში, აღმოსავლეთ საქართველოში, ეს ბგერა გვხვდება ქიზიყურში, ინგილოურში; შერჩენიათ ეს ბგერა მეჩვიდმეტე საუკუნეში კახეთიდან აყრილ და.ფერიედანში გადასახლებულ ქართველებს<sup>1</sup> (ეს მოწმობს, რომ იმ ხანებში კახურშიაც იხმარებოდა ეს ბგერა).

მთიულურში კ ბგერა გვხვდება იმავე სიტყვებში, სადაც მას ძვ. ქართულიც ხმარობს: მუკლი, მკარი და მკარე, ფეკი, კევი, კმელი, კმა, კმალი, კელი და აქედან ნაწარმოები სიტყვები; კელმწიფე, საკელმწიფო, მოკელი...

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივად მთიულის გამოთქმაში ეს ბგერა მკვეთრად გამოირჩევა ხ ბგერისაგან, მაგრამ ზოგის ლაპარაკში ასეთი განსხვავება არ იგრძნობა და საგანგებო გულის ყური უშდა მიადევნოს კაცმა. რომ ეს ბგერა ჩვეულებრივი ხ ბგერისაგან გაარჩიოს. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ბარის მეტყველება — ქართლისა — ახდენს გავლენას. ბართან ურთიერთობა დღითი-დღე უფრო ცხოველი ხდება და გავლენაც, ალბათ, თანდათან უფრო გაძლიერდება.

ბგერა ჯ დასუსტებული ი-ა, და მას მთიულური იყენებს სახელობითის ნიშნად ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებთან: სიჟმარაჟ, ბილიკაჟ, ფეკლოლობაჟ (სხვა მიაგალითები იხ. მორფოლ., სახელთა ბრუნება)...

1 ნ. ავტორის „ფერიედნულის მთავარი თავისებურებანი“: ტფილ. უნივერს. მოამბე, ტ. VII, გვ. 199.

გარდამავალი ბგერა ჰ/ჟ ტოვებს რთული ბგერის შთაბეჭდილებას; გამოყენებულია ზმნაში პრეფიქსად (ამ პრეფიქსის შესახებ ნ. მორფოლ., ზმნის უღვლილ.); ამ ბგერის ხმარების ნიმუშები გვაქვს სიტყვებში: მოჰ/ჟკლავს, მოჰ/ჟყავს, დაჰ/ჟძახით; მოჰ/სჭრა, გაჰ/სჭრეს, მოჰ/სდევს... ასეთი შემთხვევები ხშირი არაა.

სანამ ფონეტიკურ პროცესთა განხილვაზე გადავიდოდეთ, მახვილის საკითხი უნდა გაეითვალისწინოთ. მახვილი მთიულურს ორგვარი აქვს: დინამიკური და ტონური. პირველის ბუნება-თვისებაცა და ადგილიც თითქმის ისეთივეა, როგორც ბარის სხვა კილოებში; მეორე—ჩვეულებრივად ბოლოდან მეორე მარცვალს ხვდება და სათანადო ხმოვნის გრძლად გამოთქმას იწვევს. დინამიკური მახვილი ამჟამად გაბატონებულია, ტონურა—მიღებულია და მხოლოდ გარკვეულ პირობებში გარკვეულ პირებთან (მოხუცების მეტყველებაში...) იჩენს თავს<sup>1</sup>.

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია:

დასაწყისში და თანხმოვნის შემდეგ ვა — ო. ამის მაგალითებია: ხოი — ხოვი — ხვაი... საფქოვი — საფქვაი... კოლი — კუალი... ჯორი — ჯვარი... თოლი — თუალი... ცხორი — ცხვარი... ყინო — ყინვა... სეტყო — სეტყვა... მარცოლი — მარცვალი... ყოილი — ყოვილი — ყვაილი... ზოი — ზოვი — ზვაი... ქობი — ქვაბი... სამზლორი — სამზლვარი... საყორელი — საყვარელი... სხო — სხვა... წინადადებებში: ქერი — მაგარი საჭმელი: ხოი აქ... საფქოვი ქათმებმა არ დამიღუპონ... უნდა დაყარო ფული შეძლების კოლზე და... დაიწერნ ჯორსა, გამოვლენ გარეთა... ჯორის საწერი... ის ჯარი სულ დამბრმალა, თოლი ვერ გაუხელია... ამ ჯარს თოლები აუხილე... შენ აქ შემოუშვო ცხორიო... მე ცხორი არა მყავ... შთორიან ღამეში ათითუთხმეტი (მგელი) ერთად დადიოდა... არც სეტყო აშინებს (ქერს), არც ყინო... ამ ქორის სიტყოს დასაჯვრისნი ვართო... ქმარი ბოლოს იმბ სიტყოზე წასულიყო... დარჩა ორი მარცოლი კიდავ... ყოილები წითლად-ყვითლად წყალმა წაიღო... ერთი ნაღობი მოკლეს და ჩაყარეს ქობში... სწორად ჩამოდის იმის სამზლორი... ბეჟან არის ერეენელი საყორელი გივის შვილი... სხომ მაჩუქვა... სხო სრო მივცე...

მთლიან სიტყვებში ვა უცვლელად რჩება: ხვალ, რვა, ქვა, ულვაში, გირვანქა, მარხვა... ..დღეს დაგლიო, ხვალ რაღა ვქნაო, ხვალ დაგლიო, — ხვალე — ზედაო... ერთი მარლის ქვა გამოუგზავნია... დეხვივინენ ქვასა., რვა ჩანები ოცდარვაგირვანქიანი იყო...

ვა-კომპლექსის ო-დ ქცევისათვის წინაპირობას ვ-ბგერის ფონეტიკური თვისება უნდა წარმოადგენდეს: ვ-ასოთი აღნაშნული ბგერა ქართულში თანხმოვნების შემდეგ ჩვეულებრივ არსებითად წყევლაგისმიერია და მხოლოდ ხმოვანთა შორის იხრება ის კბილბაგისმიერობისაკენ (შდრ. „კვალი“—„ივანე“...).

ძველს ქართულში უ იწერებოდა ბევრგან იქ, სადაც ახალი ქართული ვ-ს იყენებს: კუერთხი, შუენიერი, გუამი, კუალი, სხუა...  
 \_\_\_\_\_

<sup>1</sup> დაწვრილებით ამის შესახებ ნ. ავტორისავე: „გრძელი ხმოვნები მთიულურში“, ტფილ. სახელმწ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 1V, გვ. 333—348. იქვე—სათანადო მაგალითები.

ანტონ კათალიკოზის სალიტერატურო სკოლა ცდილობდა გაერჩია ვ და უ—უმარცვლო უ, მაგრამ ამოდ: გასული საუკუნის მესამო.ე წლებში ზედმეტ ასოთა რიცხვში უ-ც მოყვა. საინტერესოა, როგორ ასაბუთებდა ახალი სალიტერატურო ქართულისათვის მებრძოლი ილია ჭავჭავაძე უ (უ ბ-ჯგუს) ზედმეტობას: „უ-ზედ ბევრჯელ მქონია ლაპ რაკი სხვადასხვა პირთან. ზოგს უთქვამს, უნდა გადაიგდოსო, ზოგს:—უნდა დარჩესო, თუ<sup>1</sup>ცა არც ერთ მათგანს ცხ.დათ არ დაუმტკიცებია თ ვისი აზრი, მაგრამ მე იმათ ლაპარაკიდგან ეს საუგებლობა გამოვიტანე, რომ ეგ ასო, მართლა თუ უფარვისია, გადაიგდოს, როგორც უსაჭირო, რადგანაც, ჩვენი ანბანი უფრო გამარტივდებოდა და მარტულწერა გაადვილდებოდა. ჩემის ფიქრით მაგის თანასწორ ხმოვანი ასო (sic! ა. ჩ.) გვაქვს ჩვენ: „ვ“. თუმცა ამბობენ, რომ სადაც „ე“ იხმარება იქ უ—არაო, იმიტომ, რომ უ-თი<sup>1</sup> ნახევარ ვ-ი გამოირქმისო, ესე ი ი, უ-ს და ვ-ს რაღაც შუა ხმათაო; მაგრამ მე ვფიქრობ, რომ, როგორც უ, ისე ვ გამოთქმაში ერთი ერთმანეთსა ჰგვანან დ არაფრით განსხვავდებიან იმიტომ, რომ, სადაც უ-თია ხმარებული, იქ უ ვ-ათ ისმის და, სადაც ვ-ნია ხმარებული, იქ ვ-ნი უ-თად ისმის. მაგალითად, „ვითარი“, სადაც უ-ს არა ემარობენ. სწორედ რომ გამოსთქვას კ.ცმა და არა დაძალებით, „ვ“ უ-სავით გამოვა; თუ ვინმე მაგრათ და ნტკიცედ გამოსთქვამს, ის ორს ვ-სა ხმარობს და არა ერთსა; აქედამა ჩე-ნის ფიქრითა ჰსჩანს, რომ ამ თანასწორ ხმოვან ასოთა შორის ან ერთია მეტი ან მეორეა; მე უფრო „უ“ მგონია მეტი, რადგანაც, როგორც უ-ის ხმარებაშია, ისე ვ-ს ხმარებაში უფრო ვ-ნი ისმის, ვიდრე რაიმე ხმა. მერე უ იქ იხმარება, სადაც ვ-ს უხმო ასო შეხვდება ხოლმე და ეგ ორი უხმო ასო ერთათაა გამოსათქმელი“...<sup>2</sup>

ზოგს შინაგან წინააღმდეგობას რომ თავი დავანებოთ, სწორია ძირითადი აზრი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ამ ბგერათა შესახებ გამოთქვამს; ვ და უ-ს გამოიჯვნა შეუძლებელია (თუმცა სხვადასხვა კომპლექსებში ვ ბგერა ერთი და იმ.ვე ფონეტიკური ღირებულებისა არ არის!).

ძვ ქართულში ვ—ბგერა გარკვეულ შემთხვევებში იხმარებოდა; საფიქრებელია, რომ სათანადო ბგერა ფონეტიკურად ყველა ამ შემთხვევაში ერთნაირი არ იყო: ორიოვრაფიული ტრადიცია, ალბათ, აქ გარკვეულ როლს თამაშობდა. და მინც: უმარცვლო უ და ვ-ის ხმარების შემთხვევები ზუსტად განსაზღვრული იყო<sup>3</sup>.

საგულისხმოა, რომ ვა — ო მთიულურში მეტწილად იქა გვაქვს, სადაც ძვ. ქართულში —უა-ს ვხვდებით (უმარცვლო უ+ა): თუალი, ჯუარი, კუალი, ქუაბი, სხუა... ქვა, რვა, ხვალ... ძვ. ქართულში ვ-ნით იწერება და მთიულურშიც უცვლელად გვაქვს...

ამგვარად: ყოველგვარი ვა კვ არ უნდა გვაძლევდეს მთიულურში ო-ს, არამედ წყვილბაგისმიერობისაქენ უ ფრო გადახრილი ვ+ა...

<sup>1</sup> ე. ი. უ ბრჯგუთი.—ა. ჩ.

<sup>2</sup> ნ. „კრიტიკული წერილები“, ტფილ. 1909, გამოც. წ. კ. გამავრც. სახ., გვ. 48-49.

<sup>3</sup> ზოგი სიტყვის (მაგალ. წარიყვანეს || წარიყუნანეს, იყენეს || იყუნეს) დაწერილობაში ერთგვარი რყევა შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ.

რით აიხსნება პარალელური ფორმების არსებობა: ჯორი || ჯვარი, გორი || გვარი, თოლი და თვალები, სიტყო || სიტყვა... (გვარი, ჯვარი... იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება). ამგვარი ფორმები გარეშე გავლენას უნდა მიეწეროს: მათი ხმარება შემჩნეულია ისეთი პირების მეტყველებაში, რომელნიც წიგნისა და სკოლის გავლენას განიცდიან ანდა ბარში (ქართლში) არიან ნამყოფი.

ვა კომპლექსი ზმნებშიაც წარმოდგენილია ო-თი, თუმცა აქ მეტ სიჭრელესთან გვაქვს საქმე:

გოქ (=გვაქვს), დაგოვიწყა, გოდღევენ, გოკდევინებენ, გოსწავლის, ვაცომთ, თქო, უთქომ, დაფქოვს, დაუდო, ვსო, ჩაუცომ, გადაუშო, ამოუშო, გადუსო, ჩაუსომ...

მეორე მხრით: გაუძღვა, დაარქვა, წაართვა, ჩაუსვა... (მოიყვანა; დაწვა, ვაწვალბთ... და მსგავსი მაგალითები მხედველობაში არ მიიღება: აქ ძვ. ქართულში -ვა გვქონდა და არა -უა, როგორც ზემოხსენებულ შემთხვევებში.

ვა — ო: არსადა გოქ... სუყველაყა დაგოვიწყა... არ გოდღევენ, ქირას გოკდევინებენ... გოსწავლის ჩვენ... დამ თქო... მოსულა შინა და უთქომ... იმას ვიცომთ... ჩქარ დაფქოვს... დაუდო ურემზე... ამოუშო გმირები გივმა... არ გადაუშოო...

ვა რჩება: ამიტომ სამ ტევან ჰაბუკი დაარქვა... სიზმარასაც ეს ედვა გულში... წაართვა კოკა... ჩაუსვა ერთი თოლი...

ცალკე განხილვის ღირსია ორი მაგალითი: გადმოიყონა<sup>1</sup> (=გადმოიყვანა), შთორ (=მთავარ...). ორსავე მაგალითში ეს ო ტონური მახვილის მატარებელია და ამ უკანასკნელს უნდა ედვას წილი მიღებულ ცვლილებაში: ხმოვანთა შორის მოქცეული ვ (მთავარ) ამ მახვილის ზეგავლენით დაიჩრდილა და ხმოვნებთან ერთად ო მოგვცა; ხმოვნის შემდეგ ვა ო-ს ვერ მოგვცემდა, თუ არ მახვილის გავლენა!

ეს მაგალითი საკითხს სვამს: ვა — ო პროცესში ვ ბგერის თვისების გარდა ხომ არ თამაშობს ტონური მახვილიც გარკვეულ როლს?

ამ საკითხს საგანგებო შესწავლა სჭირდება სხვა კილოების მასალებს მიხედვითაც. აქ კი შეიძლება დავასკვნათ: მთიოლურისათვის დამახასიათებელია ვა — ო; ვ ამ შემთხვევაში არსებითად წყვილბაგისმიერი ბგერაა, უმეტეს შემთხვევაში სათანადო მაგალითები ძვ. ქართულში უმარცვლო უ-თი იწერება. ვა — ო, თუ სიტყვის დასაწყისშია. (თავკიდური ვა- კომპლექსი) ანდა სიტყვის შიგნი თანხმოვნის შემდეგ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შვად აწყობილი ხმოვანი ტონურ მახვილს ატარებს. და გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

<sup>2</sup> ვ ბგერასთან სხვადასხვა კომპლექსებში გარკვეული ცვლილებებია დაკავშირებული ნაწილობრივ ქართულში, უფრო კახურში, ქიზიურში, ინგილოურში და განსაკუთრებით ფერეიდნულში. ნ. ვ. თოფურია: „ქართული“ (კრებ. არილი, ტფილ. 1925, გვ. 138), მ. ჯანაშვილი: „საინგილო“ (ძვ. საქართველო, ტ. II, ტფილ., 1910-12, ნაწ. IV, გვ. 63-65); ჩვენი: „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“ (არილი, გვ. 63-65), „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“ (ტფილ. უნივერ. მოამბე, ტ. VII, გვ. 208-10). აგრეთვე სპეციალური წერილი: „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში“ — უტრ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 5.

ოვი—ოი: მოიდა (=მოვიდა), ჩვენ მოიტანეთ (=მოვიტანეთ), მე ამოიდე (=ამოვიდე), მე შემოიარე (=შემოვიარე), მე წამოილე (=წამოვილე)...  
ხოი — ხოვი — ხვაი... ზოი — ზოვი — ზვაი... ყოილი — ყოვილი — ყვაილი...

ეს პროცესი დადასტურებულია გარე და შიგნი-კახურში, ქიზიყურში, ინგილოურსა და ფერეიდულში (იხ. ნაჩვენები ლიტერატურა).

ქართლურს მეტყველებაში ამ პროცესს ადგილი არა აქვს. ბარის (ქართლის) ზეგავლენას უნდა მიეწეროს რამდენიმე შემთხვევა -ოვი კომპლექსის ხმარებისა: ამოვირჩიეთ, ამოვიყვანეთ, გამოვიჭრით, მოვიხილეთ, მოვიდენ. პირველი ოთხი მაგალითი თითო ჯერ გვხვდება, უკანასკნელი (მოვიდენ)—არა ერთგზის.

ოვა—ოა... სპორადულად გვაქვს; საძრარი, მოარდნილ, წამოალ... ჩვეულებრივად ოვა კომპლექსი შენახულია უცვლელად: მოვა, გამოვართმევ, მოვაშორებ, ვასათხოვარი, მოვატანიეთ...

ამ კომპლექსში ვ-ს დაკარგვის შემთხვევები საგულისხმოა მომავალი განვითარების თვალსაზრისით: ცნობილია, რომ ამ პროცესის შემდგომი განვითარების შედეგია—უა (ოვა → ოა → უა), რასაც გურულში ფართო ვასაქანი აქვს: მუა, გამუართმევ, მუაშორებ, ვასათხუარი... და სხვ.

ოა — უა ჩვეულებრივია მთიულურშიც სიტყვის ბოლოს: ლაღუა (—ლაღოა), ვანუა (—ვანოა), გიგუა (—გიგოა), მარტუამ (—მარტოამ): აქ ყველგან ბოლოკიდურ ო-ს კნინობითობის -ა ერთვის.

ვ-ს წყვილბაგისნიერობის თვალსაზრისით დამახასიათებელია მისი შენაცვლება -მ-სთან: დაჰკრამ, უტანჯამთ, დაგკოცამთ, ვთესამთ (ერთხელ: ვთესავთ!), მითომ, მსკულევიანი (=ვარსკლავიანი), მიწრო (=ვიწრო)...

ეს უკანასკნელი სიტყვა ძვ. ქართულში მოცემულია „იწროს“-ს სახით (მეგრულში იწორედ ამ სახითაა ეს სიტყვა დაცული, ოღონდ წ-ს წინ -ნ- არის განვითარებული: ინწრო); შემდეგ განვითარდა თავკიდური ვ: ვ-იწრო; მთიულურში ვ-ს შეენაცვლა მ: მივილეთ მიწრო... იწრო—ვიწრო—მიწრო...

შენაცვლების სხვა შემთხვევებიდან აღსანიშნავია:

მ—ნ: ბლონათ (ბლომათ), ყანირი (ყამირი), მარიანობისთვე (მარიამობისთვე), ნიგუზალი (მუგუზალი)...

ნ—მ: საშთელი (სანთელი-ს ნაცვლად)...

ჟ—ჯ: დავპატიჯოთ (დავპატიყოთ-ის ნაცვლად... გვხვდება: დავპატიჟებენ)... ჯანგმა (ყანგმა-ს ნაცვლად)...

გადასმის ნიმუშს წარმოადგენს:

ლ—რ-ს ადგილის ცვლა: სურიელი (სულიერი), ძრიელ, ძრიალი (ძლიერ, ძლიერი), ხორველა (ხოლერა—გადასმის შემდეგ რ-სთან ვ ჩაემატა).

ბ—მ: ემბებიან (ემბებიან-ის ნაცვლად)...

მუღერი -დ-ს ადგილს იჭერს ტ სიტყვაში: ჩემოტენა, ამტენი, რამტენი... ბარის კილოებშიაც ამ სიტყვაში -დ- შეცვლილია; რამთენი, ამთენი, იმთენი... ჩვეულებრივია კახურში.

კარგი-ს ნაცვლად კარქი მთიულურისათვის ძირითადია ისევე, როგორც ბარის კილოებისათვისაც. ხშირია „დაკარქულა“-ც; ვ-ს ადგილას მშვინავი ქ გვაქვს.

ცხვირისმიერი მ და ნ არის განვითარებული სიტყვებში: ულამპავეს, კმი-  
ანდი...

ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად არის მიღებული: შაჟენი (-საჟე-  
ნი), შაჩუქარი (-საჩუქარი), შაჰმელი (-საჰმელი) ფშველი (-მშველი)...  
ასიმილაცია ყველგან რეგრესიულია.

დისიმილაციის შემთხვევებია: ორ-ოლი (- ორ-ორი), ბევრ-ჯელ  
(- ბევრ-ჯერ)... დისიმილაცია პროგრესიულია.

სიტყვაში ბატარა (- პატარა) დისიმილაცია რეგრესიულია; ბატარძალ-  
ში (ერთხელა ნახმარი ტექსტებში!) იგივე ბატარა-ფუძე გვაქვს.

რეგრესიული დისიმილაცია ქართულისათვის უჩვეულოა. როგორც პროფ.  
ვ. ახვლედიანს აქვს გარკვეული სპეციალურს ნაშრომში, „ბატარა“, „ბატო-  
ნი“ (- პატრონი)... და მაგვარი მაგალითები უცხოურ ენობრივ გავლენას უნ-  
და მიწერებოდეს<sup>1</sup>.

„მსხვილ-ის“ ანალოგიითაა მიღებული „მწვრილი“...

„სინოდისა“ და „სენატის“ კონტამინაციითაა მიღებული „სენოტი“;  
„უთხრეს სენოტმა კელმწიფეს“: ზღაპარში ჩააქვრა ეს მთქმელმა... შეკით-  
ხვაზე — „რა არის ეს სენოტი?“, მთქმელმა განპარტა: „სენოტი — მოსამართ-  
ლეები რაღა!“

ამგვარი აღრევა სინოდისა და სენატისა შემომჩნევია რევოლუციამდის სა-  
მეგრელოში: „პალატიდან (იგულისხმება „სასამართლო პალატა“) სინოდში  
გადაუტანია საქმეო!“

ბოლოკიდურ ი-ს დასუსტება-დაკარგვის შემთხვევები განხილული გვექ-  
ნება სათანადო მორფოლოგიურ მოვლენებთან დაკავშირებით.

### მორფოლოგიური მოვლენები:

1. სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძე-  
ებთან ზოგჯერ იკარგება: ძალღებ იყო, მდევის ძალღები... მაგ ადამიანის  
მამა მდიდარ იყო... პურია გასაკეთებელ და არ მოიდა... თურმე იმის  
სახლში გვეღებ იყო... კარებ დაიძახებს... მელამა... ბევრ კაც მოატყუ-  
ილა... შვიდ უღელი კარი ება... ერთმანეთს ებნებიან: მოდი, თავებ დავი-  
კოცოთო... იმ კაცებს ვირებ ჰყავ... ი ქალ დღში ჩემოტენა იზდება... წინ  
ერთი ფშაველ შამოხვდა... ე წერილ ჩვენებს მიერთოს... დავეიტრიალდა  
უკუღმა წელიწად ბედის კვერია... ქუდ-მოკდილ ქვეყნად არ ვივლი...  
მთიელ ვარ, მთაში გაზდილი...

უკანასკნელი ხუთი მაგალითი ლექსში გვაქვს, სხვები — პროზაში. როგორც  
აღვნიშნეთ, მოვლენა ხშირი არ არის; მიზეზი ფონეტიკური უნდა იყოს: მხედვე-  
ლობაში გვაქვს საწინადადებო ფონეტიკა.

<sup>1</sup> იხ. მისი: «Диссимилятивное озвончение горланио-слычных согласных в оссе-  
тинском яз.» (იბეჭდება).

ანალოგიური მოვლენა ახასიათებს ხ. ესურულს<sup>1</sup> და თუშურს, ოღონდ იქ სახელობითის -ი თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან უფრო ხშირად იკარგება და, გარდა ამისა, ბოლოკიდური სხვა ხმოვანიც იკარგება, ისიც ზმნასთან (კაც მავიდი...).. ასე რომ ხვესტურული ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ სახელობითის -ი-ს დაკარგვა კერძობითი შედეგია ფონეტიკური პროცესისა, რომელიც ბოლოკიდურ ხმოვანთან (-ი, -ა, -ე...) დაკარგვაში მდგომარეობს.

2. აკა-იქ შემონახულა სახელობითის -ჲ ხმ ვნით დაბოლოებულ ფუძეებთან:

თუ იკნობთ არაკვეთშია, ვანკაჲ ნაჩაფარია... ქალაქისკენ ეშხადები ნიკორაჲ გყავ ცხენია... შეიქნა სიზმარაჲ ჩვიდმეტი წლისა... სიზმარამ ვაგზავნა ფეკ-დოლობაჲ... ერთხელ მეც ვიყავ ვაჟაჲ... აქ ჩამოდის ბატარა ბილიკაჲ... სამი თხა: ერთი—წითელი, ერთი—თეთრი, და ერთი შავნაჲო... დარჩა ერთი ურემი ცარიელაჲ... მესამე წითელისაჲ ჰქონია...

3. ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება -ის, -ით ბოლოუკვეცი (ხმოვანზე დაბოლოებულ) ფუძეების შემდეგ არ კარგავს ი-ს, არამედ -ჲს, -ჲთ-ის სახით წარმოგვიდგება (როგორც ძვ. ქართულში):

ეს არი გიორგაჲ (=გიორგაჲს) ნამუშევარი... მიიყვანეს მამა სიზმარაჲსი... ყურები ისევ თავშია სცემს მელიაჲსი... პატრონები წამოიღებენ დენკაჲსი... მოუსვია ნაბდის წვერი სუყველაჲსთვინ... გივს აქვს საწუთროჲს კელსაკოცი... წყალმა სარეკელაჲთ მორთული წისქვილი მომტაცა...

4. ნათესაობითისა და მიცემიას ბრუნვაში ბოლოკიდური -ს იკარგება არც თუ იშვიათად, თუმცა ეს მოვლენა ისე ხშირი არ არის, როგორც გარეკახურში<sup>2</sup> და მეტადრე, როგორც ქიზიყურში:

ნათეს.: გამაირა მღვდლი ქალმა... სუ იქით ნაპირი ოთახში ერთი დევია დამბული... ერთი ბებრი ბანზე ააგდო... იმან იმი ტანისამოსი ჩაიცო... იმ დორი პატრონს ბევრი ეგონებო... ლაფნი ქერქობა ყოფილა... სიახლი დროს მირჩენიაო... თეთრი მღვეცი (=მღვეის) მთაში არეკა... შენი მამი თოლებს გასწავლიო... კარები თავში შახიდდო... უბეში ძალღები ბეწვები ჰქონდა...

ამავე მიზეზით ნანათესაობითარი „თავის“, „თავისი“—კუთვნილებითი ნაცვალსახელი კარგავს -ს-ს და „თავი“-ს სახით იხმარება ჩვეულებრივ: ქალს თავი დედა ჩაუყლაშია... თავი მამა ვაგზავნიდა... წასულა თავი დედ-მამასთან... მემრე თავი მუშებს ჩააცო რკინის ქალამნები... ორნივე თავი დედასთან წავიდენ...

მიცემ.: ვისიმე ბოჩოლებ თუ მოუსწარ ყანაში, იქვე დაკვოც... ციხით ქალ გამაიყვანენ... მემრე ყარამან გაუკადეს ჩხუბი... მემრე ყარამბოლდ

<sup>1</sup> იხ. ხვესტურული ტექსტები ბ. გაბუერიას: „ქართ. საენათმეცნ. საზოგად. წელიწდეული“, ტ. I/II, 1925, გვ. 121 და შემდ. იხ აგრეთვე: ა. შანიძე: „ქართული კილოები მთაში“, „კრებული“—პეტროგრადის სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა, ტფილ. 1915, გვ. 195; აქ ვკითხულობთ: „სახელობითის დაბოლოება ინი კვესტურულსა და თუშურში იშვიათად იკარგება“.

<sup>2</sup> იხ. „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“, გვ. 67—68 და „ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში“ („ენიკი-ს მოაზრება“, ტ. I, გვ. 66—77).

(=ყარამბოლს) დაუძახა... ყელეზ გამოვიჭრით... ჯიბეში კელ ჩაიყოფს... ძმებ დაუკვილა... ი ქალი ესლა ცხენებ დაედევნა... შენ ცხვარებ დაუდევო... მაიშენი თოლებ გასწავლიო... სანამ უნაგირ არ დამადგმეინებო... ერთ ქათამ მოგიყვანო... სუ თავებ დაგჭრისო...

5. ორიოდ შემთხვევაში უთანდებულო მოქმედებითი დაშორებითი მნიშვნელობითაა ნახმარი: ფშავეთით გამოტანილი (= „ფშავეთიდან“ გამოტანილი...), ქალ ციხით გამოიყვანენ (=ქალს ციხიდან გამოიყვანენ)... ეს მაგალითები ლექსშია დადასტურებული; ყოველ შემთხვევაში ეს არქაიზმია: ძვ. ქართულში ამგვარი გამოყენება მოქმედებისა ჩვეულებრივია (თანდებულისა ტიპიც ერთად ერთი არაა: იხმარება „ციხითგან“).

6. კითხვაზე-საიდან? მოქმედებითი ბრუნვა დაირთავს -დამ თანდებულს<sup>1</sup>: მაისიდამ, მთიდამ, ქალაქიდამ... აგრეთვე: შიგადამ, იქიდამ...

7. -ში თანდებული ზოგჯერ -ჩი-ს სახით გვაქვს: სახლჩი... -ჩი ჩვეულებრივია ფერეიდნულში, გურულში, ხევსურულში...

8. თანდებული -თვის ს-ს დაკარგვით თვი-ს სახეს იღებს, ხშირად -თვინ-ადაც გვევლინება; აქ -ინ -ის-ის მაგივრობას ეწევა: -თვის: თვინ...

ეს -ინ მეორეული ჩანს; ამას გვაფიქრებინებს: თვის-ინ, ამ თანდებულის მესამე ვარიანტი.

შდრ.: ა) ბებრისთვი... ქალისთვი...

ბ) ჯარისთვინ... სახლისთვინ... ნადირისთვინ... ბებრისთვინ... ყოველთვინ...

გ) ჩემთვისინ: სასარგებლო იქნება ჩემთვისინ...

9. -ინ-ის მეორეულობის სასარგებლოდ ლაპარაკობს -მდ-ის-ინ თანდებულიც:

ერთ თვემდისინ დამაცალე... სულ დაქამა ეს ნახირი წლამდისინ... იმ ბიქს კარტაობამდისინ ორი ბიჭი ეყოლა... აქამდისინ ჰამდა თვითონ...

10. აღსანიშნავია შემთხვევები ატრიბუტივის ფუძის ხმარებისა ზმნისართული მნიშვნელობით (ჩვეულებრივად ასეთ როლში გარდაქცევითი ბრუნვა გამოდის):

მე ჩქარ (=ჩქარა) მოვკლავ ამას... ჩქარ დაფკოვს... ჩქარ გაიაროს... რომა დავლიე არაყი, ჩქარ ავიარე აღმართი... (ჩვეულებრივად იხმარება: „ჩქარე, ჩქარა“—ჩქარე მომეცი... უშველე ჩქარე... იარეთ ჩქარა...“) იმას ლამაზ (=„ლამაზად“ ე. ი. კარვად) ვავთბ... ლამაზ ჩააცო ტანისამოსი... ეგევე სიტყვა „ნამა“-ს სახით „კარვის“ მნიშვნელობით იხმარება ჩვეულებრივად ფერეიდნულში...

11. ატრიბუტივების მაწარმოებლად ხშირად გამოყენებულია -იარ- || -იალ-სუფიქსები ნაცვლად -იერ- || -იელ სუფიქსებისა: მშიარი... ღონიარი... ძრიალი... ცარიალი...

<sup>1</sup> ამ თანდებულის შესახებ იხ. ვინიკის „მოამბე“, ტ. I (გვ. 55 და შემდ.)... „ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში“.

პარალელურად მოცემულია: ცარიელი, ძრიელი, ლონიერი (გრ-  
-იხელ!)...

ა. შანიძის ცნობით -იარ- || -იალ მოხეურშიაც გვაქვს (იხ. „ქართული კილო-  
ები მთაში“).

12. სადაურობის სუფიქსები -ელ- და -ურ გარჩეულია ადგილის აღმნიშ-  
ვნელ ზმნისართებთანაც: სადაური — სადაველი, აქაური — აქაველი...  
სადაველი, აქაველი იხმარება ადამიანის მიმართ; აქაველებს უნდათ...  
აქაველებს წაართმევდენ...

13. მსაზღვრელად ხმარებული ჩვენებითი ნაცვალსახელები მხოლოდ ხმოვ-  
ნითაა ხშირად წარმოდგენილი: ეკაცი... იკაცი... შემოიარე ეკადის კვეის  
აღმართი... უცემნია იქალისთვი...

-ვე, -ცა ნაწილაკების დართვისას ეს ნაცვალსახელები დაირთავენ ა-ს:  
ისავ იმ ხალხში მივიდა... ისაც გაიძმობილა... ისაც დააგლენავა...

ამისდა კვალად ამ ჩვენებითი ნაცვალსახელის სრული სახე იქნებოდა ის-ა;  
ეს ნეოლოგიზმია; ჩვენებითი ნაცვალსახელების სრული სახე, უფრო ძველი,  
გვაქვს სხვა კილოებში და სალიტერატურო ახალ ქართულშიაც -ცა ნაწილაკის  
წინ: ისი-ც, ესე-ც; აგრეთვე მრავლობითში: ისი-ნი, ესე-ნი...

14. პირველი პირის ნაცვალსახელს შენახული აქვს სადეტერმინანტო -ნ(ა):  
მე-ნ(ა); შდრ. შე-ნ(ა)... ჩვე-ნ(ა)... თქვე-ნ(ა)...

მერე მენ გაგიყვანო... მენ კი აღარ გცემდი შენაო... მენაო წინ ნატე-  
ხარი შედგაო...

15. ყურადღებას იქცევს არქაული ფორმა ნაცვალსახელისა „ერთმან-ერ-  
თი“: გაუძმობილდნენ ერთმანერთსა... ერთმანერთშია ყრილობა ჰქო-  
ნიათ... ძმები გამოვიდნენ ერთმანერთისანი... ჩვენ ერთმანერთი გავ-  
წყვიტეთ...

იმავე მნიშვნელობისაა ერთ-ურთ-ი: ერთ-ურთს ვერა ვხედავთ, ისეთი  
ზოი (=ზავი) მოვა... სალიტერატურო ქართულში ამავე სიტყვის ნაწილებს  
რიგი აქვს შეცვლილი: ურთი-ერთს... აქედან: ურთიერთობა...

ზმნის უღვლილებაში საგულისხმოა:

16. ნამყო ხოლმეობითის ხმარება. ეს დრო ძვ. ქართულში ფარ-  
თოდაა გამოყენებული. ამჟამად არც სალიტერატურო ქართულს, არც ქართ-  
ლურსა და კახურს (მაინცა და მაინც გარეკახურს) ის არ გააჩნია; სამაგიეროდ,  
მთის ყველა კილოში (ხევსურულში, თუშურში, ფშაურში, მოხეურსა და მთიულურ-  
ში<sup>1</sup>) იგი დაცულია; ინგილოურსა და ფერეიდულ კილოებსაც შეუნახავს.

ნამყო ხოლმეობითის ორი სახეობა გვაქვს მთიულურში: 1. აორისტის  
(ნამყო წყვეტილის) ფუძისა და 2. ნამყო უსრულის (ნამყო უწყვეტლის) ვარიან-  
ტი. ეს უკანასკნელი მხოლოდ მესამე პირშია განსხვავებული ჩვეულებრივი ნამ-  
ყო უსრულისაგან. ნამყო ხოლმეობითის მაწარმოებელია -ი; მას დაერთვის მე-  
სამე პირის ნიშნები: -ს სუფიქსი მხოლოდობითში და —ან მრავლობითში: მე გა-  
დავაბრუნ-ი, შენ გადააბრუნ-ი, მან გადააბრუნ-ი-ს... ჩვენ გადავაბრუნ-ი-თ,  
თქვენ გადააბრუნ-ი-თ, მათ გადააბრუნ-ი-ან...

<sup>1</sup> იხ. ა. შანიძე: „ქართული კილოები მთაში“, გვ. 196.

თხრობის პრო ესში ნამყო ხოლმეობითი ფართოდ არის გამოყენებული: იყვის... ჩაყლაპის... აქააგღის... შევიღას... გამოუქიდის... გად-  
მოვარდის... დაცურდის... ჰოკვდას... გადპოგვიტანის... დარ-  
ჩის... მაიპარის... გამაუწოდის... დაუწყის... გადარჩის... წაარ-  
თვის... ჩასციან... წააქცავიან... დამარხიან... სციან... მააჭ-  
რიან... წაილიან... მიაკოიან... დეეციან... წაასხიან... დაფი-  
ნიან... აილიან... აიკილიან... მაიტანიან... დაუკრიან... წავი-  
დით... გადმოვაქცივით... წავაქცავით... ყველას მაგალითი აორის-  
ტის ფუძის ხოლმეობითს წარმოადგენს.

ნამყო უსრულის (უწყევტ.) ფუძის ხოლმეობითი გვაქვს შემდეგს მაგალი-  
თში: ჰყვანდას... სცეკდის... ჰქონდას... აკეთებდის... მაუდი-  
ოდის... ეძახოდნიან... იყუჩებოდნიან... დგებოდნიან... ყიღუ-  
ლობდნიან... აკეთებდნიან... შეაჭრიდნიან... ეოცავდნიან... სქამ-  
დნიან...

ტექსტში ხოლმეობითის გამოყენების ნიმუში:

...რომ მოიდიან ცხენებთ, მიადგნიან თხრილსა, დეეციან და ჩა-  
ცივიდნიან; ჯეილეზი ცხენში ავიდნიან, დაუჭირიან თოფები სათოფო-  
როდამა... დაშინდნიან და გაიქცნიან... სციან, სციან ათმა კაცმა  
ქვასა,—ვერ გატეხის; მეგრე მივიდი, გადავებრუნი, სასარზე დავ-  
კრი კვერი და დაიშალა შაქარითა; გაანებნიან თავი, დარჩის იქვე...

17. მეორე პირის სუბიექტური პოფიქსისა და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების ის წესი, რომელიც ძალში იყო მაშინ, როცა ამ პრეფიქსების მორფოლოგიური ფუნქცია ნათელი იყო, მთიულურში შერყეულია; სადაც ეს წესი დაცულია, ორივე პრეფიქსის როლში ჩვეულობრივად გამოდის *ე* (უპირატესად ხონის შემდეგ), როქელსა; ერთგვარი ფუნინვა (ასპირაცია) ახლავს; არის *ჰ-ც*; წინაენისმეორე თანხმოვნების მეზობლობაში ეს პრეფიქსი *ს-ის* კენიხრევა.

მეორე პირის სუბიექტის პრეფიქსის ხმარების ნიმუშები:

განა იმისთვის დვთესე, რო თქვენ აჯკრიფოთ... თქვენ რო დადთესეთ...  
აქათ მიხდარხარ (შდრ. შიგნიკახური: მისდინარ: -ხარ-ის დართვისდა მიუხე-  
დავად ზმნა მინც დაირთავს *ს<sub>2</sub>*—ს-ს!)... დააღვე წყალსა (ამ მაგალითში -*ა*-  
შეიძლება ობიექტის ნიშნად ცდავსახოთ!)... მოაძედ წყლითა... თქვენ დაა-  
ძარიოთ...

მესამე პირის ობიექტის (მაცემ.) აღნიშვნა პრეფიქსით:

კელებს ადვს და ისე გაათვლის ცხვრებს... მოაბანა მას პირი...  
მოაწყინდა ცხვრებში დგომა... უკან ხალხი მოადევს. ცრემლი მოა-  
დევს თვლებდა.. მოადევს არაკის პირსა (ლექსშია! ლექსი ფშაური წარ-  
მომავლობისა უნდა იყოს!)... კემწიფის ქაი მოაყავსო (ზღაპარშია!) მოა-  
ხადეს ქუდი იმ კაცსა... კემწიფემ მოაჭრა სამ მყარს თავი... იმას მოა/ჰ-  
კლავს...

პრეფექსი თავის ადგილასაა მაგალით ბში, როგორცაა: ჩვენ ბს კი ჰყავ .. ვალი არ ჰქონდა.. ქალს ჩამოჰკიდა... უნო მოუსწროხს, გაჰყინავს.. გასჩენია ქლი.. ჩ სციან რკინის სოლი... არა სკირდა... სთესენ მაისში .. მაგრამ გვაქვს ასეთი უპრეფიქსო ფორმებიც: შენ ბრძნდები? .. ხედავ... მამრე დაკბ. პთ... ნიკოლოზი ჰ ვი ნ... საქმე ქონდის .. მუხრან ბატონი შეხვდა... ვცემე იმ ქლსა... ავი დედაკაცი ყოლია...

მეორე მირივ ხშირია: სთქო (თქო-ს გვერდით)...

18. პირველი პირის სუბიექტის ნიშანი ვ- უ-ს წინ იკარგება: უთხარ (—უთხარ), მიუტანე (—მიუტანე)...

ამგვარი შემთხვევები ჯერ კიდევ ძვ. ქართულში გვხვდება.

ეგვევ ვ-პოფექ ი იკარგება, თუ -ო-სა და ი-ს შორის მდებარეა (იხ. ოგი კომპლექსის შესახებ თქმული ფონეტიკის მიმოხილვაში, გვ. 7); ჩვეულებრივად ეს ხდება მო- პრეფერბთან:

ქვეშ ამოიღევ და ვცემე... ჩას ვჭამ და თვალი გამოიტნარეო და იმასა ვჭამო... მენ ხვალ მოიცლი... აბა საიდან მოიცვალო... ფერშალი მენ მოიყვანე... მენ წამოიღებ მაგასო... მარტუაშ შემოიარე (მე) ეკადის კეკის აღმართი... წავიდეთ, ის ქალა მოიყვანოთო...

19. მსამე პირის სუბიექტის აღმნიშვნელი -ს სუფიქსი ხშირად იკარგება მეტადრე თურმეობითს პირველში (იხ. -ს-ს დაკარგვა ნათესაობითსა და მიცემითში, გვ. 11):

მოუვლია კელი და გუდაში ჩაუსომ... გამომძვრალა თავგი და უთქომ... გვერცხი მოუპარავ... ისრე დაულუპავ, ისრე დაულუპავ ერთი გუდამყარელი... ქალს ძროხა დაუკარგავ... ი ბებერს უცენია ი ქალი-სთვი და მოუკლავ... არაფერი არ გვინახავო... აწყყოსიან ინვერსიულ ზმნებში: გყავ, გაქვ, გძინავ; რამდინი ხანია, რომ გძინავ შენაო...

20. თურმეობითს პირველში არის შემთხვევები -ია- წარმოებისა -ავს-ტიპის ნაცვლად, აგრეთვე -ნ-ია-ს გამოყენებისა:

ჩაუყლაშპია თავი დედა (უნდა ყოფილიყო: ჩაუყლაშპავს...)... ზოვი და უკოციათ (უნდა ყოფილიყო: დაუკოცავთ)... უჭამნია ი ვაშლი... (გვაქვს უ-ნ-ო-ღ-ც: მეორე დღეზე შეუჭამია ი კაცი)... უცემნია ი ბებერს ი ქალისთვი... აი ესლა ცხენები დაუტაცნია (შდრ. გაუტაცია ჯვრები თათარსა)...

ამგვარი შემთხვევები მთიულურში შეუდარებლად უფრო იშვიათია, ვინემ ბარის კილოებში: ქართლურსა და კახურში... პარალელურად უ-ნ-ო ფორმების ხმარება იმის ნიშანია, რომ ნ-ია-ტიპის წარმოება ამგვარს შემთხვევებში ახალი მოვლენაა.

21. თუ ზმნას თურმეობით პირველში ნ-ია-წარმოება ახასიათებდა, თურმეობითს მეორეში  $S_2$  ა-ს წინ კვლავ -ნ- ექნება:

კემწიფეს ეთხოვნა (უთხოვნია — ეთხოვნა)... მამიჩემის დროსაც და ეტაცნათ ცხორი (დაუტაცნათ ცხორი — და ტაცნათ ცხორი)...

თურმეობითს მეორეში ამგვარი შემთხვევები ისევე იშვიათია, როგორც თურმეობითს პირველში ნ-ია.

22. ორპირიან გარდაუვალ ზმნებს თურმეობითს მეორეში -ოდ- სუფიქსის ნაცვლად მეშველი ზმნა „იყო“ აქვს გამოყენებული:

ჰყოლიყო (=ჰყოლოდა), ატყდომიყო (=ასტყდომოდა) ტკივილი...  
ნდომიბიყო (=ნდომებოდა) წყალი...

23. ნამყო უსრულში და აორისტისა და კავშირებითი მეორის სათანადო შემთხვევაში მრავლობითის მესამე პირის ნიშანი -ენ არის (და არა -ნენ): მოდივოდენ იმერლები... სუ წაართმევდენ... ჩიოდენ... მაძლევდენ... იცოდენ... დაართყმევდენ... წავიდენ... დასხდენ... ვაცვიდენ...

მაგრამ გვხვდება: ადგნენ... დარჩნენ... სავნებითო ნენ- სუფიქსს ამგვარი ზნები ძთვისებენ პირველად.

24. ფუძედრეკად ზმნებს აწმყოს -ევ- სუფიქსის ნაცვლი -ივ- აორისტში (ნამყო წყვეტილში) და კავშირებითს მეორეში<sup>1</sup> შენახული აქვთ (სალიტერატურა ქართულში -ივ- სუფიქსი მხოლოდობითში კარგავს -ვ-ს და ი-ლა რჩება):

აორისტი: დალივა (ლევს—დალივა), მეეხვივა (ეხვევა—მეეხვივა), მიუსივა (მიუსევს—მიუსივა), გასწივა (გასწევს—გასწივა), დაეწივა (ეწევა—დაეწივა), მოსწივა (მოსწევს—მოსწივა), ჩაანგრივა (ანგრევს—ჩაანგრივა), შამაეჩვივა (ეჩვევა—ჩამაეჩვივა), მეერივა (ერევა—მეერივა), მიაძსხვრივა (ამსხვრევს—მიაძსხვრივა), გახივა (გახევს—გახივა)... აგრეთვე: მი-აქცივეს, მიაძტვრივეს, არჩივეს—გამაარჩივეს, ასწივეს... და-ხივეთ, დაამწყვდივეთ...

კავშირებ. II: გავუწივო, წავაქცივო...

თურმეობ. II: ეჭმივა (კოპრეს ეჭმივა პური)... წვერთმივა (ცხენი წვერთმივა)...

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ძვ. ქართულში -ივ- გამარტივებულია და ი-ს სახითაა მოცემული: მოაქცია, დაეწია და მაგვარი წარმოება იქ ერთადერთი!

25. ი- და ე- თავსართებით ნაწარმოებ ვნებითს აორისტისა და კავშირებითი მეორის მრავლობითში ჩვეულებრივად შემონახული აქვთ -ენ || -ნ- სუფიქსი: ხორაშანს ლაშქრად ვიყვენით... ამხანაგებს უთხრა: დაიმაღენით თუქვენაო... ადექით, აიყარენით... ახლა გავიქცნეთო... დევმა უთხრა ყარამბოლსა: კარქიო, დავეჭიდნოთო ერთმანერთსაო...

26. მთიულურს ნაშთის სახით შემორჩენია -კე ნაწილაკი; უმეტეს შემთხვევაში მას მნიშვნელობა დაკარგული აქვს: არც მიცემითში და არც სახელობითში დასმულ ობიექტზე არ მიუთითებს; ჩვეულებრივად ნამყო ხოლმეობითთან ამოტივტივდება:

ხან ერთი წაჰყვისკე ცხორსა, ხან—მეორე... ვადმოვარდისკე მდვეი, ყელამდისინ ჩავარდისკე... ხანდისხან ჩიოდისკე ანდრიაჲ... მამაჩემმა თქვისკე... ცხენები გაატყავისკე თავის პრიხოდში... რო ესრე, წავალ (ტყეში), ავირივიკე...

<sup>1</sup> აგრეთვე თურმეობითს II და კავშირებითს III-ში, რამდენადაც ესენი ემყარებიან აორისტსა და კავშირებით II-ს.

სხვა დროებში: გადავარდებაკე, კაცო, ჯჯარი... არც კი გვიკითხენკე ჩვენ... ბიძა ჩემი იტყვისკე...

-კე, -ყე ნაწილაკი ზოგ აღმოსავლურ (და დასავლურ) კილოებს (კახურს, ქიზიყურს, ინგილოურს) ახასიათებს, ზოგისთვის (მაგ. ქართლურისთვის) უცხოა. ამდენად მთიულურის ადგალის გარკვევისათვის სხვა კილოთა შორის ამ ნაწილაკის დადატურება მთიულურში საყურადღებოა.

27. თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც შევხვდებით მთიულურში კითხვითს -ა ნაწილაკს; ა-ზე დაბოლოებულ სიტყვას კითხვის ა-ს წინ ა ჩაესმის (ხმოვანთ-გამყოფი?)<sup>1</sup>: არ დარდობსა დედაშენი? გზააა? წყლის გაფუჭებულია! რა უნდოდააა?

როგორც ცნობილია, ეს კითხვითი ნაწილაკი ძვ. ქართულში იხმარებოდა. სინტაქსური თავისებურებანი:

1. ძვ. ქართულში მიცემითს ბრუნვაში დასმული სახელი ზმნას მრავლობითში არ ითანხმებდა იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იყო ამ სახელის როლი, -ნ-იანი სახელობითი კი ყოველთვის ითანხმებდა ზმნას იმისდა მიუხედავად, ეს სახელობითი სუბიექტი იყო თუ ობიექტი.

ამჟამად სალიტერატურო ქართულში მიცემითი ითანხმებს ხოლმე ზმნას, თუ რეალურად მოქმედს აღნიშნავს—მ.სამე პირში: ამხანაგებს გაუკეთებიათ, მოუტანიათ, უთქვამთ... მეორე და პირველ პირში მიცემითის მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება: თქვენ გაგიკეთებიათ, გითქვამთ... ჩვენ ვაგვიკეთებია, გვითქვამს... მიცემითის სინტაქსური ძალა გაიზარდა, სხელობითისა, პირუკუ, დასუსტდა: -ნ-იანი სახელობითი, როგორც ობიექტი, ზმნას არ ითანხმებს... შეუძლებელი არ არის -ნ-იან სუბიექტ-სახელობითსაც არ შეუთანხმდეს ზმნა... მითს კილოებს მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვთ ძვ. ქართულის სინტაქსური კონსტრუქცია ამ შემთხვევაში; მთიულურშიაც გვაქვს ამის მაგალითები:

იმათა უთქომ (ე. ი. „უთქვამს“; ან. ქართულით უნდა ყოფილიყო: იმათა უთქომთ)... ოსებს ორმოცი ცხორი წაუსხამ (ე. ი. „წაუსხამს“; ან. ქართულით იქნებოდა: ოსებს წაუსხამთ)...

ძმისწულები მყვანან... ორანი ძროხანი მყვანან... ლომისას ჯაჭვნი ჰკილიან...

ამგვარი მოვლენები ხვესტურულში ჩვეულებრივია, მთიულურში—იშვიათი; აქ უკვე ახალი ქართულის დამახასიათებელი ურთიერთობაა ჩვეულებრივი.

2. ქართლურისა და კახურის მსგავსად მთიულურშიც მოიპოება მოთხრობითი ბრუნვის ხმარების შემთხვევები გარდაუვალ ზმნებთან. მეტ-წილად ეს ხდება შერთულს წინადადებებში, როცა ერთ სუბიექტთან ორი ზმნაა, მათგან ერთი—გარდაუვალი, მეორე—გარდამავალი:

დასხდენ ერთად ფაღავნებმა და სადილი ჰამეს (დასხდენ—ფაღავნებმა ჰამეს)... წავიდა მარიჯანმა, იყიდა შეშა, დაანთო დიდი ცეცხლი (წავიდა—მარიჯანმა—იყიდა)... მოვიდენ ამ მცურავებმა და უთხრეს... წავიდა ამ ქალმა და

<sup>1</sup> ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ა. შანიძეს, იხ. ზემოხსენ. „ქართული კილოები მთაში“ გვ. 202.

პური მიუტანა იმ ბიქს... წავიდა ქალმა და უთხრა მამას... ადგა იმანაც და მესამედი ცხორი აჩუქვა... წამოიდა მელიამ, სხვა კაცები არ გაუშო სამტევან ქაბუკისაკენ.. ამ უხეირომ წავიდა თავის სახლისაკენ..

უქანასკნელ ორ მაგალითში მოთხრობითი მხოლოდ ერთ გარდაუვალ ზმნასთან არის ნახმარი...

3. ე. წ. „აზრას ძიხედვით შეთანხმების“ ნიმუშები ბლომად გვაქვს მთიულურშიაც:

რო გარდაიცვლება (კაცი), ტირიან ჯალაბობა („ჯალაბობა“ რამდენიმე ადამიანს გულისხმობს; ზმნაც ამას საფუძველზეა მრავლობითში)... წავლენ წყალზე ადამიანობა (ე. ი. ქალები), სმენ სასმელსა და ლოცვენ დედუფალსა... ვერ გაუბედეს იმას ომი მთელმა საკელმწიფომ ახლა... გამართლდენ სიზმარაჯს ხალხი... ვისიმე ბოჩოლებ თუ მიუსწარ ყანაში, იქვე დავეკოც, იცოდენ ყველამა, მეორე წავიდენ და მიჩივლონ...

ამავე ნიადაგზე უნდა იყოს კომპოზიტი „დედ-მამა“ მრავლობითს რიცხვში დასმული: დედმამანი გყვანან... დედ-მამათაკენ წავიდენ (ისინი)... დედ-მამათაკენ წაიყვანა...

4. აღსახიზნავია ორიოდე შემთხვევა -მცა ნაწილაკის გამოყენებისა:

ადამო ჯარიანივილო, დედამც ცხონდება შენიო... შენამც შეგიყორდება ცხრა თავიანი დევის დაო...

5. „ეშინის“ ზმნა მოითხოვს ნათესაობითს (ხოგჯერ მოქმედებითს) -გან თანდებულ თურთ ისევე, როგორც ძველს ქართულში; კილოებიდან ეს კონსტრუქცია დაცული აქვს გარე-კახურს, ფერეიდნულს...

შენგან შეშინდა ის ბალღი... უხეიროს არ ეშინიან ომისაგან, მაგრამ თავის ამხანაგებისაგან ეშინია...

რაკი -გან თანდებული მოქმედებითსაც მოითხოვს, შესაძლებელ ხდება ამ ზმნასთან -გან- თანდებულიანი მოქმედებითიც შეგვხვდეს: უხეირომ რომ დაინახა, ძალიან შეშინდა იმის ვაჟკაცობიდან...

6. „დაჰპატიეა“ -ზმნა მთულურში მოითხოვს მიცემითს (ასევეა გარე-კახურშიც): ქოსა-სომეხსაც იქ დაჰპატიჯეს... დაჰპატიჯეს ქალბატონს იმათ დედასა...

**სტილისტიკური კონსტრუქციებიდან მთიულურში ყურადღებას იქცევს:**

1. უარყოფითის გაძლიერების სურვილით ნაკარნახევი „ორმაგი უარყოფა“<sup>1</sup>: ვერაფრით ვერ მოაჩქრხეს იმის დახვეა. ვერაფერი ვერ ვიციით ჩვენა... იმან ვერაფერი ვერ უპასუხა... სვირცხვილით ვერავისთან ვერ ვამბობდიო... ვერავინ ვერ მეერივა... შენს მეტი იმას ვერავინ ვერ გაუძღებს.. სხოს არაჟის არ უშობსო... პურის ჭამაზე დადგა: არაფერი ჯამ-გირი არა აქვს... ჭამა ბევრი უნდა, არაფერს არ აკითებსო... შენ რა გითხრა: არაფერს არ გეტყვი!... იმათთვინ არაფერი სასარგებლო არა იყო რა!

<sup>1</sup> ორმაგი უარყოფის შესახებ ქართულში იხ. ვ. თოფურიას გამოკვლევა „წვლილდუ-ულში“, გვ. 69 და შემდ.

ქრ იმაგი უარყოფაც გვაქვს:

...აღარავინ ძღვეს... ხე იქნება, თუ კაცი იქნება, რო დაბერდება გამო-სადევი აღარაშია რა!.. არავინ იცის, ვისია!.. ეს ნ.ღირი სულ დაჭამა, არა-ფერი დარჩა... მე კრმალი მიინდა დიდიო, სხო არაფერი მიინდაო... თეთრი ბე-წვი ხო არსად გინახავსო?... თუ კბილით იყვის (ლაფნის ქერქი მოგლ.ჯილი), იმის სახლში არაფერიაო...

2. ქართულში „აქვს“-ზმნა იხმარება, თუ ობიექტი საგანია და „ჰყავს“, თუ ობიექტი ცოცხალი არსება: წიგნი, სახლი—აქვს... ძმა, ცხენი, ძაღლი—ჰყავს...

მთიულურში გვხვდება „ქონა“-ფუძე ყოლა-ს ადგილას (იშვიათად!): შენ სახლობა არ გექნება! (უნდა ყოფილიყო: არ გყოლებდა)... სახელავარი მელია გექნები (ნაცვლად: „გყოლები“-სა)... ძველ ქართულშიაც არიან მსგავსი შემ-თხვევები: ჰქონდა მის თანა ყრმაჲ თჳსი... იხ. კ.კეკელიძე: „კიმენი“ ტფილისი 1918, გვ. 29-30. ტექსტი, რომელშიაც ეს მაგალითი გვაქვს, ორიგინალური ნა-წარმოებია.

3. დამახასიათებლად ვთვლით კონსტრუქციებს, სადაც მეორე პირის ბრძანებითი კავშირებითის ფორმით არის გადმოცემული; ესაა „რჩევითი ბრძა-ნებითი“: რო ვინმე მოვიდოდესო, ჩუმაღ შემატყობინებ დეთო და მე მოვ-კლავო... როცა მგელსა ნახავთო, გამოიქცეოდეთო ქალისკენო, თორემ მგელი გაჯავრებულთა და შეგჭამთ რასმეო... ხანდახან დაასვენოდეთო კაცო (ცხენზეა ლაპარაკი!)... ამგვარი რჩევითი ბრძანებითი მთის სხვა კილოებშიც გვაქვს.

კერძობითი ფაქტებიდან აღვნიშნავთ შემდეგს: „თავისი“ იხმარება „მისი“-ს ნაცვლად (ასევეა გარე-კახურშიც)... „თავად“ გვხვდება „თითონ“-ის ნაცვლად: ვაჟმა იმისი სარჩო სულ შეჭამა და თავადაც მოკვდა... თავად კი არ მო-იდა... თავად კიდან წავიდენ...

თავისებური სახისაა სახელებში: წვისკვილი, ტვიტველი, ცვერცივი სვირცხვილი, კირწყილი (= რწყილი), თვირთვილი (= თრთვილი), გურგალი (= მრგვალი), სიმგვრგვლივ... უკანასკნელი ოთხი ძველ სახეს წარმოგვიდგენს.

ზმნებში: იქამ (= იზამ), აჩუქვა (აქედან: საჩუქვარი), დაუქვევინია, ჰქვივნებია (= დაუტყმევია, ჰრქმევია), ძრახვა — ხალი შინაარსით და თითქმის ძველი ფორმით (შეუძრახა ტირილით... შამოუძრახა: „რა გატირებსო?“)... კელობს (= კოჭლობს): კარგა ხანია ვგრე კელობს... შღრ. ქვ. ქართ. ძველობელი; ეს უკანასკნელი მთიულურს არ შერჩენია... უცია (= უცე-მია): საქონლისათვის ჯიჯი უცია... რჩომა (= რჩენა), რბოლა (= რბენა), აქვის (= აქვს), მისდიხარ და სხვ. ამგვარი თავისებურებანი ლექსიკონშია გასათვალისწინებელი; აქ ამ ნიმუშებით დავკმაყოფილდებით.

ეგვევ ითქმის: კიდავ (= კიდევ), რორცა (= როცა), სუ || სუჲ (=სულ) და სხვ. შესახებ.

ჩვენ აღვნიშნეთ მთიულურის თავისებურებანი — ფონეტიკური, მორფოლო-გიური, სინტაქსური-სტილისტიკური და ნაწილობრივ ლექსიკური ხასიათისა.

ეს თავისებურებანი სხვადასხვა ასაკისაა: ზოგი — განვითარების სულ ახალი, უკანასკნელი საფეხურის გამომჟღავნებაა, ზო-

გიც — ძველის-ძველი მოვლენაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთიულური ზოგს რაშიმე ახალ სალიტერატურო ქართულსაც კი წინ უსწრებს, ზოგს რაშიმე ძველ ქართულს იმეორებს, ახალ სალიტერატურო ქართულს დიდად ჩამორჩება. არქაიზმები და ნეოლოგიზმები ერთმანეთშია გადახლართული და ცოცხალი დიალექტური მეტყველების რეალურ სახეს ქმნის.

მთიულური ამ მხრივ არაფერს უჭეულოს არ წარმოადგენს: დიალექტებში ყოველთვის შეხამებულია არქაიზმები და ნეოლოგიზმები, ოღონდ ხან ერთია უფრო ქარბად წარმოდგენილი, ხან კი მეორის ხვედრი წონაა თვალსაჩინოდ მეტი. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ისეთი დიალექტი, რომელშიაც სალიტერატურო ენასთან შედარებით ყველაფერი ახალი იყოს ანდა ყველაფერი ძველი... ენობრივი სისტემის ყოველი რგოლი იცვლება ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის ცვლასთან დაკავშირებით და ამ ცვლის ნიადაგზე, მაგრამ არა ერთდროულად ყველა! ახალმა სალიტერატურო ქართულმა დაკარგა: ბგერა კაკითხვითი ნაწილაკი -ა, -ჲ სახელობით ბრუნვაში (ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან: ძმაჲ, ხეჲ), ნაშუა ხოლმეობითი (მოვიდის, გააკეთის...), მთიულურს კი ეს შემონახული აქვს დღემდის... მაგრამ სალიტერატურო ქართულმა არ იცის: სახელობითის ი-ს მოკვეცა თანხმოვანზე. დაბოლოებულ ფუძეებთან (ბოჩოლებ... კაცებ...), მიცემითისა და ნათესაობითის ბრუნვის ნიშანში -ხ-ს დაკარგვა (ჯიბეში კელ ჩაიყოფს... ბებრი ბანზე) და არც S<sub>ჲ</sub> -ს-ს გაუჩინარება (მოუპარავ, დაუქარგავ — იმას), ანდა -ოვი- კომპლექსის -ოი-დ ქცევა, რაც მთიულურში ასე დემონსტრაციულად წარმოგვიდგება (მენ მოიყვანე... ის მოიდა...): აქ მთიულურის ევოლუცია უფრო შორს არის წასული, ვინემ სალიტერატურო ახალი ქართულისა.

რა ადგილი უჭირავს განვითარების, დონის მიხედვით მთიულურს სხვა კილოთა წრეში? სრული პასუხის გაცემა ამაზე მოითხოვს სხვა, მეზობელი, კილოების დამუშავებას და თვით მთიულურის უფრო სრულ დახასიათებას. ამჟამად არსებული ცნობების თანახმად უნდა დავასკვნათ, რომ მთის ქართულ კილოებს შორის (ხევსურ., თუშ., ფშავ., ხევსურ.) მთიულურს ყველაზე ნაკლებ აქვს დატული არქაიზმები და ის ყველაზე მეტად განიცდის ბარის კილოების, უწინარეს ყოვლისა, ქართლურის გავლენას.

რაც შეეხება გენეტურ ურთიერთობას სხვა კილოებთან, მთიულურს კახურთან აკავშირებს ორი სპეციფიკური თავისებურება: -კე ნაწილაკის სმარება და ოვი — ოი; არც ერთი და არც მეორე, რამდენადაც დღემდის ეს ცნობილია, ქართლურმა არ იცის, არც მთის სხვა კილოებს უნდა ახასიათებდეს; მაინცა და მაინც ხევსურულსა, თუშურსა და მოხურში-ეს მოვლენები აღნიშნული არ არის საბოლოოდ, მთიულურის სხვა კილოებთან ურთიერთობის გარკვევა, რა თქმა უნდა, მომავლის საქმეა.

მთიულური მეტყველების ნიმუშად ვურთავთ ერთ ზღაპარს.

სამ-ტევან ჭაბუკი და მელია.

იყო ერთი მეწისქვილე. იმასა ჰქონდა სამი ტევანი ყურძენი. შამაეჩვივა ერთი მელია. სულ გაუთავა ყურძენი. დარჩა ორი მარცოლი კიდავ. უყარეულა მეწისქვილემ და დაიჭირა მელია. მელიამ უთხრა, რომ „ნუ მომკლავო“, წვრილ-შვილი ვარო; გამიშვიო, პატარა შვილებს დავზრდიო და კიდავ მოვალო“. „ტყავს გაგაძრობო და ქულს შევიკერავო“, — მეწისქვილემ უთხრა. „ჩემი ტყავიო რა დიდი რამე. იქნებაო შენთვისინაო? — მელიამ უთხრა — შენ ხარ უცოლო ბიჭიო და ბედსა გწევო მენ შენაო!“.

გაუშო. მელია წავიდა და მოუძრახა: „ჩემი ნურა გეფიქრება რა! ერთ-თვემდისინ დამაცალე მენ შენა!“ ერთი თვის შემდეგ მივიდა მელია წისქვილი(ს) კარზე. მეწისქვილეს გამარჯვება უძახა, „შენ ჩემო დამლუპავო მელიაო!“ — მეწისქვილემ უთხრა. — „აბა ეხლა მოიცალეო შენთვისინაო! მელიამ უთხრა — როგო-რი სახელ-ვარი მელია გიქნები შენ! „აღგა და... „კელმწიფესთან წავალ მენ“, უთხრა მელიამ. მეწისქვილემ უთხრა: „ე კული დააყნეო, ტყავს დამიკარგამ<sup>1</sup> შენო!“ — „შენ ერთი ქათამი მიამიზადეო!“ მელიამ უთხრა მეწისქვილეს. ერთი ქათამიც აჩუქვა კიდევ მელიას მეწისქვილემ. შექამა წისქვილის კარებზე. ახლა აკსნა ლპერთი და წავიდა კელმწიფესთან მელია. მივიდა კელმწიფის კარებზე — სამარჯაკლოთ წავიდა — და უთხრა: „სამ-ტევან ჭაბუკი ქალსა გთხოვს შე-ნო!“ (რახეი სამი ტევანი ჰქონდა მეწისქვილეს, ამიტომ სამ-ტევან ჭაბუკი დაარ-ქვა). კემწიფე ძლი რ გაჯავრდა: „რატომ სიტყო შემომწონეო!“ — „ის მაინც არ მოგმორდებაო, ის სამ-ტევან ჭაბუკი!“ — მელიამ უპასუხა. „ამ ჩემ საკელმწიფო-ში ვინ არისო, რომ ჩემი ქალი შეირთოსო!“ — სთქო კელმწიფემ. „ახლა ბჭი-უნდა მანახოთ, რა შნოს ბიჭია? რა ჩაცმული და დახურულიაო? (აბა რას ჩაი-ცომს? ჩემსავით ტიტველია!“).

წავიდა მელია სამ-ტევან ჭაბუკისაკენ გახარებული. მივიდა წისქვილში და უთხრა რომე, „უნდა წავიდეთ მე და შენ კემწიფესთანო!“ სთქო ამ მეწისქვი-ლემ: „ტიტველ-შიშველი და მზიარი საღ უნდა წავიდე მენო!“ მელიამ უთხრა, რომ მენ გიმოვნიო სუყველაფერსაო! წავიდა და ერთი უღელი კარი იჭირავა და შეაბა ურემში. მოკრიფა გვირილა (ყოილი რაღა!) და დაუღო ურემზე. და-სვა მეწისქვილე, თავადაც ურმის თავზე დაუჯდა.

გასწივა და წავიდა კელმწიფისაკენ. წავიდა ეს ტიტველ-შიშველი მეწისქ-ვილე. ერთ ღლაგას წყალთა გასასვლელი. წავიდა მელია და პირდაპირ კელმწი-ფესთან მივიდა. გამოცვივუნე ძაღლები და კინალამ, შაჭამეს, ის კელმწი-ფესთან გაიქვა, ეს მეწისქვილე წყალ-გაღმით დააყენა თავის ურმით გამართული. „როდესაც მენ დაგიძახო, ურემიც წყალში გადააბრუნე, ტანისამოსიც გადა-ყარე და დარჩი ტიტველიო!“ — უთხრა მელიამ.

ეს ბიჭი გასცქერის მელისასა და ელოდება წყლი(ს) პირზედა. უთხრა კელ-მწიფეს მელიამ: „შენი სიძე, სამ-ტევან ჭაბუკი მოდისო!“ „აბა, წადი, კაცებს გა-ვაგზავნი და ვნახოთ, რა კაციოაო?“ — უთხრა კელმწიფემ. წამოიდა მელიამ, სხო კაცები არ გაუშო სამ-ტევან ჭაბუკისაკენ: „თქვენ არ მიგიშობსო, თქვენს ნა-ხვას არ იკადრებსო ისაო!“ თვითონ მელია წავიდა. ურემი წყალში გადააბრუნ-და და ტანისამოსიც წყალში გადაყარა სულ.

1) შავად აწვობილი ხმოვანი აქვს და ქვემოდაც ტონურ მახვილს ატარებს.

დარჩა ბიჭი ტიტველ-შიშველი და ურემი ცარიელად: ყოილები წითლად-ყვითლად წყალმა წაიღო. გამოსცქეროდა კემწიფე და უკვირდა: „ის წითელ-ყითელი რა მიაქვს წყალსაო!“ ეს ბიჭიც სიცივისაგან გაყინული წყალზე კანკალებდა. წავიდა მელია და კემწიფესთან მივიდა ისევ. „ხომ დაინახე, დი: ებულო კელმწიფევე, როგორ მიქონდა ჩვენი პერ-საჭამანდი წყალსაო?“ — უთხრა მელიამ. „აბა, ჩქარე ტანისამოსი მომეცი შენი შვილისა, რო სამ-ტევან ჭაბუკს ჩავაცო, თორო ძალიან გიჭიოს შენ საქმეო!“ ადგა კელმწიფემ და მისცა ტანისამოსი, და პირიც კარქა დაბანა მელიამ.

ლამაზ დაარია სამ-ტევან ჭაბუკი ძელიამ, გაუძღვა წინ და კემწიფის სახლში შეიყვანა. მელიის დარიგებზედა კემწიფეს მიესალმა სამ-ტევან ჭაბუკი. კემწიფემ კარქად მიიღო, მაგრამ ამ ტანისამოსზე დაიციქირება ეს ჭაბუკი: უკვირს რა! კემწიფემ უთხრა მელიას: „რატომ დაიციქ რეუა ტანისამოსზედაო?“ მეოიამ უპასუხა: „ვერ არისო კარგი ტანისამოსიო!“ კემწიფეს სამ-ტევან ჭაბუკი მეწონა ძალიან და უნდა მისცეს ქალი.

ახლა დაიწ რეს ჯორი. ახლა ამ ჭაბუკმა სად უნდა წაიყვანოს ქალი? სახლი არა აქ და კარი! წავიდა წინ მელია; მისდევნ მაცრები და სტუმრები. მელია გაუძღვა ხა-ხს წინა; ერთ ალაგას გაიარე და დიდი ცხორი ა-ი. უთხრა მელიამ, რომე „სამ-ტევან ჭაბუკი მოდისო. კემწიფის ქალი მოყყავსო, რადმე აჩუქე თო, თორო დაგკოცამთო!“ ადგა იმანაც და მესამედი ცხორი აჩუქვა. ახლა წავიდა და დიდი თაბუნი შახვდა. იმასაც საჩუქვარი გამოსთხოვა: სამ-ტევანი ჭაბუკი მოდისო. იმასაც მესამედი აჩუქვეს. წვიდა და ერთ ალაგას დიდი სასახლე იყო — დევებისა.

პირდაპირ მივიდა მელია იმ სასახლეში: უთხრა დევებს რო „დექით, აიყარენით, თორო კემწიფის ქალი მოჰყავს სამ-ტევან ჭაბუკსა. თუ სახლი არ მიეცით, ფინთი საქმე მოგელითო!“ დევებმა თქვეს: „შორს არიან თუ ახლოსაო?“ „ვეღარ გააწრობთო, თივის ძირს დაიმაღენითო!“ (სტოგის ძირს, რა-ლა!) — უთხრა მელიამ. ადგნენ დევები და სულ თივის ძირს შახხდნ. იმანაც ცეცხლი შეუქიდა აქათ-იქ თ სტოგს. დაიწვენ დევები სუ — შიგა, თივის ძირსა.

დარჩ სასახლე სულ ტილად (ოკრად). წავიდა მელია და წინ მოეგება სამ-ტევან ჭაბუკის ხალხსა. დარჩა ეს ამისთანა სასახლე მასკვლევიანი. „ახლა რა-ღას გვიანობთო? — მაცრებს უთხრა — ჩვენ შხ და ვართო!“ მივიდა ეს ჯარის ხალხი და შავიდენ ამ სასახლეში (კემწიფეზე ძრიალი სახლია, კაცო!)<sup>1</sup>. ერთი მასკულავი მოგლიჯა მელიამ და შეინახა თანა. შავიდენ და უკვირს ძალიან ამ სამ-ტევანა ჭაბუკს ეს ამისთანა სასახლე: იძახის ჭაბუკი, რო „ეს რა სქმეს შევეყარე! ახლა როდის ეს სახლის პტრონი დამივლებს ჯოხს კელსა და კარჩი გამამ. გდებს!“ — ამის ეშინია, იქით-აქათ იციქირება.

ახლა მაცრებმა სთქვეს: „იქით-აქათ რათ იციქირებო?“ — „ამას ერთი მასკულავი აკლია, სახლსო, და მიტო იციქირებო! უთხრა მელიამ. გაუშო მასკულავი და, საცა იყო, იქ დეეკრა.

ეს ქორწილი გათავდა. ახლა მელიამ ავთამყოფლობა მაიგონა და თავიც მოიმკვლანურა. აიღო ამ ბიჭმა და კუდით ზურგზე აიკიდა: უნდა გაიტანოს

<sup>1</sup> მე მომმართავს მოქმელი!

მელია და ტყავი გააძროს. „აი, შენ ღარიბოო! გამოგაცხადო, რაც კაცი ხარო!“ — მელიამ უთხრა. ბიკი შაშინდა ძრიელ.

სხო დროს ც ბევრჯელ მოიგონ, მ-გრამ ბიჭმა ყური არ უგდო. დარჩა ის სასახლე სამ-ტევან ჭაბუკსა. მ ღლია თავის სახლში წავიდა. ეგ არი!

ჩაწერილია ჩემ მიერ 11. VIII. 1922 წ. ზემო-მღეთეს. მთქმელი ადამ ბუთხუზი, 55 წლისა, ბარში ნავალი; წერა-კითხვა არ იცოდა.

ტექსტის ენა დამახასიათებელია მთიულურისათვის: არქაიზმების მწრივაც, ახალი მოვლენების თვალსაზრისითაც და იმ მერყეობითაც, რომელიც ზოგ მოვლენას ახასიათებს.

ეგვე ზღაპარი 1929 წ. ჩაწერილი მაქვს ჭანურად სოფ. ტალვათის (ათინის რაიონი, თურქეთში) მცხოვრებ ალი კანთარ-ოღლისაგან აფხაზეთში (გამოქვეყნებულია; იხ. ავტორის „ჭანურის გრამატიკული ახალი ზი ტექსტებით“ ნაწ. II, ტფილ., 1936, გვ. 95—101; სათაური: „დერემენჯი დო თილიჩი“ — „მეწისქვილე და მელია“).

АРН. ЧИКОБАВА

## ОСОБЕННОСТИ МТИУЛЬСКОГО ГОВОРА

(РЕЗЮМЕ)

Мтиульский говор грузинского языка относится к группе горских говоров Восточной Грузии, каковы: хевсурский, тушский, пшавский и мохевский<sup>1</sup>. Мтиулы живут по верхнему течению р. Арагвы, в административном отношении образуя два сельсовета: Млетский и Пасанаурский.

Характерные особенности мтиульского говора, поскольку это выясняется из анализа записанных нами на месте текстов, сводятся к следующему:

В мтиульском сохранился звук *з*, *х*, употребляющийся в тех случаях, где его мы находим в древнегрузинском литературном языке: *კევი* *qevī* «ущелье», *ბუკლი* *buqlī* «колени», *კელი* *qelī* «рука» и т. д.

Пережиточно встречается тоническое ударение почти всегда на втором от конца слоге, создающее впечатление долгих гласных<sup>2</sup>.

Комплекс *ვა* после согласных и в начале слова обычно дает *ო*: *კოლი* *kolī* — *კვალი* *qvalī* «след», *სხო* *sxo* — *სხვა* *sxva* «другой», *ცხორო* *sxori* — *ცხვარი* *sxvari* «овца» и т. д.

<sup>1</sup> В статье А. Шанидзе «Грузинские горские говоры» (Сборн. научн. кружка студ. б. Петроград. Университ. Тифл. т. 15—на груз. яз.) читатель может найти суммарный очерк этих говоров.

<sup>2</sup> См. статью автора «Долгие гласные в мтиульском говоре»: Известия Тифл. Гос. Универ., т. IV (1924 г.) стр. 333—348 (на груз. яз.).

დარჩა ბიჭი ტიტველ-შიშველი და ურემი ცარიელაჲ: ყოილები წითლად-ყვითლად წყალმა წაიღო. გამოსცქეროდა კემწიფე და უკვირდა: „ის წითელ-ყ ითელი რა მიაქვს წყალსაო!“ ეს ბიჭიც სიცივისაგან გაყინული წყალზე კანკა-ლებდა. წავიდა მელია და კემწიფესთან მივიდა ისევ. „ხომ დაინახე, დი. ებუ-ლო კელმსიფევე, როგორ მიქონდა ჩვენი პერ-საქაძანდი წყალსაო?“ — უთხრა მელიამ. „აბა, ჩქარე ტანისამოსი მომეცი შენი შეილისა, რო სამ-ტევან ჭაბუკს ჩავაცო, თორო ძალიან გიჭიოს შენ საქმეო!“ ადგა კელმწიფემ და მისცა ტანი-სამოსი, და პირიც კარქა დაბანა მელიამ.

ლამაზ დაარიგა სამ-ტევან ჭაბუკი მელიამ, გაუძღვა წინ და კემწიფის სახლ-ში შეიყვანა. მელიის დარიგებაზედა კემწიფეს მიესალმა სამ-ტევან ჭაბუკი. კემ-წიფემ კარქად მიიღო, მაგრამ ამ ტანისამოსზე დაიცქირება ეს ჭაბუკი: უკვირს რა! კემწიფემ უთხრა მელიას: „რატომ დაიცქ რეა ტანისამოსზედაო?“ მეოიამ უპასუხა: „ვერ არისო კარგი ტანისამოსიო.“ კემწიფეს სამ-ტევან ჭაბუკი მეეწონა ძალიან და უნდა მისცეს ქალი.

ახლა დაიწ რეს ჯორი. ახლა ამ ჭაბუკმა სად უნდა წაიყვანოს ქალი? სას-ლი არა აქ და კარი! წავიდა წინ მელია; მისდევნ მყარები და სტუმრები. მე-ლია გაუძღვა ხა-ხს წინა; ერთ ალაგას გაიარეა და დიდი ცხორი აი. უთხ-რა მელიამ, რომე „სამ-ტევან ჭაბუკი მოდისო. კემწიფის ქალი მოყავსო, რაჲ-მე აჩუქე თო, თორო დაგკოცამთო!“ ადგა იმანაც და მესამედი ცხორი აჩუქვა. ახლა წავიდა და დიდი თაბუნი შახვდა. იმასაც საჩუქვარი გამოსთხოვა: სამ-ტევანი ჭაბუკი მოდისო. იმთაც მესამედი აჩუქვეს. წვიდა და ერთ ალაგას დი-დი სასახლე იყო — დევებისა.

პირდაპირ მივიდა მელია იმ სასახლეში: უთხრა დევებს რო „ადექით, აი-ყარენით, თორო კემწიფის ქალი მოჰყავს სამ-ტევან ჭაბუკსა. თუ სახლი არ მიეცით, ფინთი საქმე მოგელითო!“ დევებმა თქვეს: „შორს არიან თუ ახლო-საო?“ „ვეღარ გააწრობთო, თივის ძირს დაიმაღენითო!“ (სტოგის ძირს, რა-და!) — უთხრა მელიამ. ადგნენ დევები და სულ თივის ძირს შახსდნენ. იმანაც ცეცხლი შეუვიდა აქათ-იქ თ სტოგს. დაიწვენენ დევები სულ შიგა, თივის ძირსა.

დარჩ სასახლე სულ ტიალად (ოკრად). წავიდა მელია და წინ მოეგება სამ-ტევან ჭაბუკის ხალხსა. დარჩა ეს ამისთანა სასახლე მასკვლევიანი. „ახლა რა-ღს გვიანობთო? — მაყრებს უთხრა — ჩვენ შხ და ვართო!“ მივიდა ეს ჯარის ხალხი და შავიდნ ამ სასახლეში (კემწიფეზე ძრიალი სახლია, კაცო!)<sup>1</sup>. ერთი მასკულავი მოგლიჯა მელიამ და შეინახა თანა. შავიდნ და უკვირს ძალიან ამ სამ-ტევანა ჭაბუკს ეს ამისთანა სასახლე: იმხის ჭაბუკი, რო „ეს რა სქმეს შევეყარე! ახლა როდის ეს სახლის პტრონი დამივლებს ჯოხს კელსა და კარჩი გამამგდებს!“ — ამის ეშინია, იქით-აქათ იცქირება.

ახლა მაყრებმა სთქვეს: „იქით-აქათ რათ იცქირებაო?“ — „ამას ერთი მა-სკვლავი აკლია, სახლსო, და მიტო იცქირებაო! უთხრა მელიამ. გაუშო მსკვლე-ვი და, საცა იყო, იქ დევკრა.

ეს ქორწილი გათავდა. ახლა მელიამ ავათმყოფლობა მიიგონა და თავიც მოიმიკვდნურა. აიღო ამ ბიჭმა და კუდით ზურგზე აიკიდა: უნდა გაიტანოს

<sup>1</sup> მე მომმართავს მთქმელი!

მელია და ტყავი გააძროს. „აი, შენ ლარიბოო! გამოგაცხადო, რაც კაცი ხარო!“ — მელიამ უთხრა. ბიჭი შაშინდა ძრიელ.

სხო დროს ც ბევრჯელ მოიგონ, მ.გრამ ბიჭმა ყური არ უგდო. დარჩა ის სასახლე სამ-ტევან კაბუქსა. მ ლია თავის სახლში წავიდა. ეგ არი!

ჩაწერძლია ჩემ მიერ 11. VIII. 1922 წ. ზ ე მ ო მ ლ ე თ ე ს. მთქმელი ა დ ა მ ბ უ თ ხ უ ზ ი, 55 წლისა, ბარში ნავალი; წერა-კითხვა არ იცოდა.

ტექსტის ენა დამახასიათებელია მთიულურისათვის: არქაიზმების მბრევაც, ახალი მოვლევების თვალსაზრისითაც და იმ მერყეობითაც, რომელიც ზოგ მოვლენას ახასიათებს.

ეგვეე ზღაპარი 1929 წ. ჩაწერილი მაქვს კანულად სოფ. ტალვათის (ათინის რაიონი, თურქეთში) მცხოვრებ ალი კ ა ნ თ ა რ - ო ლ ლ ი ს ა კ ა ნ აფხაზეთში (გამოქვეყნებულია; იხ. ავტორის „ქ ა ნ უ რ ი ს გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ა ხ ა ლ ი ზ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი თ“ ნაწ. II, ტფილ., 1936, გვ. 95—101; სათაურ: „დერემენჯი დო თილჩი“ — „მეწისქვილე და მელია“).

АРН. ЧИКОБАВА

## ОСОБЕННОСТИ МТИУЛЬСКОГО ГОВОРА

(РЕЗЮМЕ)

Мтиульский говор грузинского языка относится к группе горских говоров Восточной Грузии, каковы: хевсурский, тушский, пшавский и мохевский<sup>1</sup>. Мтиулы живут по верхнему течению р. Арагвы, в административном отношении образуя два сельсовета: Млетский и Пасанаурский.

Характерные особенности мтиульского говора, поскольку это выясняется из анализа записанных нами на месте текстов, сводятся к следующему:

В мтиульском сохранился звук *z*, употребляющийся в тех случаях, где его мы находим в древнегрузинском литературном языке: კევი *qevi* «кушель», ბუკლი *tiqli* «колени», კელი *qeli* «рука» и т. д.

Пережиточно встречается тоническое ударение почти всегда на втором от конца слоге, создающее впечатление долгих гласных<sup>2</sup>.

Комплекс *z* *va* после согласных и в начале слова обычно дает *o*: კოლი *koli* — კვალი *kvali* «след», სხო *sxo* — სხვა *sxva* «другой», ცხორო *sxori* — ცხარი *sxvari* «овца» и т. д.

<sup>1</sup> В статье А. Шанидзе «Грузинские горские говоры» (Сборн. научн. кружка студ. б. Петроград. Университ. Тифл. т. 15 — на груз. яз.) читатель может найти суммарный очерк этих говоров.

<sup>2</sup> См. статью автора: «Долгие гласные в мтиульском говоре»: Известия Тифл. Гос. Универ., т. IV (1924 г.) стр. 333—348 (на груз. яз.).

დარჩა ბიჭი ტიტველ-შიშველი და ურემი ცარიელაჲ: ყოილნები წითლად-ყვითლად წყალმა წაიღო. გამოსცქეროდა კემწიფე და უკვირდა: „ის წითელ-ყვითელი რა მიაქვს წყალსაო!“ ეს ბიჭიც სიცივისაგან გაყინული წყალზე კანკალებდა. წავიდა მელია და კემწიფესთან მივიდა ისევ. „ახომ დაინახე, დი. ებულო კელმწიფევე, როგორ მიქონდა ჩვენი პერ-საქამანდი წყალსაო?“ — უთხრა მელიამ. „აბა, ჩქარე ტანისამოსი მოწეცი შენი შვილისა, რო სამ-ტევან ჭაბუკს ჩავაცო, თორო ძალინ გიჭიოს შენ საქმეო!“ ადგა კელმწიფემ და მისცა ტანისამოსი, და პირიც კარქა დაბანა შელიამ.

ლამაზ დაარიგა სამ-ტევან ჭაბუკი მელიამ, გაუძღვა წინ და კემწიფის სახლში შეიყვანა. მელიის დარიგებაზედა კემწიფეს მიესალმა სამ-ტევან ჭაბუკი. კემწიფემ კარქად მიიღო, მაგრამ ამ ტანისამოსზე დაიკვირება ეს ჭაბუკი: უკვირს რა! კემწიფემ უთხრა მელის: „რატომ დაიკვირე ტანისამოსზედაო?“ მეოიამ უპასუხა: „ვერ არისო კარგი ტანისამოსიო!“ კემწიფეს სამ-ტევან ჭ ბუკი მეეწონა ძალიან და უნდა მისცეს ქალი.

ახლა დაიწ რეს ჯორი. ახლა ამ ჭაბუკმა სად უნდა წაიყვანოს ქალი? სახლი არა აქ და კარი! წავიდა წინ მელია; მისდევენ მაყრები და სტუმრები. მელია გაუძღვა ხანს წინა; ერთ ალაგას გაიარეა და დიდი ცხორი აი. უთხრა მელიამ, რომე „სამ-ტევან ჭაბუკი მოდისო. კემწიფის ქალი მოაყავსო, რადმე აჩუქე თო, თორო დაგოცამთო!“ ადგა იმანაც და მესამედი ცხორი აჩუქეა. ახლა წავიდა და დიდი თაბუნი შახედა. იმასაც საჩუქვარი გამოსთხოვა: სამ-ტევანი ჭ ბუკი მოდისო. იმათაც მესამე დი აჩუქეს. წვიდა და ერთ ალაგას დიდი სასახლე იყო — დევებისა.

პირდაპირ მივიდა მელია იმ სასახლეში: უთხრა დევებს რო „ადექით, აიყარენით, თორო კემწიფის ქალი მოჰყავს სამ-ტევან ჭაბუკსა. თუ სახლი არ მიეცით, ფინთი საქმე მოგელითო!“ დევებმა თქვეს: „შორს არიან თუ ახლოსაო?“ „ვედარ ვაა! წრობთო, თივის ძირს დაიმაღენითო!“ (სტოგის ძირს, რაღა!) — უთხრა მელიამ. ადგენ დევები და სულ თივის ძირს შახედნ. იმანაც ცეცხლი შეუქიდა აქათ-იქათ სტოგს. დაიწვენ დევები სულ შიგა, თივის ძირსა.

დარჩ სასახლე სულ ტიალად (ოკრად). წავიდა მელია და წინ მოეგება სამ-ტევან ჭაბუკის ხალხსა. დარჩა ეს ამისთანა სასახლე მასკვლევიანი. „ახლა რაღას გვიანობთო? — მაყრებს უთხრა — ჩვენ მზ და ვართო!“ მივიდა ეს ჯარის ხალხი და შავიდენ ამ სასახლეში (კემწიფეზე ძრიალი სახლია, კაცო!)<sup>1</sup>. ერთი მასკულავი მოგლიჯა მელიამ და შეინახა თანა. შავიდენ და უკვირს ძალიან ამ სამ-ტევანა ჭაბუკს ეს ამისთანა სასახლე: იძახის ჭაბუკი, რო „ეს რა სქმეს შევეყარე! ახლა როდის ეს სახლის პტრონი დამივლებს ჯოხს კელსა და კარჩი გამამ-გდებს!“ — ამის ეშინია, იქით-აქათ იცქირება.

ახლა მაყრებმა სთქვეს: „იქით-აქათ რათ იცქირებო?“ — „ამას ერთი მასკვლავი აკლია, სახლსო, და მიტო იცქირებო! უთხრა მელიამ. გაუშო მ.სკვლევი და, საცა იყო, იქ დეეკრა.

ეს ქორწილი გათავდა. ახლა მელიამ ავათმყოფლობა მაიგონა და თავიც მოიძველანურა. აიღო ამ ბიჭმა და კუდით ზურგზე აიკიდა: უნდა გაიტანოს

<sup>1</sup> მე მომმართავს მთქმელი!

მელია და ტყავი გააძროს. „აი, შენ ღარიბოო! გამოგაცხადო; რაც კაცი ხარო!“ — მელიამ უთხრა. ბიჭი შაშინდა ძრიელ.

სხო დროს ც ბევრჯელ მოიგონ, მაგრამ ბიჭმა ყური არ უგდო. დარჩანის სასახლე სამ-ტევან ჰაბუკსა. მ ლია თავის სახლში წავიდა. ეგ არი!

ჩაწერილია ჩემ მიერ 11. VIII. 1922 წ. ზემომღეთეს. მთქმელი ადამ ბუთხუხი, 55 წლისა, ბარში ნავალი; წერა-კითხვა არ იცოდა.

ტექსტის ენა დამახასიათებელია მთიულურისათვის: არქაიზმების მხრივაც, ახალი მოვლენების ხვალსარისითაც და იმ მერყეობითაც, რომელიც ზოგ მოვლენას ახასიათებს.

გვევ ზღაპარი 1929 წ. ჩაწერილი-მაქვს ჭანჭურად სოფ. ტალვათის (ათინის რაიონი, თურქეთში) მცხოვრებ ალი კანთარ-ოღლისაგან აფხაზეთში (გამოქვეყნებულია; იხ. ავტორის „ჭანურის გრამატიკული ახალი ზი ტექსტებით“ ნაწ. II, ტფილ., 1936, გვ. 95—101; სათაური: „დერემენჯი დო თიღი“ — „მეწისქვილე და მელია“).

АРН. ЧИКОБАВА

## ОСОБЕННОСТИ МТИУЛЬСКОГО ГОВОРА

(РЕЗЮМЕ)

Мтиульский говор грузинского языка относится к группе горских говоров Восточной Грузии, каковы: хевсурский, тушский, пшавский и мохевский<sup>1</sup>. Мтиулы живут по верхнему течению р. Арагвы, в административном отношении образуя два сельсовета: Млетский и Пасанаурский.

Характерные особенности мтиульского говора, поскольку это выясняется из анализа записанных нами на месте текстов, сводятся к следующему:

В мтиульском сохранился звук *z*, употребляющийся в тех случаях, где его мы находим в древнегрузинском литературном языке: კევი *qevi* «ушелье», მუკლი *muqli* «колено», კელი *qeli* «рука» и т. д.

Пережиточно встречается тоническое ударение почти всегда на втором от конца слоге, создающее впечатление долгих гласных<sup>2</sup>.

Комплекс *za va* после согласных и в начале слова обычно дает *o*: კოლი *koli* — კვალი *kvali* «след», სხო *sxo* — სხვა *sxva* «другой», ცხორო *sxori* — ცხვარი *sxvari* «овца» и т. д.

<sup>1</sup> В статье А. Шанидзе «Грузинские горские говоры» (Сборн. научн. кружка студ. б. Петроград. Университ. Тифл. 1, 15—на груз. яз.) читатель может найти суммарный очерк этих говоров.

<sup>2</sup> См. статью автора: «Долгие гласные в мтиульском говоре»: Известия Тифл. Гос. Универ., т. IV (1924 г.) стр. 333—348 (на груз. яз.).

Комплексы  $mo\ ovi - mo\ oi$ : მოვდა moida — მოვიდა movida ან პრეფექსი, მენ მოიტანე men moiṭane — მენ მოვიტანე men moviṭane я принес...

Комплексы  $ova - oa$ : საძოვარი sazoari — საძოვარი sazovari «пастбище»...

Эти процессы обусловлены главным образом **балабиальностью** звука  $z\ v$ . По существу те же изменения связаны со звуком  $z\ v$  в гаре-кахетинском и ферейданском говорах груз. яз.<sup>1</sup>

Из морфологических явлений:

Сохранение (частичное)  $a\ j$  в именит. пад. при основах с исходом на гласный, частное усечение окончания именит. пад. При основах с исходом на согласный потеря  $s\ z$  в окончаниях родит. и дательного падежей: ბიკოვია biḱoḱaj, ბილიკია bilikaḱaj «тропинка», კარები ḱarebi «двери», წერილი ḱerili... ღორი პატრონს ḱoti patrons вместо ღორები ḱarebi, წერილი ḱerili... ღორი პატრონს ḱoti patrons вместо ღორის პატრონს «владельцу свиньи»... ერთ ქათამ (მოგოვან) eri katam (mogiḱvan) вместо ერთს ქათამს erts katams... «одну курицу принесу»...

Последог -თვბ -tvis представлен в виде -თვბ -tvis, -თვი -tvi, -თვბ -twin, -თვბიბ -tvisin.

Последог -მდე -mde встречается в виде -მდისიბ -mdisina.

С творительным падежом обычно употребляется последог -დამ -dam вместо обычного в ново-груз. лит. яз. -გან: ქალაქიდან ḱalaxidan «из города»...

Местоимение первого лица მე me представлено с детерминантом -ბა -ba (მე-ბა me-na я), сохранившимся в груз. яз. при втором лице შე-ბნ ḱe-na «ты», а также во множ. числе ჩვე-ბა ḱve-na «мы», თქვე-ბა ṭḱve-na «вы»...

В спряжении глагола сохранился пермансив («происшедшее обычное»): მოვდიობ movidiḱs on приходил обыкновенно (сюда), მოვიდიობ movidiḱan они приходили обыкновенно (туда); это время находит широкое применение в рассказах.

Частица -ჟე -ḱe (-ჟე -ḱe гаре-кахეტ. и ферейданского говоров) сохранилась в виде пережитков, но лишена присущей ей морфологической функции.

В качестве субъективного префикса второго лица и объективного префикса третьего лица выступает префикс  $a\ j$  с оттенком аспирации (равно как  $z\ h$ ), а также  $s\ z$ ; в применении этих префиксов наблюдаются колебания: то объект в дат. падеже остается необозначенным в глаголе, в другом случае при объекте в именительном падеже в глаголе появляется пре-

<sup>1</sup> См. автора: «Гаре-Кახетია ვ დიალექტოლოგიკურ თქოქიში» ვ სბორ. არილი, პოსვილი. პროფ. ი. ა. დჯავახიშვილი, ტიფლ. 1925, სტრ. 63—65 (ნა გრუზ. ია.), «ოსოვნური თქოქიში ფერიდაიანური გოვორი გრუზ. ია.», იზვესტია ტიფლ. გოსუდ. უნივერსიტ. VII (1927) სტრ. 208—210 (ნა გრუზ. ია.).

წიქს; перед некоторыми согласными (наприм. Ⴓ Ⴑ, Ⴎ Ⴑ...) префикс не встречается.

В прошедшем заглажном втором двухличных непереходных глаголы используют вспомогательный глагол -ოულ -იღო вместо суффикса -ო-ღ- -ო-ძ-: ბრძმებოულ წყალი ndomebiღო ცგალი вместо: ბრძმებოლა წყალი ndomeboda ცგალი «оказывается, ей хотелось воды».

Архаичны синтаксические конструкции в роде: იმათა უთქომ imata utkom вместо: იმათა უთქომთ imata utkont «оказывается, они сказали», ძროხანი მუკვანხ ზოხანი mqvana «у меня имеются коровы»...

Характерны случаи употребления повествовательного падежа при непереходных глаголах: წავიდა ქალმა და უთხრა მამას cavidā kalina da utxra mamas, «женщина пошла и сказала отцу».

Чаще всего это наблюдается в слитных предложениях, где при одном подлежащем два сказуемых, из которых одно выражено непереходным глаголом, а другое — переходным.

И в структуре и в лексике мтиульского говора сохранились архаизмы, (засвидетельствованные еще в древнегруз. лит. яз.), хотя и не в такой мере, как в хевсурском или тушском говорах: на мтиульском говоре сильнее сказывается влияние картлийского говора.

Генетически мтиульский говор скорее увязывается с кахетинским говором (чем карталинским); Впрочем этот вопрос требует исследования.

ARN. შიკოვაია

## PARTICULARITÉS DU PARLER MTHIOUL

### (RÉSUMÉ)

Le parler mthioul de la langue géorgienne appartient au groupe des parlers montagnards de la Géorgie Orientale; ce sont les parlers khevsourien, touche, pchave et mokhève<sup>1</sup>.

Les Mthioul habitent un pays en amont de l'Aragva et forment deux unités administratives: les soviets des village de Mlete et de Passanaour.

Ainsi qu'on le voit d'après l'analyse des textes recueillis par l'auteur dans le pays même, les particularités caractéristiques du parler mthioul aboutissent à ceci:

Le parler mthioul a conservé le son Ⴓ q, employé dans les cas, on nous le retrouvons dans l'ancienne langue géorgienne littéraire: კვი qevi «défilé»,

<sup>1</sup> Le lecteur retrouvera le résumé de ces parlers dans l'article: «Parlers géorgiens montagnards» par A. Chanidzé (Recueil, du Cercle Scientifique des étudiants géorgiens de l'Univ. de Pétersbourg, Tbilissi 1945—en géorgien).

მუკლი muqli «genou», კელი qeli «main» etc. On y rencontre presque toujours les restes de l'accent tonique, ce qui donne l'impression des voyelles longues<sup>1</sup>.

Le complexe ვა—va après les consonnes et au commencement des mots donne habituellement le son ო—o: კოლი—koli — კვალი—kvali «trace», სხო—sxo — სხვა—sxva «autre», ცხორი—cxori — ცხვარი—cxvari «brebis», etc...

Le complexe ოვი—ovi — ოი—oi: მოიდა—moida — მოვიდა—movida «il vint», მენ მოიანე—men moițane — მენ მოვიტანე—men movițane «j'apportai».

Le complexe ოვა—ova — ოა—oa: საძოარი—sazoari — საძოვარი—sazovari «pâturage». Les procès mentionnés ci-dessus s'expliquent surtout par la bilabialité du son ვ v.

Le son ვ v subit les mêmes changements dans les parlers garé-kakhetien et féreydane de la langue géorgienne<sup>2</sup>.

Phénomènes morphologiques: Conservation partielle de l'ა j au nominatif dans les thèmes aux terminaisons voyelles.

Emploi fréquent des terminaisons tronquées au nominatif dans les thèmes, terminés par une consonne, disparition de l'ს s dans les terminaisons au génitif et au datif: ნიკოაჲ nikoraj, ბილიაჲ bilikaj... კარებ kareb «portes», წერილ ცერილ «lettre», au lieu de კარები karebi, წერილი ცერილი... ღორი პატრონს ჯორი patrōns au lieu de ღორის პატრონს «au propriétaire du porc»... ერთ ქათამ (მოგიყვან) ert katam (mogiqvan) au lieu de ერთს ქათამს... erts katams « ne poule j'apporterai».

La postposition -თვის -tvis est représentée comme -თვის -tvis, -თვი -tvi, -თვინ -tvin, -თისინ -tvisin.

La postposition -მდე -mde se rencontre comme -მდისინ -mdisin.

On emploie habituellement la postposition -დამ -dam avec le cas instrumental au lieu du -გან -gan, usité dans la langue géorgienne moderne: ქალაქი კალადამ kalakidam «de la ville»...

Le pronom de la I-re personne მე me avec le déterminant -ნა -na, მე-ნა me-na «moi, je», conservé dans la langue géorgienne à la 2-me personne შე-ნა she-na «toi, tu», ainsi qu'au pluriel ჩვენა čve-na «nous», თქვენა tkvena «vous».

La conjugaison du verbe a conservé le permansif («passé d'habitude»): მოვიდის მოვიდის «il venait (ici) habituellement», მოვიდებან მოვიბიან «ils venaient (ici) habituellement»; ce temps est employé bien fréquemment dans les narrations.

<sup>1</sup> Voir l'article de l'auteur: «Voyelles longues dans le parler mthioul». Bulletin de l'Université de Tbilissi, vol. IV (1924) p. 333—348 (en géorgien).

<sup>2</sup> Voir: «La Garé-Kakhetie sous le rapport de la dialectologie» par l'auteur. Recueil «Arili», dédié au professeur I. A. Djavakhičvili, Tbilissi 1925, page 63—65 (en géorgien). «Particularités essentielles du parler féreydane de la langue géorgienne»: Bulletin de l'Université de Tbilissi vol. VI, page 208—210 (en géorgien).

La particule -კე -ke (-ყე -qe des parlers gare-kakhétiens et féreydane) n'a été conservée que comme un resté privé de sa propre fonction morphologique. En qualité du préfixe subjectif de la 2-me personne et du préfixe objectif de la 3-me personne apparaît le préfixe ა j légèrement aspiré (ainsi que ჰ h) et ს s; on observe une certaine instabilité dans l'application de ces préfixes: ou l'objet au datif n'est pas indiqué dans le verbe, ou le préfixe se retrouve dans le verbe, dont l'objet est au nominatif, ou, enfin, il n'y a point de préfixe devant certaines consonnes (par exemple: რ—r, ნ—n...).

Au second passé inversif les verbes bipersonnels intransitifs s'emploient avec l'auxiliaire -ყო -iqo qui remplace le suffixe -ო-დ-, -o-d-: ნდომებიყო წყალი ndomebigo eqali au lieu de: ნდომებოდა წყალი ndomeboda eqali «il paraît qu'elle voulait de l'eau».

Les constructions syntactique, comme იმათა უთქომ—imata utkom au lieu de იმათა უთქომთ—imata utkomt «il paraît qu'ils avaient dit», ძროხანი მყვანან—ძროხანი მყვანან «il y a des vaches chez moi», «j'ai des vaches»—sont archaïques.

Les cas de l'emploi du narratif avec les verbes intransitifs sont caractéristiques: წავიდა ქალმა და უთხრა მამას—cavida kalma da utxra mamas—«la femme alla et dit au père». L'emploi le plus fréquent de cette construction se rencontre dans les propositions, dans lesquelles deux prédicats (verbes) sont attribués à un seul sujet. En ce cas, l'un d'eux est exprimé par un verbe intransitif et l'autre par un verbe transitif. Dans la structure, ainsi que dans le lexique du parler mithioul les archaïsmes ont été conservés dont l'ancien géorgien littéraire atteste l'existence, bien que ces archaïsmes n'y soient pas aussi nombreux que dans les parlers khévourien et touche: l'influence du parler kartalien ayant agi plus fortement sur le parler mithioul.

Sous le rapport génétique le parler mithioul tient plutôt du parler kakhétien que du parler kartlien.

Du reste, cette question doit être encore approfondie par des études supplémentaires.

## ქართული ენის მთარაგული

### დიალექტის ძირითადი თავისებურებანი

1. რაჭულის შესწავლის ისტორიისათვის. რაჭა დიალექტოლოგიური თვალსაზრისით შეუსწავლელია. მთელი რიგი გარეგნული ნიშნების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ უაღრესად საგულისხმო ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული რაიონის მეტყველება დიდ ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს საზოგადოდ ქართველთმეტყველებისათვის. და მართლაც: რაჭა სიგრძეზეა გაჭიმული მდ. რიონის ნაპირებზე და მას გეოგრაფიის ამ სპეციფიკის წყალობით რამდენიმე ეთნიურ ერთეულთან აქვს შეხვედრის წერტილები. თავისი უკიდურესი ზემო ნაწილით იგი ემეზობლება სვანეთს, ოსეთს, ყარაჩას, მალყარეთს და ჩერქეზეთს, ხოლო ქვემო არით—ლეჩხუმს, ზემომერეთს და ქართლს. მეორეს მხრივ, საქართველოს ისტორიიდან ვიცით, რომ რაჭის საერისთაო დიდ როლს ასრულებდა საზოგადოდ ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ისტორიაში.

დიალექტოლოგიური მასალები რაჭულის შესასწავლად თითქმის არ მოგვეპოება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქართულ ყურნალ-ვახეთებში გაბნეულ რაჭულ ზეპირსიტყვაობითს ნიმუშებს, როგორც დიალექტოლოგი ნაკლებად თუ ენდობა, როგორც ხალხური შემოქმედების არა-ენათმეცნიერული ინტერესით შეგროვილ ფაქტებს...

ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით ყურადღების ღირსია სხვადასხვა გამოკლევა რაჭის ეთნოგრაფიიდან, ეკონომიკიდან, ბოტანიკიდან, გეოლოგიიდან<sup>1</sup> და სხვ. ასე მაგალითად, ნ. შინდელის ნარკვევში Селение Сори (Рачинского уезда, Кутаисской губернии)—ცალკეა გამოყოფილი თავი—„ენა“, სადაც აღნიშნულია, რომ რაჭულს ასეთი თავისებურებები მოეპოება: „ქვე“, „ჭი“, „ყე“, „იმი“, „უნა“, „უკა“<sup>2</sup>. ამ წერილში გაფანტულ ლექსიკურ მასალების საფუძველზე პროფესორი Н. Schuchardt-ი შენიშნავს, რომ რაჭულს შემოუნახავს არქაიზმები, რაც სხვა რაიონებში გვხვდებაო (ნ. Zur Geographie u. Statistik der kharthwelischen [südkaukasischen] Sprachen, გვ. 87). [მთა]რაჭული ლექსიკური მასალები წარმოდგენილია ს. მაკალათიას წიგნშიც: „მთის-რაჭა“ (1930. ტფილ.). ხოლო ვუკოლ ბერიძის «სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, Грузияский (картский) глоссарий по имерскому и рачинско-

<sup>1</sup> ნ. პროფ. ალ. ჯანელიძის ნაშრომები (მაგ., „გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარკვი“ და სხვ.).

<sup>2</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, I/XI 1894.

му говорам» (МЯЯ. VI). პირველი დიალექტოლოგიური ნაშრომია, სადაც წარმოგვიდგა სპეციალურ-ენათმეცნიერული ინტერესით შეგროვილი მასალები [ზემო] რაჭის ლექსიკიდან. რაჭული ტერმინები შესულია, აგრეთვე, რაფ. ერისთავის ლექსიკონში: „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონები მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“ (1884) და ი. ჭყონიას წიგნში: „სიტყვ-ს კონა ს. ს. ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. Грузинский глоссарий...“ (МЯЯ. I 1910). რაჭული ფორმები დაწმენულია არსენ რიანიანის ნაშრომშიც: „მეცადრე ი ბალხარე ყახნლე ხორავ. Сборник сванских названий деревьев и растений (на лашхском наречии)“ (МЯЯ. VIII, 1917). ა. შანიძის გამოკვლევაში: „S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> ქართულ ზმნებში“ (1920) ლაპარაკია „რაჭული კილოს“ შ სახებ ღებ-ლოლის ნეტყველების მიხედვით, S<sub>2</sub>-O<sub>3</sub>-ის თვალსაზრისით<sup>1</sup>. ორიოდ რაჭული ტერმინი გნხილულია ლევ. ბაშინჯადიანის შენიშვნებში: К функциональной семантике (по материалам из поездок в Грузию летом 1927 г.) ДАН. 1928 № 7. რაჭულში დადასტურებული -ყ ნაწილაკი განხილულია R. Erckert-ის წიგნში: Die Sprachen des Kaukasischen Stammes (1895), H. Schuchardt-ის სპეციალურ გამოკვლევაში: Georgisches qe. Melanges Charles de Harlez (1927), არნ. ჩიქობავას შრომაში: „-ყ ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრაბატ-კა-ლოგიკ ს ურთიერთობის თვალსაზრისით“ (წელიწდეული, 1—2, 1923—1924). სათანადო ფაქტები [მთარაჭულიდან] დამოწმებულია, აგრეთვე, ჩემს შენიშვნებში: «О плюральном вербальном объекте и грузинском» (კრებულში: „Академия Наук СССР акад. Н. Я. Марру“, 1935). რაჭული დიალექტი წარმოადგენილია ორი ერთეულის სახით ჩემს დისერტაციაში: «Опыт классификации диалектов грузинского языка» (ლენინგრადი, 1935).

2. მთარაჭულის საზოგადო დახასიათება. როგორც ცნობილია, რაჭა სამ გეოგრაფიულ ოაიონად იყოფა: ქვემო რაჭა, ზემო რაჭა, მთარაჭა<sup>2</sup>. მთარაჭა შედგება სამი სოფლისაგან: გლოლა, ღები და ჭიორა, ღები და ჭიორა თითქმის ეკვირან ერთმანეთს, რამდენიმე-ღა კილომეტრით არიან ერთმანეთისაგან დაშორებული, ხოლო გლოლა ღებ-ჭიორას ოციოდე კილომეტრით ჰშორავს. ეს სამი სოფელი გამოიყურება, როგორც კავკასიონ ს კალთებში შერჩენილი რელიქტები რაჭული ეთნიურა ერთეულისა, — და ყოფის რეალიებით, ეთნოგრაფიით, ფოლკლორით — იგი თავისებურ წრეს ქმნის, განსხვავებულს ჩამოღმა რაჭის სინამდვილ-საგან. ისტორიულ-აქეოლოგიური და ენათმეცნიერული (ტოპონიმიკური) საბუთებით ირკვევა, რომ მთარაჭის ტერიტორია ოდესღაც სვანებს ეჭირათ და გარკვეული ხანიდან იგი რაჭელებმა დაიჭიოეს. აღსანიშნავია რომ მთარაჭელები თავისთავს „მთიულღბს“ უწოდებენ, ხოლო „რაჭელებად“ მხოლოდ ჩამოღმა რაჭის მკვიდრთ იხსენიებენ.

<sup>1</sup> პროფ. ა. შანიძე მთარაჭულზე მუშაობდა 1916 წ. სამწუხაროდ, პატივც. პროფესორის მიერ შეგროვილი მასალა ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის (ამ მასალიდან ხშირად სარგებლობდა აკად. მ. შარი).

<sup>2</sup> უმთავრესად უწოდებენ „მთის რაჭა“-ს, მაგრამ მიზანშეწონილად მიმაჩნია დავადგინოთ „მთარაჭა“, აქედან: „მთარაჭული“.

რაჭული მეტყველების შინაგანი კლასიფიკაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგინდეს, როდესაც მთელი სიგრძე-სიგანით იქნება შესწავლილი მთელი რაჭის ნობრივი თავის ბუნებანი. ჯერჯერობით კი მარტოოდენ მთარაქის მეტყველებას ვიცნობთ. ასეთუისე და აქედან „რაჭული კილოს“ საბოლოო დიალექტოლოგიური „ნათლისღება“ უთუოდ ნაადრევია. მაგრამ ჩამოღმა რაჭის წინასწარი შესწავლით მიღებული შთაბეჭდილება ასეთი და შევებისა და ვარაუდის უფლებას გვაძლევს, რომ მთარაქა ენობრივადაც განსხვავებულ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს. ხოლო მთარაქველებისა და მათ ტომობრივ თანამომქეთა ენობრივი თანამიმართების დაწვრილებითი ანალიზი და, საზოგადოდ, რაჭული ეთნიური ერთეულის მეტყველების დიალექტოლოგიური კვალიფიკაცია მომავლის საქმეა. ასე ამგვარად, მთარაქის ენობრივ თავისებურებათა კომპლექსს მე „მთარაქულს“ ვუწოდებ და იგი შედის ქართულ დიალექტოლოგიაში, როგორც თავისთავადი დიალექტური ერთეული. მთარაქულის საპირისპიროდ ზემო-და ქვემორაქის ენობრივ კონტინგენტს ვიხსენიებ „ქვემორაქულს“ სახელით, უაღრესად პირობითად (შდ. ჩემი Опыт классификации...)<sup>1</sup>.

მთარაქული აღმოსავლეთ საქართველოს კილოების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. ყველაზე მეტი შეხვედრის წერტილები მას „მთის კილოებთან“ აქვს. ჩვენ ვიცით, რომ ამ უქანასკნელი დიალექტური ჯგუფის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი—არქაიზმია და მთარაქულიც ქართული „არქაული დიალექტის“ მშვენიერ ნიმუშს იძლევა.

აი საერთო ფორმები, რომელნიც სისტემებრ მთარაქულსა და „მთის კილოებს“ შემოუნახავთ<sup>2</sup>: 1. სახელობითი ი-ს ჩამოცლა, 2. სახელობითის ა [- ი]-ს გადაყოლა მიცემითის წარმოებისას, 3. Locativus exterior-ის გაფორმება ხანით, 4. დაწყებითი ბრუნვის წარმოება -ით ფორმანტით (|| Nomen + Locativus-ში + Ablat.-ით), 5. კნინობითის ა, 6. ოცობითი თელის სისტემა, 7. გვართა წარმოება -იან || -იონ სუფიქსით, 8. Pl"-ის საკმაო გავრცელებულობა (თავისი ირიბი ფორმებით), 9. ნართაული -ავ, -ამ, ელემენტების ნაცვლად -ევ, -ემ ელემენტების გამოყენება, 10. პერმანსივი, 11. ნამყოფწყვეტელში და ნ. წყვეტილში 3 პ. მრავლ. -ეს, -ენ-ის ნაცვლად, 12. მხოლობითში მრავლობითის 1 და 2 პირიდან ი-ს „გადმოუსვლელობა“, 13. მსაზღვრელ-სასაზღვრის შეთანხმება ბრუნვაში, 14. სახელების შეთანხმება მრავლ. რიცხვში, 15. გრამატიკული ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა სათანადო ნაშნით ზმნაში, 16. კითხვის ა ნიშანი, 17. -მცა და ქვე ნაწილაკები, 18. მთელი რიგი პარალელი ფორმები ლექსიკაში.

სხვა არქაულ ფორმათაგან, რომელნიც მთარაქულს დაუცავს და მეორეს მხრივ არა მარტოდენ „მთის კილოებს“ შემოუნახავთ, არამედ ზოგიერთ ბა-

<sup>1</sup> ჯერ კიდევ 1920 წ. ა. კ. შანიძეს აქვს შენიშნული, რომ ლებ-გლოლის მეტყველებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს ჩანს იქიდან, რომ ავტორი ლებ-გლოლის დიალექტს რაჭული კილოს კილოკავად მოიხსენიებს (ნ. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, გვ. 179).

<sup>2</sup> მე აქ გვერდს ვუვლი ფერეიდნულსა და ინგილოურს, სადაც დიალექტური თავისებურებანი სხვა ფაქტორებითაც არის გაზრდილი. თუმცა-ღა გათვალისწინებული არქაული ფორმები ამ ერთეულებშიც მეორდება.

რის კილოსაც ახასიათებს, აღსანიშნავია შემდეგი: 1. ჯ, 2. ბოლოხმოვნთან სახელების გაფორმება სახელობითში, 3. ბოლოხმოვნთან სახელების გაფორმება ნათესაობითში, 4. ბოლოხმოვნთან სახელების გაფორმება მოქმედებითში, 5. ემფატიკური ა(—ამას ამით...), 6. თანდებულთაგან ისდა—იზდა; 7. —ყენ| ნაწილაკი და სხვ.

სხვა დიალექტურ მოვლენათაგან აღმოსავლეთ. საქართველოს ბარის კილოებთან მთარაჭულს აკავშირებს შემდეგი მოვლენებიც: 1. სთ-სწ-სტ კომპლექტების გამარტივება (ქართლური, —მესხური), 2. თანდებულები: -მდინ, მდინ, -თვინ, 3.  $S_2-O_2$ -ის სისტემა<sup>1</sup>, 4. ვი მარცვალის დართვა ე-ბოლოკიდურიან ზმნებზე 1 და 2 პ. პ. (ქართლ., მესხ.), 5. 3 სერიაში ნ ელემენტის გამოყენება, 6. მიცემითდამატებიანი ბრუნვის ნიშნის შეკვეცა (ქართლ.).

„დასავლურ კილოებთან“ მთარაჭულს შემდეგი საერთო ფორმები გააჩნია: 1. ჰრევერების ასიმილაცია-დისიმილაციის ასეთი ტიპები; მიე (—მეე—მო+ე); გაღე (—გაღე—გადეე—გადა+ე); გიე (—გეე—გა+ე); გამიე (—გამეე—გამო+ე) etc. (გურულ-აჭარულ-იმერული), 2. მიმართულებითის წარმოება სისტემებზე არქაული ებ (—ებრ) ფორმანტით (გურ. —აჭარ.—იმერხ.), 3. თანდებული იზდა—იზა, 4. განყენებულობის სუფიქსის —ობა ფართო გამოყენება (აჭარ. იმერხ.), 5. ორმაგი მრავლობითობის ფართო გამოყენება, 6. ბოლოხმოვნთან სახელების გაფორმება მრავლ. (აჭარ.) და სხვ.

ცალკეულ მოვლენათაგან რა ნიშნებია მთარაჭულისათვის სპეციფიკური? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სათანადოდ შევისწავლით სხვა ქართულ კილოებს და ქართული ენის ისტორიის ძირითადი მოვლენებიც გათვალისწინებული გვიქნება. მაშასადავე, ამჟამად უნდა აღინუსხოს ის ფორმები, რომელნიც ჯერჯერობით სხვა დიალექტურ რაიონში არ არის დადასტურებული. ამ მხრივ აღსანიშნავია: 1. ჯ-ს ტიპური აკუსტიკური ბუნება, 2. ღრმა ანუ უქანაენისმიერი ლ, 3. კნინობითის სუფიქსების —უნა, —უკა ფართო გამოყენება, 4. საგვარეულო სახელების საწარმოებლად —ეთ სუფიქსის ფართო გამოყენება, 5. ორმაგი მრავლობითის ასეთი ტიპი: —ებ+ნ, 6. „მოდიხოდი“, 7. მეორე თურმეობითის გადმოცემა მესამე კავშირებითის ფორმებით: —ოს, —ეს || —ონ, ენ სისტემებზე, 8. —ჭი ნაწილაკი, 9. ლექსიკური თავისებურებანი, 10. ჩრდ. კავკასიის ენათა ელემენტები ლექსიკაში. 11. ისმის საკითხი მთარაჭულ-სვანურის ურთიერთობის შესახებ. ჯერჯერობით მივუთითებთ კნინობითისა და მეორე თურმეობითის წარმოებაზე.

ლექსიკის დარგში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ოსური, ჩერქეზული და მალყარულ-ყაბარდოული ელემენტები მთარაჭულში. ისეთი ზმნა, როგორცაა „მობა“ ნახსენებია ოსურიდან („ნახშობა“) <sup>2</sup> და ამ სიტყვას თითქმის სრულიად განუდევნია სიტყვახმარებიდან ქართული ექვივალენტი. ნ.მეტურ დიღია გავლენა ადამიანთა სახელებში, როგორც ოსურიდან, ისე ჩერქეზულ-მალყ-ყაბარდოულიდან. ეს ფაქტი უმთავრესად ფოლკლორულ მონაცემებში

<sup>1</sup> თუ მითითებული არ არის დიალექტური წყარო, ეს იმას ნიშნავს, რომ სათანადო შოვლენა აღმ. საქ. ყველა ბარის კილოს ახასიათებს.

<sup>2</sup> შღრ. ოს. ნჯხაშ.

პოულობს თავის გამოხატულებას. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ მთარაქული ფოლკლორი მჭიდრო კავშირშია ზე ეთნიურ ერთეულთა ფოლკლორთან. მაგრამ ამ საკითხის კვლევა არ შედის ჩემს მიზანში<sup>1</sup>.

აქვე შევნიშნავ, რომ მთარაქულში არის შინაგანი მცირეოდენი განსხვავებაც: ერთი მხრით დგას გლოლური და მეორე მხრით ღებურ-ჭიორული. გლოლური უფრო მკვეთრად ამჟღავნებს ძველი ქართულის კანონზომიერებას გრამატიკის სხვადასხვა დარგში. გარდა ამისა, გლოლურს არ ახასიათებს სთ-სწ-სტ კომპლექსების გამარტივება, შესიტყვებაში თანხმოვნითი ელემენტების (ს) შეკვეცა და -ყენ, -ჭი ნაწილაკები; სამაგიეროდ ღებურ-ჭიორულს არ ახასიათებს ლ-ს უკანაენისმიერობა.

გადავიდეთ მთარაქულის ძირითად თავისებურებათა კონკრეტულ ანალიზზე.

## ფ ო ნ ე ტ ი კ ა

### A. ბგერითი შედგენილობა

ა) ა. ნახევარხმოვანი ა ქართული კილოების საზოგადო დამახასიათებელი ნიშანია, მაგრამ მთარაქული მინც უნიკუმს უნდა წარმოადგენდეს ამ მხრივ. არცერთ კილოში არ აღიქმის მკაჟიოდ ა; ხშირად გვიძინდება გამოვარკვიოთ—იოტია თუ სრულხმოვანი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც პროზაულ მეტყველებასთან გვაქვს საქმე (პოეზიაში — რიტმის საჭიროებისდა მიხედვით— ხან ა-ა, ხან ი). მთარაქულს კი შემოუნახავს ამ ბგერის ტიპიური აკუსტიკური ბუნება: ა-ს წარმოთქმა ტიპიურია, მასასადამე—ისეთი, როგორიც არ გვსმენია არცერთ ქართულ კილოკავში.

### ნ ი მ უ შ ე ბ ი :

[პროზაული]: ა) სა ხ ე ლ. ბ რ.: ...და ჰყავდეს ცხრა-ა შვილი—ოთხი ბოში და ხუთი ვაჟა-ა; ამ ქალსა მამა-ა გარეთ არ ახვერდიებდა;—წინა წლებში ჰქვე დადიოდეს ჩამომავლობა-ა;—ფინთი იშტორია-ა წაენახშა;—მელა-ა ქედისკენ გაეშურა ცუნ-ცულით და წავიდა;—ეს რომ გაიზარდა, ხვთისავარა-ა, დაიწყო ნადირობა;—ბასილა-ა სად გაერთო.

ბ) მ ი ც ე მ. ბ რ.: უთხრა ბებია-ა-ს ვაჟამა, —უთხრა ხვთისავარა-ა-ს; —მელია-ა-ს თავი მოეწონა;—რა-ა-ს ითხოვს საჩუქარა.

გ) ნ ა თ ე ს. ბ რ.: ვაჟა-ა-ს რაში;—ეძებენ ამ ვაჟა-ა-ს ქალსა;—წიქარა-ა-ს დაკვლა მინდაო;—ჯერ რა-ა-ს დრო-ა-ს შინ წასვლაო;—ხვთისავარა-ა-ს ცოლი.

დ) მ ო კ მ. ბ რ.: დილა-ათ მიასწროო;—სალამო-ათ დაიძინებდა;—რა-ათ-აც მამე-მსახურები.

ე) დ ი ფ თ ო ნ გ ი: აა: დაბატიყეს ეთერი;—გირგოლა რა დაფიცავს ხატზედა;—ვაამე წუთისოფელიო;—წაყვანა და გასწია.

<sup>1</sup> მთარაქული ლექსიკა დაწვრილებით ნ. ლ ე ქ ს ი კ ო ნ შ ი (მზადაა დასაბეჭდად). მოსახლერე ენების ელემენტები სავანებოდ წარმოდგენილი მაქვს სპეციალურ მიმოხილვაში: „ოსურ-მალყარულ-ყაბარდოულ-ჩერქეზული ელემენტები მთარაქულის ლექსიკაში“ (მზადდება დასაბეჭდად).

## [პოეტური:]

- ა) თონეში კაბა-ა ჩავდევი, შეშაც ვერ მომიგონია.
- ბ) ღვინომ რა-ა გვიქნა სადმელისამა, ხორცმა რა-ა გვიქნა ღურშოვისამა.
- გ) ახამ ნეფეს და-ა მოვტაცეთ, მანე მოვინმარეთ ხელი.
- დ) ბერო კაცო, ნუ შევიბით, გული რასმე მიეჭვება, დედიჩემის დაბარება ყველა-ა რასმე მენიშნება.

ბ) ფ განსაკუთრებულ შემთხვევებში-ლა გვხვდება.

ნიმუშები:

ფასტაგორი<sup>1</sup>, ფაიტონი, ხფითს.

ც) ღრმა ანუ უკანაენისმიერი ლ.

ნიმუშები:

დილა, საგზალი, ცოლი. ბარკალი, ქალი, ვაშლი<sup>2</sup>.

## B ასიმილაცია-დისიმილაცია

ძირითადად დამახასიათებელია ხმოვანთა ერთი გარკვეული სახის ასიმილაცია. განსაკუთრებულ ძალას იჩენს ე. როცა პრევერბი (გა-, წა- etc.) ერთვის ე- თავიიდურთან ფუძეს, ეს უკანასკნელი იმსგავსებს პრევერბისეულ ხმოვანს, ასე ამგვარად, საქმე გვაქვს რეგრესულ ასიმილაციასთან. ვიღებთ ფორმულებს: და+ე=დეე, გა+ე=გეე etc.

ნიმუშები:

- ა) და+ე=დეე: დეეწერა, დეეყარა, დეეთანხმა, დეეკითხეს, დეეკლანა, დეეკარგნეს, დეეპარნეს, დეეყრა.
- ბ) გა+ე=გეე: გეეხარა, გეეპარნეს, გეეცინოს, გეეთამაშა, გეეზირა, გეელანძღოს.
- გ) წა+ე=წეე: წეეხლანუნა, წეენახშა, წეებიძგა, წეეყრა, წეეთამაშა, წეეცეკვა.
- დ) მო+ე=მეე: მეემატა, მეეცალეო, მეეწია, მეერთვას, მეეზმარება.
- ე) გადა+ე=გადეე: გადეევივნეს, გადეესროლა, გადეებოტა, გადეერტყა.

ამ ფორმის განვითარების შემდეგი საფეხური ხასიათდება დისიმილაციით: ა+ე=ეეე-იე. ასეთი წარმოება შედარებით ნაკლებგავრცელებულია.

ნიმუშები:

- ა) მო+ე=მეე-მეე: მიეწყინა, მიეცალა.
- ბ) გადა+ე=გადეე-გადეე: გადეეგდო, გადეეტანა.
- გ) გა+ე=გეე-გეე: გეეკეთებია, გეელანძღა.
- დ) გამო+ე=გამეე-გამეე: გამეეკიდნეს, გამეეტანა.

<sup>1</sup> ტოპონიმიკური ტერმინია.

<sup>2</sup> ჩემს დისერტაციაში (Опыт классификации диалектов грузинского языка, 1935. Ленинград) სათანადო „ლ“ ასე მქონდა გამოხატული: „დილა, ქალი...“, პროფ. ა. შანიძე თავის რეცენზიაში სამართლიანად მიმოიხიბებდა, რომ ამ შემთხვევებში გაორმაგებული „ლ“ კი არ უნდა ვიგულოვოთ (როგორც ეს მე მქონდა წარმოდგენილი), არამედ ღრმა ანუ უკანაენისმიერი „ლ“. განსაკუთრებული ნიშნის უქონლობის გამო იგი აქ შავად არის დაბეჭდილი: „დილა, ქალი“...

## C. ბგერის დაკარგვა

a) მ, რ, ლ ბგერების მოკვეცა.

ნიმუშები:

- ა) ტერი, შვილდისარი, წყერი, ხრები, ტრედი, ძორი, გელი, ზეთუნახავი, ხეცი.
- ბ) ბილი, ბძანდები, იხდება.
- გ) კდე.

b) სთ—სწ—სტ კომპლექსების გამარტივება.

ნიმუშები:

- ა) მეჯოგთან, მამიდათან, ტყთან, სათანაითან, მითანე, ამითანე.
- ბ) წავლა, შეიწავლა, წორა, ჩამოგვეწრა, გადააწრო, მოაწრო.
- გ) ბოტანი, მებოტნე, ტუმარი, ეტუმრა, ქრიტე.

შენიშვნა: 1. დაკარგვის ბედს იზიარებენ აგრეთვე: ა) მიმლეობის, მანი, ბ) -კენ თანდებულის ბოლოკიდური, გ) მითიტიბითი ნაცვალსახელების თანხმ. ელემენტი, დ) შუალობითი გზის მაწარმოებელი— „ინ“, ე) მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვების ხანი შესიტყვებაში (იხ. „მორფოლოგია“ და „სინტაქსი“).

2. ხ პუნქტში გათვალისწინებული მოვლენა ახასიათებს ლებურ-ჭიორულს; გლოლურში იგი არ გვხვდება.

## D. ბგერის ჩამატება

ნიმუშები:

ჯამჯავრდა, მჯავრი, ყმარწვილი, ნიქვითი.

## E. სუბსტიტუცია

ვალასტურებთ—როგორც თანხმოვნებში, ისევე ხმოვნებში (ოვა—უა, ვა—ო, ვე—ო, ო—ვა).

ნიმუშები:

- ა) მარსკვლავი, უღმაში, ბრავალი, ფხარი, დღესასტაული, ავანტყოფი [—ავამტყოფი—ავამყოფი. — ავამყოფი — ავადმყოფი].
- ბ) თს—ც: ღმერც, მასლააც.
- გ) ოვა—უა: გაათხუა, ეთხუა, დაგვიტუა, აწუა.
- დ) ვა—ო: სომს, სნომის [|| სხუმის].
- ე) ვე—ო: გველოშაბი, ყორიფელი [—ყოლიფერი—ყველაფერი], ქოყანა.
- ვ) ვე—ო: კიღო.
- ზ) ო—ვა: თვარემ, მარტვა.

შენიშვნა:—„მდის“ თანდებულის ბოლოკიდური ნარად იცვლება (იხ. „მორფოლ.“).

## მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა

## A. ბ რ უ ნ ე ბ ა

a) როგორც პროზაულ მეტყველებაში, ისევე ნამეტურ პოეტურ მეტყველებაში სახელები (უმთავრესად კერძო სახ.) სახელობითში და მოთხრობითში სუფთა ტყუილად გვხვდება ხშირად.

## ნიმუშები:

- ა) ხ. სახ.: ქალ წამართვით, ხომო? ამაღლობას მაშინ მოვიდა, სადაც სახში იყო დასატიქებულ; არაბ ვერ გაჰყვა კვალზედა, ბარკალ ვერ შეუდევრ.  
 ბ) კ. სახ.: დაარქვა ზურაბ; დაათვრეს ბეჟან; ადგა ბეჟან და წარმოვიდა; მიდგა ბეჟან დევსა კარსა; აწ ამირან წაეგება; ავთანდილ სამძღვარს გადასცდა; აღმასი იყო ავთანდილ; ავთანდილ ეუბნება; წამოდგა ავთანდილ და გაუშვა ბაწარი; აწე ტარიელ წაეიდა ამ ბაწარზედა; ბეჟან ესროლა ისარი და ტახი იქვე წააქცია; ამირან დაშთილა ვირი; გადინადირნა ავთანდილ; ითხოვა ქალი... სად ამირან წიხლი ჩაჰკრა... ფირან წიგნი წაიკითხა, ითამაშა დანახედა; ფირან ცხენი გაახტუნა, ახა კვიცი გამართულა; ზურაბ მერჯება ხელსაო.

b) სახელობითი. ზოგჯერ ბოლოხმოვნიან სახელებს ერთვის სახელობითის ნიშანი ა(-ი), როგორც წესი და რიგია, ძველი ნორმების მიხედვით.

## ნიმუშები:

რვა-ა, ვაჟა-ა, ხმა-ა, კლდე-ა.  
 ხე-ა, ფრთე-ა, დურო-ა, ბლუ-ა.

c) მოთხრობითი. მთარაქული ბოლოხმოვნიან სახელებს მოთხრობითში არაიშვიათ შემთხვევებში აწარმოებს მა (-მან) ნიშნით, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს ბოლოთანხმოვნიანთა ჯგუფში საზოგადოდ ახ. ქართულის მიხედვით. ამგვარად, ჩვენი დიალექტი კლასიკური მან ფორმანტის ევოლუციის გარდამავალ საფეხურზე დგას.

## ნიმუშები:

მელა-მა თქვა; გამოიხედა მამა-მა; დაიყენა ხემწიფე-მა; ნეფე-მა შემოსწყრა; ერთმა მოყმე-მა...

d) მიცემითი. 1) ბოლოხმოვნიან სახელებს მიცემითის წარმოებისას შემონახული აქვს ზოგჯერ სახელობითის ა [-ი], ე. ი. ნომინატივის ნიშანი გადაჰყვება მიცემითში.

## ნიმუშები:

ვაჟა+ა-ს ქალსა სხვა ხემწიფე უგზავნის—ითხოვონ; რა+ა-ს გვიბრძანებთ ამისასა? ხე+ა-ს დაუშენდა თავსა ი ბედიო.

2) მიცემითის ხ ნიშნით იწარმოება Locativus exterior-ი და Locativus-ი.

ნ ი მ უ შ ე ბ ი :

- ა) [Locat. ext.:] ღებს მიდიოდა ჩოჩაეთი; მუხს რომ შევიდა...; ზოგი კახეთს წა-სულიყვნეს.  
 ბ) [Locat.:] შეერ მოვიდა და ღებს მოკვდა...; ღებს ერთი კამ ქალი ჰყავდა; ღებს რომ საქმე დაგვემართა, არ არის გასამზელია [ლექს.]; ალაღეთს ქალი დავმარხე, იონეთს მარგლის ბოსტანსა [ლექს.]; დიგორს ჩამოსხდეს ვეზირნი [ლექს.]; რაჟას ვინ იყო მისთანა? შოესა არიან ხარები; დვალეთს ცოლოურობა ხყავდა; კართი-გომს შემოგვეწია.

ე) ნათესაობითი. ას [—ის] ფორმანტი ერთვის ბოლოზმოვნია ნახელებსაც და რედუქციასაც არ იწვევს სათანადო შემთხვევებში.

ნ ი მ უ შ ე ბ ი :

ყველა-ას კარხედ; შალიკა-ას ამბავი; მოვიდა მანიჯა-ას წყაროხედ; შემოსდგა წყარო-ას თავზე; გაიშვართა ღურო-ას ძირას; წიფელა-ხე-ას სიმსხო.

ფ) მოქმედებითი. ბოლოზმოვნია ნახელები ფუძის შეუკუმშველადვე ირთავენ მოქმედებითის ათ [—ით] ნიშანს.

ნ ი მ უ შ ე ბ ი :

დილა-ათ (|| დილა - ით), რა-ათ; ღიტრა-ათ, საღამო-ათ, ერბო-ათ, რძე-ათ, ფრთე-ათ.

გ) ხშირად მიმართულებითი ბრუნვის -(ა)დ დაბოლოვების ნაცვლად იხმარება -ებ || -ეფ. [-ებრ] ელემენტი.

ნ ი მ უ შ ე ბ ი :

- ა) [პოეზია:] ყავარსა ავხდი ღომურ-ებ,  
 შიგ ჩავარდები ქორულ-ებ,  
 მივსტებ-მოვტები დევურ-ებ,  
 სისაღს გამოვიშვამ ღარულ-ებ.  
 ბ) [პროზა:] გამეწყო კაცურ-ებ; ჩავეხვიე ღვეღურ-ებ გმირულ-ეფ, თასიან-ეფ, ხა-რახულ-ეფ, რანაირ-ეფ.

-ად, დ ფორმანტი უმთავრესად გამოყენებულია ასეთ არქაულ გამოთქმებში:

პურის ჭამად იყო; დაჟდეს ვახშად; დაჟდეს კიდე სმად.

ხ) დაწყებითი (Ablativus). სათანადო შემთხვევებში გამოყენებულია მოქმედებითის -ით ფორმანტი.

ნ ი მ უ შ ე ბ ა :

ადღეს მერმე და ბუბი-ით ქვე ჩამოვიდეს აქა, გლოლას; ხემწიფემ რომ ამოიარა, იმოდენა ჯარი გამოჰყვა ქუთაისი-ით, რომა ვინ იცის? ჯორზე-ით გადმოვჯდებოდი და ვირზე შევჯდებოდიო; ზედა-უწერ-ით წამოველ; შორ-ით ელაპარაკება.

ამის პარალელური ფორმებია ასეთი წარმოება: სახელი+ლოკატივის -ში +აბლატივის -ით.

ნიმუშები:

ონ+ში-ით რომ დავბრუნდები, ერთად წავიდეთო; ქაჯებმა ქალი გამოიღესო კოშკ+ში-ით; გამორკეცს საქონელი ბოსელ+ში-ით; შეიღებს ბუხარ+ში-ით არ გამოჰყავდა; დანა ყელ+ში-ით ამოუღეო.

ი) მიცემით-მოქმედებით-მიმართულებითი ბრუნვების ფორმანტები ხშირად წარმოდგენილია ემფატიკურ ანიშნით, ძველქართულიდან.

ნიმუშები:

- ა) ვერ არჩენდა ცოლ-შვილ-სა; უთხრა სიმამრ-სა; მისცა ძაღლებ-სა; კატასაო, თუ გინდაო, ოთხ-სა გაჩუქებო.  
 ბ) მიებჯინებოდა თავი ჯოხ-ითა; მოუალერსა კუდ-ითა; დაასაჩუქერა ყვერულითა.  
 გ) ი ქალა არა ღირდა ხვეწნ-ადა; განა ის მოუვიდა ფიქრ-ადა; ყვითელი იყო ფერ-ადა.

ემფატიკურნაწილაკიანი ფორმები გვხვდება პროზაულ მეტყველებაში, ხოლო ლექსებში ხომ იგი ჩვეულებრივი მოვლენაა.

### ბ. ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი

ა) მითითებითი ნაცვალსახელი ეს, ის—ფონეტიკური პერტურბაციის შედეგად—უმთავრესად წარმოდგენილია ე, ი-ს სახით.

ნიმუშები:

- ა) ე დიაკვანი, ე ქვა, ე ჯოგო, ე ფრთე, ე არწივი, ე გერი, ე ვაჟაჲ.  
 ბ) ი ძროხა, ი ქალა, ი ველი, ი ხემწიფე.

ბ) ის ფორმა ი-ჩამოუცვლელადაა ხშირად წარმოდგენილი.

ნიმუშები:

წადი და ის-ი შეჭამე; ემუსაიფეს სიდედრი; სიმამრი და ის-ი; რომ გადმოიყვანეს ის-ი...; ის-ი და ამირანი.

ც. მიმღეობა. ფონეტიკური გამარტივებით, მიმღობის, პრეფიქსული ნაწილი ნულითაა წარმოდგენილი.

ნიმუშები:

[მ]დიდარი, [მ]ძინარი, [მ]ჭედელი, [მ]თიბელი, [მ]კითხავი.

დ. კ ნ ი ნ ო ბ ი თ ი ს წარმოება მეტად გავრცელებული მოვლენაა. მაწარმოებელ ელემენტებად გამლყოფილია: -ა, -უკ+ა, -უნ+ა.

ნიმუშები:

- ა) ქალ-ა, ობოლ-ა, დარბაზ-ა, ზანდუკ-ა, გულ-ა, ქათამ-ა, მათრახ-ა, სადგურ-ა, ჩიტ-ა, ცოლქმარ-ა, მხარ-ა, უღელ-ა, ანდერძ-ა-ე, იმერელ-ა-ე.
- ბ) ყან-უკ+ა, პატარ-უკ+ა, დართ-უკ+ა, ფულ-უკ+ა, თესლ-უკ+ა, ნაფთ-უკ+ა, ცხვარ-უკ+ა, ცხრილ-უკ+ა, მამ-უკ+ა, ანეტ-უკ+ა, ლექს-უკ+ა ფსხალ-უკ+ა, თხა-უკ+ა.
- გ) გულ-უნ+ა, თეთრ-უნ+ა, შავ-უნ+ა, ლეკვ-უნ+ა, ბოშ-უნ+ა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კნინობითის მეტად გავრცელებულობა დამახასიათებელია ნამეტურ [ქვემო] სვანურისათვის (ლენტეხურისათვის). ეს სვანურ-მთარაგული პარალელი საგულისხმოა!

ე. თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი.

ა) -ში თანდებულის ნაცვლად, ლოკატური შინაარსის გადმოსაცემად, გამოიყენება ზოგჯერ -ჩი

ნიმუშები:

წავიდა სოფელ-ჩი; მოვიდა აწე სოფელ-ჩი კაცი; შენი ლახტი ხელ-ჩი მრმე; ვაჟმე იმა-ჩი მდარესა; არმოელ-ჩი.

ბ) ვადასტურებთ -მდინ || -მდვინ [-მდის, | თანდებულს;

ნიმუშები:

ვადა-მდინ, კოჭება-მდინ, ბარკლება-მდინ, მუხნარა-მდინ, აქა-მდინ, სანა-მდვინ, წენა-მდვინ, შუა-მდვინ.

ც) -თვის ფორმა -თვის-ის სახითაა წარმოდგენილი.

ნიმუშები:

ჰმრი-თვის, ნადირი-თვის, სვანები-თვის, დედამთილი-თვის, მამი-თვის.

შენიშვნა: § 2-ში გათვალისწინებულ შემთხვევებში ეგების ვინის გაჩენა [-დვინ] აიხსნა ს -თვის-ის ანალოგიის ვარაუდობით!

დ) ფართოდ არის გამოყენებული -კე [-კენ] თანდებული, რომლის დართვისას ნათესაობითი ბრუნვის თანხმობითი ელემენტი შეიკვეცება ხოლმე.

ნიმუშები:

მეექვა იმი სახლი-კე; ჩასავლეთი-კე წავიდა; სვანები-კე; ფეხები-კე; გალავნი-კე.

ე) 1) -ვით თანდებულის ბოლოხმოვნიან სახელზე დართვისას არა ჩანს წინამავალი მორფემის თანხმობითი ელემენტი. ამგვარად, თანდებული პირდაპირ ეკვრის ფუძის ბოლოკიდურხმოვანს.

ნიმუშები:

ბუხუკელა-ვით, ოტკა-ვით, გუნდა-ვით, ხე-ვით, მხე-ვით (შდრ. ბუხუკელასავით, ხესავით etc.).

2) -ისდა, || -იზდა.

ნიმუშები:

ა) მ-ისდა, იმ-ისდა.

ბ) რა-ისდა.

გ) რა-იზდა (|| რა-იზა), გლეხებ-იზდა, ჯიხვებ-იზდა, კლიბ-იზდა, იამნ-იზდა, ამბ-იზდა, იმ-იზდა.

F. იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ოცობითი თვლის სისტემის არქაულ ფორმებს: შვიდოცი, ხუთმეტოცი.

G. მთარაჭულს ძალიან უყვარს „განყენებულობის სუფიქსის“ -ობა-ს გამოყენება.

ნიმუშები:

სამკაულ-ობა, ლალატ-ობა, იარალ-ობა, ბრძოლ-ობა, წმინდ-ობა, მთვრალ-ობა, ყოჩაღ-ობა, ჩქარ-ობა, ოს-ობა, (კონტექსტში: „ჩვენში ოსობა იყო ძნელი“).

### H. გვართა წარმოება.

ვინაობის resp. საგვარეულო სახელებს აწარმოებს სუფიქსები -ეთ და -იან.

ნიმუშები:

ბიჭილა-ეთ-ი, გორგი-ეთ-ი, ჩოჩხა-ეთ-ი, ჯაფარ-იან-ი, გოგრიჭ-იან-ი<sup>1</sup>.

### I. მრავლობითი რიცხვი.

ა) -ნ, -თა || -თ. საკმაო მოქალაქეობრივობით სარგებლობს დღესაც მრავლობითი რიცხვის არქაული ფორმანტები. აქ დაცულია ძველი ქართულის კანონზომიერება: სახელობით-წოდებითში გამოყენებულა -ნ, ხოლო სხვა ბრუნვებში -თა || -თ. პოეტურ მეტყველებაში თითქმის აბსოლუტურად გაბატონებულია მრავლობითობის არქაული წარმოება.

ნიმუშები:

- ა) 1. გაუჩნდეს ოსნი მტერი; ესენი არიან ქრისტიანნი; ჩვენებური ეუბნებიან ერთმანეთს; ჩვენიც წავიდეს; ჩამოვიდეს სახში ჩვენნი; ადექით, გმირნო, გმირულეფ; დევნო, ადექით; ამოირჩინა ორნი ლეკვანი; ჩემნი უფროსნი დაუხვდეს. 2. ცხრანი ძმანი ვიყვენით—ოვსნი, დვალნი ბალაჩარნი; ნადირნო, ფრთხილად იყვენით; არჩენო, ჯიხვნო და ჯვრანნო, ნადირში მშვენეგრანნო; ნეტა ხელნი ხელთა მომცა, ფეხნი კალთას გამიხვიანო და არმოელჩი ჩამირიანო; დიგორს ჩამოსხდეს ვეხირნი, რჩეულნი ბადელანნი.
- ბ) 1. გაუშვეს ე ვაჟა ყაჩაღთა; იშიშვლა ხრმალი და რვათა თავები დასკრა; დახადა, რაც ქონდა რვათა თოფი და იარაღი დაუძახა სოფელეთა; იჭიდნეს ახლა ამათა; სამთა ვაჟათა თქვეს. 2. წენთა არტყია სარტყელი; ამათ იარონ ამირან; გზათა ვერ გავლენ რბენითა; ხუთნი ბუბასა ვერას უზმენ—მტერთა ჩამოსავალია;

<sup>1</sup> საგვარეულო სახელების სუფიქსების სხვა ვარიაციებიც მოიპოვება მთარაჭულში. სათანადო წარმოებასთან დაკავშირებულია საფულისხმო საკითხები, რომელთა შესახებაც ცალკე მიმოხილვაში მექნება მსჯელობა.

ან იყო დევთა ნადგური, აწი ლოდნარი ცვიოდა; მისნი შვილდნი და კაპარკნი კლდეთა ჩაუცხიაო.

ბ) თანაბარი უფლებით სარგებლობს -ებ ფორმანტი. მისი გამოყენების თავისებურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ა- ბოლოკიდურიან სახელზე დართვისას ფორმანტისეული ხმოვანი ხშირად არ იწვევს რედუქციას.

ნიმუშები:

მაღახია+ებ-ი, იშტორია+ებ-ი, გლახა+ებ-ი, ქვა+ებ-ი, ლეკვა+ებ-ი, ვაჟა+ებ-ი, ბიძა+ებ-ი, დედა+ებ-ი, მამა+ებ-ი, მთა+ებ-ი.

სათანადო წარმოების შემდეგი საფეხურია ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის დამსგავსება. მაშასადამე, ფორმანტისეული ხმოვანი იწვევს ფუძისეული ხმოვნის რეგრესულ ასიმილაციას.

ნიმუშები:

ლექვე+ებ-ი, ვაგე+ებ-ი.

ც) ქართული კილოებიდან ვიცით<sup>1</sup>, რომ მთელ რიგ შემთხვევებში წაშლილია მრავლობითობის გაგება, როდესაც გამოყენებულია -ნ ფორმანტი და ამიტომ სახელს ერთვის თანამედროვე ენობრივ აზროვნებაში ცოცხალი წარმოდგენა პლურალობისა -ებ-ის სახით. ვლელულობთ ფორმულას: ...-ნ+ებ=Pl. მთარაქულში კი პირიქით გვაქვს: სახელზე დართული -ებ ნიშანი ვერ ასრულებს მკვეთრად პლურალობის ფუნქციას და რიცხვის ეს სიმკრთალე გამახვილებულია ისევ -ნ ფორმანტით, რომელიც ჯერ კიდევ მკვიდრობს მეტყველებითს ცნობიერებაში. ამგვარად, ვლელულობთ ორმაგი მრავლობითობის საგულისხმო ფორმულას: ...-ებ+ნ=Pl.

ნიმუშები:

მელ-ებ+ნ-ი, ცხერ-ებ+ნ-ი, დევ-ებ+ნ-ი, თავგ-ებ+ნ-ი, ხარ-ებ+ნ-ი, გოჭ-ებ+ნ-ი.

## კ. ზ მ ნ ა.

ა)  $S_2-O_3$  პრეფიქსების სისტემა თანდათანობით მარტივდება მთარაქულში. სპეციალურ ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია, რომ მთარაქულში „ნაშთები-და თუ მოიპოვება  $S_2$  -ისა და  $O_3$  -ისა, თორემ მთლიანად არც ერთის ხმარებაა დაცული და არც მეორისა. ნაშთები მეტია გლოლურში და იქიდან ჩანს, რომ ცოტა უფრო ადრე გლოლის უღვლილება ძველი სალიტერატურო ქართულის უღვლილებას უახლოვდებოდა, რადგანაც  $S_2$ -ად და  $O_3$ -ად აქ ჰაეა და სანა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შტრ. კ. დ. დონდუა, О двух суффиксах множественности в грузинском «Язык мышления», II.

<sup>2</sup> ა. შანშიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე, პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ხმნებში, გვ. 179.

S<sub>2</sub>—O<sub>2</sub>'ის ხმარებაში ყოველთვის არ არის დაცული გარკვეული კანონზომიერება. მთარაჭულსავე შემოუნახავს „ვიდა“ ზმნის არქაული წარმოება<sup>1</sup>.

ნიმუშები:

მოჭგვრი, მოჭყეე, ჰყვა, გაჰყვა, წაჰყვა (|| წახყვა), შეჰკანმა, ჰქმნა, დაჰპარნა; — გამოსწავდე, წასცხვეით, შესჯდა, მისტონა, სთიბდა, დასთვრა; — საით მოდიხოდი? სინო, მიდიხოდი სადღაც დღეს?

b) ზმნები, რომელნიც ნ. წყვეტილში და კავშირებით მეორეში -ავ, -აშ ნართაული ელემენტით იწარმოებიან ახალ ქართულში, მთარაჭულში -ევ, -ემ არქაული ელემენტებით იუღვლიან.

ნიმუშები:

ნახ-ევ-და, წირ-ევ-და, ვინახ-ევ-დი, უხიდ-ევ-დი, მოვკლ-ევ-დი, ურტყ-ევ-დენ იკირ-ევ-და, ლახ-ევ-დი, მოჰყ-ევ-დეს, ვწვ-ევ-დიო, დაჰკრ-ევ-და, ხნ-ევ-ს, უგ-ევ-და, მოფრინ-ევ-და, ვფალ-ევ-დი; — ჩაასნ-ემ-დენ, ჩავიცვ-ემ-დი.

c) ენებითი გვარის ზმნები აწმყოს 3 პირში იწარმოებიან არქაული ფორმით -ი -ს.

ნიმუშები:

კალოშს იცვამს, მარე არ ედგმ-ი-ს; დედა, არ მედგმ-ი-ს; ქუსლი არ ეტევა კალო-შიდაო; აუშვათო, თუ არ გაიპარე-ი-ს-ო; მეეპარე-ი-ს, სიცილი უტყდ-ი-ს ხალხს; დაუკვირდ-ი-ს; წამოიარა და ერთი წელიწადი რომ გაუზდა, მრვი-დ-ი-ს თავისი სახლობაჲ, თორმეტი კაცი.

d) ზმნის 1 და 2 პირი თუ ე-ზეა დაბოლოებული, ზოგჯერ -ვი მარცვალს დაირთავს.

ნიმუშები:

შეგჰამე-ვი, დაგჰპარე-ვი, წავცხე-ვი, ჩაჰკუტე-ვი, — გამომთალე-ვი, დაჰხოცე-ვი, დაგინახე-ვი, ჩაჰკბინე-ვი 2.

e) მესამე სერიაში თავს წამოჰყოფს ხშირად -ნ ელემენტი.

ნიმუშები:

დაგვითბ-ნ-ია, მომიტაც-ნ-ია, დაგვიხოც-ნ-ია; აეკიდნა, დაგვეხოც-ნ-ა<sup>2</sup>.

f) განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მესამე კავშირებითი ს არქაული წარმოება.

ნიმუშები:

ერთი ყმარწვილი დავინახვეით დიდ მინდორში და უნდა დამეჭირ-ოს და დაგვე-ყიდნ-ოს; უნდა დაგვეჭირ-ოს და მოგეტან-ოს; რომ ის მეცნიერი ყოფილიყ-ოს,

<sup>1</sup>) შდრ. ა. შანიძე, *Op. cit.*, გვ. 179.

<sup>2</sup>) -ვი მარცვალის ახსნისათვის: ვ. თოფურია, ქართლური, „არილი“, გვ. 143.

<sup>3</sup>) ნ-ს ახსნისათვის: არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“

დახოცვა არ ასცდებოდა რვათავე; დააზმანეს ე ჩოხა და ქალებს უნდა შეეკერ-ოს; ისინი წამოვიდეს და უნდა ეელ-ოს საძოვრის ფული იმათაც; აი ეგ არ ამოგერ-ჩი-ოს და სხვა წაგვეყან-ოს; ერთი კარავი გაუმართეთ და იქ უნდა ეჭამ-ოს სა-დილი; რომ თანა მქონებოდ-ეს, მიესცებდით: გიჯობდა გჭეროდ-ეს ხელშია; მოიტანა შინა არჩვი და წვადი უნდა შეეწე-ეს..

სათანადო ფორმა პარალელურად იწარმოება ონ-ის მეშვეობით.

ნიმუშები:

ი ვადა რო შეესრულები-ონ, ამოვიდოდა; შენ უნდა დაგვიკირ-ონ ი კაცი; ქვეყანამ სიმტკრით უქნა: მის შვილს რა ეცოცხლები-ონ, ქვეყანას ამოგვაგდებდა; სოფე-ლი არაა ჩერქებუთს, მე რომ არ მემუშავებო-ონ.

ეს ფორმები გადაითარგმნება: თანამედროე სალიტერატურო ენის მეორე თურმეობიოის ფორმებით: „დაგვიკირა, გაგვეყრდა, შეეკერა, შეეწეა, — შეესრულებია, დაგვიკირა, მემუშავებია“...

გ) ამავე წარმოებას უკავშირდება სხვა რიგის ფორმები, როდესაც 3 პ. ფორმანტის თანხმონით ელემენტალ სათანადო შემთხვევებში ს-ს ნაცვლად ნ გვხვდება.

ნიმუშები:

წავალ, მკითხავს ვაკითხვინებ, ეგებ გვეწერო-ნ შვილო; რა კაცი ენდო-ნ სხვას; შენი ქალი რომ სხვამ წაიყვანო-ნ, შენ იმას უნდა გაუსწორდეო; თუ ვაჟა გვეწერო-ნ გამომიგზავნეო; ვიქიდნეთო და რომელმაც წააქციო-ნ-ო, იმის იყენენ ე ხარებო; აწ ამ ვაჟას გეხარება, რომ ეს წიქარა ნახო-ნ; ვინც არა ქთხოვო-ნ-ო, ნურაფერს მისცემო; რაც ამ ვაჟარმა ქნა-ნ-ო, ნართის ქალაქმა ზლო-ნ-ო; რაცალ არის, ის გავიგნო, ვაჟ თუ იყო-ნ ბევან გივიშვილი; სამთა ვაჟათა თქვეს: დედა ჩვენი როგორ გაერთო-ნ-ო (=დაიკარგოსო)? შავმა წყალმა ჩამოიარო-ნ, ერიდეო; ბერი კაცი შეგხვდებო და გაჩუქებებს, და რომ შემოგიძახო-ნ, ნუ შეგეშინდებო. თუ ქალი გექნე-ნ, შინ დაიტოვეო; თუ რა გაგიჭირდე-ნ, დაუკარო; უთხრეს: ბევანო, რა უნდა იქნე-ნ-ო შენი გამძლეო? ღმერთო და ჩემო გამწენო, რაათაც მიეკარეო, იმაზე დამეცემოდე-ნ ე შვილდისარო: რომ გათენდე-ნ, ამოიარეო; მოდი, დავნაძლევდეთო, ვინც ამ ბოძალ ხეში გაჭერე-ნ-ო, იმას უყიდინ ცხვარო, რომელიც ვერ გაჭერე-ნ-ო...; საცა გაგიჭირდე-ნ, ჩემი სახელი ახსენე.

ეს მაგალითები ასე გადმოითარგმნება: „გვეწეროს, ენდოს, წააქციოს, გექნეს, გაგიჭირდეს“...

მესამე კავშირებით ის ამ არქაულ წარმოებას რომ შეესატყვისება ახ. სალიტერატურო ქართულის მეორე თურმეობითი და, აგრეთვე, სათანადო წარმოებისათვის ხშირად გამოყენებულია -ონ ფორმანტი, საგანგებო ძიების საგანია და ამ ფრიად საინტერესო საკითხს სხვა დროს დაევტოუნდები. აქ მხოლოდ შემდეგის აღნიშვნით შემოვიფარგლები: როგორც გამორკვეულია, „III ჯგუფის დროთა შორის მჭიდრო კავშირია სვანურში“<sup>1</sup> და ეს არის ს ფუძველი, რომლის ნიადაგზედაც სვანურში მესამე კავშირებითათაა გადმოცემული

<sup>1</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, სვანური ენა. 1. ზნა, 1931. გვ. 182.

მეორე თურმეობითი. უეჭველია, რომ მთარაჭული ამ მხრივ სვანურს მისდევს, — და ეს მოვლენა მთარაჭულ-სვანურის ურთიერთობის რკვევისათვის ერთობ საგულისხმო გარემოებაა<sup>1</sup>.

h) ნამყოფწყვეტელში და ნამყოფყვე ჯილში **3 პ. მრავლ. ზმნებს -ეს დაბოლოება** მოუღიფთ არქაული ნორმის მიხედვით, ახ. ქართულის -ენ-ის ნაცვლად.

ნიმუშები:

ე ვაჟა და ე ქალი დარჩ-ეს და დაჰკოცნეს ერთმანეთი; წამოვიდ-ეს ყველანი ხელ-მწიფესთან; ეცნ-ეს ე ძაღლები და გაჰხლიჩნ-ეს ე დევი; ესენი რომ იყვნ-ეს წასული ტყეშიდა; იყვნ-ეს ხუტესი და მისი ქალი და ჰყავდ-ეს ცხრაა შვილი; ე დამანი წავიდ-ეს და ქვე ცხოვრობდეს; წამოჰყვეს ცოლის ძმები.

i) შუალობითი გზის ნიშანი -ინ ზოგჯერ გამოყენებულია და ზოგჯერ სათანადო ფორმის თანხმოვნითი ნაწილი ნულითაა წარმოდგენილი.

ნიმუშები:

- 1) აჭერეტ-ინ-ეთ, ამოეცურებ-ინ-ა, გააბედ-ინ-ა, მთარბენ-ინ-ა, დააღე-ინ-ა, დააკლე-ინ-ა.
- 2) ამატანიე, დაგვაღეებთო, შემაძლებია, ამოვარჩეებთო, წააღებია.

შენიშვნა: ორიოდე ზმნაში კაუხატივის ნიშანთან ერთად შეკვეცილია ფუძისეული -ევ ელემენტიც: „ვახთიებთ, მომაკვლევიე“ (კონტექსტში: „სისხლის პურის ჭამა გადახთიეს“; „ბაჟს ვახთიებთ“; „მომაკვლიე შენე მტერი და ორგული“).

l) მთარაჭული ზმნა ჯერ კიდევ იმ საფეხურზე დგას, როდესაც მრავლობითის მეორე და პირველი პირიდან ინის მხოლოობითში გადმოსვლის პროცესი დამთავრებული არ არის. ამიტომ მთელ რიგ შემთხვევებში სათანადო ი არ არის ზმნაზე დართული.

ნიმუშები:

დავდეგ; რათ მომკალ; ვერ გითხარ; სახედარი დაკალ; ვერ შევიძელ: არჩი მოკკალ; მინდორსა ბევრი ზის ნადირი, მოკალ და ჰამეო; წაიკარ ფები; ღორის ანგარიში ჰქენ; ბევანო, გაიძარო; ქათამი დამიკალ; მუხლებზე მომაკარ; მომეც ორი პური; წაე და უთხარ საღამოზე; აი, ეს სამფეხი რაში მომეც; დაჯექ და მოგიყვებო.

## ს ი ნ ტ ა ქ ს ი

### A. მსაზღვრელ-სასაზღვრის შეთანხმება ბრუნვაში

a) მიცემითი. ზოგჯერ შეთანხმება სრული სახისაა.

ნიმუშები:

ერთ-ს უდაბნო-ს ტყეში; ერთ-ს სიკვდილ-ს გადმირჩენიხართ; ერთ-ს რაშ-ს ამოვარჩეებთ; მეორე-ს დღე-საც კიდევ გამოეპარნენ; მეორე-ს დილა-ს; მეორე-ს

<sup>1</sup> ამ ფაქტზე ჩემი ყურადღება პრაფ. ვ. თოფურია მიაქცია.

წელიწად-ს; მეოთხ-ეს წელიწად-ს; სამ-ს დღე-ს შემინახავსო; სამ-ს გლეხ-ს; ორ-ს ლეკვა-ს ამოვირჩევო; კვირე-ს დღე-ს; სახრე დაჭკრა ქართველ-ს მამასახლისს; ტკბილ-ს სიტყვა-ს ნუ მომიშლიო; ჭრელ-ს ნოხებ-ს დაგიგებსო.

ბ) ნათესაობითი: ა) სრული სახისაა, ბ) ფორმანტის თანხმონიითი ელემენტი მოკვეცილია, გ) არ არის შეთანხმება: ბოლოხმონიან [განსაკუთრებით ო- ბოლოკიდურიან] მსახლერელს ეკვეცება მთელი ფორმანტი ნათესაობითი ბრუნვისა.

ნიმუშები:

- ა) ერთ-ის წლ-ის-ა ჰგონია, სამ-ის წლ-ის-ა არის; ჩვენ ორ-ის ბატონ-ის-ა.
- ბ) ერთი თე-ი[ს] ვადა; ზღე-ი[ს] მშობელსო; ღვინო მიჰქონდა კამბე-ი[ს] ურმით; ც-ი[ს] სინათლე; თხ-ი[ს] ტანისამოსი; აბრეშუმ-ი[ს] ბაწრით გადაფრინდა; მაცხოვრ-ი[ს] ჯვარი; ცხენ-ი[ს] მხემა; სკორ-ი[ს] პირზე გადაავლო; იმ რკინ-ი[ს] კეტს; ხარ-ი[ს] ჯოგი ნახა; უკრავს გულ-ი[ს] საკლავადა; მე მქონდა ნატვრ-ი[ს] მათრახიო; ამნაირად არის ჩვენი სოფელ-ი[ს] წესდებულებაო; ამ სოფელ-ი[ს] ნაპირში; წაუღიყე მაცხოვრ-ი[ს] ჯვარი; გლ-ი[ს] ტყავი აცვია; მეზობლ-ი[ს] ბიჭი გალახა; ილოცეს თავ-ი[ს] რჯულზედა.
- გ) ოქრო -[ის] ღარები უგია; ამოიღო ოქრო -[ის] ბულით; მოთქარა კალო -[ის] პირი.

შენიშვნა: 1. როგორც ბ პუნქტში დამოწმებულ მაგალითებთან ჩანს, ნათესაობითი ბრუნვის თანხმონიითი ელემენტი იკვეცება მაშინ, როდესაც სასახლერი არა ნათესაობით ბრუნვაში დგას. ასეთი წარმოება უფრო სისტემატურია, ვიდრე სხვა ვარიაციები მსახლერელ-სასახლერის შეთანხმებისა ბრუნვაში.

2. ბ-გ მაგალითები ლებურ-ჭიორულისთვის არის დამახასიათებელი; გლოლურში შეთანხმება სრულია.

ც) სხვა ბრუნვებში შეთანხმება საზოგადოდ თავისებურებას არ შეიცავს. მალიან იშვიათად თუ წამოყოფს თავს შეთანხმების ისეთი ფორმები, როგორცაა [მოქმ.:], „გულ-ით წმიდ-ით დაიფიტა“; [მოთხრ.:] „წმინდა-მ გიორგი-მ დასწყევლა“ და მისთ.

B. სახელების შეთანხმება რიცხვში

Pl<sup>n</sup>-ის შემთხვევებში შეთანხმება რიცხვში ხშირად გხვდება.

ნიმუშები:

ორ-ნი ყაჩაღ-ნი მოიყვანეს; ჩოჩაშვილი იყო, ცხრა-ნი ძმა-ნი; იქა ცხვრობდეს სამ-ნი ქალ-ნი; ი ორ-ნი ძმა-ნი უფროს-ნი; ორ-ნი ძმა-ნი დიდ-ნი არიან; ეს ორ-ნი ვაჟ-ნი; სამნი ძმა-ნი იყვნეს; ეს ცხრა-ნი ყაჩაღ-ნი დახვდეს; არშოელ-ნი ბერ-ნი იყვნეს.

C. შიცემითი ბრუნვის ნიშანი იკვეცება

ნიმუშები:

ნადირ -(ს) ნუ შეაჭმევ; თავადებ -(ს) ღმერთი გაუწყრა; ხელებ -(ს) წაყინავს; თევზებ -(ს) იჭირვებდა; ხანებ -(ს) თან ახლავს ცოლებიო.

D. ობიექტის ანუ დამატების მრავლობითობა, სულერთია, გვაქვს  $Pl^m$  თუ  $Pl^n$ , სათნოდ ნიშნითაა აღნიშნული ზმნაში.

ნიმუშები:

- ა)  $Pl^m$ : ამორჩივნა-ორ-ნი ლეკვა-ნი; ეს ადამ-ნი აქცივნა ვერადა; დათალ-ნი-ამფურ-ნი; ისინი მებობლებმა არ მიიკარ-ნი-ა; გამოყარ-ნი-ა და აღარ შეუშენ-ნი-სახში; ორ-ნი კაც-ნი დასტოვნა-ა; ცხრა-ნი-ივე იმას გაუწყვეტი-ან; უცებ ნახ-ნი-არ ცხვრებ-ნი; წადი, ისი-ნი-ი დაჭამე-ნი; ვინცაღ ჩემი ძმა შექამა, ისი-ნი დაფხოცე-ნი და მომაკო.
- ბ)  $Pl^n$ : დააბიჯ-ნი-ეს ე კაც-ები და მცნაურ-ები; საცა-ის აფხანაგ-ები ჰყავდენ-ნი (მას); ოქრო ტახტ-ები ყავ-ან ამ უფროსა; მიუშენ-ნი აწე გბრ-ები; მისივნ-ნი-ე დევ-ები; წადი და გლოელ-ები მომგვარე-ნი-ო; ე შეილ-ები წაიყვანე-ნი შენ; ე შეილ-ები-იო გაყარე-ნი.

E. სპორადულად ვხვდებით გარდაუვალ ზმნებთან გრამატიკული სებიექტის მოთხრობით ბრუნვაში დასმას აორისტში.

ნიმუშები:

ბოლოს დაილა კვაჭმა დევმა; მელიამ წავიდა და დაიწყო ზარას ძებლილი მოვიდა სოვდაგარმა.

### F. კითხვითი ა

ჩვენ ვიცით, რომ ძვ. ქართულში კითხვითი ა მაშინ იხმარებოდა, თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა (ვინ, რა, რომელი, სად...) არ ერია. ჩვენს დიალექტშიც ასეა, მაგრამ ზოგჯერ ეს წესი დარღვეულია.

ნიმუშები;

იყ-ა? მიდინარ-ა? არ მოგაქვს-ა? გავნება აქ-ა? რა მოწყენილი ხარ-ა?

### G. კავშირი „დო“

კატეგორიულად ვერ ვიტყვი, მაგრამ თითქოს კავშირი „და“ ხანდახან „დო“-დ უნდა ისმოდეს. ეს მოვლენა შოთხოსგან შემოწმება-დადასტურებას. შემომჩნევია ასეთ შესიტყვებებში: „ლურშევს დო ქუთაისს“, „ომს დო ვაინას“ და სხვ.

### H. ნაწილაკები

ა) შემონახულია -მცა ნაწილაკი. მაგრამ აქ მას დაკარგული აქვს დამასასიათებელი სინტაქსური ძალა: იგი არ შოთხოსგან წინადადებაში ოხრობით კილოს (როგორც ამას ადგილი ჰქონდა კლასიკურ ქართულში) და თავისუფლად იგუებს კავშირებითს (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ალორძინების ხანის ენაში).

ნიმუშები:

ახა, ნეტა-მცა ეჯობო; ნეტა-მც(ა) ნადირთა თასმა მქნა; ნეტა-მცა ნატრა მანატრა; მისი ნაწერი-მც(ა) იქნები; ღმერთი-მც(ა) გიგმია მადალიო.

ბ) ვერბალური ობიექტის მრავლობითობა ზმნაში -ყე, -ყ ნაწილაკით არის წარმოდგენილი.

ნიმუშები:

ართმევედა-ყე ჩოხა-ნაბდასაც მათ; იმათა ყავს-ყე ძალღუკა, ცოლქმართა; ჩემი ტერები-მოდინ და მზად დაეხვდეთ-ყე ჩვენაო; მემრე მობრუნდით და კიდე პატივსა ტემ-ყე; ისინი უმალ გაეიტუმრე-ყე. ვაჰმითი ტექტი: გამოედევნენ მაშინ აჰ მაც-ხოყრი გამოტაცებაზე და რომ ვერა დააკლეს-რა, წაიდინენ და უწერას ერთი ჯაფარიძე ყოფილა, ნეფეთა ყოლია-ყე და იმისი ინტერესობა ქონია სვანებს. უთქვამს-ყე: რადგან ლებს ვერაფერი დავაკელითო, დავეცნეთ და ეგებბა. ი-ნეფე დაეიჭიროთო. დაუკრავს-ყე ხელი და გამოუტყვილებია-ყე გქმრიელი ენით და შეჩენიანთ და გამოუწვევიათ-ყე და უტაცნი-ყე, გაუკრავს-ყე ხელი და ქვე მოუ-ტაცნი-ყე გაკრული. ამოურონებია-ყე ე ნეფე და ე ქიორლები (წი) რალაცა გაუგნია-ყე, ნეფე მოყავს-ყეო... ჩასულან ლებურები, სვანებს ჩამოუყვანიათ-ყე ნე-ფე, ქიორლებს მხარი უქნია-ყე სვანებზე, შექნია-ყე დაეიდარობა და ჩხუბი და ე ქიორლები ლებლებ დაულახავს. წამოუყვანია-ყე სვანები და იქით-აქით და მო-ციქულობა შექმნია-ყე და წაურომეგია-ყე ე ნეფე. და ქიორლები ქვე გაუშვიან-ყე გალახულები.

შენიშვნა: 1. -ყე ნაწილაკი მხოლოდ ლებურ-ქიორულში გვხვდება, ხოლო გლოლურში მისი კვალიც არა ჩანს.

2. ეს ნაწილაკი გვხვდება იოიიი-შიც: „ყველა-ყა“, „სუყველა-კა“.

ც) გვხვდება დადასტურებითი ნაწილაკი „ქვე“.

ნიმუშები:

ეს ერთი ყაჩადი ქვე მაპატიეთო; მეცხრე ქვე დაიჭირა; ხვალეო ქვე უნდა წაი-დღო; ამ ვაყას ე ტრედები ქვე აქ; იმითი ქვე ცხოვრობდეს; ხორცი ქვე წაიღო; იდგა და ქვე გაიქცა; სტაცეს ხელი და ქვე არ შეჭამეს? ქვე იპატიეებიანო სანათლადო; აქანა დახვდეს ორი კაცი და ქვე დაბეგვეს; ის კაცი ქვე წავიდა. თავის სახში; იმასთან ქვე წევი და ჩემთან არაო; ნაჯახი ქვე მაქ.

დ) ხხოვნის ხასიათს ანიჭებს ზმნას „ქი“ ნაწილაკი, რომელიც უნდა წარ-მოადგენდეს „ქირიე“-ს შეკვეცილ ფორმას.

ნიმუშები:

დამიძახე ქი ჩაუბრენიე ქი მიაკარ ქი!

აქ შეიძლება დავასრულოთ მთარაქული ზრამატიკული მოვლენების სქემატური მიმო-ხილვა. ჩემი მიზანი იყო მხოლოდ აღმენ უსხა ჩვენი დიალექტის ძირითადი ნიშანდობლივი ფორმები, რათა ეს რეგისტრირებული მასალა გამოდგეს შემდგომი ძიებისათვის. ამით აიხსნე-ბა, რომ შიგადაშიგ არ არის დიალექტიზმები განხილული სხვა დიალექტების შედარების ფონ-ზე (შესაუბლში მოცემულია მხოლოდ ჩამოთვლის სახით) და არც ახსნილია ზოგიერთი საყუ-რადლებო მოვლენა.

1. გ ლ ო ლ უ რ ი

ვაჟა და ლეკვები

იყენეს ხუცესი და მისი ქალი და ჰყავდეს ცხრაა შვილი — ოთხი ბოში და ხუთი ვაჟა. ე ხუცესაჲ ვერ არჩენდა ცოლშვილსა. თვითო ბარგ შეშას წაიღებდა და გაჰყიდევდა და ის იყო. ე ხუცესა წავიდა შეშაზედა და ნახა მსხვილი ვაშლი. მობრუნდა შინა და უთხრა ცოლშვილსა:

— წავიდეთ და იქ დავისახლნეთო. ჩავიდეს, ჩაესახლნეს, იცხოვრეს და ერთსა დილაზე ჩამოერია დევი და ყველანი დასჭამა და და-ძმათა გადა-ასწრეს ჯარონში. ე დევი შეჩერებოდა ამათა, მარე რომ გასრულიყო ჯარონში, ჩეფლობოდა და ვაჟა მოჰკვლევდა. ე და-ძმანი წავიდეს და დაიდგა ვაჟამა კაჲ სახლები. ეს ვაჟა ყოველ დილაზე წავიდოდა და ჩამოიყვანდა თვითო ტახსა და იმითი ქვე ცხოვრობდეს. ერთ დილაზედ ჩამოიარა და ნახა კაცს მიჰყავდეს ცხრანი ლეკვანი გადასაყრელად.

— დაიცადე, ნუ გადაჰყრი, ორს ლეკვას ამოვირჩევო! — მიაძახა. ამოირჩინა ორნი ლეკვანი და ტახის ხორცი ქვე წაიღო სამაგიეროთა. მოიყვანა ე ლეკვანი და სუყველანი დაზარდნა. აწ ეს სამნივე წავლენ და ჩამოიყვანებენ თვითო ტახსა და ცხოვრობდეს კარქა. ესენი რომ იყენეს წასული ტყეშიდა, ე ვაჟა და ე ლეკვეები, — ე ვაჟამ ერთსა სალდათი დაარქვა, მეორეს მურამ. შემოვიდა დევი და უთხრა ქალსა:

— შეგიერთვი ცოლდა, ოლონდ დამახოციეო. მოიგონე ავათმყოფობა და გაგზავნენო ცხრა მთას იქითო და ი ვაჟაო ბოთლებს დაამსებს და გადმოვალ და გაჩდებო კლდეო. — მოვიდა ე ვაჟა და გაგზავნა ცხრა მთას იქით. დალია წყარო და მოემატა ღონე.

— მოდი, დალიონო! — და დააღინა და იმასაც შეემატა ღონე... გაამსო ბოთლები აწ იმ ვაჟამა და წამოვიდა. ვაჟაჲ რო გადმოვიდა, გაჩთა კდე და ე ძაღლები დარჩეს კდის იქით. ტირის ვაჟა და უძახის, მარე ვეღარაჲათ გადმოვიდეს. წამოვიდა ვაჟა სახლშიდა და მივიდა თუ არა, გბდმოვიდა დევი და

— გაშიშვლდიო! — შეუძახა. დადგა ბოთლები და ტინტრაქდება. რომ უბირობს დევი ვაჟას ცემასა, გაუტკეერია კდე ამ ძაღლებს და ქვეც იცენეს ვაჟა და ე დევი... გაღუქნია ვაჟასა თავი მურამ.

— შეეცალეო! — შეეცალა. ეცენეს ე ძაღლები და გახლიჩეს დევი. შეჭამეს ე დევი. მერე დაადგა ფეხი ფეხზედა ამ ვაჟამა, დასა, გახლიჩა და მისცა ძაღლებსა. ე ვაჟაჲ და ლეკვები დადგეს და კარქა ცხოვრობდეს.

\* \* \*

იყო ერთი ხემწიფე. ყავდა ერთი ქალი. წინ ქვეით ვერცხლი იყო და წინ ზეით ოქრო. ამ ქალსა მამა გარეთ არ ახედვებდა — არ მომტაცონ არავინაო! ბალი აქ ამ ხემწიფეს და ღია ასხია. ამ ქალსა სამი ბიჭი ჰყავს. ხემწიფემ უთხრა ქალსა:

— რავა ვერ უნდა განახვიო ბალიო? — აწ ამ ხემწიფეს ჰყავს სამოცი ჯარი და შეკაზმა თავისი ჯარი და ე ქალი ჩაისცეს შუაშიდა და გურგლივ ჯარი შემოერთყეს. შუა გზაზედ რომ ჩავიდეს ე ქალი და მოსტაცა რამაღაც. ტირიან ძრიელ. სამთა ვაჟათა თქვეს:

— დედაჩვენი როგორ უნდა გაერთონო, რომ ვერა ვნახოთო? — ამ ვაჟებმა წაიღეს პური, იარეს, იარეს, იარეს და მივიდეს ერთ კდვზედა... კოშკია ზედ ამართული. რომ მივიდეს, უთხრეს უფროს ძმასა:

— მოაბიო ე ჯაჭვიო, ააგდეთ კარებსაო და შევიდეთო!.. — ააგდო და ვერ აუწია შუამდინ. უთხრეს აწ საშუალოსა:

— შენ ააგდეთ მარჯვედაო! — ამანაც და თავისთავს ვერ აიცილა... ამ უნცროსმა წამოიმკლავა და:

— აწ, ღმერთო, შემძლებიე, ამაწვევიე კოშკზედაო! — გაუშვა და, იცოცხლე შენაცა და მეცა, მოაბა ზედ კარებსა. აწ გაალო ე კარები და შევიდა შიგა ე ვაჟაჲ. იქა ჯდიან დედამისი და სამი სხვა ქალი. იმათა ჰყოლია 4 დევი — თორმეტთორმეტ თავიანი. მთელი დევების უფროსნი ესენია... აწ ამ დევებსა ცხრაცხრა დღის ძინი უჩვევია. აწ რომ შევიდა ე ვაჟა შიგნით, იმისთანე კრანტია, რასაც ინატრებ გამოვო. ინატრა ამ ვაჟამ საჭმელი. რომ გაძღა გემრიელათა, გამოეღვიძა დევსა. აწ ე ვაჟაჲ შეაძვრინეს ტახტქვეშ. მიმოიხედა დევმა და

— ძორის სული იცემაო!

— ვაჟაჲ და თუ არ შესჭამო?..

— მომიყვანეო აქაო საჩქართათაო!.. იცნეს ე დევი და ე ვაჟაჲ... ჯერ ამ დევმა მოიქნია და ჩასო კოჭამდინ, მერე ვაჟამ მოიქნია და ჩასო მუხლამდინ. ახლა ისევ დევმა და ჩაატანა ბარკლებამდინ. მერე კიდე ვაჟამა და ჩასო წენამდე. აწ დევმა და — წენამდე. ბოლოს ვაჟამ დაანარცხა და — ყელამდი. მოჭრა თავები დევსა და დადგა კოჭამდინ სისხლის ტბა. გამოეღვიძა მეორე დევსა და ე ვაჟა ტახტქვეშ შეძვრა.

— ძორის სული იცემაო! — დაიღრიალა ამ დევმა. გამოხტა ე ვაჟა და იწყეს ჭიდილი. იკიდნეს და ისრე უქნა ამასაცა. კიდე აწ მესამეს გამოეღვიძა. აწ იცვნეს ეს ორნი. ოთხთავ ისრე უქნა, წენა'დინ დადგა სისხლი. ამ ვაჟამ უნცროსი ქალიშვილი მიზღა დაიჭირა ცოლად. საშვალე — საშვალს ერგო, უფროსი — უფროსსა. ამ უნცროსსა ოქროს ტახები ყავან და ოქროს წყალში ბანაობენ. ჩაასხა ესენი და თვითონ რომ ჩადიოდა ბაწარზედა, აწ ამ ძმებმა დაჰკრეს ბაწარს და ჩააგდეს. უღალატეს ვაჟას ძმებმა. წამოვიდეს ყველანი ხემწიფესთან.

— ასე და ასე იყოო და ვაჟა სისხლში ჩაგვეხროო! — აწ გაუგნია სხვა დევებსა:

— რაკი ჩენი უფროსები დახოცა, აწ არა გვიჭირსო! — და ყველას მოაქთითო მწიფელი და გაუდგეს ვაჟასა, და ჩამოვიდა ე ვაჟა... რაც დევები იქნეს, ე ვაჟა სუყველათა დაპოცნეა. მოსცეს სალხინო და სამჭინო ჭიანდური.

— თუ რა გაგვიჭირდენო, დაუკარ და შენთან დავიბადებიო! — ვაჟაძს ქალსა სხვა ხემწიფე უგზავნის — ითხოვონ. ამ ხემწიფემ უთხრა სხვა ხემწიფეს:

— ქალის ნებაა, თუ წამოგყვებო.

— მომიტანეთ ტრედები, რო დაბანავნო და წამოგყვებიო. — ე ვაჟა ქედელს მიებარა. ე ხემწიფე ქედელთან მივიდა და უთხრა:

— გაგვიკეთეო ტრედები რომ ოქროს წყალში ბანაობნო! — მქედელმაც უთხრა:

— ვერ გავაკეთებო! — ამ ვაჟას ეს ტრედები ქვე აქ.

— ნუ გშინიაო! — უჩურჩულა. დილაჯთ ვაჟა სწმენდს ტრედებს, ვითამ გავაკითებო. ამაში ხემწიფემ დია ფული მისცა... წაიღეს ე ტრედები და წამოჰყვა აწ ეს ქალი და შემოდგეს ოუ არა ფეხი ხიდზედა, ე ვაჟა დახვდა წინ, დაუკრა სამჭინო ჭიანდური და ექდანი დევები მოვიდეს, რომ აღარ ეტევიან.

— გვიბრძანეო!

— წიედით, გვერიენით და ქამეთ ჯარიო! — ქამეს და ზოგნი გადაჰყარნეს: ე ვაჟა და ე ქალი დარჩეს და დაჰკოცნეს ერთმანეთი...

### თედორეს ვმირობა

ერთი გორგიეთი იყო თედორე. დვალეთ ცოლოურობა ხყავდა. ადგა და წავიდა ცოლოურს და იქ ცოლს ვაჟი გამოუჩნა და:

— ჩამოდიო და მნახეო! — შემოუთვალა. ადგა და მუხს რომ შევიდა, ცხრანი ყაჩაღნი დახვდა. დაიჭირეს ე თედორე.

— გამიშვიო!

— არ გავიშვებო!

— ხვალ გადმოვიარ ცოლითა და მაშინ წამიყვანეთო! — ადგა და ჩავიდა ცოლოურს, გაუშვეს ყაჩაღთა. რო მივიდა, მოიკითხა ამბავი და ემუსაიფეს სიდდერი, სიმამრი და ისი. მერე უთხრა:

— ხვალეო ქვე უნდა წავიდეო უთუოდო! — რო უნდა წამოვიდეს მეორე დღესა და:

— ირუჟე რამეო! — უთხრა სიმამრმა, — რაც გინდა, წაიყვანეო!

— არაფერი მინდა-რა, ლეკური-ლა მაჩუქეთო, მამა-პაპეული რომ არიო. — აიღეს და მოსცეს ლეკური. წამოჰყვეს ცოლი ები. სწველს რო ამოსცდა, დაბრუნა ისინი. ნეფის წყალს ზეთ რომ შემოაწია მთაზედა, ცოლს უთხრა:

— აკვანიც შენ უნდა აიკიდო და გუდაცაო! — დაიწყო ამ ქალმა ტირილი.

— ნუ ტირ, თორემ ხრმალს შემოგკრავო! — ჩამოვიდა და ღმერთს შეხვეწა:

— გამიმარჯვე ღმერთო, შენი სიტყვა არ გამიტეხნია ჯერაო! — ეს ცხრანი ყაჩაღნი დახვდეს.

— ადექით, გმირნო, გმირუოეფო, ერთი მე წავალ სამარს, ცხრანი თქვენ გაემგზავრე ითო! — შეუძახა. იშიშევა ხრმალი და რვათა თავები დასჭოა. ხეცხრე ქვე დაიჭირა. დახადა რაც ქონდა რვათა თოფი და იარაღი და მეცხრეს აჭკიდა. სოფელს რომ ჩამოაწია, დაუძახა სოფელელთა:

— ეს ერთი ყაჩაღი ქვე მაპატიეთო... — ეოთი კვირას მერმეთა უთხრა ამ ყაჩ.ლსა:

— წაილე შენი იარაღი და ავეჯი და უთხარ თქვენი ამბავი თქვენებშილო.

### სამი სიტყვის განმავლობა

იყო ერთი ცოლ-ქმარე კაცი. საწყალნი რომ იყვეს, ამ ქალმა უთხრა:

— წა სადმეო და იჯამავი ე და მოიტან ო. — წამოვიდა ე კაცი, მოვიდა, ერთი ჭკუიანი კაცი. სამი წელიწადი სამ თუნანთ დაუდგა. რომ გაუთავდა სამი წელიწადი, უთარა ამ კაცმა:

— სამი თუმანი გირჩეენია, თუ სამი საზრიანი სიტყვაო? — იფიქრა, იფიქრა და უთხრა:

— სამი სიტყვა მირჩეენიაო. — მერე უთხრა:

— გულში ნადებს ქალს ნუ ეტყვიო; ვინც არა ქთხოვონო, ნურაფერს მისცემო; რაც მოიძიო, წაილე შინაო! ჰკვირობს ე კაცი:

— ამაში რავე ვავრთე სა ი თუმანიო? — გამოსწია, წამოვიდა და მოიძია უნასის პერანგი. აილო და წაილო შინ. მის ეზოში რომ მიიტანა, ხელ-უკულმა გადაავლო. შევიდა და დაეძინეს ცოლ-ქმართა... ქალს უმალ გამოეღვიძა და გამოვიდა გარეთ და იმისთანე ოქრო გაკეთებულიყო, იმისთ ნე, იმისთანე, რომ სუ თლათ დაბირკული ესხა. მერე შევიდა:

— უიო, ბეჩაო, რა გაკეთებულა ჩვენს ეზოშიდაო? — მიახარა. უღროო დროს რომ გამოადვიძა, ერთი ჭელერა შერეოდა თავში. მოჰგლეჯენ ერთ ოქროს, გაჰყიდვიან და ცხოვრობენ და სჭამენ... უთხრა ამ ქალმა:

— რანაირეფ იყო შენი საქმეო? — მოუყვა ყველას, ჭკუიეზმა რომ უთხრა სამი სიტყვა... — ერთი სომეხი იყო, და კაჲ მალაზია ჰქონდა. ის მოყურეთა ჰყავდა. უთხრა ი მოყვარეს ქმრის ნათქვემები. მერე უთხრა ქალის მოყვარემა ქმარსა:

— დამენიძლავეო, რათი გააშენე ე ოქროო, გეტყვიო თუ მოვიახროო, შენი ქალიც მომე და შენი სახლკარობაც და ყველაო. თუ ვერა, ჩემ მალაზიას მოქცემო! — დენიძლავა ე კაცი და უთხრა:

— შენ იყავ, ჭკუიერი კაცთანა... — და მოუყვა ყოლისფერს.

— მართალიაო... — მისცა სუყველა აწე და იმისთანა აქ ამ კაცსა, ოქროს ჯაყვა! წამოვიდა და ისრივე ამ ჭკუიერ კაცთან მოვიდა. მოუყვა სუყველასა ამის ვარემოებასა.

— ხომ გითხარ, გულში ნადებს ქალს ნუ ეტყვიო? — მერე მეზობლისას ლხინი იყო და ე ჭკუიერი იქ გაიწვიეს და ე საწყალი კაცი წაიყვანა. რომ შევიდეს და სჭამენ ხოცსა, ერთი კაჲ ნასწელი კაცია და მალაზიები აქ იმასა. ამოილო ე ჯაყვა და გადაუდგა იმ ნასწავლსა. უთხრა:

— ე ჩემი ჯაყვა შენ საით მოგივიდაო, განა მომპარეო? — აღარ მისცა ე ჯაყვა აწე იმასა. უჩივლა ამ კაცმა და ხვალ დასახვრეტათ მიჰყავან. შეაგდეს ნაობახში და ყარაულები ჰყვანან. ეს ჭკუიანი კაცი ზეითაა და ქვეშით ის ამწყვდევია. აიყვანა ამ ჭკუიანმა კატა და ენახშება:

— ციცუნა, ჩემო ციცუნაო! ხვალ რომ დაგხვრეტენო, ასრე უთხარ, რომე მთაზედაო მამაჩემი ვისმე მოეკლაო. ეს ჯაყვა ყელშით ამოუღეო! — „აბა შენა ხარო ჩემი მამიმკვლელო!“ მინახლაურე მამაჩემი და დასახვრეტად მოგიწერ ხელსაო (იმის გასაგონად ამბობს). აწ გამოიყვანეს ეს კაცი დასახვრეტად... უთხრა:

— მამაჩემო მთაზე ვისმე მოეკლაო, იმას ამოუღეო ყელშით ე ჯაყვაო!

— აბა, შენა ხარო მამიჩემის მკვლელო. მინახლაურე მამაჩემი და მერე მომკალო! — მერე გამოუშვეს ეს კაცი. წამოვიდა ე კაცი და შევიდა ისრიე ჭკუიერ კაცთან, უთხრა ამ კაცმა:

— წაე ახლა და დაენიძლავეო ი კაცსო, ქალი რომ წაგართვაო და უთხარიო: — მზე საიდან ამოდის და საით ჩადისო და ის შებრუნებულად გიტყვისო, დაუკვირდი და მოუგებ და შენსას ყველაფერს დაიბრუნებო... — წამოვიდა და დაენიძლავა, უთხრა:

— მზე საით ამოდის და საით ჩადისო?

— აი იქით ამოდის და იქით ჩადისო! — დაუკვირდეს მზესა და აღმოსავლეთით ქვე ამოვიდა და დასავლეთით ქვე ჩავიდა... მოუგო სუყველა. წამოვიდა აწ, ეს ცოლშვილი შეიყვანა და ქალი მავრათ დაბეგვა.

\* \* \*

ავთანდილ ქედნი მალაღნი სამხრამღნი ვადიარა. ლალსა ირემსა ფერდსა კრა ბოძალი ორბი ფრთიანი... შემოიკიდა ცხენზე, გამოიტანა მინდორზედ. ცეცხლი დაინთო ძრიელი. დაჟდა და დათაღნა შამფურნი, წვადებს დაუწყო ტრიალი. გაიხედა მინდორზედა ლურჯამა. შეხტა ლურჯა, ნახა შორით კაცი მოარული.

— რაზე შეფრთხვი ლურჯა ცხენო? — ახლა ავთანდილმა დაინახა: სამი ძმა-კაცი მოდის შორით. ავთანდილმა თქვა: — თუ არიან მეგობრებიო, ვერას მერჩიანო. იმ სამა ძმამ გამოაჩინეს — ერთმა ცხენი, ერთმა აბჯარი, ერთმა კაცის მოსაკლავი. უნცროსმა ძმამ მუხლად გვასწრო, სადავეს უტაცა ხელი, უნცროსმა და უკეთესმა დაუშინა მათრახები, ძმასა მოუკეცეს მხარი. ახლა ავთანდილ დაუშინა.

— წვადნი იწვიანო ნებაო. გადითო, ირმის ტვინი დასცხევითა ძმასაო, რაკი მხარი მოუტეხა... დანა დამრჩა და ნუ გამირთავთო. თუ აღარ მომცემთო, მეტყოდეთ გამარჯვებასო...

### ტარიელისა და ავთანდილის ამბავი

ავთანდილი და ტარიელი იყვნეს. იძმეს ერთმანეთი. ტარბელი უფრო ღონიერი იყო და ძრიელი ხმა ჰქონდა. ავთანდილი უფრო მეცარი. მაშინ იმათ ნესტარ-დარეჯანი წაართვეს ქაჯებმა და გაიტანეს თავის სამძღვარში და ხემწი-

ფეს ცოლად შერთეს... აწ ეს ავთანდილ და ტარიელ ეძებენ გულ გაცხარებული-უნდა მოიძიონ. გაიარეს ერთ ადგილას და წყარო გამოდის. ქალი არის აქა.

— ამა და ამ ადგილას ქაჯებმა ქალი გამოიღესო კოშკშით, ნესტარ-დარეჯანი ჰქვიაო, ქაჯეთსა არისო. ციხე აქეთ და ვერაფერი შეუვათო, იმაში ჰყავთო... აწე ზღვა არის გასავალი და როგორ უნდა გავიდეს? ერთი ლაფრი-დონია და ცხენის ჯოგი ჰყავს. ავთანდილი გულთმეცარია და უთხრა ტარიელსა:

— რომელსა ცხენსა მოვკიდო ხელიო, შენ ის წამოიყვანეო. ლაფრიდონმა რომ გენახონო, დავწყვეტსო.— მოჯამაგირეები ყავან ლაფრიდონს. დილახედ გამოხედეს ჯოგსა და მოუტანეს ჩქარა ამბავი ლაფრიდონს:

— ლაფრიდონ, ორთა კაცთა მშენიერთა ჯოგი მოგეტაცესო! — აილო პირსახოცი, მიატანა და მოკლა.

— ვინ შემოგვკადრებსო? — ახლა მეორე მოვიდა.

— ლაფრიდონ, ორთა კაცთა მშენიერთა ჯოგი მოგეტაცესო! — აილო სავარცხელი, მისტყორცნა და მოკლა:

— რაჟა გამიბედავდაო! — ამ დროს მესამე შევარდა და

— ლაფრიდონ, ორთა კაცთა მშენიერთა ჯოგი მოგეტაცესო!

— ეს რა ამბავი არისო? — და გაიხედა. წიფელს მოკიდებს ხელს და ვერც უწვდენს მოკლას. დაუჩოქებს იქიდანა: — მოდიო, სამოყვროდ მოვსულვართო! — მივიდა და იძმეს.

— აბა, ლაფრიდონ, ქაჯეთს მივდივართ და ზღვას გავდივართ, მოგვეც ცხენებიო! — რომელი კაჟ ცხენები ჰყავდა, დაამუნიანა — ეგება არ წაიყვანოსო. აწე ავთანდილი მიხვდა, გულთმეცარია და ნოჰკიდა და მუნიანი ცხენი წამოიყვანა. მესამეზე ლაფრიდონიც შემოსჯდა. რომ მივიდეს ზღვაზედა, ტარიელის ცხენი მუხლებამდინ მიდის, ავთანდილის — ჭლიკებამდინ, ლაფრიდონის ყურებამდინ. ლაფრიდონს უთხრეს:

— დაბრუნდიო! — დააბრუნეს კიდევაც. თოკ-ბაწარი აქვს ტარიელს და ავთანდილს. მჭედელს გააქედის რიგიანი პალო, უნდა დაესვას კოშკის მალლა და ზე აცოცდებიან... გამოაღეს გახურვებული და გადახტა ტარიელი. დაუწვეს თოკები ქაჯებმა, მარე მაინც აასწრო. ახლა ავთანდილი კარებში დააყენა:

— სანემ არ გაგოჭირდენ, არ მოხვიდეო. როცა დაგიძახო, მაშინ გამოშთიო... — დაიწყო ბრძოლობა, კაფავს და კაფავს ამ ქაჯებსა. აწ ძირს ჩამოაწია. ერთმანეთს მცთარობით შეებეს ტარიელ და ავთანდილი.

— არიქა, ძმა ავთანდილო, შემხვდა ჩემი მკლავიო!...

— მაშინ არ ვიყავ შენი ძმა, როცა კვერცხულზე გამხეთქდიო! რათ არ დამენახზე, სანამ არ გაგიჭირდაო? — გაჩერდეს. ნესტარი წამოიყვანეს და ქვე არ დაფენხძიმებულა? ხიღია და დახვდეს და შეუტევეს ხრმლებით და ერთი წითელი ჯორი და მეორე გააკლო ნესტარმა, მოაბერწეს...

## II. ლეზურ-მორული

## როსტომის ამბავი

პირველმა რომ ცხენი არ იყო, ერთ კლდეში ცხოვრობდა, სახე უადლოში ერქვა. წავიდა ის დევი და ნახა ის ცხოელი და ნახა ცხენი. გაუკვირდა. გამობრუნდა და როსტომი შეხვდა.

— გამარჯობა ადამთავანო!

— გაგიმარჯოს!

— შენთან ერთი სიტყვა მაქო.

— ბ-ძანეო!

— ერთი ცხოელი ყავს კლდეში ლომსო— კისერი გრძლი აქაო და თმაო დედაკაცივითა აქო და კუდიო დედაკაცივით და გრგვალი ფეხიო. — ნიშანდულობა უთხრა. — როსტომა თქვა:

— ის ცხენიაო, მარა არ იცისო. დღემა უთხრა.

— მოვპართო! — მე გამოვიყვანო, — შევიდნენ, გამოიყვანეს ეს ცხენი და რკინი კეტი უჭირავს დევს და მოღის და უკან როსტომი მიყვება. როსტომა უთხრა:

— მათხოვე კეტიო! — გაუშალა და დაკრა როსტომა დევს.

— შე კაცო, აქ რა მასხარაობაა მინდორაშიო, უთხრა დევმა. როსტომა თქვა:

— ეს მასხარაობად ეჩვენა, ცხენს ვერ წავართმევო! — გეშინია რასმეო?

— არაფრის! როსტომს იტყვიან; იმისი შეკვილი კლდის ანგრევსო.

— აწ მე ვოციო და წაიყვანე და პატარა გადაუხვევ და მოგეწევიო!

— უორკვალა და წინ დაუხვდა კლდეში და გაიკვლა და ქვე არ იხმო კლდემა და უშვა აქ ცხენს ხელი და მოკადა როსტომა და წამოიყვანა. გამოვიდა ერთ მინდორზე. და აბალახა ესი ცხენი. თვითონაც მოისვენა, ღამეა! ადგა დილას და ცხენი აღარსაჲ. რის, მოუპარავს ვინცაღას. აიკიდა ეს იარაღი და წამოვიდა და მიყვა კვალს. ერთ სანეფოში შევიდა. მივიდა ამ სანეფოში. მიღია კვალს და პირდაპირ ხემწიფესთან შევიდა.

— როსტომი მობრძანდაო.

— ესეო რა არიო? — იარაღის უთხრა, რა ავეჯიო? — ცხენი მყავდა და შე სანეფოში შემომიძღვა კვალიო.

— ამელამ მოისვენე და ხვალ დილას მოვაო. — გაცა ბრძანება. დილას მოგვარეს ე ცხენი. მოიყვანა ერთმა კოჭლმა კაცმა. ცალი ფეხი აქ, ცალი თვალი, ნახევარი კაცი... მეორე ღამეს ისევე გააჩერა ხემწიფემ. ხემწიფემ უთხრა თავის ქალიშვილს:

— ამალამ შენ როსტომთან უნდა მოისვენო და იქნება იმისი ძე დაგვრჩა, კაი ჩამომავლობა აქო! — გაიყვანეს, ლოგინი დაუგეს და დაწვა. როსტომი უბნობს:

— მოვხურო ოთახი, ვაჲ იფიქროს — როსტომ ქვე ეშინიაო. არ დაკეტო და ვაჲ თუ მილალატოსო? ისევე იყოს დაუკეტელი! — ღიათ დატოვა. დაწვა და მოვიდა ქალი; დაადგა და ვერ გააღვიძა. ადგია თავს და ფარნები უნთია და დაჩერებია. გვეღვიძა საცა იყო.

— რას შევბიო?

— მამამ გამოგზავნა მოვისვენო.

— რე თუ ვაჟი დამეწროსო, — ერთი ს მაჯური ქონა; თელ სანეფოდ ღირდა, აჩუქა. — თვრამეტი წლის ომ შექნეს, გამოგზავნე ჩემთანაო.

— სად გამოგზავნო?

— ქაეჯავოზ ნეფის მოსამსახურე ვარ და იქაო ჯარები მყავსო და იქ გამოგზავნო... — დაიშობა ყმაველი. შექნა 7-8 წლის.

— ზურაბი დაარქვი სახელადო! — დაუბარა... რვა წლ ს დაიყო თამაშობა ცხენით. ერთი თვის ტოლი გალანა და იმის დედამ უთხრა.

— ჩემ შეის კი ნუ ლახავ, შე სხისო ტრიკოო, ბუშოო! — წამოვიდა დედათან ტირილით.

— ვისი შვილი ვარო?

— როსტომი არისო, შორე არისო დაჯერ ვადა არ მოსულა წ სვლისო...

— უნდა წავიდო! — გზა არ იცოს და კვაოი. ხეშწიფემ თქვა:

— ვინა ხარ გაბედული, წაიყვანო! — ვინცალმე ცხენი მოპარა, კოჭლმა — მე წაიყვანო! — წამოიყვანა ზურაბი და ი სკინტოიანი რომ არის, ის როსტომის მამა რომ იყო, იმისგან ქონდა მოთხრილი თვალი და ფეხიც.

— იმისი მჯავრი ჭირს და წაიყვან და მამას შვილს შევ კოავო. — წამოიყვანა და ყარაულები არიან და — ამბავს გაიფანებო! — მივიდა და უთხრა-ყე:

— ერთი ძაღლია ვინმე და როსტომთან მიდის საომრადაო. — არ გაუშვებს. — არ გვიშვებენო. — გზა მაწავლე და მე ვიციო, — უთხრა ზურაბ, — რკინი გარდა არაფერა გამიძღვებსო. — ის ნიქეთი ქვე შეება დედამ — ამითი გიცნობსო!... მივიდა ყარაულებთან და კოჭლი ფიქრობს: — თუ ამათ დააძალაყე, მამასაც დააძალებსო... მივიდა, მარე რას გაქძლებდენ. გადაცთა, წავიდა. ახლა მეორგინაც გატხა ზღა გავიდა. მესაჟე მთას გადატეხა: ჩააწია საცა მამის ჯარი იდგა. ჩავიდა და კოჭლი ენახშება:

— მე გავიგნებ ამბავსაო, შენ დამიცადეო, აი ჯარში ჩავალო. — ჩავიდა და მამამის წვანე კარავი აქ ცალკენ და იქაა. უთხრენ:

— არ გეშვებენო და იმათი ჯარის უფროსი წვანე კარავში არიო.

— შე რასი გეშინიაო? — მოწვადა წვანე კარავი და თვითონ დაიდგა და შევიდა. როსტომმა კაცი გამოგზავნა — ვინ არისო? ცოლშვილი თუ არისო. ჯერ არ არის დრო... ვინ გაბედო?

— ჩადით და უთხარით: — „ან თუ ხარო ალატარისაო, ან როსტომიან სახისაო“ ის გეტყვის-ყე ვინაობასაო!

— ის ირმი ხორცსა ჭამს და ძვლებს გამოხრავს და ცქიფივით გახლენს და გამოწოვს ტენის და გადააგდებსო! — ჩააძახეს ე სიტყვები ზურაბს.

— „ქვეცა ვარ ალატარისაო, ქვეც როსტომიან სახისაო, ძვალსა ტყაყრებ გავხეო“. — წამოვიდა როსტომი თვითან. ჩამოვიდა და ღამე არის, ბნელე და რაცალა იყო, იმასა ყავდა ანგაროზი — ზურაბს. რავაც დაინახა, იცნო როსტომი და კალთაზე მოუბრიალა ი ანგაროზი ლეკვივით, მარა ვერ მიხვდა; ძემოკრა და ზე მოკლა ი ანგაროზი.

— ვინ მომიკლა ანგაროზი, ცალი თვალთ მატყვერეტალიო? თუ რომ დილა გათენდება, მექნება გლოვა ზარიო... გათენდა და შეიბნენ. აიყვანა მამა და დაცა. კიდე იჭიდნეს. როსტომი ენახება:

— ფალავანდი ფალავანდსა სამჯერ უნდა ეჭიდოსაო, ერთხელ დამცი და ამიშვი, აშეება ვალიაო, ჰეორედ სამღთოდ გამიშვი, ღმერც აპატიეო; მესამედ თულა დამციო, სული ტვერულეებ გაუშვიო. — წავიდა და ქედლებთან მივიდა და: აღმასები დამიჭედეთო და ფართო ნიფხვებში არ ჩანდა. მივიდენ ერთმა-ნეთთან. უთხრა შვილმა:

— ბერო კაცო, დამაყენე, გული არ მემოწმება შე სიკვდილზეო; დედიჩემის დაბარება ყველა რამე მენიშნებაო!

— შენ ყმარწვილი ხარ, ტუტუცი, რაღას იგრგოლავ ენასაო; გუშინ ერთმანეთს დავპირდით დღეს ერთმანეთის ძგერასაო! — აღარ აცალა და დატაცა ხელი. მამას და დაცა და კრა ძირიდან აღმასები და გაჩეხა. დაიკლა შვილი. უთხრა ზურაბმა:

— შენ ბერო კაცო, რათ მომკალ, ხრმალი რათ შემე ვადამდინაო, შენ მამაჩემსა როსტომსა ემალვო სადამდინაო. ზღვას ჩახვალ, ზღვას ჩამოგყვება, ცოცხალს არ გაგიშვებსო...

— ვაჟ შეს მამასაო, დღე ღამეთ დაბნელებიაო... შვილი მომიკლავს ზურაბიო, რა ცოდვა გამდიდებიაო... იმან ამოიყარა, ი კოჭლმა იმისა მჯავარი... ქვექაზ მეფეს შეუთვალა:

— მიშველე წამალი, ზურაბ მერჯება ხელზედაო... გამოუგზავნა დიაკვანი ხელით და

— გულფიცხელია და ახლო რომ მიხვიდე, წაიბანდე ფეხები და ის რომ გაცოცხლდესო, ნეფებს გადაადგებსო... წაიბანდა და გააქცია... მივიდა და დაკრა წიხლი და მოკლა. შევიდა ქვექავოზთან და შვილები უზის, ქვე ათამა-შებს-ყე სტოლზე.

— შვილის სიკვდილი მწარეაო — და შეანარცხა და დაყარა და ნეფე და დედოფალიც შეასრისა... წამალს ეძებს და დახვდა გზაზე მეცნიერი, იესოქრისტე ბერკაცათ და

— ე რაღა მებანდებო — და აიღებს და წყალში გადაადგებს. ქრისტეს უნდა წამალი შეთხოვოს. როცა იყო და

— ყოველთვინ ეს მხედება და მოდი ვკითხავ ჩემ გაჭირვებასაო. ასეა, ასეო..

— მოთხარე მიწა და კარავი გააკეთე და მკლავზე გეწვინოსო და იმდენი ბალანი მოგევა, ფეხებზე დაგაწვდებო. მაშინ მოიხდი ცოდვას და მორჩებო შვილიო! — მოთხარა და ჩაწვა. რომ მოაწია დრომ,

— აწ გაცოცხლდება ესო, — აღარ მოუსვენეს..

— გველეშაპებმა და მდევებმა წაიარესო! — მიუჩნა ერთი კაცი და ჩააცივ-და და ბოლოს ჩასძახა:

— შე შვილისკალიაო, რათ არ ამოხვალო, — და ამოვიდა და ამოკრა წიხლი და ჰაერში შეაგდო...

## ზაზრიანი სიტყვა

ცხრანი დევი ხარშავდენ ცხრა კამბეჩს. მოვიდა ერთი ყმარწვილი და უთხრა-ყე:

— გამარჯობაო!

— გაგიმარჯოსო!

— რა კარგი შესაწვავი მოგვემატაო? — ამ ყმარწვილმა თქვა:— მოდი და ჩემი საზრით ეუშველი თავსო უთხრა-ყე:

— თქვენზე უფრო დიდებული ქვეყანაზე არ მინახავს და ერთი მოსახსენებელი სიტყვა მაქსო. მამაჩემო ერთი ბულა გაზარდაო და სოფელს შეწირაო და იმოდენა გაიზარდა, შვიდ გორაზე კუდით იგერებდა ბუზებს. მერე ერთს მეცხვარე ცხვრები ყავდენ და ავდარი იყო და შეჯუჯგული ყავდენო და იმას ყავდა ერთი დაუკოდველი ვაცი და ქვე იცოხნიდაო. ის ბულა გორაზე ჭამდაო. მოვიდა ერთი ქორი, დაახტა ბულას და საცა თხა იცოხნიდა, იგი რქებ შუა ჩადეო. გამოიხედა იმან და გადიდარა თუ არაო და გამოხრული ბეჭი ჩაუვარდა თვალშიო. გააბა წივილ-კივილიო, დეენმარა სოფელი და ორმოცი უღელი ხარ-კამბეჩით ძლივს ამოუღესო. წამოვიდეს და ი ბეჭი სანახავათ მოიტანეს სოფელში. გამიწდა ი ბეჭი და სოფელი გაშენდაო. შარშან ზამთარშიდაო მოვიდა ერთი მელაო და გამოკრა კბილი და ეს სოფელი სუ გაანადგურაო. გამეეკიდა და მოკლეს ე მელაო და მეორე გვერძე ვერ გადაატრიალეს და ქუდები გამოუვიდათ და ნახევარი ი ტყავი დარჩა, რომ ველარ გადააბრუნეს იმ გვერძეო. ერთი დედაკაცი მოდიოდა და ძახევდა გვრიქს და მელიათან მივიდა და:— შეუტოვებია-ყე ე ტყავიო, — თქვაო და საძახი ტარით გადაატრიალაო. გაატყავა ცალი გვერდი და იმი შვილს გაუკეთა ქულიო. მოვედი ახლა: ის მელა უფრო დიდი იყო, ის ქალი უფრო ღონიერი, თუ ის ორბიო, რომ წაიღო ვაციო? ამისა გასარჩევათ გამომგზავნეს სოფელშაო. ამაზე დაცილდეს დევები:— არაო ქალიო, არაო თხაო... დაცილდენ და წავიდენ ერთ დღელში და ჩაიხურხლენ და ე ყმარწვილი გადარჩა და გამოიქცა და ისინი კი შეყვენ ცილობას და დაამტკრიეს ერთმანეთი:

\*  
\* \*

ერთ კაცს ღვინო მიჰონდა კამბეჩი ურმით. მიაწია ერთ ლელში, ასავალში. იმას მიეწია ერთი ცხენოსანი.

— გამარჯობა შენო!

— გაგიმარჯოს!

— მარა რაღა გამარჯობა, ამ აღმართში კამბეჩები ვერ აღიან და მოსაკლავი არ არიანო.

— მე ავიტანო მაგ ტვირთსო და მარტო ერთი დამალევიეო, ნდომას არ მოვიკლავო.

— შენ კაჲ კაცო, რაც შეიძლო ის დალიეო. წავიდა და შეკეცილო მათო რახით შეწვა, — და ხელს და ისე გაათრია.

— აბა დამალევიეო!

— მიირთვი, რ მდენი გერჩიოს. — დეეყუდა და ისე უცებ გაცალა ი რუმბი და კიდე თხოვეს — დამ ლევიეო!

— რალა დაგალევიეო, რაცალა იყო, ქვე გაცალეო!. ახლა მეორე ცხენო-სანი მივიდა:

— რასა ცილობთ, რა ამბავი არისო?

— ლვინო მწყურია და არ მალევიებსო!

— რაცალა იყო, ქვე გაცალა და რალა დავალევიო, ბატონთან ნადელი მიმ-ქონდაო. — რაცალა ყოფილა ქვე დაგილევ-ა, ამ კაცმა რალა ქნასო?

— ვერც შენა ყოფილხარ კაჲ მოსამართლეო! — ასწი ამ ცხენიან კაცს და ჩექმაში ჩაისო. ახლა ეს კამბეჩიც ასწია და მეორე ჩექმაში ჩაისო. ჩაიყვანა-ყე სახში, მივიდა სახშიდ და გადმოჯდა ცხენიდან, შევიდა და დედაკაცს უთხრა:

— ფეხს გამხადეო! — გახადა ი დედაკაცმა. ცალკენ ცხენიანი კაცი გაგორდა, ცალკენ ურმინი კაცი.

— არ გაგიკვირდა ჩემი ღონე, რომ მოვიყვანე ჩექმითაო?

— მეო მამაჩემთან შენი ღონე არ გამიკვირდებო. — სიმამრს უთხრა, დაკრა და წავიდა. — საცალა ი ჩემი სიმამრი უნდა მოეძებნოო. — გავიდა ერთ მინჯორში და წყალი მიდის. იმაში დგას ერთი კაცი და ნიჩბით უჭირავს და ნიჩბით რწყავს ყ ნუკავებს. ი ნიჩბით წყალმა ე ცხენოსანი კაცი წილო. გაიხედა და დავარჩვეო და გააჩერა ნიჩბი და — დაშრება და გამოვოო. მივიდა და

— გამარჯობო! — უთხრა წყლის მრწყავს.

— გაგიმარჯოს, შვილოო!

საიდგან მოხვალო?

— ასეა ჩემი საქმეო, ისა ჩემი შვილი ყოფილაო. დაჯედი და შენი სიდედრი ამოვა და სადილს მომიტანსო, გჭამოთ და სახში წახვლთ და ამელამ გაგეხარება ჩვენი ნახეო. — მოიხედეს და მოდის დიდელი, გვრიჭა უჭირავს ხელში და ერთი კამბეჩი მოუხ რზავს და მოაქვს ქმრისთვის.

— მე მაგდენს ვერ შეგჭამო.

— აბა შენ შენი ხელით მოჭერიო. — აილო ერთი ასო იქნებოდა და მოჭრიდა..

— სიძეო, სახში წაიყვანეო! — მოიხსნა გიდელი. — საშად გაჩეხე სამი კამბეჩოო. ე დანარჩომი ისე დახიეს ცოლმა და ქმ რმა, ძვალი აღარ დატოვეს. — წაიყვანეო სახლშიო... — გამოუქდვა, ცარიელი გიდელი ეკიდა და ცხენ ველარ მიდევს ე კაცი. აწია და ი გიდელში ჩასვა ი ცხენიანი. ერთი ტყეა გასვლელი და რომ მიაწია ტყეთან, — ესენი კეთილს არ დამართვენო და, შეეწკადინა და იქ შეეკავა ხეზე თავი. ვერ გაიგნო ქალმა და ელაპარაკება, აღარაა კაცი.

— ნამდვილა ი დავკარგეო, და გამოტრიალდა იმ საათზე. შეხვდა და სიძე დაინახა. — რა გინდოდო?

— გარე ი გადასვლა მინდოდაო და ვერ გითხარიო... — ჩაიჯდინა და წაიყვანა ჩაიყვანა და იმას ერთი კაცი სხვა მოყვარე ყოლია. — ეს სიძეო. ისინი ცალკენ ოთახში შევიდნენ. ეს დარჩა. შემოჟდა ცხენზე და გამოიბარა. შორს გაიარა. გამოვიდნენ და — გადიეო და მიეწიეო, — ქალი ეუბნება. გავიდა და ერთი კაცი ცერცვსა თესავს და ორსა რომ ქვე გადააბნევს, მესამეს პირში ჩაიყრის.

— დევი მომდევსო და დამალეო! — კალთაში ჩაიწვინა. ქვე არ თესავს? მიაყოლა ი ცხენიანი კაცი და არ გადაყლაპა? მოვიდა ე კაცი.

— ცხენიან ხომ არ გაუფლიაო?

— არაო! — გაბრუნდა უკან.

— ი საწყალი კაცი ხომ არ გადამიყლაპავსო? — ჩაიწვინა ხელი და კბილი ქონია ამოტეხილი და იქ ჩარჩენილა. ამოიყვანა და წადა შეილოო! — გამოიარა ერთს სამი საყენი და

— მოდი, ვკითხავ, რამ მრტეხა იმდენზე კბილიო? — რა დაგადგა იმდენი ძალა, რომ მოტყდაო?

— თორმეტი კაცი ვიყვენით და საქურდალოთ წავედით ღამეო! გაავდარდა და ბნელე იყო. ერთი ადამიანის თავის კვახი ვნახეთ და ამ ავდარში ამ თორმეტმა ამ კვახში შევიწვიმეთო. ერთი მეცხვარეს ცხვრები ყავანო და მგმლებია და წივილიაო. სირბილში ფეხში მოვხვდითო და გაბრაზებით დაგკრა ფეხი და მაშინ მოვიტყეო. მოვიდა სახში ე კაცი.

— რა ქენი, რა ამბები მოინახეო?

— ასე იყო, ასეო... იმათან შენი ღონე რათ გამიკვირდებაო! მეცხვარე — დედიჩემის ძმა არისო. ამითანე ღონიერი ბიძები მყავდაო და შენი რას გამიკვირდებაო?..

\*  
\*\*

ერთი გელა იყო დადემქელიანი, თავადი. წამოვიდა. ის გელა და იქინა მონასტერი იყო და ჩავიდა ონშიდ. სოლომონ მეფე იყო და ჯაფარა ყავდა მიღებული და ტყვეები დატაცა. წამოიყვანა და რომ ჩამოვიდა, ლებელემმა გზა მისცეს გელას. რომ დეეტაცა-ყე, უთხრა-ყე ველამ:

— დევარი გამოგვეკიდებაო. — ჩვენსა საგზალი მისცეს, უწერაშიც მისცესო. მივიდა გელა და — ლებელემო, „ყიარიშობა ყელასა, ლებურნი სცემდით ყველასაო. ნეფე შეეკრა თითის სიმალღე გელასა“. წამოვიდა ჯაფარამ და ონი ბოლოზე მდგარა. იშოვნა ჯაფარამ სოლომონ მეფის სამართალი — შენი ერთგული ვარო და სვანმა დამტაცაო და მიშველეო და მოცა ასი კაცი და კვარტალი. მივიდნენ და ჩამოიხმეს გელა.

— რავა გინდაო? (გოგრიქიანი ყმათა ყოლია გელას).

— ჩემი სისხლიო ერთი ჩექმა კოლოს ტვინი არისო! — გადაუწყვიტა ექვსი გოგო და ექვსი ვაჟი. გელას უთხრა:

— უნდა მისცეო სისხლში — და სამი ჯვარი — თითო სოფლად ღირდესო და მოსცა... გოგრიქო, გიორგი მოსცა სისხლში.

— ლებელემო, ის არ გეგონოს-ყე რომ თქვენი იყოს აქაობაო... დემტერა-ყე ლებელემს და უწერლებს გელა.

ჯაფარა ჯაფარველია, ენა გამოყვა გძელია,  
ძეჯორ შეღმა შეიქირა მთელი უწერის ყელია.  
ლებელი ყველა გაგლიჯა, არ გაყვა ნაბდი ძველია....

\* \* \*

სვანები რომ წამტერებრან ლებს—ძველებური ამბავია. აძრულან სვანები და მოსრულან მტერები ლებში, შუალამის დროს და გაუტეხია-ყე მაცხოვრის ეკლესია, წაუღია-ყე მაცხოვარი ჯვარი. გაუგნია საზოგადოს, რომ ეს სვანებმა ქნეს. სხვა არავინ იქმოდა. შეკრეფილან და წასულან რამოდენიმე, რომელიც ყოჩადი ყოფილან და ჩასულან სვანეთში და შიგაითათ უკითხავთ:

— ეს ჩვენიდგან რომ ჯვარი გადმოიტანეს, სად გაასვენესო? — უთქვამს ერთ დაერთგულებულს:

— ამა და ამ ეკლესიაში დედახეთისა არისო, იმაში გაასვენესო. შექნილა შუალამე დრო, შესრულან და ერთი რომელიც გაბედული იყო, შესრულა სარკმელზე და დანარჩენი გარეთ ყოფილა. ნამალევით შესულა ერთი და რომ შესულა, ალბათ ხთის ბრძანებით, ე კაცი სამერცხლე კვებოში შეტეულა და შესულა. განათლებულა ჯვარი მაშინვე და გალადლადებულა. მისულა, გამოცხადებია და მოუკიდებია და მოდგომია კვებოზე! ველარც გამოტეულა კაცი, ველარც ჯვარი. რომ შესულა შვეიწროებაში, მოუწევია გააენებას. უთქვამს:

— მაცხოვარო, იდრიკეო თავი და უწველე შენს თავს და ჩემ თავსაცაო. — განათლებულა ე ჯვარი და უწველია და უდრეკია და გამოსულან. დახდომია ე ხალხი. ე ჯვარი გამოურთმევია-ყე, დაუკრავ-ყე ფეხი, წამოსულან. უვლიათ და რომ მოსულან, ხოლი თავ უძახით, გათენებულა; ღამე უვლიათ და ჩამოწეულან, შეყრილან და უთქვამს ერთ აზრიანს:

— მოდი, ერთი დღესასწაული დავდვათო.

— რა დავდვათო? — და უთქვამს:

— დიდება ბძანეო, მაცხოვარი მოგაბძანეო. ქნეს სუყველაკამ ერთი პირი და დაუწყო-ყე იმ აზრიანმა: თქვით ე სიტყვებით: „დიდება ბძანე მაცხოვარსა ჯვარცმისა, წმიდი გიორგის ზედ ქალაქისაო“. მას უკანი დაიდვა დღესასწაულად. ერთი კვირა მარხობდენ და რომ გაუხდებოდა კვირე, მერე გოკვი სუთ-შაფათს გაიხსნილებდა, მოივლიდენ და ჩაასხმდენ კუბრში და ფსონობდენ. დადებულობა იყო. გამოედენენ მაშინ ამ მაცხოვრი გამოტაცებაზე და რომ ვერა დააკლეს-რა, წავიდენ და ამ უწერას ერთი ჯაფარიძე ყოფილა, ნეფეთა ყოლია-ყე და იმისი ინტერესობა ქონია სვანებს. უთქვამს-ყე: — რადგან ლებს გერაფერი დავაკელითო, დავეცნეთ და ეგება ი ნეფე დავიჭიროთო. დაუკრავს-ყე ხელი და გაროუტყვილებია-ყე გემრიელი ენით და შეჩენიათ და გამოუწვევით-ყე და უტაცნია-ყე, გაუკრავს-ყე ხელი და ქვე მოუტაცნია-ყე ვაკრული. ამოურონებია-ყე ნეფე და ე ქიორლები რადაცა გაუგნია-ყე — ნეფე მოყავს-ყეო ჯაფარიძეო და სვანების მომხრე ყოფილან ქიორლები, სვანი მხარი დაუჭირავს-ყე. ჩაგებებიან ჩვენი ჯარი და აქანათგან რო ვახვალ, საყანოები აქ ქიორლებს, ჩასულან ლებურები, სვანებს ჩამოუყვანიათ-ყე. ქიორლებს მხარი უქნია-ყე სვანე-ბიკე. შექნია-ყე დავიდარობა და ჩხუბი და ე ქიორლები ლებელებს დაუღახავს. წამოუყვანია-ყე სვანები და იქით-აქით და მოციქულობა შექნია-ყე და წაურთმევია-ყე ე ნეფე და ქიორლები ქვე გაუშვიან-ყე ვალახულები. სვანებ შექნიან-ყე ანცი-ბანცი და შეწორებულან როგორც იქნა და ჯაფარიძეები ჩვენი მხარე გამ-

ხდარან, რომელიც რომ ნეფე იყო და ბევრი რამე ვადუხდია-ყე სვანებთვინ და შერიგებულან და მაშინ დაუძახნია ლებელს:

— ყიარიშობა ყელსაო,  
 ლებურნი სცემდენ ყელსაო,  
 ნეფე შეკრული მოყავდენ  
 ციდი სიმაღლე ღმერთსაო (sic).

\* \* \*

ჯამათა ერთ მაგარ ადგილას ტერობდა ლებს. გაჩერდებოდა იმ რეხში, კლდეში და ართმევედა-ყ ჩოხა-ნაბადსაც, კარდლებსაც, ყოლიფერს... იარა ამ-კაცობამ და თქვა ლებმა: — ჩვენი საქმე წამხდარია, თუ არა უწამლეთ რაო. შეიყარნენ რაც ყოჩალი კაცი ლებში არი და წავიდნენ. შემოგრტყენ რებს გურ-გვლივ. დაიჭირეს ჯამათა. სიხარულით წამოიყვანეს. მოიყვანეს კვდარ-ცოცხლად და ამ სოფელი ნაპირში ვეძიჭალაძე მოიყვანეს და—სიზმარივით მახსოვს— მივა და ვისაც ავკაცობა ახსოვს, ჯოხს ურტყამს. —ვაჟ, ვაჟო! იძახის. მივიდა ერთი ყმარწვილი კაცი და თურმე ამ მარჯვენა ნეკზე ოქრო-ბეჭედი აქ და ის წაართვა. მივიდა და არ უშვებენ: ჩაკრავს და ქვე მოკლავსო. ჩაკრა ყმაწვილმა მუჯირი და მოკლა. დაასაფლავეს იქავე....

\* \* \*

გლოლას რომ ოსი მოსულა, ნავაყაველი გუაო,  
 მთას ჭირი გადმოყოლია, სოფლები დააყრუაო...  
 საწყალი აზ ნიშვილი შუაზე გაუბიაო.  
 ეს ჩიჩხაშვილი ბასილა იმ თხილვანშიდა დვასაო,  
 ცოლშვილი ყველა გაუწყდა, ერთი ობოლა დარჩაო;  
 ნაყურში რომ შემოვიდა, ვაიბალახებს ცხენსაო.  
 ქაოზიე ჩუმელაო ბელელში მალავს ქერსაო.  
 ახალს რომ ვერ მოვაწრებო, რაღას ინახავს ძველსაო?  
 თამარიკიანთ ბალათა ყმაწვილებს პარცავს თავსაო,  
 დღეიწორამდი მაცალოს, თითით მოუთხრი თვალსაო.  
 ზვიადეეთა ხუცესი გორაზე იღვამს სახსაო,  
 მეგპარვის უკანიდან, მოუკლავს წითელ ძმასაო.  
 მაიორის ბრძანებითა ჭიდროთ ხიდი გავაგეთაო,  
 ჩამოვიდენ ქიორლები, ხიდი წყალში ჩაავდესაო.  
 ამ თასიმ და ბასილამ კლავი მკვლავზე გადადვესაო,  
 ერთმანეთს ეუბნებიან—ქიორელთა რა გვმართებსაო?!  
 დაიჭირეს ქიორელი, წელში ღვლერქი ჩააბესა,  
 სახლამდისი არონიეს, ურტყესა და გაავდესა,

მოიყვანეს ნაჩალიკი, სამართალი გაწაფესა,  
 ამართეს ოქრო ხატები შესახედავით ძნელიაო,  
 ზედ დააფიცეს იმაზე შვიდოცი კიორელიაო.  
 ზეზე რომ ველარ დამაგრდა, ძირ მიწა გაითხარაო.

\* \* \*

აბრინენ კიორლები, შეეცვალა-ყე მხარო,  
 მოკრიფეს თითო მანათი, თარხელას მისცეს ქრთამიო,  
 თარხელამ ქრთამი აიღო, გაუწყრა მაცხოვარიო,  
 ჩაგვიდევ წიხვარგას წილი, ჩაგვათიბიე ფარიო.  
 ქვემოდგან მოდის ქალიო, თანდილაშვილის რძალიო.  
 რავე დამსხდარხართ, ლებურნო, ბიჭობა ახლა არიო,  
 რაც ჭიორას ვაშკაცია, ყველა წიხვარგას არიო,  
 ეს რომ ლებურთა შეიტყვეს, ძიმეთ შეიძრეს თავიო,  
 შემოვიდენ მაცხოვრის წინ, ერთი არჩევა არიო,  
 დასხდენ და წიგნი დაწერეს, ზედიზედ დასვეს ჯვარიო.  
 ჩვენ რომ კაცი შემოგვაკლდეს, სულ ხომ ერთობა არიო—  
 გამოილაშქრენ ლებურნი, ვით რომ ნამბული ზვარიო,  
 ველეებზე რომ მოაწიეს, ერთი არჩევა არიო,  
 დავეართ თოფ-იარაღი, ჩვენთვინ სირცხვილი არიო,  
 ვადავსცხოთ არყი კეტები, მას დაულოკოთ თავიო.  
 რომ შევიდენ ნაომარზე:  
 დაიცადეთ, კიორლებო, ბიჭობა ახლა არიო.

\* \* \*

მინდორში ალახ-ბულახი(ს) სული შენ გიდისიაო,  
 ამაღამ შენთან ჩამოვალ, იმედი დამიციაო!  
 —გადმოიარე ბანებიო, ღია დაგხეცება კარებიო,  
 სოფელში ისე შემოდიო, ძალი არ გაახშიანო.  
 ცხრა კარი ისე გააღე, ერთი არ გააქრიალო,  
 ლოგინში ისე ჩამოდი, ჩალა არ გააშრიალო!..

\* \* \*

ძმაკაცები იყვნენ და:—ჩემი ცოლითანა თავშენახული არავინ არისო!—აბა  
 თუ გაეაბრიყვოო, ხომ არ გიღალატებ, იციო!—უთხრა მეორემ. მივიდა და  
 ე ქმარი დამალულია და ქვე ყურობს:

—ტანო, ძოწურებ გაზდილო, ბაგე გაქ ბალახქისაო,  
მას ქვემოთ ბილი მუცელი, საწოლათ ბუმბულისაო,  
მას ქვეშ რომ საქონელი გაქ, სარჩოა ვაჟკაცისაო,  
მაში რომ წყარო გამოდის—სასმელად ბადავისაო.

—ბიჭო, რას როშავ, რას ბოდავ, ნაღვინევ თვრალივითაო?  
შენ მგონი ჩემ ქმარს ვერ იცნობაო?

ზეითი ცას დაწვეს, ლიახესა, ორივეს ღრუბსა უზამსო.

ცხრა ნიტრას კანას და ტყვიას, კბილს მოუქერს. კვნიტს უზამსო.

—ნეტავი შენ ქმარს შემყარა, ზარხოშათ ვიყო ღვინითო,  
ამ ქედს გადავარბენიებო, თიკანსა გავდეს თხისასაო,  
ფეხსაც არ მოვატეხიებ, ვახვეწებ დედახეთისასაო.  
საგზალი მაინც გამომიცხვეო!

—ღვეო, რა გინდა საგზალიო, ამ ბოზი ქალის ნამზადიო?

ღია ჟის მინდორს ნადირი, ანგარიშ-აულღებელიო,  
წადი, მოკალი ირემი, იქნება შენი საგძალიო (წავიდა).

—რა ვქენი, მე დედაბოზმა, მოყმე გაუშვი გულკლებითაო...

მობრუნდი ერთსა შეგიხვევ,

მოყმე გნატრიდეს მრავლიო (მობრუნდა კაცი).

—ასე შავკრათ და შავბეჭდოთ, არ გათქვამს ჩვენმა ენამო,  
თუ საქადურათ გაილოო, ღმერთიმც გიგმია მალალიო.

—რასაც ყურს არ ეყურება, თუ საქადურათ გავილოო  
ღმერთიმც მიგმია მალალიო.

—ქალო რას გავხარ, მას გავხარო,

ქალას რომ ჯირკვი დალზებაო,

შენი ჩიქილით იაროს,

რაც ვაჟი შენთან დაწვებაო.

—ნუ ენდობი ცუდსა კაცსა, ცუდსა ცუდი გვარისასაო,

წავა დარბაზს დაიქადის—ხვევენას ვიყავ თვარისასაო.

ნუ მიენდობი ვაჟკაცსაო, ტყეში შეჭრილი მგელიო,

დილას მოგიფენს ენებსა, სალამოს ქრელი გველიო.

### შროშანას ლექსი

ქალსა ვისმე ერქვა შროშანაო, ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედო,

ბეჭდის თვალსა ედგა ბოსტანაო, ბოსტანასა ნალი გართულაო,

ნალთა შუა ნაწვი ასრულაო, ნაწვი წვერსა ქორბუდე იყოო,

ბუდე იყო აბრეშუმისაო, კვერციხი ქონდა იაგუნდისაო,

შვილი ყავდა მარგალიტისაო.

ღმერთო, ერთი ჩემთენ გაზარდეო, გაზარდე და კარქა მიმყოფეო,

სანადიროდ გზა გაუკაფეო, წყარო თავსა ინადირებსაო.

ნასადილებს მოკლა ირემიო.

—ჩემო ცოლო, ხოხობდაჭრილოო, მა ირემსა ბეწვი წაგლიჯეო,  
შენ იმისი ჩოხა შემირთვიო, რაც გადარჩეს,—წინდა-პაიტიო.

—ჩემო ქმარო, ლომო და გმიროო, ლიბნი ხესა ქვეშა უდგასარო,  
შეკარ ხელიო და შტონი მოტეხეო; შენ იმისი სახლი დამიდგო,  
რაც გადარჩეს—წისქვილ-ბეღელიო.

### შოთა ძიდიგური

## ОСНОВНЫЕ ОСОБЕННОСТИ МТАРАЧИНСКОГО ДИАЛЕКТА ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

### (РЕЗЮМЕ)

1. Бурные темпы культурного строительства нашей социалистической страны ставят перед диалектологической наукой актуальные задачи: а) зафиксировать те языковые типы, которые постепенно отмирают в процессе революционной перестройки старого уклада жизни и социалистического строительства; б) всесторонне изучить язык новой социалистической деревни—язык колхозника; в) содействовать подъему культуры речи широких трудящихся масс и т. д.; г) выяснить все богатства внутренних «речевых ресурсов» диалектов с целью подготовить базу для разрешения ряда практических вопросов нашего языкового строительства вообще, и т. п. Вопросы терминологии, проблема новогрузинского литературного языка, нужды школьного преподавания... ждут от грузинской диалектологии полноценных вкладов в дело языкового строительства и культурной революции, проходящих под знаком небывалого расцвета национальных по форме и социалистических по содержанию культур в нашей стране.

2. Рачинцы образуют одну из крупных этнических единиц Западной Грузии. Географически Рача делится на три части: Нижняя Рача, Верхняя Рача и Горная Рача. Вся Рача расположена на берегах р. Риони. На севере рачинцы соседят с балкаро-карачаевцами, осетинами и сванами, на юге они соприкасаются с груз. племенами (лечхумцами, имеретинами [имерами] и карталанцами). С другой стороны, из прошлого Грузии известно, что рачинская феодальная знать (რაჭის საერისთავო) играла заметную роль в истории общественно-политической жизни грузинского народа. По целому ряду историко-археологических, этнографических и в частности

ფოლკლორных данных можно заключить, что всестороннее изучение этого этнического района имеет исключительное значение для грузиноведения в частности и для кавказоведения вообще.

3. Рачинский диалект еще не достаточно изучен. Правда, в научной литературе иногда можно встретить факты рачинского говора, но лишь спорадически, да и то касательно некоторых частных явлений, основанных на плениминарном изучении этой столь интересной диалектальной единицы. Из скудной литературы о рачинском диалекте обращают на себя внимание экономические, этнографические, ботанические, геологические и др. труды о Раче, заключающие в себе лексикологические материалы (в большинстве случаев искаженные), с одной стороны, и отдельные высказывания лингвистов-грузиноведов, с другой. Известный романист и грузиновед Гуго Шухардт (Hugo-Schuchardt) в своей работе *Zur Geographie und Statistik der Kharthwelischen [südkaukasischen] Sprachen* (1897) отмечает, что рачинский является одним из архаичных диалектов грузинского языка. Неоднократно черпал лингвистические факты из рачинского диалекта также и академик Н. Я. Марр. По рачинской лексике имеется специальная работа В. М. Беридзе—«Грузинский (картский) глоссарий по имерскому и рачинскому говорам (в серии: «Материалы по яфетическому языкознанию», VI, 1912), являющаяся между прочим первым научным диалектологическим словарем грузинского языка. В известном исследовании А. Г. Шанидзе—«Субъектный префикс второго лица и объектный префикс третьего лица в грузинских глаголах» (1920) рачинский диалект рассматривается с точки зрения употребления в нем субъектных и объектных глагольных префиксов. Между прочим, в этой работе показано специфическое архаичное образование глагола «прийти», имеющее определенное значение для эволюции соответствующих префиксов. В труде Арн. Чикобава—«Частица -qe в ферейданском и ее значение с точки зрения взаимоотношений между грамматикой и логикой» (1923) говорится также о существовании в рачинском этой весьма важной для истории грузинского языка частицы. О рачинском -qe сказано у Эркерта (R. Erckert) в его капитальной книге—«Die Sprachen des Kaukasischen Stammes (1895) и Г. Шухардта (H. Schuchardt) в специальном исследовании—«Georgische -qe» (1927). См. также III, В. Дзидзигури—«О плюральном вербальном объекте в грузинском» (1935). Вопрос о разделении рачинского диалекта на две единицы поставлен в работе того же автора—«Опыт классификации диалектов грузинского языка» (Ленинград 1935).

4. По моим наблюдениям, речь рачинского племени двуприродна. Формы хозяйственно-социальной структуры Горной Рачи, заключающей в себе три селения (Глола, Геби, Чиора), до наших дней были своеобразны и сильно отличались от таковых от верхней и нижней части этого края. Примитивные формы хозяйствования, патриархальный уклад жизни и выте-

кающие отсюда специфические бытовые черты отводят торнорачицам особое место в пределах рачинского края. Сообразно с этим, диалект Горной Рачи отличается от диалекта Верхней и Нижней Рачи. Таким образом, имеем «мтарачинский диалект» (Мтарача=Горная Рача) с одной стороны и «нижнерачинский диалект» с другой (термины вводятся мною условно).

5. Мтарачинский диалект представляет исключительный интерес для истории грузинского языка. С другой стороны, данные этой диалектальной единицы могут послужить ценнейшим материалом для общего языковедения, в частности для «лингвистической географии», последних достижений диалектографических школ. Конкретно, данные мтарачинского диалекта дают нам основание поставить следующие проблемы: а) соотношение между древнелитературным грузинским языком и мтарачинским диалектом (степень распространения литературного языка на районы Рачи или обратно: роль рачинского говора в целом в процессе сформирования классического грузинского языка); б) иноязычный вклад в мтарачинском (балкаро-карачаевские, черкесские и осетинские лексические элементы. Здесь отмечу, что такой социально-важный глагол, как «говорить» в мтарачинском заимствован из осетинского языка); в) место мтарачинского среди прочих диалектов и говоров грузинского языка. Специальный интерес представляют г) мтарачино-сванское взаимоотношения. Когда на материале мтарачинского диалекта ставится вопрос о диалектальных взаимоотношениях в грузинском языке, то выясняется, что мтарачинская диалектологическая единица является прекрасной иллюстрацией основных положений социальной диалектологии («лингвистической географии»). Действительно, в мтарачинском обнаруживаются черты, связывающие его как с восточными, так и с западными говорами грузинского языка. В основном же его диалектальная структура архаичная.

6. По линии архаизмов мтарачинский примыкает к горским говорам Восточной Грузии по следующим признакам: а) неформленность именительного и «повествовательного» падежей; б) сохранение показателя именительного падежа при образовании дательного падежа; в) образование Locativus и Locat. exterior'a; г) использование Ablativus'a в качестве исходного падежа; д) образование уменьшительной формы посредством а; ж) двенадцатичная система счета; з) образование фамилии посредством суффиксов -ობ||ობ იან||იონ; к) широкое распространение Pl<sup>n</sup>; л) использование глагольных элементов -ფჱ, -ფჱ -ev, sm вместо -ფჱ, -ფჱ აჱ, აჱ; м) пермапсив; н) использование суффикса -ფჱ -es множественного числа в аористе при непереходном глаголе; о) согласование в падеже определяющего с определяемым; п) указание на множественность объекта в глаголе; р) «вопросительная частица» ა; с) частицы -აჱჱ, ჱჱჱ -შა, ჱჱ; ტ) общий фонд словаря. Из других архаичных форм, которые сохранились не только в горских говорах, но и в других, в мтарачинском имеются

следующие: а) йота, б) оформление имен с гласным исходом в именительном падеже; в) оформление имен с гласным исходом в родительном падеже; г) оформление имен с гласным исходом в творительном падеже; д) эмфатическая частица ა; ж) частица -ყე qe и т. д.

7. С длинными говорами Восточной Грузии мтарачинский связал следующими особенностями: а) фонетическое упрощение комплексов სთ, სტ, სწ st, st̥, sc; б) послелогის იბ-და iz-da; г) система субъектного префикса 2 л. и объектного префикса 3 л. [S<sub>2</sub>-O<sub>3</sub>]; д) шарошение слога -ვი -vi при глаголах с исходом ე в 1 и 2 л.л.; з) элемент ი при образовании глагола во II серии; ж) выпадение показателя дательного падежа в предложении и т. д.

8. С говорами Западной Грузии мтарачинский связывается следующими показателями: а) типы ассимиляции и дисассимиляции в превербх შიე [←შიე←შიე] mie [←მეე←მეე], გაღე [←გაღე←გაღე] gadie [←gadee←gadae], გიე [←გიე←გიე] gie [←გეე←გეე], გამიე [←გამიე←გამიე] gamie [←gamee←gamie]; б) послелог ისდა-ისა [sda-iza]; в) широкое применение суффикса -ობა oba для образования абстрактных имен существительных; г) широкое использование двойного множественного числа; д) образование Pluralis имен с гласным исходом и т. д.

9. Специфическими признаками для мтарачинского следует считать: а) наличие типичного йотированного ი; б) глубокое или заднеязычное [j]; в) широкое использование суффикса -ეთ -et для образования фамилий; г) широкое использование уменьшительных частиц -უკა, -უბა -uka, -upa; д) архаичная форма образования глагола «прийти» в 2 л.; ж) использование архаичного образования II конъюнктива (-ოს, -ეს||ობ, ებ -os, -es||on -en) в значении II результативного времени современного литературного груз. языка; з) использование ი для субъекта 2 и 3 л.л. вместо s; к) частица ზო ზი; л) лексические особенности; м) заимствования из соседних языков Северного Кавказа. Особо следует отметить, что ი намечаются морфологические параллели со сванским языком (3 конъюнктив→2 результативное время, широкое использование уменьшительных частиц и т. д.).

## შოთა შიჯიგური

### PARTICULARIÈS PRINCIPALES DU DIALECTE MTHARATCHIEN DE LA LANGUE GÉORGIENNE

#### (RÉSUMÉ)

1. Les rythmes accélérés de l'édification culturelle de notre pays socialiste oblige la science dialectologique à poser certains problèmes actuels. Il est donc nécessaire: а) d'établir et de fixer les types de langue qui tombent

peu à peu en désuétude au moment de la reconstruction révolutionnaire de l'ancien genre de vie ainsi qu'à celui de la construction socialiste; b) de faire une étude approfondie du langage de notre campagne nouvelle, devenue socialiste, c'est à dire, du langage des kolkhosiens; c) de prêter concours au développement de la culture du langage des larges masses laborieuses, etc.; d) de rechercher toutes les richesses locales, «les ressources du langage», des dialectes dans le but de préparer une base, pouvant servir à la solution de maintes questions pratiques ayant trait à notre construction de langue en général, etc... Les questions de terminologie, le problème du nouveau géorgien littéraire, les exigences de l'enseignement scolaire... sont en droit d'attendre de la part de la dialectologie géorgienne les apports précieux qui participeront à l'oeuvre de la construction de la langue et à celle de la révolution culturelle. Ces dépôts importants seront considérés comme le résultat d'un épanouissement, sans précédent, d'une culture nationale d'après la forme et socialiste d'après le contenu.

2. Les Ratchiens forment une des importantes unités ethniques de la Géorgie Occidentale. Géographiquement, le Ratcha se divise en trois districts: le Bas-Ratcha, le Haut-Ratcha et le Ratcha Supérieur. Le pays est entièrement situé sur les rives du Rion. Au nord, les Ratchiens voisinent avec les Balcares et les Karatchaiens, les Ossètes et les Svanes; au sud, ils sont en contact avec les peuplades géorgiennes. Il est connu également qu'autrefois les féodaux Ratchiens (račis saeristavo) avaient joué un rôle important dans l'histoire de la vie politico-sociale du peuple géorgien. D'après le nombre considérable des données historico-archéologiques, ethnographiques et de celles qui ont, en partie, trait au folklore, nous pouvons conclure qu'une étude approfondie de cette région ethnique est d'une importance exceptionnelle pour la linguistique de la Géorgie en particulier, ainsi que pour celle du Caucase en général.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საინტერესოა ვიცოდეთ, რა წესით და როგორ ამოხიერებდნენ აქარლები მიწას და რა ნორმები ჰქონდათ შეძობებულნი, ან თუ ჰქონდათ რაიმე ნორმა გაამოხიერებისა.

საშუალოდ ერთ კოდ მიწას ( $\frac{1}{8}$  ჰა) აყრიდნენ დაახლოებით 300-500 ფუთამდე ნაკელს. ზეგან ადგილებში—მეტს, ბარად—ნაკლებს. მაგ., ლორჯომელების თქმით, ისინი კოდ მიწას აყრიდნენ 40-50 ძარ ნებეს. ხულის მხრის (სოფ. ოქრაშვილების) გლეხების თქმით, ერთ კოდს აყრიდნენ 10 ძარ ნებეს, ხოლო მერელების სიტყვით—ერთ კოდს 20 გოდორს, შეორეთა ცნობით კი 100 (sic!) გოდორს.

მიწის გასაპოხიერებლად დაყრილი ნებეს რაოდენობის გაშოსარკვევად საჭიროა ვიცოდეთ ძარისა და გოდრის სიდიდე. აქარლების სიტყვითვე, ძარში ჩაეტევა დაახლოებით 10-15 ფ. (ლორჯომი), 20 ფ. (სოფ. ოქრაშვილები), ხოლო გოდორში—2-3 ფ. ნაკელი. თუ ჩვენ ახლა ზემომოყვანილ ცნობებს შევაჯამებთ, ე. ი. ფუთებად ვაქცევთ, გამოვა, რომ ლორჯომელები კოდს აყრიდნენ  $(40-50) \times (10-15) = 400-750$  ფუთს, ოქრაშვილები  $10 \times 20$  ფ. = 200 ფ., ხოლო მერელები  $(20-100$  გ)  $\times$  (2-3 ფ.) = 40-300 ფ. როგორც ვხედავთ ლორჯომში, ყველაზე უფრო ტიპურ ზეგან ადგილში, კოდის გასაპოხიერებლად გამოდის 400-750 ფ. ნებე, ვარაუდით, ხოლო მერისში 40-300 ფ. განსხვავება ძალიან დიდია, რაც უნდა მიეწეროს არა მარტო მთა-ბარობას (ზეგან ადგილებს მეტი ნებე სჭირდება ბართან შედარებით), არამედ თვით ცნობათა რამდენადმე გავიადებასაც, როგორც გადიდების, ისე შემცირების მხრივ.

ზემოაღნიშნულის შემოწმება მეორე მხრივაც შეიძლება, თუ გამოვიანჯარიშებთ, რამდენ ნებეს იძლევა ერთი სული საქონელი.

ლორჯომელების სიტყვით, ერთი სული საქონელი ერთ ზამთარს (6-7 თვეს) მოიცემა 15 ძარ ნაკელს. მათივე ცნობით, ძარში 10-15 ფ. ნაკელი ჩადის. მაშასადამე გამოდის, რომ ერთი სული საქონელი ერთ ზამთარს მოიცემოდა 150-225 ფ., ხოლო მერელების სიტყვით, ერთი სული საქონელი ერთ ზამთარს მოიცემა 10-12 გოდორს ნეხვს. გოდორში 2-3 ფუთია, მაშასადამე გამოდის, რომ იქაური საქონელი 20-36 ფ. ნაკელს იძლეოდა მთელ ზამთარს. გამოდის რომ პიოველი ცნობის<sup>1</sup> მიხედვით, ერთი სული საქონელი იძლეოდა დღეში, დაახლოებით, 9-43 გირვანქა ნეხვს, მეორე ცნობის მიხედვით—კი დღეში 4-7 გირ. აშკარაა, რომ ზემოაღნიშნული ცნობები ორივე მხრივ გაზვიადებულია, ისევე, როგორც გააზვიადების ნორმა იყო გაზვიადებული. როცა აჭარელს ვეკითხებოდი ხოლმე, ერთი კოდი მიწის გასაპოხიერებლად რაოდენი სული საქონელი იყო საჭირო მეტი, ისინი ასახელებდნენ ზოგი 5 სულს, ზოგი 7, 8 და 12-საც, — ბარადგილებში—მცირე რაოდენობის საქონელს, ხოლო ზეგან ადგილებში—მეტს, რაც ადვილი ასახსნელია, რადგან ზეგანში გაცილებით მეტი სასუქია საჭირო, ვიდრე ბარში.

ყველა ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი კოდი მიწის პრიმიტიული წესით გასაპოხიერებლად საჭირო იყო საშუალოდ 5-10 სული საქონელი. აქედან მცირე რიცხვი ბარზე მოვა (სწორედ ქვემოაჭარელები ასახელებენ მცირე რაოდენობას 5-7 ს.), ხოლო დიდი რიცხვი—ზეგანზე (სწორედ ლორჯომელები და ხიხაძირელები ასახელებენ დიდ რაოდენობას 8-12 ს.).

აჭარელი გლეხი საპოხის ნაკლებობას შემდეგნაირად ართმევდა თავს: ერთ წელიწადს ერთ ნაკვეთს აყრიდა ნეხვს, მეორე წელიწადსა—მეორეს და ა. შ. ამას გარდა უფრო იაფ გაპოხიერებასაც მისდევდნენ; მიწის თავში დაპყრიდნენ მცირეოდენ ნეხვს, წყალს მისცემდნენ და ნეხვწყლით მორწყვდნენ მიწას. ასეთი წესით მიწის გაპოხიერებას მოწინავენი ეძახიან. მოწინავე წესი წელიწადს ჰყოფნიდა მხოლოდ, მეორე წელიწადს მოსავალს აღარ მოიყვანდა, თუ ისევ არ გააპოხიერებდნენ.

ნაკელის სიმცირეს აჭარლისათვის საქონლის გამრავლება უნდა ეკარნახავს. ეს სათიბის მომატებას მოითხოვდა, სათიბის გადიდებით კი ის იძულებული ხდებოდა საყანე მიწა შეემცირებინა, რადგან თავისუფალი ადგილები არ იყო. მაგე დროს პრიმიტიული მეურნეობის პირობებში საყანე მიწების შემცირება შეუძლებელი იყო.

ამის გამო აჭარელი პალიატიურ ზომებს მიმართავდა. მიწას სტოვებდა მოუხნავად. პირველ წლებში ბალახიც არ მოდიოდა თურმე შიგ, გაყოფილების გამო. შემდეგ წლებში თანდათან ცოტ-ცოტა ბალახი მოვიდოდა. მიწა თუ სარწყავია, რწყავდნენ, რადგან წყალს ბალახი მოჰყავს. სარწყავი მალე სუქდება. ასეთი წესით მიწის გასუქებას გაჭაღაღაღა-ს უწოდებენ. ხოლო თუ მიწა დიდხანს დარჩება მოუხნავად ისე რომ შიგ ბუჩქებიც-კი მოვა, ნამეტნავად თუ ურწყავია, მაშინ ბარაბა იქნება. ასე 8-12 წლამდე გასუქდება მიწა და კვლავ გამოდგე-

<sup>1</sup> ვიღებთ ორ უკიდურეს ცნობას. აჭარის სხვა ადგილებშიც დაახლოებით ასეთივე ცნობები მოგვცეს, უფრო ზომიერი.

ბა სახნავად. ივარგებს 3-4 წელს, რა თქმა უნდა, ნეხვდაუყრელად. შემდეგ კვლავ უნდა რაიმე წესით გაეპოზიერებინათ რომ მოეყვანა მოსავალი.

გაქალაქებული მიწის გასუქებას ატყობდნენ იმაზე, მოიყვანა თუ არა ერთ-გვარი ბალახი, რომელსაც აჭარლოები ლეშხს, ანუ ყვავილას ეძახიან. სქელღეროიანი მცენარეა, დიდრონი ბრტყელი ფოთოლი აქვს, თეთრად ყვავის. ძირხვენასა ჰგავს.

მიწის გასუქებისა და ხენა-თესვის შესახებ პ.ტივ. თ. სახოკიას თავის ეთნოგრაფიულ წერილებში „აჭარა-გურია“ შემდეგი აქვს ნათქვამი: „აჭარელი ერთ წელიწადს სიმინდს თესს, მერე პურს, როცა სულ გამოიფიტება და 20 წლის განპავლობაში (?) ისე გამოიფიტება, რომ გლეხი თავს ანებებს და „ჭალად“ აქცევს, თან რამდენსავე წლის განპავლობაში რწყავს ნეხვ-წყლითა. 20-25 წლის განპავლობაში გდია მიწა ასე, სანამ ტყე არ ამოიყრის, მერე გაჰკაფავენ ტყეს და დასთესენ“-ო (იხ. ჟურნ., მოამბე“, 1900 წ. № 11, თ. XVII, გვ. 45). პ.ტივ. თ. სახოკიას ცნობაში რამდენადღე ბუნდოვანობაა. მისი ცნობით გამოდის, რომ თესლთა ცვლა ყოფილა, რაც მე არ დამიდასტურეს. მერე სწერია „გამოიფიტება... გლეხი თავს ანებებს და „ჭალად აქცევს და თან... რწყავს ნეხვ-წყლითა“-ო. გაუგებარია ნეხვ-წყლით მორწყვის შემდეგ მიწას ხნავდნენ კიდევ თუ არა, რადგან შემდეგ ოცწლიანი დასვენება მოდიოდა, ისე რომ ტყედ იქცეოდა მიწა! მერე, დასვენების, „გაქალაქების“ პერიოდიც მეტად დიდია ნაჩვენები. ჩვენ ყველა ზემოაღნიშნული ვიცოდით, როცა ადგილობრივ ვიყავით, მაგრამ მისი მსგავსი არავის რა დაუმოწმებია, არც მოხუცსა და არც ახალგაზრდას.

## სახვნელი იარაღი

აჭარაში მიწის სახნავად გამოყენებულ თავიანთ ძველებურ სახნავ იარაღს ჯილდას უწოდებენ (იხ. სურ. 1).

აჭარული ჯილდა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: **არვანასა**-გან—გრძელი ხეა, ოდნავ მოღერებული, უკანა ნაწილით შეერთებულია მაჭვასთან. სადაც მაჭვა თავის მხრივ ქუთუქშია გაყრილი და ისე გამოდის, რომ არვანა, მაჭვა და ქუთუქი ერთმანეთს უერთდება ერთ ადგილას ბოლოებით (არვანასათვის შეიძლება გამოყენებულ იყოს ფიჭვი, ნაძვი, იფანი, ლეკი).

ჯილდის შემდეგი ნაწილი **ჰუთუჰი**-ა, რომელიც წინ წვრილია, ხოლო უკან განიერი, ასე რომ სქემად სამკუთხედს წარმოადგენს. ზოგ ქუთუქს მარჯვნივ და მარცხნივ **ჰური** აქვს მიკრული. ამ ყურებს ხიხაძირში **ფთა**-ც უწოდეს. ქუთუქზეა წამოკმული რკინის **სახნისი** (ქუთუქი უხრავისა).

არვანადან ქუთუქზე ჩამოშვებულია **ხმალა** (მუხის, ან იფნის), რომელიც სახნისის მიერ ათხრილ ბელტს აპობს. ხმალას ხიხაძირში **ფხნი**-ც უწოდეს. ხმალას წინ აკრული აქვს ჩხირი, რომელსაც **ქალდა**-ს ეძახიან. ძალღას დანიშნულება ის არის რომ არვანასა და ქუთუქს შორის მანძილი მუდამ თანაბარი იქონიოს, ერთმანეთს არ დაუახლოვდეს.

ქუთუქში ჩაბნეულია მამვა (ფიჭვისა, ან თელისა), რომელზეც ჯილდაჯს (მხვენელს) ხელი უვლია. მაჭვის იმ ნაწილს, რომელიც გვერდზე გამოშვებულია და რომელზეც ხენის დროს უკიდია ხელი მხვენელს, კოტა ეწოდება, ხოლო მაჭვის თავს — კუკუტი.

არვანას წინ წვერში სამგან მოხვრეტილი აქვს. თუ კრიკს (ჩხირია) უკანა მოხვრეტილში ჩაუბნევდნენ და უღელს იქ დაამაგრებდნენ, მაშინ არვანას თავი მაღლა აიწევდა, ჯილდა აყირავდებოდა, ქუთუქის წვერიც მაღლა აიწევდა სახნისითურთ და ზეზეურად მოხნავდა. თუ კრიკს წინა მოხვრეტილში ჩაუყრიდნენ და უღელს იქ დაამაგრებდნენ, მაშინ არვანას თავი დაბლა დაიწევდა, ჯილდა დაყირავდებოდა, ქუთუქის წვერი სახნისიანად მძწაში ჩაერკობოდა და ხენის



სურ. 1. აჭარული ჯილდა

დროს ღრმა კვალს გაატარებდა. ხოლო თუ შუალა მოხვრეტილში ჩაუყრიდნენ კრიკს და დაამაგრებდნენ უღელს, მაშინ ორთაშუა კვალს გაატარებდა. ჩვეულებრივ სწორედ შუალა ნახვრეტზე უღლის დამაგრებით ხნავდნენ.

ამ მოხვრეტილებს ეძახიან დასამოკლებელს და დასაგარქლებელს.

ძირეულა ხენის დროს, თუ საჭიროება მოითხოვდა, შეიძლება წინა მხარის მობმით ეხნათ, ან შუალათი, უფრო ხშირად, ხოლო საოშავს-კი ყოველთვის უკანა მხარის მობმით ხნავდნენ თურმე.

ასეთია აჭარული ჯილდის ზოგადი და ტიპური სახე.

გამონაკლის შემთხვევაში, როცა კორდა ადგილსა ხნავდნენ, საკვეთ-საც გაუკეთებდნენ ხოლმე. ხმალიდან ასე მტკაველ-ნახვერის დაშორებით წინ, არვა-

ნაზე მოხერხებულა (ყოველთვის არა, იშვიათად), რომელშიც გაუყრიდნენ ხოლმე საკვეთს (რკინისას).

ხმალადან ასე ორ მტკაველზე წინ არვანა მოხერხებულა ნახევრად, რომელშიც ჩივიდა (ჩხირი) ჩაბნეული. ამ ჩივის მოსდებდნენ **საქმეპარს, ბუნს** (წნელია), ან **ჯანჯირს** (ჯაჭვია), 2-3 მხარის სიგრძისას. შემდეგ, არვანის წვერთან, სადაც უკანა ხარები ება, ჩამობმული იყო **ცანდა** (წნელია), რომელშიც ზემოსხე-ნებული ბუნი იყო ვატარებული, რომ იგი მიწაზე არ მოთრეულიყო და ხარებს ფეხი არ ჩაედგათ შიგ.

ამას გარდა, ღორჯომში, სადაც უფრო გაშლილი ადგილებია, **გოგორკა-ჯიანი ჯილდაც** იცოდნენ.

ჯილდაში ჩვეულებრივ უღელი ხარი ჰბმიათ და ისე უხნავთ, ხოლო როცა კორდა მიწის ხენა სდომებიათ და ჯილდაში საკვეთელიც ჩაუყრიათ და ან გოგორებიანი ჯილდით უხნავთ, მაშინ უღელი ხარის მაგიერ მეტს აბამდნენ ხოლმე თურმე, მაგ., მყევარს.

ესლა თუ ჩვენ პროფ. ივ. ჯავახიშვილის შესანიშნავ გამოკვლევაში (იხ. მისი „საქართ. ეკონომიური ისტორია“ წ. I გვ, 150-210) ჩავიხედავთ და აქარულ ჯილდას შევადარებთ პატივცემული მეცნიერის მიერ შემოღებულ სახენელი იარაღების კლასიფიკაციას, შემდეგი აღმოჩნდება:

1. აქარაში ძირითადად გავრცელებული სახენელი იარაღი სახნის-ხმალა—ყურიანია (ყურს რომ ზოგან ფთა ეწოდება, ამან არ უნდა დაგვაბრკოლოს, რადგან ეს ფთა ის ფთა კი არ არის, ერჭვანსა და გუთანს რომ აქვს, არაშედ იგივე ყური, ოღონდ სახელია სხვა), რომელიც პატივცემული პროფესორის კლასიფიკაციის მიხედვით „არუნა“-ს ტიპისა გამოდის.

2. ხანდახან საკვეთელსაც დაურთავდნენ ხოლმე ამ იარაღს, მაშინ უკვე გვაქვს სახნის-ხმალა-საკვეთლიანი, ფთითურთ, სახენელი იარაღი, რომელიც იმავე მეცნიერის კლასიფიკაციის მიხედვით უკვე ჯილდაა.

რაც შეეხება გოგორებს იგი, პატივცემული მეცნიერის თქმისა არ იყოს, სახენელისათვის არსებითს გაუმჯობესებას არა ჰქმნის, არამედ მხოლოდ გაწეულ შრომას ასუბუქებს.

**ფარცხი.** მოხნული და დათესილი მიწის გასასწორებლად, მარცვლის დასაფარავად და აგრეთვე სამარგლავად (იხ. ყანის მოვლაში) ფარცხი იხმარება. აქარული ფარცხი წარმოადგენს **ჰიმეპჰე** დაგრებილ წნელს, რომელსაც ბოლოები გაუსხნეპავი აქვს და უკან მიქცეული. ფარცხის წინა დიდი ჭერის თავსა და ბოლოს მობმულია **ხმლნეზი** (თითო-თითო), რომლის თავები წინ გადაბმულია და ჩივითა და წნელით დამაგრებული. ამ ადგილას ადგამენ უღელს.

როგორც ჯილდას, ისე ფარცხს თვითონ აკეთებენ.

### ხენა-თისვა

ხენას აქარაში იწყებდნენ თოვლის აღების შემდეგ:—მარტის ნახევრიდან (ძვ. სტ.) მაისის დასაწყისამდე, იმისდა მიხედვით, ესა თუ ის ადგილი თუ რომელ ზონას ეკუთვნოდა, თოვლს როდისაიღებდა. აქარა, როგორც თავის ადგილას აღვნიშნე, მეტად მთავორიანი ქვეყანაა, ვაკე ადგილი, რომელიც ველის

შთაბეჭდილებასა სტოვებდეს, იშვიათია. ჯილდის გატანა დამოკიდებული იყო იმაზე თუ თოვლს სად, როდის აიღებდა. ერთი ნაკვეთი თუ ისეთ ადვილას ჰქონდა გლენს, რომ მარტში უკვე თოვლადებული იყო, მეორე ნაკვეთში შეიძლება რამდენიმე კვირის შემდეგ ძლივს აეღო.

ხნავდნენ შემოდგომითაც, ენკენისთვეში, და თესდნენ მაშინვე პურს. პირველი ჯილდის გატანას კვირაობით რჩებოდნენ, შეიძლება აერჩიათ აგრეთვე ორშაბათი და სამშაბათიც. ჯუმა დღეს (პარასკევს) ჯილდას არ გაიტანდნენ. როცა ხვნა უკვე დაწყებული იყო მაშინ ჯუმა დღეს შეიძლებოდა ხვნა, ოღონდ მარხვის შემდეგო.

პირველად რომ ჯილდას გაიტანდნენ და ხარს შეაბამდნენ, ასრულებდნენ სხვადასხვა წესებს. მაგ.: აი რას გადმოგვცემს უჩხოელი გლენი მეხდი დეკანაძე: „პირველად რომ ხარს გავაბამდით, ქაშს გავაკეთებდით ბლომა ერბოთი. ვჭამდით, რაც დარჩებოდა ხარ კისერზე წაუსვამდით“. ხოლო ხიხაძირელი ისრაფილ გაბაიძის სიტყვით „ჯილდის გატანის პირველ დღეს, რომელიც კარგი ხარი იყო, თავზე კვერცხს მოატანებდნენ (მოარტყამდნენ), კარგი მოსავალი მოვაო“ ფიქრობდნენ.

ზემოაღნიშნული წესები ეხებოდა ხვნის დაწყებას. არსებობდა ხვნის დასრულების დროს შესასრულებელი წესებიც. მაგ., მერელი ადემ საკანდელიძისა და სულეიძის გოგოლიშვილის გადმოცემით „ხვნას. მთლიანად რომ გაათავებდნენ, მერე ცოტა ხანს ჩაჯდებოდნენ“ (გუთნის დედა). თუ რატომ ასრულებდა მხენელი ზემოაღნიშნულ წესს, ამის შესახებ არაფერი თქვენს ამბობენ: ისეო, წესი იყოო.

მინდორს რომ დასტოვებდნენ და შინ მოვიდოდნენ, სახლში ასრულებდნენ კიდევ ერთგვარ წესს. ხულელ (დეკანაშვილებიანთ-უბნელი) მევლუდ დეკანაძის სიტყვით: „ხვნას რო გავათავებდით, სახნის წვაძრობდით, ოჯახში (კერასთან) ბებია-ქალებთან მივიტანდით და დავაწოწოლებდით. მერე მოვითხოვდით საჭმელს, რაც გვინდოდა. ისინიც გავგიკეთებდნენ კარგს რასმე“-ო. მთელი ზემოაღწერილი წესი უფრო დაწვრილებით და ცოცხლად გადმოგვცა ღორჯომელმა დემურალი დავლაძემ. მისი სიტყვით:—„დათვეს მუშაობა და წვევლით სასლში. წამოაძრობთ სახნის. ასწვევენ ჩასდებენ ცეცხლში. ზოგი არ იქს «გეგიკეთებო, ნულა ჩასდებო, არ უნდა მაგდენი ჰალიო (არ უნდა მაგდენი ამბავიო), გეგიკეთებო». დაპირდება. ზოგი დასდებს ხხამარობიო, საციონელად. ვაუკეთებენ საჭმელს—ყველსა და ძალს—ბორაოს“.

რა უნდა იგულისხმებოდეს ზემოაღწერილ წესებში, ამჟამად ძნელი სათქმელია.

თითქოს არსებობდა ერთი პრაქტიკული წესიც, რომელიც თესვის დაწყებას შეეხებოდა. უჩხოელ მეხდი დეკანაძისავე სიტყვით:—„კვალს გაატარებდნენ ჯერ, რადგან საჭირო იყო იმის გაგება მიწა ცივია, თუ თბილი, ამიტომ შარვალს გაიხდიდნენ და ახლად გატარებულ კვალში ჩაწვევოდნენ, თუ მოათბობდა, დასთესდნენ, თუ არა დახნულს დასტოვებდნენ“-ო.

აჭარლები მიწას ორჯერა ხნავდნენ. პირველად მოხვნას ძირეშლად ხვნას ეძახიან. ძირეულად ხნავდნენ მტკაველზე, უფრო ციდაზე, 20 სანტიმეტრის

ოდენაზე, რადგან აქარული სახენული, რომელშიც უღელი ხარი აბია, უფრო ღრმად ვერ მოხნავდა. ძირეულა მოხვნის შემდეგ, თუ ყანა **გორგონიანი** იყო, **დაგორგონაზღანე**, **მოგორგონაზღანე** ყაზმით<sup>1</sup>. ბელტს, გორგონს, დაფშენდნენ. დაგორგონის შემდეგ **ვარცხაზღანე**, რომ, ჯერ ერთი, ბალახის ძირები ამოყარათ და მეორე, ნახნავი გასწორებუოიყო. ბალახის ძირებს კიდურებში, გამოუყენ ბელ ადგილებში ჰყრიდნენ. დაფარცხვის შემდეგ თესდნენ.

ნათესი და უთესი რომ ერთმანეთში არ არეულიყო, ამიტომ არუებდნენ.

ნათესის შემდეგ კვლავ მოხნავდნენ ჯილლითვე, უკანა მხარის მობმით (იხ. ჯილლის აგებულება). მეორეჯერ მოხვნას **აოშვას**, **დაოშვას**, ანუ **მომრადს** უწოდებდნენ. აოშვა უფრო ზეზეურადა ხდება, ასე 10-15 სმ სიღრმეზე. აოშვის შემდეგ ისევ დაჭფარცხავდნენ, რომ მარცვალი მიწით დაფარულიყო.

ზოგჯერ, „თუ მეტი ბილი ალაგია“ დაუნხავში თესდნენ, მერე აოშავდნენ და დაჭფარცხავდნენ. ან, ზოგჯერ, თუ ნასიმინდევი კარგად იყო დამუშავებული წინა წელს, დასთესდნენ სიმინდს, მერე „**თოჯით მოთხრიდნენ**“ და დაჭფარცხავდნენ.

აქარულ ჯილღას თუმცა ორი ყური აქვს, მაგრამ ხვნის დროს კვალი მაინც ცალიმხრივ, ფერდისაკენ, ბრუნდებოდა.

„ჯილღის მინაგალს **კვალნი** ჰქვია, ხოლო პაწაჲ მოუნხავი რომ დარჩებ, იმას **ხარბაზი**“. მთლიანად გადაბრუნებულ მიწის ნაჭერს **ბელტ-ს** ეძახიან. საერთოდ, თუ ნაავდრი ყანა მოხნეს, მიწა არ იფშენება და **გორგონიანი** გამოდის. ჯილღა რომ ბელტს აბრუნებს, იმას **ნაპირი** ჰქვია.

აქარლები თავიანთ ჯილღაში უღელ ხარს აბამდნენ. უღელ-უღელი ხარი თითქმის ყველასა ჰყავდა. თუ ჯილღის მაგიერ გოგორებიან ჯილღას შეებამდნენ (ღორჯომში ჰქონდათ მხოლოდ, რადგან მთელს აქარაში ყველაზე უფრო გაშლილი ადგილები იქ არის), მაშინ 2-3 უღელსაც შეებამდნენ.

კორდა მიწის მოსახნავად **საპვეთელსაც** უკეთებდნენ.

რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთი ღარიბი გლეხებიც, რომელთაც მხოლოდ ცალი ხარი ჰყავდათ. ასეთ შემთხვევაში ცალი ხარის პატრონები გადაბამდნენ ხოლმე, რასაც **ვამოდგამება-ს** ეძახდნენ.

აქარლები, როგორც აღვნიშნე, უღელი ხართა ხნავდნენ. ხვნის დროს საჭირო იყო ორი ადამიანი: ერთი მოზრდილი — კაცი, რომელსაც ჯილღაზე ევლო ხელი და მართავდა. ამ კაცს **ჯილღის დამაპვეთელი**, ანუ **მეჯილღე**, ანუ **ჯილღაზი** ეწოდება. მეორე — **მორბედი** (მორჩილი) **ბაღვი**, ან გოგო — წინ უძღვის, რომელსაც **წინამძღვარი**, **წაფელი**, ან **ჰოტალი** ჰქვია.

ზემომოყვანილ ტერმინთაგან ამჟამად ჩვენს ყურადღებას ერთი ტერმინი იპყრობს მხოლოდ.

ვეულისხმობთ **წაფელ-ს**. საინტერესოა, რომ მეხრეს აქარაში, სახელდობრ ღორჯომში, არა მეხრე (აქარაში მეხრე არავინ იცის), არამედ **წაფელი** ეწოდება. ქართული სიტყვიერი საგანძურის დაუშრეტელ წყაროს საბა ორბე-

<sup>1</sup> ყაზმა ეწოდება თოხზე უფრო მკრძო პირიან, ხოლო წერაქვზე უფრო მობრტყი პირიან სათხროლს. თურქული სიტყვაა.

ლიანს თავის ლექსიკონში **წაფელი** არ მოეპოვება. მაგრამ ჩვენი ყურადღება წაფელ სიტყვის **ელ** სუფიქსმა მიიპყრო და გვაფიქრებინა, აქტიური სახის მიმღეობა ხომ არ არისო? ამიტომ დავასკვნით რომ თავში სათანადო აქტიური მიმღეობის მ-ც უნდა ჰქონოდა. საბას ლექსიკონშია ვკითხულობთ: „**მწაფელი ეტლთა მტარებელი, ანუ კართა უღლის გამო მაშინებელი**“ (ს. ორბელიანი, ლექსიკ.).

ამკარაა, რომ აჭარული **წაფელი** და საბას **მწაფელი** ერთი და იგივე სიტყვაა და ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ აჭარულს თავკიდური მიმღეობის მ დაუკარგავს, რაც ხშირი მოვლენაა ქართულში.

დოც. გ. ჩიტაიას აღნიშნული აქვს, რომ მესხური ჯილდის შოლტაზე **წაფელია** ამოჭრილი მებრისათვის დგომის გასაადვილებლად (იხ. „საქართ. მუზეუმის მოამბე“, ტ. V, გვ. 272 და აგრეთვე ჯილდის სურათი 1). მესხეთში წაფელს უკვე სხვანაირი მნიშვნელობა მიუღია, თუმცა მებრესთან კავშირი მაინც აქვს.

ლიტერატურაში მიღებული **მეხრე**, ისევე **სახრე** ხომ ხარისაგან წარმოებული მიმღეობებია (მე-ხ[ა]რ-ე, სა-ხ[ა]რ-ე), რომელიც ხარისათვის დანიშნულებას, განკუთვნილობას გამოჰხატავს.

რაც შეეხება წაფელის პარალელურ სახელწოდებას **ჰოტალ-ს**, იგი თურქული სიტყვაა.

აჭარელი უღელხარშებმული ჯილდით დღეში ძირეულად 2-3 კოდ მიწას, ანუ 20 პინისას ჰხნავდა, ხოლო საოშავით, ანუ მეორადს დღეში 4-5 კოდს, ანუ 50-მდე პინისას. დაფარცხვით-კი 10 კოდ ყანასაც დაფარცხავდა კაცი, ყანები რომ ერთად ჰქონოდაო.

როგორც თავის ადგილას გამორკვეული გვაქვს, ერთი კოდის სათესი მიწა, ანუ კოდი, როგორც ისინი უწოდებენ, უდრიდა  $\frac{1}{8}$  ჰექტარს. მაშასადამე აჭარელი გლეხი თავისი ჯილდით და უღელი ხარით ძირეულად ხნავდა  $\frac{1}{8}$  ჰექტარს, საოშავით  $\frac{1}{2}$  ჰექტარამდე, ხოლო დაფარცხვით ჰექტარზე მეტს ფარცხავდა.

თესვა შემდეგნაირად ხდებოდა: მთესველს ან გულზე **ფეშტამალი** ჰქონდა აფარებული, რომელშიც თესლი ეყარა, მარცხენა ხელი ფეშტამალის ბოლოზე ევლო, მარჯვენა ხელით იღებდა და თესდა, ან შეიძლებოდა ფეშტამალის მაგივრად **ქასხრში** ჩაეყარათ თესლი და ისე, ეთესათ. მაგრამ უკანასკნელს იშვიათად მიჰმართავდნენ.

თესვის დროს, როგორც ვაჟვით, თესლს მარჯვენა ხელით, — და აბამც და აბამც მარცხენით, — იღებდნენ და შლიდნენ ზომიერად, ზომიერად იქნებდნენ ხელს, ისე რომ თესლი თანაბრად გაშლილიყო მიწაში. აგრეთვე ნავარაუდები იყო ის გარემოება — **ხშირად** უნდა დათესილიყო, თუ **მეჩხრად**. ხშირად თესდნენ ფიცხ, კაპნიან, ცხარე მიწაში, მეჩხრად ნაფუზარში, პირველი უჯანო ყანაა და წლიოკი მოჰყავს, მეორე ღონიერია და თამამი მოსავალი იცისო.

ერთ კოდ მიწაში ითესებოდა  $\frac{1}{2}$ -1 კოდამდე, იმისდა მიხედვით, თუ როგორი მიწაა (მსუქანი თუ მჭლე), რანაირ თესლსა სთესენ, რომელთა ვარაუდის აღებითაა საჭირო დათესვის სიხშირე-სიმეჩხრე.

როგორც თავის ადგილას (იხ. სიმინდის ნათესის მოვლა) ნათქვამი გვიქნება, საერთოდ თითქმის ერთნაირი სიხშირით თესდნენ და საერთო, ზოგად, ნორმად მიღებული იყო კოდზე ცოტა ნაკლების დათესვა იმ მიწაზე, რომელსაც კოდში (1/8 ჰა) ჩეწოდება. სწორედ აქედან არის ფართობის ერთეულად მიღებული სახელწოდება კოდში. იტყვიან: „ამდენი და ამდენი კოდის სათესი მიწა“, ან მოკლედ „ამდენი და ამდენი კოდი მიწა“. ასევეა პინსაც, რომელიც უკვე მოსავლის გამოსავალზეა დაფუძნებული, იტყვიან: „ამდენი და ამდენი პინის ყანაო“, ე. ი. ამდენი პინის მომყვანი ყანაო.

როგორც ვამბობდით, კოდ მიწაში კოდზე ცოტა ნაკლებსა თესდნენ. კოდში 9 ოყაა, რომელიც დაახლოებით 10 კილოს უდრის.

ძველად ოყაში 3 გირვანქას ანგარიშობდნენ, ახლა კილოდ თვლიან.

აქარლები მომეტებულ შემთხვევაში ხშირად იმიტომ თესდნენ, რომ ფიქრობდნენ: შეიძლება ყველა არ მოვიდეს და ადგილის მოცდენას სჯობია ხშირად იყოსო. თუ ძალიან ხშირია, მაშინ მეორე გათონის დროს გაათხელებდნენ, გამეჩხრებდნენ.

პურეულისათვის შემდეგი უნდა დაეუმატოთ: პური ორნაირია: შემოდ-გომისა, რომელსაც გუზულშ-საც ეძახიან, გაზაფხულისა, რომელსაც ჟაულში ჰქვიან. ორივე სიტყვა თურქულია.

გუზულეისათვის შემოდგომით, ენკენისთვეში, ხნავდნენ და თესდნენ მაშინვე, ხოლო გაზაფხულისას თესდნენ მარტის გასულს, აპრილის დამლევამდე. ასე გადმომცეს ხიხაძირში. მერისში მხოლოდ შემოდგომის პური იცოდა და თესდნენ თურმე მარიაშობისთვის პირველში. ამ დროსვე თესდნენ ქვაგსა და ქერსაც.

### პურეულისა და სიმინდის ნათესის მოვლა

ხენა-თესვის განხილვის დროს საკმაო სიცხადით დავინახეთ, თუ როგორ ამუშავებდა აქარელი გლეხი საყანე მიწას, რომ მას რაც შეიძლება უხვი მოსავალი მიეცა პატრონისათვის; აგრეთვე ვნახეთ, თუ რა საშუალებას მიჰმართავდა გლეხი გამოფიტული მიწის გასაპოხიერებლად, რაც პრიმიტიული მეურნეობის არსებობის პირობებში მიწის დამუშავების კულტურის მაღალი საფეხურის მაუწყებელია, ეს კი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგი უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, მარტო ის გარემოება არ არის საკმარისი, რომ მიწისმოქმედმა მიწა გააპოხიეროს და მერე საყანე მიწა დათესვამდე კარგად დაამუშაოს. მოსავალს დათესის შემდეგაც უნდა ზრუნვა.

როგორც ცნობილია, სარეველა ბალახები ნათესს ძალიანა ჰვნებს, აგრეთვე მვენებელია როგორც საჭირო სინოტივის უქონლობა, ისევე გადაჭარბებული ტენიანობაც. ნათესის წესიერი განვითარებისათვის საჭიროა ისიც, რომ განსაზღვრულ ნაკვეთზე, განსაზღვრული და მისთვის მიზანშეწონილი რაოდენობის ნათესი ეთესოს (უკანასკნელს თესვის დროსვე ვარაუდობდნენ).

ერთი სიტყვით, ნათესის მოსავლელად აქარლებს მრავალი სხვადასხვა საშუალება ჰქონიათ შემუშავებული: ხორბლეულისათვის სხვანაირი, სიმინდისათვის სხვანაირი.

თავის ადგილას აღვნიშნე, რომ აჭარლები ფარცხვის დროს მცენარის ძირებს არჩევდნენ, ნაპირზე გამოჰქონდათ და ცალკე ჰჭრიდნენ მეთქი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც რჩებოდა ნახნავეში ბალახის ძირები, აგრეთვე მცენარის თესლი, რომელიც შეიძლება ან ქარმა მიიტანოს, ან თევსის დროს გაჰყვეს თესლს. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ ჯეჯილთან ერთად შეიძლება ბალახიც მოვიდეს. პურეული რომ არ დაიჩაგროს, საჭიროა ამ სარეველა მცენარის გამოცლა. ზემოაღნიშნულ პროცესს **გამარგვლას** უწოდებენ. გამარგვლა სახიფათოა იმ დროს, როცა ჯეჯილი ჯერ კიდევ რიგიანად არ არის მომარგებელი მიწაში. ამასთანავე საჭიროა, რომ ბალახი კარგად და მთლიანად მოსული იყოს, რომ ერთხელ შესვლით სულ მოიშორონ სამარგლავი. ყანას მარგლიდნენ მაშინ, როცა ჯეჯილი უკვე კარგა იყო მოსული. საერთოდ პურს ერთი გამარგვლა ჰყოფნიდა, ხოლო თუ „გლახა ეწრიანია“, მაშინ ორჯერ გამარგლავდნენ. შედიოდნენ ყანაში და ბალახ-ბულახს ხელით გლეჯდნენ, ამას გარდა აცლიდნენ ცერცვსა (გარეულს), აფშნარას. არის ერთგვარი „პურეული“ მცენარე, რომელსაც **დელიჯა**-ს ეძახიან. თუ იგი ცოტა ერია, არ ამორგებდნენ, ხოლო თუ ბევრი, მაშინ გამოჰმარგლიდნენ, რადგან პურში შერეული ქამის დროს კაცს ავადა ხდის, არწყევსო.

სიმინდს არა მარტო ბალახის გამომარგვლა სჭირდება, არამედ მიწის გაფხვიერებაც და სხვ.

სიმინდს დათესიდან მოსვლამდე რამდენიმე სამუშაო სჭირდება. განვიხილოთ რიგრიგად.

1. **სამარგლავი ფარცხი.** ბალახი უსწრებს სიმინდს ამოსვლას. დათესიდან 10 დღის განმავლობაში ბალახი უკვე ამოიწმინდება კარგად. სიმინდი ან არ იქნება მოსული ჯერ, ან თუ მოვა, ძალიან პაწაწინა იქნება, ბალახი კი უკვე საკმაოდ მოზრდილი. დათესიდან 10 დღის შემდეგ ფარცხს მოატარებდნენ. ფარცხი ბალახ-ბულახს დაგლეჯდა, სიმინდს კი, რადგან მაშინ ჯერ მოსული არ არის, ფარცხი ვერაფერს დააკლებს.

2. **პირველი გამარგვლა.** სიმინდი კარგად რომ მოვა, 3-4 ფოთოლა გახდება, მაშინ მოუწევს პირველი თოხი. ამ დროს ბალახი მორეული აქვს და გამოაცლიან, ანუ როგორც აჭარლები ამბობენ: **გაბაღლახავენ, გაფხევენ, გამარგვლენ**, სიმინდის ძირებში მიწას **გაამგზილავენ**. ამ დროისათვის სიმინდი მთლიანად არის მოსული, დაჰხედავენ, თუ ხშირად არის **გაამარგვლებენ (მარგვლი მარგვარის<sup>1</sup>)** ოდნავ სახეშეცვლილი ფორმაა და ვათხელებულს, გაშლილს, გაფანტულს ნიშნავს). ზემოაღნიშნულ სამუშაოს **გაბარგვლას** ეძახიან, **თოხით ბარგვას** უწოდებენ. **თოხს** ისინი **შაშახასაც** ეძახიან. ძველებური თოხი სხვანაირია (წერაქესა ჰგავს, ხმარობენ დასავგორახავად და შინაურ საქმეებზე), ახლებური სხვანაირი (ბრტყელია, ხმარობენ თამბაქოსა და სიმინდის სათოხად). აჭარლები ძველებურ თოხს **შაშახს** ეძახიან, ხოლო ახლებურს—**თოხს**.

პირველ გაფხეკას **ძირაშულ გაფხეკას** უწოდებენ. პირველი თოხის დროს სიმინდს უთესდნენ ლობიოს; კვახს კი სიმინდის დათესვისასვე თესდნენ.

<sup>1</sup> შდრ. ს ა ბ ა ს „მეჩხარი—იშვითი“.

3. მეორე გამარგვლა. პირველი გამარგვლიდან 15-20 დღის შემდეგ ხელმეორედ გაჭებეკდნენ, რასაც მიორადლი ჰქვიან. მეორადი გაფხეკის დროს ბალახს აცლიან, ხოლო სიმინდის ძირებში ბალახს სტოვებენ, რომ დაჩრდილოს. ამავე დროს ძირებზე მიწას შემოუყრიან და საბოლოოდ გაამერჩხლებენ, გაატხელებენ.

მეორე გაფხეკა ხდება ჩურუგაის (მკათათვის) პირველამდე. თუ სარწყავია და ირწყვის, მაშინ მეორე გაფხეკის შემდეგ რწყავენ სწორედ, ე. ი. მკათათვეში. უნდა აღინიშნოს რომ აჭარაში, საერთოდ, სიმინდს არა რწყავდნენ, რადგან ნოტიო ამინდები იცის იქ. თუ ვინიცობაა სიმინდი ფერდობ, ფიცხსა და კანთან ადგილებშია დათესილი, იქ სჭირდება მორწყვა, მაგრამ ასეთ ადგილებს წყალი არ უდგება.

4. მესამე გამარგვლა. აჭარაში საერთოდ ორჯერ მარგლიან, ფარცხის მოსმის შემდეგ, ზეგან ადგილებში კი, სადაც წვიმა ხშირად იცის, სინოტივის გამო ბალახი „მოატანს“ ხოლმე და საჭირო ხდება მესამე გამარგვლაც, თორემ ბალახი მოერევაო.

იმ ადგილებში, სადაც მესამე გათოხნაა საჭირო, სიმინდს მიწას მესამე გაფხეკის დროს შემოუყრიან ხოლმე.

თოხნაში მუშაობდნენ როგორც კაცები, ისევე ქალებიც და ბავშვებიც 15 წლის ზევით.

იმ ადამიანს, რომელიც თოხნის, მითოხური ჰქვიან.

ფარცხით გამარგვლა სულ მცირე დროს მოითხოვს და ერთ დღეს კაცი უღელი ხარით ჰქეტარზე მეტს დაჭარცხავს.

პირველი გაფხეკის დროს ერთი კაცი ერთ დღეს გასთოხნის კოდზე ნაკლებს (კოდს ერთი კაცი 1 $\frac{1}{2}$  დღეს უნდება, ჰქეტარს 10 დღეს გასთოხნის). მეორე გაფხეკის დროს კი ერთი კაცი ერთ დღეს ერთ კოდს გასთოხნის, ე. ი. ჰქეტარს მოუნდება 7-8 დღეს თურმე.

მუშაობდნენ დილა-ადრიაინდან მოკიდებული დაღამებამდე, მაგრამ რამდენადმე რეჟიმის დაცვით.

ყანის მუშა ოთხ-ხელს სჭამდა დღეში: ხემს-ს, სადილ-ს, ჯარამლ-ს და ვახშამ-ს.

### ხორბლეულ-პრთილეული

ამჟამად აჭარაში ორგვარ პურს სთესენ: თვლისას, ანუ გუზლუზსა და ზაზაფხულისას, ანუ აზლუზს.

თვლის (სთვლის, ანუ შემოდგომის) პურთაგან სთესენ დოლსა, ნიქსარულსა, ჯეჯილსა (sic), ტყედის-ფერასა და წითელ-პურს, გაზაფხულისას დიკას სთესენ მხოლოდ.

შემოდინიშნულ ხორბლეულთაგან სამი იპყრობს ყურადღებას. იმ მხრივ, რომ ისინი პროფ. ივ. ჯავახიშვილს თავის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I წიგნში მოხსენებული არა აქვს. არ არის მოხსენებული არც სხვაგან სპეციალურ ლიტერატურაში. ესენია: ნიქსარულა, ტრადის-ფერა და ჯეჯილი.

აჭარლების თქმით ზემოაღნიშნული ჯიშები შემდეგი სახისანი არიან:

**ნიძსარულა** — შემოდგომისაა, უფხოა, წითელი მარცვალი აქვს (ორცველების სიტყვით), კაკაოლელების სიტყვით-კი „იმფო თეთრია“, სხვილი მარცვალი აქვს და დიდი თავიო.

**ტრეღის-შირაღ** — შემოდგომისაა, ფხიანია, სხვილი და თეთრი მარცვალი აქვს (იმათივე ცნობით).

**ჯეჯილი** — შემოდგომის ხორბალაო ს. უჩხოში მითხრეს. სხვან არსად უთქვამთ. აღწერილობაც მეტი ვერ მომცეს.

საინტერესო იქნებოდა, რომ მცოდნე აგრონომებს გამოეკვიათ ზემომოყვანილი პურეულები რომელ ცნობილ ხორბლეულს უდრიან, ან იქნებ სულაც ახალი, ჯერ უცნობი ჯიშ-სახესხევაობანია?

პურის გარდა ქერსაც სთესენ. ჭმარს ორნაირია: **თვლისა** და **გაზაფხულისა**. ორივე ოთხ-კუთხაა და ფხიანი.

სთესენ **ჭმავსა** და **შაბაშსა** (ჭულაფი, კულაფი), ე. ი. **შპრინსა**.

პური ტერმინიც არსებობს და იტყვიან **პური** გაზაფხულისა და სხვ. აგრეთვე **პური** საქმელად მისალები.

თავისთავად ცხადია, რომ აჭარის ხორბლეულ-ქრთილეული ამით არ განისაზღვრებოდა ალბათ უწინ. სიმინდის გაბატონების გამო მრავალი პურეული უნდა გადაეარდნილიყო და გამქრალიყო მათი სახსენებელიც. შემთხვევამ სამის სახელწოდება გადაარჩინა. აჭარაში ჭვანას მახლობლად ერთ ადგილს **ნაბაღარს** უწოდებენ. ხალხს აღარ ესმის რას უნდა ნაშნავდეს **ნაბაღარი**, არც **ასლი** იციან, არც მოხუცმა და არც ახალგაზრდამ. აშკარაა, რომ უწინ აჭარაში ასლის კულტურას ფართოდ მისდევდნენ, ასე რომ ასლმა გეოგრაფიულ სახელწოდებაში დატოვა თავისი ხსოვნა.

ასევეა **ნაოხპარიც**. ოსბი არ იციან რა არის, ხოლო, გეოგრაფიულ სახელში კი შემონახულა მისი ოდესმე აჭარაში არსებობა.

აჭარაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე შევხვდებით გეოგრაფიულ სახელს **ნა-შეხვარ-ს**. ფეტვი იციან რომ მარცვლეული მცენარეა, მაგრამ ამჟამად მას აღარ სთესენ.

რა თქმა უნდა, ვერც ხუთვერსიან და ვერც სხვა რუკაზე ზემოაღნიშნულ გეოგრაფიულ სახელწოდებას ვერ შევხვდებოდადამიანი.

საინტერესოა ვიცოდეთ ის ტერმინები, რომლებიც პურეული მოსავლის სხვადასხვა სტადიაში მყოფობას გამოხატავს.

შემოდგომაზე დათესილს, თუ არ მოვიდა და თოვლმა დაფარა მიწაში, **ჩამშჩაშლი** ეწოდება. ახალ ნათესს **ჯეჯლი** ჰქვიან, ხოლო ოცი დღის მოსულს **აჯეჯლეაშლი**. პირველად რომ ნემსის წვერებსავით ამოძვრება პურის მცენარე, მას **მუხის წვერს** ეტყვიან. ათ დღეზე მოგა მუხის წვერიო. ხოლო როცა ჯეჯილი ბორჯს გაიდგამს, მას **ტაშაღალსა**, ან **ჩათაღს** ეტყვიან.

აჭარლები თავთავს **თავსა** და **მელღეს** უწოდებენ, ხოლო ფხას ისინიც **ფხა**-სვე ეძახიან. თავთავის ქვემოთა ნაწილს ძირამდე **წმარსა** და **საშს** უწოდებენ.

ზემოაღნიშნულ ტერმინთაგან საინტერესოა ჩამოყარული. ს. ორბელიანს თავისს ლექსიკონში არ შეუტანია ზემოაღნიშნული სიტყვა. გაფანტულად შენახულს, დაცულს უნდა ნიშნავდეს.

მუხის-შვირისი მუხ-ი სპარსული სიტყვაა და ლურსმანსა და ლურსმნის წვერსა ნიშნავს, აღნიშნული სახელწოდება კარგად შეიფერება ჯეჯილს აღნიშნულ სტადიაში.

ჯეჯილი საინტერესოა იმით, რომ ძველ ფორმით გვაქვს დაცული აქმ-რამი. ამჟამად-კი ყველგან/თუ არა, ლიტერატურაში მინც ჯეჯილია გაბატონებული.

როგორც აღვნიშნეთ, ბორჯბდგმულ ჯეჯილს ტაშუჯალი ეწოდება. ტყუჯალი ს. ორბელიანს თავისს ლექსიკონში არ შეუტანია. ჩვენ ვგონია, რომ ტყუჯალი ტყუჭ სიტყვიდან უნდა იყოს ნაწარმოები, რომელიც რამდენსამე ცალს ერთად შეერთებულს ნიშნავს. მაგ., ქიზიყში იტყვიან: *არტყუჭა კაკალი, სამტყუჭა და ა. შ.* ტყუჭი საბას შეუტანია თავისს ლექსიკონში და განმარტავს: „ხოლო ხილთა და ხმილთა ორთა შეერთებულთა ეწოდების ტყუჭი“-ო (იხ. ლექსიკ. ტყუ-ბი). თუ ს. ორბელიანის განმარტებას ძირითადად სწორედ მივიჩნევთ, ოღონდ იმ შესწორებით კი, რომ არა მარტო „ორთა შეერთებულთა“, არამედ რამდენსამე ერთად შეერთებულთა, რაც ასეც უნდა ყოფილიყო, თუ ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ ქიზიყში დღესაც ტაშუჭი ტყუჭს, ორს ერთად შეერთებულს კი არა ნიშნავს, არამედ ერთი ადგილიდან ჯგუფად გამოსულს, ერთადვე მყოფს (ორტყუჭა, სანტყუჭა და ა. შ.) რამდენსამე, თუ ასე მივიჩნევთ მანინ ტყუჭ და ტყუჯ-ის ერთი-მეორის ფონეტიკურ სახესხვაობად მიჩნევაც ადვილი იქნება. ჰ და ჯ ხომ ერთი ადგილის აფრიკატებია და მათი შენაცვლება სულ ადვილი საქმეა. აღსუფიქსი კი, როგორც ზედსართავის მაწარმოებელი შეიძლება დაპრობდა. ტყუჯალი სახელწოდებაც ხომ ჯეჯილის ისეთ სტადიაში მყოფობის სახელწოდებაა, როცა პურის მცენარე რამდენსამე შტოს გაიტანს ხოლმე, ბორჯს გაიდგამს:

ჩათალი თურქულში გვხვდება და იმასვე ნიშნავს, რასაც ტყუჯალი.

ფრიად საინტერესოა ნამჯის, ანუ წველის სახელად შვირის არსებობა. ს. ორბელიანს წბერი არ მოეპოვება, აქვს მწბერი, რომელიც მისი განმარტებითა „ყანის ნაწველარი“ არის, ნაწუელარის შესახებ ამბობს „ყანის ჩალა“-ო, ხოლო წუელის შესახებ ნათქვამი აქვს „წუელი არს ყანის წირი ვიდრე კუვილად-მდე“-ო. ამკარაა რომ წუელიც, ნაწველარიც, წბერიც და მწბერიც ერთი და იმავე სიტყვიდან არიან ნაწარმოებნი, რომელთა ძირი წულ || წურ ან წუ უნდა იყოს. პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრით (სემინარების დროს გამოთქმული) წულ || წურ გამოდებს, გამოყოფას უნდა ნიშნავდესო (აქედანა გვაქვს ჩვენ წული—შვილი, გამო-წურ-ვა და სხვა). მაშასადამე წუელი და მისი ფონეტიკური სახენაცვალეები წბერი და მწბერი-ც გამოყოფილს უნდა ნიშნავდეს.

წულის მეორე სახელი ხაზი თურქული სიტყვაა და იმასვე ნიშნავს, რასაც წბერი.

აქვე ვურთავთ. რმ პურეულთა სიასა და გარეგან აღწერილობას, რომლებიც ჩვენი მასალების მიხედვით ამჟამად აჭარაში მოიპოვება<sup>1</sup>.

1. **ლოლი** თელისაა, დაბალია; თეთრი ფერისაა, თავი მოკლე აქვს. ფხიანია, სქელია თავი, კაკალი ხოშორი აქვს და მოკლე. ფერად ყირმიზია (წითელი). პური კარგია (ხული, ს. ხიხაძირი).

2. **ნიჰსარულა** თელისაა. უფხვია, სხვილი კაკალი აქვს, თხვი დიდი, იმფო თეთრია. ითესება მარიამობისთვეში (მერისი). კაკაოღლელების სიტყვით კი წითელი კაკალი აქვს (მაშ ორგვარი უნდა იყოს!).

3. **ტაღიფარა** თელისაა. ფხიანია, სხვილი, თეთრი მარცვალი აქვს (ს. კაკაოღლები).

4. **წითალი პური** თელისაა, ფხიანია (ს. მერისი).

5. **ჯაჟილი** შემოდგომის ხორბალა (ს. უჩხო).

6. **დიკა** გაზაფხულისაა.

7. აჭარაში **ჰვამი-ც** მოჰყავთ, რომელიც იზრდება მაღალი, ლურჯია; გრძელი, წვრილი, თეთრი კაკალი აქვს. მისი პური შავია, ძნელი მოსანელებელი. ნაკლები პურობა აქვს. თავი გრძელი აქვს და სუსტი. ფხიანია. ითესება თველზე (ს. ს. ხიხაძირი, დეკანაშვილები).

8. ხიხაძირელების სიტყვით მხოლოდ გაზაფხულის ქერი იცის აჭარაში (ხიხაძირი ზეგანშია და იქ მხოლოდ გაზაფხულისას თესენ), კაკაოღლელები კი შემოდგომის ქერსა სთესენ მხოლოდ (უკანასკნელი სოფელი ქვემო აჭარას არის).

ქერს აქმევენ საქონელს, ან პირდაპირ (ცხენებს), ან დაჰქევენ და ნარცხად გაუკეთებენ საქონელს.

## სიმინდი

სიმინდის ჯიშები ორ ჯგუფად განიყოფებიან: **ნააღრავა** და **ნაგვიანავა**.

სიმინდის ჯიშებს ჩამოვთვლით ანშანის რიგის მიხედვით, აღწერილობა-განმარტება მოცემულია გლეხების მიერ.

1. **აღაზანა** მაღალი იზრდება, თეთრი მარცვალი აქვს, ბრტყელი. დაბალი ალაგებიდანაა მოტანილი. მუშაობს, ე. ი. გვარობს დაბალ ალაგებში. 25 დღით დაიგვიანებს, 6 დღით ჩამოჭრება ლენტკიკურას.

არის **პირმიზი-აღაზანა-ც**, რომელიც წითელია, სხვაფრივ ალაზანას თვისების მქონებელია.

2. **აღთუნა** მაღალია, კოტა დიდი აქვს, მარცვალი ბრტყელი და წითელი. დაბალ, ნოყიერ ალაგებში მოდის. მწიფდება 20 ენკენისთვეს (ძვ. სტ., ს. მერისი).

3. **ბროლა** ყველაზე მაღალი იზრდება, თეთრი ბრტყელი მარცვალი აქვს, ნოყიერ ალაგზე მოდის, სადაც მოსწრებს დამწიფებას (ს. ხიხაძირი). კაკაოღლელების თქმით კი ბროლა ალაზანასაგან მოდისო. გადაგვარებული ალაზანა

<sup>1</sup> დახასიათება გლეხების მიერ არის მოცემული.

ბროლაო (ალაზანა გადიქცევა ბროლადაო). ალაზანასთან ბიძაშვილიაო. მას არეული მარცვალი აქვსო: წითელი, თეთრი, რგვალიო. ბარში მოდისო მხოლოდ.

4. **ბეჩი-ბროლა** მალალი იზრდება, კოტუშიც დიდი იცის, ბრტყელი, თეთრი კაკალი აქვს, გვიანურაა. მსუქანი ადგილი უნდა შეერჩიოს. მოსავალი წელიწადზეა დამოკიდებულიო.

5. **გოდორა** საშუალო იზრდება, კოტაც საშუალო აქვს, ბრტყელი, წითელი კაკალი აქვს. ალთუნას უსწრებს ერთი კვირით. საშუალო ადგილებში მოდის. ალთუნასაგან არის გადაქცეულიო (მერისი). კაკაოლღელები უმატებენ: გოდორას გრძელი კოტა აქვს, რგვალი და წითელი მარცვალი. ყველგან მოდის, ორი კვირით უსწრებს ალაზანასო.

6. **თათრი-სიმიდნი**. ერთი უჩხოელის სიტყვით არის თეთრი სიმიდნიც, რომლის ვერც აღწერილობა მომცა და ვერც სხვა სიმიდებთან შედარება.

7. **ლენტაქიძურა** წვრილია, რგვალი წითელი მარცვალი აქვს. კოტა ძირში იცის. 50 დღეზე მოდის. 25 დღით ყველაზე ადრე მოვა. ითესება აპრილის პირველებში, მოვა მარიაამობისთვეში (ს. კაკ.).

8. **ნაბდრავი**. წვრილია, წითელი რგვალი მარცვალი აქვს. ითესება მალღობებში (ს. კაკ.). შდრ. წვიტას.

9. **ქორი-ბუღის თხალი** ცხვედსა და ჯორიელას შორის არისო. მისი მარცვალი არც რგვალია და არც ბრტყელი. მოთეთროა. სახელწოდება ადგილის სახელისაგან არის წარმომდგარო. საქართველოდანაა და იქიდან გადმოთესულიო. მუშაობს, ე. ი. გვარობს ზევან ადგილებშიო.

10. **ქუთაისური**. დიდი კოტა აქვს, მარცვალი ყვითელი და ბრტყელი. ალაზანასთან მოდის. 8 დღით მოასწრებს მასო (ს. კაკ.).

11. **ჭირაჭი-ბროლი** მოთეთრო ყირაჯ ადგილებზე მოდის, ქლე ადგილებზე. კოტუში ნაკლები აქვს. „ადგილი დაღამებისთვი დაეთესავთ“—ო (ს. უჩხო).

12. **ჭირაჭი**. კოტუში უმცროსი იცის, ყვითელი, რგვალი კაკალი აქვს. ადრე მოდის. მოსავალი ყოველთვის ერთნაირი იცის, მქლე მიწაშიც მოვა, უჩხოში ნაკლებად მოდისო (უჩხო).

13. **ჩხაქუდა** მოთეთროა. მოზეგანო ადგილებში მუშაობს (ქვანა).

14. **ცხვედი**, ანუ **ქალლი სიმიდნი** „აქავრობაში მოსული სიმიდნი. წვიტი, რგვალი, წითელი კაკალი აქვს. მუშაობს იმყო მოზედაო ადგილებში“ (ქვანა).

15. **წითელი სიმიდნიც** იცის თურმე ერთი უჩხოელის სიტყვით.

16. **წვიტა, წვიტაჲ, წვიტაჲყ** თლათ წვიტია<sup>1</sup>. წითელი, რგვალი კაკალი აქვს. ძალიან ადრე მოდის. კოდზე მოვა 4 პინა (ე. ი.  $\frac{1}{8}$  ჰექტარზე 6 ფუთამდე). წვიტას სთესენ უფრო სუბუქ ადგილებში. თესს ის ვისაც უნდა რომ მალე მოისთვლას, „თიებზე რო გამოდგება, წვიტაჲ ის არის. ნაადრევია. დაბალია, კოტა წვიტი აქვს, რგვალი, წვიტი, წითელი კაკალი აქვს“. ითესება მისის დამდეგს (მერისი). წვიტაჲ ჯორიელაზე მცირეა და მისი მსგავსი. მოდის მთის ძირებში.

<sup>1</sup> წენიკი, ძალიან წვრილი.

17. **ჯორიელა** წვიტია, რგვალი, ყვითელი და შავი კაკალი აქეს, მუშაობს მთის ძირებში (ჭვანა). ხიხაძირელების სიტყვით: წითელია, რგვალი, წვრილი მარცვალი აქეს. მოდის საშუალო ალაგებში. აქ არ იცისო. ღორჯომელების თქმით კი—ჯორიელა ყველაზე თავია. წითელი, რგვალი, მოწვიტაო მარცვალი აქეს. კოდზე მოვა 5 პინამდეო (ე. ი. 1/8 ჰა-ზე 7-8 ფ.). ღორჯომში მხოლოდ ჯორიელა გვარობს.

მრავალმხრივ არის საყურადღებო **ჯორიელა**. ს. ორბელიანს აღნიშნული სიტყვა, ამ სახით არ მოეპოვება ლექსიკონში, სამაგიეროდ აქეს „**ჯორაულა**“ და განმარტავს: „**ლოშია**, რომელიც შვიდ კვირაზედ მოვა დათესული“—ო. ჩვენ რომ გვეცოდნოდა, თუ რას წარმოადგენს **ჯორეულა** ჯიშის ღომი, მაშინ ეგებ უკეთესად გამოგვეჩვენა თვითონ სიმინდის სახელის ეტიმოლოგიური მნიშვნელობაც. პროფ. ივ. ჯავახიშვილს თავის „საქ. ეკონ. ისტორიაში“ არა აქვს შეტანილი **ჯორეულა** ღომის შესახებ რაიმე ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ დღეს ღომის მთესველ ქართველ ტომებში შეიძლება აღარც კი არსებობდეს **ჯორეულა**ს ჯიშის ღომი.

საბას მისი მსგავსი მეორე სიტყვაც მოეპოვება, სახელდობრ **ჯორულა**, რომელიც მისი სიტყვით „ბალახია, სუსუნაკს არგებსო“.

გარკვეული რომ ყოფილიყო, როგორც **ჯორეულა** ღომი, ისევე **ჯორულა** ბალახის ბოტანიკური რაობა, მაშინ ეგების ამათსა და **ჯორიელა** სიმინდს შორის რაიმე თვისებითი კავშირი გვეპოვა.

ყოველ ექვს გარეშეა, რომ **ჯორიელა**, **ჯორეულა** და **ჯორულა** სამსავე შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვაა მცირეოდენი ფორმანტ ელემენტის ფონეტიკური განსხვავებით. სამივე სიტყვა შეგვიძლიან ვავეყოთ ორ-ორ ნაწილად, რომელთა პირველი შემადგენელი ნაწილი **ჯორ**-ია, ხოლო მეორე ნაწილები: **იელა** (**ჯორიელა**), **ეულა** (**ჯორეულა**) და **ულა** (**ჯორულა**) სახელიდან ზედსართავის მაწარმოებელი სუფიქსებია (უკაცრიელ-ი, მთვარ-ეულ-ი, ათ-ეულ-ი; აჭარ-ულ-ი და სხვ.), ხოლო ბოლოს არსებული ა- კი ზედსართავიდან სახელის მაწარმოებელი სუფიქსია (პერანგ-ა, თავშიშველ-ა და მისთ.). მაშასადამე, ზემომოყვანილი სიტყვები აღნიშნავენ ჯორის მსგავსს რასმე, ე. ი. შეჯვარედიანებულ, ჰიბრიდულ რასმე, ამ შემთხვევაში მცენარეს.

აჭარელთა გადმოცემით „ჯორიელა წვიტია, რგვალი, ყვითელი და შავი კაკალი აქეს, მუშაობს მთის ძირებში“. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ **ჯორიელას** ტაროს **ყვითელი** და **შავი** მარცვალი აქეს. ამას გარდა, იგი საშუალო ალაგებში გვარობს. ღორჯომია მისი მთავარი სამყოფი, იქ მხოლოდ **ჯორიელა** სიმინდი მოჰყავთ.

ჩვენა გვეგონია რომ **ჯორიელა წითელისა**, ანუ **ყირმიზი სიმინდისა** და **თეთრი სიმინდის**, ანუ **ბროლას ჰიბრიდს წარმოადგენს**.

სასურველია ბოტანიკურად გამოჩვენებულ იქნას დღეს არსებულ ღომის ჯიშთაგან, რომელი წარმოადგენს ჰიბრიდს და ან, არსებობს—და თუ არა **ჯორეულა ღომის** ჯიში? აგრეთვე საინტერესოა, რომ გამოირკვეოდეს ბოტანიკური რაობა **ჯორულა ბალახისა**ც და აგრეთვე თვითონ **ჯორიელა** სიმინდიც.

<sup>1</sup> „ჯორილა (რუს.) прострельная трава. Aconitum excenselsum Reich.—по П. Пристову Кр. Груз.-русско-агаинский Словарь из трех ест. царств природы, Тиф. 1884.

## სიმინდის სხვადასხვა ნაწილების სახელები

სიმინდი აჭარაშიც სიმინდი-ს სახელწოდებით არის ცნობილი.

ს. ორბელიანს სიმინდის შესახებ ნათქვამი აქვს ბალახიანო (იხ. ლექსიკ.).

პროფ. ივ. ჯაეახიშვილს თავის „საქ. ეკონ. ისტორიის“ I წიგნში სიმინდის შესახებ თავში შემდეგი აქვს ნათქვამი: „ამ მცენარის ზოგადი ქართული სახელი „სიმინდი“ ძველი ტერმინია: „სიმინდაჲ“ (იხ. ცაონისიმესი, Keimena 209) და „სამინდო“, „სამინდალი“ (დაბადების ქართ. თარგმანი), ძველ ქართულ მწერლობაშივე გვხვდება, მაგრამ მაშინ ამ სიტყვას ფქვილის მნიშვნელობა ჰქონდა (გვ. 364). პატივცემული მეცნიერის პროფ. ივ. ჯაეახიშვილის აზრით სიმინდი საქართველოში (უფრო სწორედ—დასავლ. საქართველოში) მე-XVII-XVIII ს. უნდა გავრცელებულიყო (იქვე, გვ. 363).

ს. ორბელიანის განმარტებით „სამინდალი ბერძნულია, ქართულად ზანდური ჰქვან, რომელ არს თათუხი მისი ფქვილი ვიეთთა სამინდოდ აღუწერიათ“, ხოლო სამინდოს შესახებ ნათქვამი აქვს „ესე არს ზანდურის ფქვლი, რომელ არს კლარჩი წურილად გაცრილიო“ (ლექსიკ.).

საინტერესოა გავიგოთ რატომ ეწოდა სიმინდს ფქვილის სახელი? ამის შესახებ პროფ. ივ. ჯაეახიშვილი აღნიშნულ შრომაში შემდეგ აზრს გამოსთქვამს: „ეს გარემოება, საფიქრებელია, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ სიმინდი ჩვენში პირველად ფქვილად იქმნებოდა შემოტანილი და მხოლოდ შემდეგში უნდა იყოს მისი მარცვლეულის კულტურაც გავრცელებული“ (იხ. საქ. ეკონ. ისტორია წ. I, გვ. 364. ხაზი ავტორისა).

მე გგონია საბას სამინდალის განმარტების პირველ ნაწილში მოცემულია გასაღები იმისა, თუ რატომ ეწოდა Zea Mais L.-ს ქართულად სიმინდი (var.: სამინდალი და მისთ.). სამინდალი ზანდური, ანუ თათუხი (რესი. თავთუხი), ან მისი ფქვილი. ვისაც თავთუხის პური უჭამია, იმას ისიც ესსომება. რომ იგი მეტად ფატარია, ფშვანდი და ამასთანავე აქვს სპეციფიკური გემო, რომელიც სიმინდის მჭადის გემოს მოგვაგონებს, აგრეთვე გამომცხვარ პურს ფერიც მოყვითლო დაჰკრავს. ამ მხრივ თავთუხის პური სიმინდის მჭადს უფრო უახლოვდება, ვიდრე თუნდაც დოლის პურისას. ცხადია ახლად შემოსულსა და გავრცელებულ პურეულ მცენარეს ნებისთ, ან უნებლიეთ იმ პურეულ მცენარეს დაუკავშირებდნენ, რომელსაც მიემსგავსებოდა და სახელსაც მისას გადაიტანდნენ, რაც არა იშვიათია და რის მაგალითებსაც ჩვენი ნაშრომის ძრავალ ადგილას ამოიკითხავს მკითხველი (იხ. აქვე ქვემოთ და მკა და თიბაც).

გადატან-გადმოტანის თვალსაზრისით ფქვილი ყველაზე ცუდი გადასატანი საქონელია ახლაც და მით უფრო ძველად. საფიქრებელია, რომ არა ფქვილად, არამედ სწორედ მარცვლის სახით შემოსულიყოს Zea Mais L. საქართველოში.

ი. ორბელს სიმინდი და მისი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები, რომლებიც გავრცელებულია აზიასა და ევროპაში, „კავკასიურ“ სიტყვად მიაჩნია, რომელიც ადრევე შესულა ბერძნულშიო. იაფეტურ ძირად თელის სმდ-ს (იხ. И. Орбели, «Simitose в италийской надписи и தமிழღღ, simila, similagor».

Журнал Минист. Народ. Просв., Новая серия, часть XVIII/2, 1902 წ. დეკემბრისა, გვ. 530) <sup>1</sup>.

ჩვენ ამ მცირე სტატიაში ამ სიტყვის ეტიმოლოგიას არ ვარკვევთ და პატივცემულ ავტორს ი. ორბელს ამჯამად არ ვეკამათებთ.

სიმიინდის მცენარეს, რომლისაგანაც ტაროები გამორჩეულია, ჩაღა ეწოდება.

სიმიინდის ტაროს, რაშიც გახვეულია, იმიანად, კობა და კობოში ეწოდება, იხმარება კობოში ფორმითაც.

კოტას პარალელურ სახელად ზოგი ტოდ-საც ასახელებს, ზოგი-კი ტოდს გარჩეულ ტაროს უწოდებს, უქუნჩალოს.

რაშიც ტაროა გამოხვეული, იმას ქუნჩაღს ეძახიან.

მარცვალ-გაყრევიანებულ ტოდს, ანუ ტაროს კობაჩასა და ხვიტს უწოდებენ.

სიმიინდის ტაროს თავზე რომ თმასავით აქვს გამოსული, იმას აჭარელნი კობოჩასა, ფიფიღასა და ფარჩიგს ეძახიან.

სიმიინდის მცენარეს თავზე რომ ყვავილი ამოუვა, მას კატარ-ს უწოდებენ, უკანასკნელს სიმიინდის სამწვარლოც ჰქვია.

### სიმიინდის მოსტვლა

ენკენისთვიდან სიმიინდი უკვე მწიფდება. რადგან აჭარა მთა-გორიანი ქვეყანაა და ამასთანავე იქ ნაადრევი და ნაგვიანევი სიმიინდის ჯიშებია; ამიტომ ზოგი სიმიინდი ადრე შემოდის, ზოგი გვიან და აგრეთვე ზოგან ადრე და ზოგან გვიან. შემოდის ერთი და იგივე სიმიინდის ჯიშიც. ასე რომ ენკენისთვიდან მოკიდებული (როცა მე აჭარას ვიყავ, მაგ.: ქვემო-აჭარას ს. კაკაოლღებში ენკენისთვის ნახევარს, ახალი სტილით, წვიტა სიმიინდს უკვე ამტვრევდნენ). ღვინობისთვის ნახევრამდე სიმიინდის რთველია. მაგ.: ს. თხილვანასა და ს. ინწვიკირეთს ღვინობისთვის ადრე სიმიინდი არ მოიტეხება.

სიმიინდის დამწიფებისას ჩაღა გამრეშდება, სიმიინდის მარცვალი მაგრდება. თუ მარცვალი კარგად არ არის გამაგრებული, არ მოსტეხენ. გაფუჭდება.

სიმიინდის ტეხვა შემდგენაირადა ხდებოდა: ან ჯერ კობოშს მოსტეხდნენ ხელით და მერე ჩაღას სჭრიდნენ მანგლით (ნამგლით), ან პირდაპირ სიმიინდს ჩაღიან-კობოშიანად სჭრიდნენ ნამგლით ძირშივე (ჩაღა საქონლის საკვებია და ძალიან უფროთხილდებიან ეხლაც). სიმიინდის რთველში მუშაობდა ოჯახის ყველა წევრი, მცირე წლოვანთა გარდა, ქალიცა და კაციც. ქალი მისდევდა და სჭრიდა სიმიინდს, ხელში ჰმალ-ად აგროვებდა და მერე აწყობდა. დაახლოებით 10-მდე სიმიინდს რომ მოსჭრიდა დააწყობდა. მამაკაცი მისდევდა და ქელებს დოჰებდალ აკეთებდა. — რამდენსამე ქელს თავი-თავს მიუყუდებდა, გარშემო ხაპის (კვახის, გოგრის) ლერწმს შემოახვევდა, რომ ერთმანეთი დაეჭვრინებინა და მერე მიაყოლებდა და გარეშემო შემოულავებდა სხვა ქელებს. 50-მდე ქელი 1 დოჰია.

<sup>1</sup> აღნიშნულ სტატიაზე პატივცემულმა დოც. გ. ჩიტაიამ მიმითითა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ.

სიმინდის კრას რომ მორჩებოდნენ, ქალები შემოუსხდებოდნენ დოყს და ჩალიდან სიმინდს არჩეიდნენ, ისე რომ მხოლოდ ტოლი, ე. ი. სიმინდის სუფუჟ ტარო გამოედოთ. ქუნჩალს ჩალაზევე სტოვებდნენ.

აჭარელის ფიქრით ქუნჩალი შედარებით უფრო ნოყიერია, წვიდრე ჩალა და ქუხიალი, რომ ცალკე იყოს და ჩალა ცალკე, მაშინ არ არის კარგიო, რადგან ერთი ნოყიერი იქნება და მეორე არაო. ამიტომ რჩეობენ გაურჩევლად დასტოვონ და, ასე ვთქვათ, „შეზავებული“ საკვები მისცენ პირუტყვს.



სურ. 2. ნალია

გარჩეულ ტოლს მამაკაცი გოდროო შინ ეზიდებოდა (გოდროი ზურგით მიჰქონდათ. მიწა ახლო ჰქონდათ) და ნალიაზე (იხ. სურათი 2) ყრიდა, რომ „სიმინდი გამზრალიყო და გამოჩატებულიყო“.

ჩალას მამაკაცი კონ-ებად კრავდა. კონას ჩალასვე უჭირებდა. 3-4 კელი (30-40 ღერი ჩალა) ერთი კონაა.

თუ ვინცობაა ცული ამინდი იქნებოდა, მაშინ კონებს ყანაშივე **აქუნცხულ-ღებანინ**, **აქუნცხულ**-ად დგამდნენ — კონას კონას მიაყუდებდნენ, ოღონდ ისე რომ კატარი ზემოთ ჰქონოდა, ე. ი. ისევე იდგა კონა, როგორც სიმინდი. 20-40 კონას ერთ კუნცხულად გააკეთებდნენ. ასე იქცეოდნენ იმიტომ, რომ ავღარში ჩალა არ გაფუჭებულიყო. წვიმიან დარში რომ ახალი, ნელდი ჩალა ზვინად, ან ხე-ჩალად დაედგათ, ჩახურდებოდა და გაფუჭდებოდა.

როცა ჩალა გაშრებოდა, მაშინ კონებს **ზვინაღ** გააკეთებდნენ ერთ ადგილას, ყანაშივე მიჰქონდათ და **ზვინაღ** დგამდნენ. ღორჯომში ძალიან ნოტიო ამინდი იცის, ამიტომ სანამ ჩალას საბოლოოდ დააბინავედნენ, კონებს თურმე ჯერ **ჰოჩი**-ებად აკეთებდნენ და მერე ხეზე ინახავდნენ. ხეზე დადგმულ ზვინს **ხეჩალას** ეძახიან. რაც ხე-ისა და ჩალა-ის შეერთებით უნდა იყოს მიღებული. **სხეჩალა** შიგ ყანაშივეა. — მაღალი ბოძებია დასობილი, ერთ მწკრივზე ბოძებზე გარდიგარდმო ჰქრია გადებული. ბოძთა შუა, ჰქრის ხაზზე, რამდენიმე მაღალი სახეჩლეა, **საქამ** (ისარია დასობილი), რომელზეც ჩალის კონებს უმწკრივებდნენ ძირიდანვე (მიწიდან კი არა, ჰქრიდან. ჰქრი იმ სიმაღლეზეა დაყენებული, რომ საქონელი ვერ შესწვდება) და საყეზე ჩალისავე ღვრით ამაგრებდნენ. კონა ისე უკეთდებოდა სახეჩლეს, რომ კატარი კვლავ ზევით ჰქონდა. რაც ერთ ყანაში ჩალა გამოვიდოდა, სულ ერთ ზვინად, ანუ ერთ ხეჩალად ყანაშივე დგამდნენ.

ერთ კოდ ყანას 100 კონა ჩალა გამოვიდოდა.

როგორც ზემოთ ვამბობდი, სიმინდის ტოლებს ნალიაზე ყრბდნენ გასაშრობად. აჭარის ზევან ადგილებში ძალიან ნოტიობა იცის და ამიტომ იქ სიმინდს ნალიის ქვეშიდან ფუტს, კვამლს აძლევდნენ ხოლმე, რომ სანდოდ გამშრალიყო სიმინდი, თორემ თუ კარგად ვერ გამოშრებოდა, მაშინ ჩრჩილი, პეპელა გაუჩნდებოდა („დაჩიჩავდა“) და დაღებოდა.

ნალია ძელურია და საკმაო ჩუჩრუტანები აქვს, ასე რომ ნიავე შიგ თავისუფლად დაჭრის.

სიმინდს გადაარჩევდნენ სათესლეს ცალკე და საჭმელს ცალკე. სათესლე ტაროს კარგა მწიფესა და სრულს იღებდნენ, **შღებან** აკეთებდნენ. ორ კოტას ქუნჩალს მოაფცქენდნენ, უკან გადასწევდნენ და ქუნჩალით ერთმანეთს გადააბამდნენ და ჰქრზე გადაჰკიდებდნენ, რომ გამშრალიყო და არ ჩახურებულიყო. სათესლე სიმინდს როცა დასათესად გაარჩევდნენ, მაშინ თავსა და ბოლოს წააფშენდნენ და საჭმელ სიმინდში გაურევდნენ, შუა ნაწილს-კი სათესლედ გაარჩევდნენ.

საჭმელ სიმინდს ზოგან (ზეგნებში უმთავრესად) შემოდგომითვე მთლად ფშენდნენ თურმე, ზოგან-კი (ბარად) ნაწილ-ნაწილ, იმდენს გამოფშენდნენ, რამდენსაც გამოსაფქველად წისქვილში წაიღებდნენ.

სიმინდს ფშენდნენ შემდეგნაირად: ან ხელით სულ უბრალოდ — თითებით აცლიდნენ მარცვალს, ან ტაროს ტაროზე უხახუნებდნენ და ისე ფშენდნენ, ან, მომეტებულ შემთხვევაში, **ტაქვიცით** (ზეგანში), ანუ **წოვბათი** (მოკლე ჯოხია მეტრის ოდენა). სიმინდის ტარო ნალიაზე ეყარა.

ნალიას იატაკად ქერები აქვს გაწყობილი, რომლებიც ერთმანეთს მიტკუ-  
ცებული კი არ არის, არამედ შუაზე იმოდენა სახსარი აქვს დაგდებული, რომ  
მარცვალის თავისუფლად გამოეტიოს. ნალიაში დაყრილი სიმინდის ტაროებს ტა-  
კვეცს ანუ ზოფას სცემდნენ და მარცვალს აყრევენებდნენ. მარცვალის ძირს, ნალიის  
ქვეშ ცვიოდა, ხოლო კობერი ნალიაშივე რჩებოდა. მარცვალს მერე არკვევ-  
დნენ, ასუფთავებდნენ და ფქვევდნენ. კობერზე შერჩენილ თითო-ოროლა მარ-  
ცვალს ხელით ფშენდნენ. დაფშენილსა და გამხმარ სიმინდს ინახავდნენ. **ხა-  
როქავში.**

**ხარო** ხის ყუთია, რომელიც მალა, ქერში აქვთ.

ს. ორბელიანს „ხარო ქვითკირის ორმო“-დ მიაჩნია და სხვაგან ხარო  
სწორედ მიწაში გათხრილი ორმოა, მაგრამ აჭარაში იგი მიწის ზემოთ ამოსუ-  
ლა. მათი მიწა ნოტიოა და მიწაში სულადის შენახვა არ შეეძლოთ.

## მკა და თიბვა

**მკა.** ზემოთ თავის ადგილას აღნიშნული გვექონდა, რომ ამჟამად აჭარაში  
სიმინდია გაბატონებული პურთან შედარებით. პურს თუ თესენ, თესენ მეტად  
მცირედ მეთქი. მაგრამ რაც არის, მასაც ხომ მოსთვლა უნდა.

**მკა** ამ სატყეის ნამდვილი მნიშვნელობით აჭარაში არ არსებობს, არ ინმა-  
რება თვითონ ტერმინიც.

აჭარაში საერთოდ მოსავალი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა დროს  
მწიფდება ქვეყნის ტოპოგრაფიული პირობების ნაირნაირობის წყალობით. შე-  
მოადგომის პური მწიფდება მარიამობისთვის პირველიდან (ძვ. სტ.), ხოლო გა-  
ზაფხულისა ამავე თვის გასულიდან. წელიწადის ამ დროს აჭარლები **ქალღობას**  
ეძახიან და იმ ადგილს, სადაც ამ დროს მუშაობას აწარმოებენ—**ქალღობს**, თუმცა  
იმ ადგილზე კალა (რგვალი მოედანი პურის სალენად) და აგრეთვე ადგილ-  
სამყოფელო, სადაც კალოობას ეწვეიან, შეიძლება სულაც არ იყოს. კალოსა და  
კალოობას აჭარაში თავისი ნამდვილი, პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგუ-  
ლი აქვს.

დამწიფებულ პურს აჭარლები კი არა მკიან, არამედ **თიბვენ ცელით**.  
ცელს **თირიფანსაც** ეძახიან. ყანასაც ისევე თიბვენ, როგორც თივას. იმ ადგი-  
ლებში, სადაც ცელს ვერ მიუყენებენ, **მანგლით** გამოსთიბვენ. აჭარული მანგა-  
ლი (ნამგალი) დაუკბილაია.

პურის თიბასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და თივის თიბვისა ერთი  
და იგივეა. ტერმინი ზოგი მკისა შერჩენილა, ზოგი თიბვისა და ამ მხრივ მდი-  
დარი ტერმინოლოგია გვაქვს, რომელსაც ბოლოს განვიხილავთ. ამათვე მიემა-  
ტება და ერთად განვიხილავთ სიმინდის მოსთვლასთან დაკავშირებულ ტერ-  
მინოლოგიასაც, რომელიც აგრეთისავე ბუნებისაა.

თიბა. ზემოთ, ხენა-თესვაში აღნიშნული გვაქვს, რომ აჭარაში მიწების გა-  
პოხიერება დასვენებითა და მორწყვით, ე. ი. გაჭალავებითაც იცოდნენ მეთქი.  
გაჭალავებულში ბალახს თიბვენ. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ აჭარლები  
სათიბებს რწყავენ. ავითონ სათიბს **ჭალას** ეძახიან. არის, რა თქმა უნდა, ურწყ-

ყავი სათიბებიც. ნარწყავის თივას ამჯობინებენ. ამას გარდა ნარწყავი ორჯერ ითიბება: ერთხელ ზაფხულში, მარიაამობისთვეში და მეორედ შემოდგომაზე, ენკენისთვეში. მეორედ გათიბული დაბალია, ნორჩია, მაგრამ სამაგიეროდ ხშირია. აჭარლები მეორედ გათიბულს **მორჩჩ**-ს ეძახიან.

**მორჩჩ**-ს საზამთროდ ინახავენ ჩვილი საქონლისათვის, როგორც უფრო ზოციერ საკვებს. მორჩჩისას **ნარცხ**ს აკეთებენ და ისე აჭმევენ (ნარცხის შემზადება იხ. საქონლის საკვებში).

აჭარაში თიბვაც, ისევე, როგორც სხვა მოსავლის სთველიც, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა დროს იწყება. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ თიბვა მარიაამობისთვის დამდეგიდან (ძვ. სტ.) იწყება. ასე ამბობენ თვითონ.

თიბვის დროს **ჭალოვა** ჰქვიან. გათიბვამდე **ბალახი** ეწოდება, ხოლო გათიბვის შემდეგ **თივა**. თივას თიბვენ **ცალით**. თვითონ პროცესს **თივა**-ს უწოდებენ (ამბობენ: **თიბს**, **თიბენ**). ფერდა ადგილებზე აჭარლები თავდაღმა თიბვას რჩებოდნენ. ერთი კაცი ერთ დღეს 2-3 კოდს, 2 სელისას გასთიბავდა. კარგ ქალაში კოდზე ერთი კარგი ზინი გამოვავ.

კაცი რომ თიბს, ქალი მისდევს და **ფოცხით** **ჭაღს**, ანუ **ღვარაღს**, **გვაჩაღს** **ჭიღვში** შლის, რომ ბალახი მალე გაშრეს—„ცოტაზე პირი რომ წუხნება, მაშინ გადავაბრუნებთ რომ მალე გაშრეს“—ო.

**ჭელი**, ანუ **ღვარაღი**, **გვარაღი** ეწოდება თიბის დროს ცელის მიერ მოცვლილი ბალახის შარს, ხოლო **ჭიღვში** იმ ადგილს, რომელშიც ბალახი შოითბა და ცარიელი დარჩა.

სალამო ხანზე, თივას, თუ კარგა გაშრებოდა, შეაგროვებდნენ ფოცხითვე **თაფულ**-ებად (აჭარაში, სადაც კი ჩვენ მოვიარეთ, ყველგან **თაფული** თქვეს აღნიშნულისათვის, მხოლოდ ს. ინწყვირეთში **ბულული** უწოდეს. დაწვრილებით **იხ**. ქვემოთ). თაფულს **მარულ**-ს გაუგდებდნენ, აიღებდნენ (თაფული წარმოადგენს იმოდენა თივას, რასაც ერთი კაცი ერთი მერულით ერთ ჯერობაზე იღებს) და **ბულული**-ად დასდგამდნენ. ზოგან კი, მაგ., ღორჯომში 5-10 თაფულს ერთად მიაგდებდნენ, ქვეშ **ჭამჩხ**ს (ორ ცალს) გაუყრიდნენ და ორი კაცი (ერთი წინიდან და მეორე უკანიდან) ასწევდა და მიიტანდა იმ ადგილას, სადაც ბულული, ან ზინი უნდა დაედგათ. რამდენსაც ორი კაცი ქვრებით ასწევს, **ჭვირთს** ეძახიან, ხოლო ღორჯომში **ბულულიც** უწოდეს, ბულული **ბურაღის** ფორმითაც იხმარება. ქვეანაში მაგ.: **თაფულებისაგან** აკეთებენ **ჭვირთს**, ხოლო **ჭვირთებისას** **ბულულს**.

იქ სადაც თაფულებს პირდაპირ ბულულად დგამენ (მაგ. ს. ხიხაძირში), ერთ ბულულში 30-მდე თაფულს ანგარიშობენ, ხოლო სადაც თაფულის შემდგომი საფეხური ჭვირთია, რომელსაც ღორჯომში ბულულს ეძახიან, ჭვირთში ანგარიშობენ 5-10 თაფულს. ღორჯომში ბულულს (ჭვირთს) **ჭვინად** სდგამენ და მასში 5-7 ბულულს (ჭვირთს) ანგარიშობენ, რაც 25-70 თაფულს უდრის. ქვეანაში ბულული უკვე იმოდენაა, რომ მას სტოვებენ ქალაში. ისინი თაფულს ჭვირთებად აკეთებენ, ხოლო ჭვირთს ბულულად. ასეთ ბულულში 3-5 ჭვირთს ანგარიშობენ, რაც უდრის 15-50 თაფულს. ბულული უმთავრესად ერთ-მარხილიანია, ზეინი კი ოთხ-მარხილიანიც შეიძლება იყოს.

ბულულისა, ანუ ზვინის მნიშვნელობით აქა-იქ თურქულ სიტყვა **აილინი**-საც ხმარობენ, რომელიც იმასვე ნიშნავს, რასაც ზვინი.

ზვინს შუაზე **ლაჯაჯაზიანი ხე** (კაპებიანი ხე) აქვს ჩარკმული. თივას ამ კაპებს აქვინებენ, რომ არ დაზავდეს და თვითონ ხე ზვინს ამაგრებს, რომ არ წაიქცეს. ზვინის დადგმის დროს ზედ ბალსს შეაყენებენ ხოლმე და ფეხით ალა-ხვინებენ, რომ მაგრ დადგეს ზვინი.

თაფულებისა, ჭვირთებისა და ბულულების აღებ-დაღება თივის გათიბა-გაშრობის შემდეგვე ხდება. ზვინს კი, ხოლო იქ სადაც ზვინის მაგიერობას ბულული ეწევა, ბულულს, ჭალაშივე სტოვებდნენ ათიოდე დღის განმავლობაში, რომ **გამოჩატდეს, გასუბუქდესო**.



სურ. 3. სელი თივით დატვირთული

თუ ვინაცობაა თივა არ იყო რიგიანად გამშრალი, ან სელი შეჰყვა, **გასუბ-ღება** და გათუჭუებო. ჩახურების შემთხვევაში **ამოფუშავდნენ**, გაშლიდნენ, გააშრობდნენ და ისე დაზვინავდნენ.

ნაწვიმი ბალახის გათიბა შეიძლება, ოღონდ სელი არ უნდა შევაქუჩოთო, თორემ გახურდებაო.

ბოლოს, თივას მარხილით, ან სელით ეზიდებოდნენ შინ (იხ. სურ. 3) და ინახავდნენ **საბაქალში**. ზოგი ჭალაშივე სტოვებდა. ოთხ **ღირავს** (ბოდს) დაასობდა, ზედ ჭერებს გაუდებდა, შუაზე მალალ **საქვს** მისცემდა და ზედ დასდგამდა თივას. ასეთ ზვინს **ფიდგაშულ ზვინს**, ან **ბოგა ზვინს** უწოდებდნენ. მალაა, საქონელი ვერ მისწვდება. საყე თივას ამაგრებს, რომ ქარმა არ წაილოს, არ წააქციოს. მთელი მონათიბი ერთად იდგმება. ასეთი ზვინი ჭალაში რჩებოდა ზამთრამდე, 2-3 თვეს.

## ლეწვა

პურს კალოში ლეწავდნენ. აჭარლებს კალო, როგორც ცალკე სამეურნეო ერთეული, არა აქვთ. კალოდ გამოყენებულია სახლის ეზო და ამიტომაც არის რომ კალოს განსაზღვრული სიდიდის გამორკვევა შეუძლებელია. ეზოს არა აქვს ის სპეციფიკური სიმრგვალე და მოყვანილობა, რაც კალოს ახასიათებს ხოლმე. ეზო მეტის-მეტად ქვიანი და უსწორმასწორო იყო. ეზოში ყრიდნენ პურს იმდენსა და იმ ვარაუდით, რამდენი კევრის შებმაც შეეძლოთ. კალოში შეიძლება ევლო 1-4 კევრსო. თითო კევრის წილობაზე კალოში ჩაიყრებოდა 2 სელი პური, ე. ი. თავთავი. სელი გამოვა, მათი სიტყვით, 10-12 ფუთი. გალეწვის შემდეგ აქედან გამოვიდოდა 4-5 ფუთი ხორბალი, ხოლო დანარჩენი ბზე.

მომკილ პურს კალოში ფენდნენ **მარშულით**. კარგა რომ წამოდღევდებოდა და კალოცა და პურიც კარგა გაფიცხდებოდა, მერე ზედ კევრს შეაყენებდნენ. კევრში შებმული იყო უღელი ხარი. კევრს ედგა ან კაცი, ან ქალი და ხარებს სახრით ერეკებოდა. კევრი ხან მარჯვნივ დაჰყავდათ და ხან მარცხნივ, რომ ცალმხრივ გადაღესილისთვის ახლა მეორე მხრივ გადაეულო კევრს. ლეწვის დროს თან **მარშულით ვანკავდნენ**, რომ ქვეშ მოქცეული გაულეწავი ყანა ზევით ამოეყარათ. **აჯვანკავა** ხდებოდა 2-4-ჯერ. დამოკიდებულია ამინდსა და ჩაფენილი პურის რაოდენობაზე. თუ ბევრს ჩაჭვენდნენ, ერთ დღეს ვერ მოასწრებდნენ გალეწვას, ნამეტნავად მოზეგანო ადგილებში და მეორე დღესაც უნდებოდნენ.

გალეწილს მერულითა და **ფოცხით მოჰრიდნენ** და **ცოცხით მოჰვინდნენ** და **ხვავად**, **თილად** დგამდნენ ნიავის სისწვრივ. **ფიწალს მისცამდნენ** და ჰაერში **გაანიახვადნენ**. ხორბალი კალოს გულში ჩამოდოდა და ხვავად დგებოდა, ბზე-კი ნიავეს განზე მიჰქონდა. **ბჯის არნადით ზუჰკავდნენ**, ხვე ჯდნენ. მერე ფიწლით იღებდნენ, გოდორში ყრიდნენ, გოდორს ზურგზე იკიდებდნენ და ბზეს **საბამელში** ინახავდნენ.

აჭარული **კევიკი** პატარა ზომისაა, ფიჭვისაა. **კაში** გარდიგარდმო მწკრივად არის, აღმადღმა-კი არა. კაჟს გარდა კევრს რკინის ნამსხვრევებიც უსხედს, რომელსაც **დანახა** და **ქილიჯ-საც** უწოდებენ. კაჟის ჩასმას **მოკაშვას** ეძახიან. კაჟს ზოგან **კევიკის შვან** ჰქვიათ (ს. ხინაძიძი).

საერთოდ აჭარაში, სადაც კი შემხვდა კევრი, ყველგან პრიმიტიულად არის მოკოხილი.

ასაბმელი ყველას თავისივე ჰქონდა და ასწვრივი იყო.

კევრის თავს **ტუჩ-სა** და **კევიკი ლუჩხ-ს** ეძახიან, ასაბმელს **ნეცხვი-ს**.

### სიმინდის მოსთვლასა, მკასა და თიბვასთან დაკავშირებული ზოგბიერთი ტერმინის მოკლე მიმოხილვა

როგორც მკითხველი დაინახავდა სიმინდის მოსთვლასა, ყანის მკასა, თივის თიბასა და მთლიანად ამ მოსავლის მოსთვლა-დაბინავებასთან მრავალი საყურადღებო ტერმინია დაკავშირებული. ეს ტერმინები საყურადღებოა იმ მარივაც, რომ ზოგი ტერმინი როგორც სიმინდის მოსთვლაში, ისე ყან-ს მკასა და თიბაშიც გვხვდება. ამასთანავე ადამიანს თვალში ეცემა აღნიშნულ მეურნეობასთან

დაკავშირებული ტერმინოლოგიის მეტის-მეტი სიუხვევ, რომელზეც ამ მეურნეობის მიმდევარი ხალხის მაღალ კულტუროსნობას ამკლავნებს.

პირველი ტერმინი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს არის **ჰალი**. სიბინდს რომ ჭრიან, რასაც მომჭრელი ხელში დაიჭერს, იმას ჰელი ეწოდება. ჰელი ეწოდება აგრეთვე, როგორც ყანის (ყანას არა მკიან), ისევე თივის ნათიბის მოთიბულ შარს.

ს. ორბელიანს ჰელი (ასეთი სახით) თავის ლექსიკონში არა აქვს. სამაგიეროდ მას მოეპოვება **მჰალაული**, რომლის შესახებაც ამბობს: „ველეულია ყანისა“-ო (იხ. ლექსიკ.) და **მჰალი**, რომელსაც პეშვად განმარტავს (ლექსიკ.)-მჭელეული პროფ. ივ. ჯავახიშვილს აქვს განხილული თავის „საქ. ეკონ. ისტორიის“ II წიგნში (იხ. თ. II, § 2, გვ. 83). მჭელეული პროფ. ივ. ჯავახიშვილსაც<sup>1</sup> ისევე, როგორც ს. ორბელიანსაც, მომკილი ყანის უმცირესი ერთეულის, ე. ი. რასაც მომკალი მუჭაში, ხელში დაიტევს, სახელად მიაჩნია.

აჭარული **ჰალი მჰალის** გამარტავებულ, თავკიდურ მ ჩამოცილებულ სახეს უნდა წარმოადგენდეს. ქართულში ხომ ხშირია ასეთი შემთხვევა? **მჰალაული** მჭელისაგან ნაწარმოები სახელი უნდა იყოს ისევე, როგორც **მწეული**, **გრმწეული** და მისთ. საბაბს განმარტებითაც მჭელეული პეშვულია ყანისა, მწელი კიდევ პეშვაა. მჭელეულიცა და მჭელაც ადამიანის ერთსა და იმავე ასოს, უფრო ზედმიწევნით, ასოს ერთსა და იმავე ნაწილს — ხელის მტევანს უკავშირდება. ხელეური მხოლოდ პეშვით შეიძლება აიღოს ადამიანმა. ახლა თუ ჩვენ საქართველოს სხვა კუთხეებშიც მიმოვიხედავთ და აღნიშნულ ტერმინს მოვიკითხავთ, ვნახავთ, რომ მაგ. ქიზიყში მკის დროს ნამგლის ერთ გამოსმაზე ხელით, პეშვით, ანუ მუჭით აღებულ მოჭრილ თავთავეებს **მჰჰაული** ჰქვიათ. მაშასადამე გამოდის, რომ მუჭით აღებულ მოჭრილ ყანას ეწოდება მუჭეული, ისევე როგორც ველისაგან გვაქვს **პელაული**, გუთნისაგან **გუთნაული** და მისთ. ცხადია, რომ **მჰალიც**, **მჰალაულიც** და **ჰალიც** **მჰჰაულისაგან** მიღებული სიტყვებია. მუჭეულისაგან უ-ს დასუსტებისა და გაქრობის გზით უნდა მიგვეღო მჭეული და შემდეგ მჭელი და შემდეგ მეორადი წარმოების გზით მჭელეული<sup>1</sup>.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენ ვფიქრობთ რომ ჰელი მჭელისაგან, რომელიც თავის გზით მუჭეულისაგან არის, უნდა იყოს მიღებული. ამას გვაფიქრებინებს მათი არა მარტო გარეგნული მსგავსება, არამედ ისიც, რომ ჰელი აჭარაში მოსავლის აღებასთან დაკავშირებული იმ პირველი საფეხურის ტერმინია, რასაც მჭელეული, ანუ უფრო სწორედ, მუჭეული გამოჰზატავს. ამჟამად აჭარაში ყანის მკა აღარ არის წესად, არამედ თიბენ, მაგრამ როგორც ყანის

<sup>1</sup> რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ქართულში ამჟამად უ-ს რედუქცია იშვიათი მოვლენაა, ეს მაგდენ დაბრკოლებას ვერ შექმნის, რადგან აღნიშნული პროცესი, როგორც ჩანს ისტორიულ ხანაშიც დასრულებულა, რადგან დაბადებაშიც მჭელეული გვხვდება. უნის რედუქციის მაგალითად შეიძლება საყდარი (საყუდარი) დავასახელოთ. აგრეთვე გონ სიტყვისაგან წარმოებული უგონური—უგუნური—უგური.

ამას გარდა შეგვიძლია ფონეტიკურად მონათესავე მოვლენაც დავასახელოთ, მაგ.: ქართულში ამჟამად ი-ს რედუქციაც არა ხდება, მაგრამ რამდენიმე სიტყვა გვაქვს, რომლებშიც ი ვარდება. მაგ., აგრეთვე ძილისპირი-საგან უნდა იყოს მიღებული ძილისპირი. მცირე-ს ნაცვლად ქიზიყში მცრე იმბარება, ჭინჭილა-ს ნაცვლად ჭიჭლა; ყუვილი-საგან გვაქვს აყუვილება.

მკის, ისევე თივის თიბვის პირველი საფეხურის სახელად ჰელია (აგრეთვე ღვარეული და გვარალიც, რომელთა შესახებაც, იხ. ქვემოთ) მიღებული, ჰელივე ეწოდება აგრეთვე ერთ ბლუჯა მოქრილ სიმინდესაც, რაც ხელში უჭირავთ (იხ. სიმინდის მოსთვლაში). ჩვენა გვეგონია, რომ პურეულის თესვის შემცირების გამო და მასი ადგილის სიმინდის კულტურის მიერ დაჭერის გამო, ყანის მკას მიანებეს თავი, რადგან მცირე იყო და მას მათს მეურნეობაში ვადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ხოლო მკასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია გადაბარგდა ყანის კულტურის შემცველი კულტურის მოსთვლას სხვადასხვა სტადიის აღმბეჭდავად—სიმინდის მოსთვლაში და თივის თიბაში. თიბაში იმდენად, რამდენადაც თვითონ ყანის მკა ყანის თიბვად იქცა. მსგავსი მოვლენა, ე. ი. ერთი კულტურის მიერ მეორის განდევნა და წინამორბედი კულტურის მრავალი რამის, თუნდაც მისი ტერმინოლოგიის, რომელიც ყველაზე უფრო კონსერვატიულია და ხშირად იმის საწინააღმდეგო მნიშვნელობის მატარებელია (ისტორიულად), რასაც ამჟამად გამოჰხატავს, მეორის მიერ შეთვისება ყველასათვის ცნობილია.

ახლა განსახილველი გვაქვს მეორე ტერმინი—**ღვარალი**, ანუ **გვარალი**. ორივე პარალელური ფორმაა ჰელისა (მუჭეულისა), ე. ი. ნიშნავს მოცეცილი ყანისა, ან თივის შარს.

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს თავის ლექსიკონში არც ღვარეული მოეპოვება და არც გვარალი. სამაგიეროდ მას შეუტანია ლექსიკონში **„გვარალი** თივის თოკის“ მნიშვნელობით და ვეფხის-ტყაოსანს იმოწმებს (იხ. **გვარალი**, **გორალი**, **გორლი**) და „თივის საბელად“ განმარტავს; ხოლო საბელთან ამბობს: **„გვარალი** არს საბელი თივათაგან შეგრეხილი“—**ი** (იხ. ლექსიკ.).

ვეფხის-ტყაოსანში მართლაც გვხვდება გვარლი (გვარალი?). ავთანდილი ტარიელის საძებნელად რომ წავა და ასმათს ნახავს პირველად და მათ შორის რომ საუბარი გაიმართება ტარიელის ამბის ცნობის შესახებ, ასმათის ჯიუტობით განაწამები ავთანდილი ეუბნება ასმათს:

„აწ დაო, შენთა კელთაა ჩემი საბელი ყელისა,  
სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღბურობა კელისა;  
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა,  
და თვარ ვისმცა ექმნა **გვარლითა** შეკრვა თავისა მრთელისა?!“

(ვეფხ. ტყ., ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოც., 1926 წ., ხანა 191). **გვარლი**, ან გვარალი (ზემო-მოყვანილ ლექსში ჩვენთვის საჭირო სიტყვა ისეთი ფორმით—მოქმედებითი ბრუნვით [გვარლითა]—არის მოყვანილი, რომ შეიძლება ა-ს რედუქცია დაჰმართოდ) ვეფხის-ტყაოსანშიც თოკის მნიშვნელობით იხმარება. ცხადია ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს აღნიშნულ ტაეზზე დაუწყარებია თავისი განმარტება, მაგრამ არა ჩანს საიდან ამოიღო ის ცნობა, რომ **„გვარლი** არს საბელი **თივათაგან** შეგრეხილი?“ როგორც ვიცით თივისაგან შეგრეხილ თოკს **აღმარლი** ეწოდება ხევსურეთს (იხ. ქართ. საენათმეც. საზ. წელიწადული I-II, 1923-4 წ.წ. ბ. გაბუურის ხევსურული მასალები პროფ. აკ. შანიძის რედაქციით დაბეჭდილი, ლექსიკონი, **აღმარლი**), **„აღმარლი**, საბას, ნედლ თივად“ აქვს განმარტებული (იხ. ლექსიკ.).

ჩვენ აქ ამჟამად აღმარლისა და გვარალის ურთიერთობა არ გვაინტერესებს. აღნიშნავთ მხოლოდ; ჩვენ გვაინტერესებს აჭარული ღვარეულისა და გვარლი-

სა და ვეფხის-ტყაოსნის გვარლისა (თუ გვარლის) და საბას გვარლისა, გვარლისა, გორალისა, გორლის ურთიერთობა. თუმცა საბას არაკებში (იხ. სიბრძნე-სიტყუისა, 156 არაკი) აღერდი მოთიბულ ბალახს ნიშნავს და არა თოკს, რაც საყურადღებოა და ხელს გვიწყობს გვარლ-თოკისა და გვარლ-მოთიბული ბალახის მნიშვნელობათა გაერთიანებისათვის.

მაგრამ სანამ ჩვენს საჭირო საკითხებს ერთმანეთს დავუპირისპირებდეთ, მინამ საჭიროა თვით საბას მიერ მოყვანილ სიტყვათა ნაირობა გავარკვიოთ.

საბას თავის ლექსიკონში მოყვანილი აქვს: **გვარლი**, **გვარილი**, **გორალი** და **გორლი**, სულ 4 სახეობა. როგორც აღვნიშნეთ მას **გვარლი** ვეფხის-ტყაოსანზე დამყარებით აქვს მოყვანილი და შეიძლება **გვარალიც** ყოფილიყო. იქ (იხ. ზემოთ), ამის საბუთს გვაძლევს ის გარემოებაც, რომ საბას **გორალიც** აქვს, სადაც ვაო-დ არის შეცვლილი (**გორალი** || **გვარალი**), რომელიც იმის საბუთს ვაძლევს, რომ **გვარალიც** უნდა გვეგულისხმა. ონიანი ფორმა დიალექტური სახე უნდა იყოს, რომელიც, ალბათ, საბას დროს ცოცხალი სიტყვაც იყო მის მხარეში. აგრეთვე, თუ **გორლის** **გვარლისაგან** საბას მიერ ხელოვნურად ნაწარმოებად არ მივიჩნევთ, აღნიშნული ეჭვი კი უსაბუთოა, **გორლიცა** და **გვარილიც** დიალექტურ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ.

ზემოაღნიშნულიდან ცხადად ჩანს, რომ აჭარული **გვარალი** (**ღვარეულის** შესახებ ქვემოთ), შ. რუსთაველის მიერ ვეფხის-ტყაოსანში ნახმარი **გვარლი** (თუ **გვარალი** ...**გვარლითა** შეკრვა თავისა) და საბას **გვარლი**, **გორალი** (**გვარილი** და **გორლიც**) ერთი და იგივე სიტყვაა. ვეფხის-ტყაოსანში და საბას ლექსიკონში გვარალს<sup>1</sup> დაგრეხილი თივის თოკის მნიშვნელობა აქვს, ხოლო აჭარაში მოცელები (მოთიბული) და ცელის მოსმის დროს გადაბრუნებულ-დადაგრეხილი თივის შარის მნიშვნელობა.

აჭარაში გვარალი თოკის მნიშვნელობით არ იხმარება, იქ მას **თოკვს** ეძახიან. მე მგონი აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ ამათი მნიშვნელობაც უდგება ერთმანეთს და ვფიქრობ, აჭარულს უფრო თავისი პირვანდელი მნიშვნელობა აქვს დაცული, ხოლო რუსთაველისა და საბას გვარალში მერმინდელი, მისი კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე გამოყენებულობის შინაარსი აქვთ. პირველად სწორედ შემთხვევითს ნაგრეხს უნდა სწოდებოდა ეგ სახელი.

ისმება საკითხი: რა არის **გვარალის** აჭარული პარალელური ფორმა **ღვარეული**? ჩვენა გგონია, რომ ღვარეული გვარალის გააზრიანების შედეგად არის მიღებული. დროთა ვითარებაში ხალხს დაავიწყდა მისი პირვანდელი მნიშვნელობა (იხ. ეტიმოლოგია ქვემოთ) და მისი გააზრიანება სცადა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა. **გვარალი** განმარტოებითა დგას და ამდენად ზუნდოვანია მისი მნიშვნელობა, ამავე დროს კი აჭარაში ჩვეულებრივი სიტყვაა **ღვარი**—ძლიერი წვიმის შედეგად შოვარდნილი ხევი, არსებობს **ნიაღვარი**, არსებობს ერთი ხეობის სახელწოდებაც—**ნაღვარევი**. ყველაფერი ეს აჭარელის ფსიქოლოგიაზე გავლენას ახდენდა და გვარალს ფონეტიკური მიმსგავსებულობის წყალობით სემასიურადაც უკავშირებდა ალბათ ღვარსა და მივიღეთ მსგავსი ფონეტიკური კომპლექსი **ღვარეული**. უნდა აღინიშნოს, რომ უფრო ხშირად ღვარეული იხმარება, ვიდრე

<sup>1</sup> ამის შემდეგ სიმოკლისათვის ზოგადი მნიშვნელობით ამ ფორმას ვიხმარ.

გვარალი. მე თითქმის ყოველთვის ჯერ ღვარეულს მეტყობდნენ ხოლმე და მერე გვარალს. ამჟამად ჭიდილშია ეს ორი სიტყვა.

იბადება კითხვა: რას უნდა ნიშნავდეს გვარალი, ანუ გორალი? გორალი (resp. გვარალი) ჩვენ **გორგალ** სიტყვიდან მიღებულ დ მიგვაჩნია. გორგალი საბაბას განმარტებით „ნასთი დახვეული“-ა (ლექსიკ.). სახელოვან ლექსიკოგრაფს ამ ტერმინის მარტო, ასე ვთქვათ, ტექნიკური მნიშვნელობა აქვს აღნიშნული. ამისაგან მრავალი სიტყვა გვაქვს ნაწარმოები. ჩვენი გორგალი და სხვა მისი მსგავსი სიტყვებიც ფუძე გაორკეცებული სიტყვები უდა იყოს. რომ უფრო ნათელი იყოს, ამ სერიის სამ სიტყვას განვიხილავთ: გორგალსა, გოგორასა და გორგოლას. უკანასკნელი ორი სიტყვა ურმის, ეჭლის თვალსა ნიშნავს, რომელთაგან პირველი საბაბასაც მოვპოვება, ხოლო მეორე ქიზიყში ჩვეულებრივი სიტყვაა თელის, პატარა თელის აღსანიშნავად. სამივე სიტყვის ერთმანეთისადმი დაპირისპირება ყველასათვის ცხადყოფს, რომ ისინი **გორ-გორ**-ისაგან უნდა იყოს ნაწარმოები. ქიზიყურ გორგოლა-ს ყველაზე უკეთ აქვს დაცული თავისი პირვანდელი სახე, ოღონდ მეორე რ-დ შეცვლილა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ქართლისათვის. გოგორა სიტყვაში პირველი ნაწილის რ-ა დაკარგული და ამით გამარტივებულა საქმე, ხოლო გორგალ-ში, როგორც რ-ს-დ-დ დისიმილაცია მომხდარა, ისევე ხმოვანსაც განუტდია დისიმილაცია და ო-ა-დ ქცეულა (გორგორი — გორგალი). ჩვენა ვფიქრობთ, რომ გორალშიც მსგავსივე მოვლენა უნდა მომხდარიყო, ე. ი. უნდა მომხდარიყო მეორე ნაწილის ო-სა და რ-ს-ა-დ და-დ გადაქცევა და მერე მეორე გ-ც დაკარგულიყოს (გორგორი — გორგალი — გორალი), ხოლო გორალისაგან გვარალის მიღება, ე. ი. ო-ს ვა კომპლექსად გარდაქცევა, ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულში და ამაზე სიტყვის გაგრძელება არცა ღირს.

თვითონ გორ-გორ-ის შემადგენელი გორ ნაწილი იგივე სიტყვა უნდა იყოს, რაც ჩვენ გორ-ვა და გორ-ება ზმნაში გვაქვს. გვარალიც ხომ, როგორც თოკის მნიშვნელობით, ისევე ნათიბის შარის მნიშვნელობითაც, ნაგრებს, ნაგორებს თივას წარმოადგენს.

## მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა

მესაქონლეობას აჭარაში უფრო დამხმარე მნიშვნელობა ჰქონია, ვიდრე თავისთავადი.


აჭარლების სიტყვით — საქონელს იჩენდნენ ისინი ნაკელის გულისათვის. მათ მიწას ნეხვი თუ არ დააყარეს, ისე მოსავალი „ანაგებათ არ მოვა“-ო. ამას გარდა, მესაქონლეობიდან აჭარელს მეორე შემოსავალიცა ჰქონდა, ასე ვთქვათ, ძროხის პირდაპირი მონაგები. ეს გახლავთ კარაქი, ყველი და ღო.

აჭარლები თავიანთი საქონლის გულისათვის რამდენადმე მომთაბარებდნენ. ზამთარში ძროხა დამწყვდეული ჰყავდათ ახორებში, დიდი თოვლების გამო, ხოლო ზაფხულში მთაში მიუდიოდათ.

მაისის 1-15 (ძვ. სტ.), ამინდისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, ძროხას მთაში ერეკებოდნენ, ოჯახიდან თან მისდევდა ერთი გამოცდილი დედაკაცი, რომელმაც კარაქისა და ყველის კეთების კაი ხელი იცოდა, ერთი ბავშვი და კიდევ შეიძლება ისეთი ვინმეც გაჰყოლოდა, რომელსაც ბარში ყოფნა უჭირდა.

საერთოდ აჭარლებს მთაში ყოფნა უყვართ. ამ დროს ბარადაც აქვთ საქმე (კალოობაა: თიბა, მკა, სიმინდი და მისთ.) და ამიტომ სულ ვერ აყრილან და წასულან მთაში.

მთაში მათ ორსართულიანი ახორები ჰქონდათ, ფიცრისა. ქვემო სართული საქონლისათვის ჰქონდათ და შიგ ფურები ჰყავდათ (დანარჩენი აზადი ძროხა გარეთ ყრია ღამე), ზემოთ თვითონ იყვნენ და სარძივ განყოფილება ჰქონდათ, სადაც აკეთებდნენ კარაქს, ყველსა და სხვ. (იხ. სურ. 4).



\* სურ. 4. ახორი წინიდან

ასე, მკათათვის გასულისაკენ (ძვ. სტ.) იმართებოდა მთის დღეობები, რომელსაც მიმხლიობას, მიმხლიანობას, ანუ ნახლიობას ეძახიან. ამ დროს ბარიდანაც აღიოდნენ და იმართებოდა ღვინი, რომელსაც სეირობას უწოდებენ-გრძელდებოდა სამ დღეს.

ისეცა ხდებოდა ხოლმე, რომ საქონელს პატრონი არ მისდევდა თან მთაში, არამედ სხვას ატანდა. მაშინ საქონლის პატრონი ან სულზე მანეთს (ძველებურად) გადაიხდიდა, და კარაქსა და ყველს თვითონ წაიღებდა, ან არადა, არაფერს გადაიხდიდა და რასაც წველს გააკეთებდა მომვლელი, თავისი იქნე-

ბოდა. პატრონს ძროხაზე 1-2 ოყა კარაქს მისცემდა და ეგ იყო. დანარჩენი თვითონ ჰრჩებოდა გასამრჯელოდ.

მთაში რომ აჰყავდათ საქონელი, საძოვრებზე ყველა-კი არ დასდევდა ცალ-ცალკე და თითოეულად თავის ძროხას სამწყემსავად, არამედ მთელ სოფელს ერთი მწყემსი ჰყავდა და ის აძოვებდა. მეძროხეს გასამრჯელოდ ეძლეოდა ყოველ 4 მეწველ ფურზე 9 ოყა სიმინდი და მშრალზე ყოველ 8 სულზე აგრეთვე 9 ოყა, წვრილფეხზე 15 კაპ. (ძველ-კვალობაზე) „მთელ თიობას“, ე. ი: მთელი ზაფხულის სამიო სეზონში.

ქვემო-აჭარლები თვითონ არ მიდიოდნენ მთაში, რადგან მათ საძოვარი მთები არა ჰქონდათ, ისინი ზემო-აჭარლებს ატანდნენ თავიანთ საქონელს იაი-ლებზე.

მწყემსის ავლა-დიდებას შეადგენდა ერთი ჯოჯი და ტავარჯუხნი მქადის ჩასადებად.

საზაფხულო საძოვრები სოფოეურად ჰქონდათ. უწინ ბეგებისა ყოფილა და ბაჟი უხდიათ, ეხლა-კი, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როგორც ცხოვრების სხვა მხარეებში, ამ უბანშიც ცვლილება მომხდარი. ბეგები აღარ არსებობენ. საძოვრები სასოფლო საკუთრებაა. ყველა გლეხი თავისუფლად აძოვებს თავისს საქონელს.

საქონელი, მეწველიცა და მშრალიც, ერთადა ჰყავდათ არეული და ისე დაუდიოდათ საძოვარზე, ხბორები-კი ბოსლების ახლო-მახლო დადიოდნენ და საღამოთ, სანამ ძროხა მოვიდოდა, ამწყვდევდნენ, რომ არ მოეწოვა.

მთაში წყალი ბევრია და ძროხას წყალზე მირეკა არ სჭირდებოდა.

მთაში რჩებოდნენ 4 თვეს, მაისიდან ენკენისთვემდე. ზოგან მარიაშობის-თვე რომ გავიდოდა, ზოგან ენკენისთვის ნახევრამდეც რჩებოდნენ; „ზე რო იქ-ცევა“-ო, ამბობენ.

ვისაც ყიშლები ჰქონდა, იმათ მთიდან საქონელი პირდაპირ ბარში კი არ ჩაჰყავდათ, არამედ ბარისა და მთის შუა ზოლზე ბოსლები ჰქონდათ, სადაც ამ დროისათვის მოსავალი უკვე აღებულია და ენკენისთვიდან მოკიდებული სანამ თოვლი მიწას დაჰფარავდეს, იქ დაუდიოდათ ძროხა და აძოვებდნენ ნათიბებსა და მისთანა ადგილებში. ყიშლებზე თვითონ პატრონები მწყსიდნენ. ყიშლაზე 2 თვემდე მოუწყვდათ ყოფნა, თოვლის მოსვლამდე.

ყიშლა ყველა სოფელს არა აქვს, აქვთ ღორჯომელებსა და კვანელებს.

აჭარლები მთას იანილას ეძახიან. იაილა თურქული სიტყვაა და საზაფხულო სადგომს ნიშნავს (იხ. Zenker). ყიშლაც აგრეთვე თურქული სიტყვაა და საზამთრო სადგომს ნიშნავს (იხ. Zenker).

კაცმა რომ მართალი თქვას, რამდენადაც იაილა შესაფერი სახელწოდებაა, რადგან იგი მართლაც საზაფხულო სადგომი და საძოვარია, იმდენად ყიშლა სრულიად შეუფერებელია, რადგან იგი არა საზამთრო, არამედ საშემოდგომო სადგომი და საძოვარია.

რომელ სოფელსაც ყიშლა არა ჰქონდა, იმათ საქონელი კლდე-ღრეში დაუდიოდათ დაზამთრებამდე და იქ მიჰყავდათ იოლას.

როგორც-კი თოვლი მიწას დაჰფარავდა, პირუტყვს ახორში შეყრიდნენ და დამწყვდეულები ჰკავდათ გაზაფხულამდე.

ახორის კარის თავზე ძროხის კენჩხასა და ცხენის ნალს აკრავდნენ თურმე, ავი თვალისათვის.

ძროხა ახორში ებათ ნ თვეს, როგორც თვითონ გადმოგვცემენ, გიორგობის-თვიდან მოკიდებული აპრილის გასვლამდე (ძვ. სტ.). აპრილი რომ არ ჩავთვალოთ და გამოვაკლოთ, 5 თვე მაინც დარჩება. ამ ხნის განმავლობაში ისეთი დიდი თოვლი დევს თურმე აჭარაში, რომ გარეთ არავის გამოვსვლევინებო. მოსაძოვი ადგილი აღარ არსებობს, სულ თოვლით არის დაფარულიო. საქონელი ახორში ჰბმიათ და იქ უზიდიათ საქმელი. დღეში ერთხელ წყლის დასალევინებლად გამოჰყოლიათ გარეთ. თოვლს გაუხვეტდნენ ხოლმე რომ ძროხა შიგ არ ჩაფლულიყო. მეტრზე მეტი თოვლი იცისო.

საქმელს, ზოგიერთის სიტყვით, დილა-სალამოს აძლევდნენ. ზოგის თქმით-კი 3-4-ჯერო. ჩვენ პირველი ცნობა უფრო სწორად მიგვაჩნია.

საქონელიცა და საკვებიც დასარისხებული ჰქონიათ. ხბორებს ცალკე აჰმეფდნენ თურმე ყველაზე უკეთესს, მეწველიც ცალკე ჰყოლიათ და უკეთესად უკვებიან. ამათ აჰმეფდნენ თურმე მორჩვის ნარცხსა და სუფთა თივას. თუ ძალიან დაკვივდებოდნენ, მაშინ შეიძლება ფქვილის ანაცერის ნარცხიც გაეკეთებინათ. ნარცხი შემდეგნაირადა კეთდება: მორჩვს (მეორედ გათიბულ თივას, ნორჩს), ან ანაცერს, ან ორსავე ერთად ცხელ წყალს დაასხამენ და ვასთქვეფენ. ნოყიერი საკვებიაო.

ხარი თუ მუშაობდა, რაც იშვიათი ყოფილა, კარგად აჰმეფდნენ, ყველაზე ნაკლებად ბერწებსა და სხვა წვრილფეხს კვებდნენ თურმე.

საქონლის საზამთრო საკვებს შეადგენდა: თივა, მორჩვი (მეორედ გათიბული ნორჩი ბალახი), ბზე, ჩალა, ხეების კინწრები (მუხისა, ცხემლისა, წიფლისა, უხრავისა, თელისა და სხვ.), ხის ტოტები (რა თქმა უნდა, უჩარაობის-ჩარაა, ჩალაზეც უხეირო საკვებად ითვლება).

საქონელს, თითო ჩაყრაზე, ყოველ 5 სულს, ერთ გოდორ თივას უყრიდნენ, ან ბზეს და საღამოთი ყოველ 2 სულს ერთ კონა ჩალას (კონაში 40-მდე დერი ჩალა იქნება). ზოგიერთის თქმით-კი უფრო მეტიც უნდა, სულზე კონა-ნახევარი—ორი კონაო.

ერთ სულ საქონელს მთელ ზამთარს შეაჰმეფდნენ: სხვილს 4-5 მარხილ (ანუ სულს) თივას, 150 კონამდე ჩალასა და ფაჩხს (ფიჩხს უკანასკნელად მიჰმართავდნენ ხოლმე, როგორც უკანასკნელ საშუალებას). ხბოს 2 მარხილ თივას შეაჰმეფდნენ. მორჩვი რაც იქნებოდათ, დავარდნილებს აჰმეფდნენ.

ცხენს უნდაო მთელ ზამთარს 10-15 მარხილი თივა. ცხენი ბევრსა ჰამს, როგორც არამცოხნავი პირუტყვიო.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აჭარლებს საქონლისათვის საკმარისი საკვები არა ჰქონიათ და მეტის-მეტი დაზოგვით უჰმეფვიათ. ისინი ასე გადმოგვცემენ ამ გარემოებას, ოღონდ სხვა რამისათვის. როცა მე ვეტყუდი ხოლმე: ერთი სული საქონელი რამდენ ნაკელს მოიცემა მეთქი, ისინი მიპასუხებდნენ: „რაცაა მეტ მთარმევ, მეტს მოგცემს“-ო. ეს იმას ნიშნავს, რომ საქონელს სა-

კვები, რომ იტყვიან, ძღომაზე არა ჰქონია. ამის გამო მათი საქონელი მეტის-მეტად წვნიკი ყოფილა და უჯიშო ყოველმხრივ. აქვე ზაფხულობით ზორტი-ყელში მეგრელებს მოუდით თავიანთი ძროხა, რომელიც მშვენიერია, სხვილი, ჯიშინი. მე შევეკითხე აქარლებს: რატომ მეგრელების ძროხა არ გაგიჩინიათ, ან ბუღა არ გიყოლებიათ მეთქი. მათ მიპასუხეს: გაჩენით კი ვიჩენდით, მაგრამ მერე ისევ დაპატარავდებოდნენ ხოლმეო. ზამთარში საქმელი არა გვქონდა და იმისთვისაო. მართალიც არის არა მარტო აქარაში, არამედ საქართველოც სხვა მთიან ადგილებშიც საქონლის საკვების დიდი ნაკლებობა იყო და ამიტომაც არის იქნება, რომ ჩვენი მთის ძროხა ასე წვნიკია, მიუხედავად საზაფხულო საძოვრების სიკეთისა. ზამთრის უსაქმლობა, როგორც ჩანს, დიდ გავლენას ახდენდა. ბარის ძროხა, რომელიც ზაფხულობით მზეზე ისრუკება, მაგ.: თუნდაც ქიზიყისა, სამს აიწონის, თუ მეტს არა, მთის ძროხას, რადგან ზამთარში საკვები საკმა-რისად ჰქონდა ყოველთვის.

აქარლები ფურს, ხარს, კამეჩს და მისთ. ერთად აღებულს, ზოგადად **საქონელ**-ს ეძახიან, და აგრეთვე **ძროხა**-ც ჰქვიათ. აქარლებს ძროხა სოფ-ლეურად დაუდით **სამწყემსავე**; მთელი სოფლის ერთად შეყრილ ძროხას **ნა-ხირს** და **ჯოგს** უწოდებენ. ამათ გარდა თურქულიდან შემოსული სიტყვა **მალ**-იც იხმარება.

ძროხის იმ ნაწილს, რომელიც იწველის, **მეწველი** ჰქვიათ.

ახლად გაჩენილს **ხბო**, **ხობო**, **ფუჩა** და **ტანა** ეწოდება წლამდე, ორივე სქესისას. წლის შემდეგ, ხბო რომ გამოიზამთრებს, მას უკვე **ბერწელა**; **ბერწი**, **ბერწივინი** და **მოწი** ჰქვიათ ორსავე სქესისას. მეორედ რომ გაიზამთრებს, **დედალს ბერწივინს**, **დექველ**-სა და **მრინჯ**-ს ეძახიან, ხოლო მამალს **მოწი-ვერ**-ს.

დედალი დეკეულობის დროს უნდა **იღვენოს**. მოხვერი ორი წლისა რაო, ე. ი. მოზობაში, **იშვერება**.

პირველად მშობელ ძროხას **ახალპირა**, **დედოძროხა**, **ერთი ხბოს დედა** ჰქვიათ. შემდეგ, მეორესა და მესამე ყოლაზე, უკვე **ფური** იქნება. ფურს **ძროხა**-სა **დედოძროხა**-სა და **ინეშ**-საც ეძახიან.

იმ ტურს, რომელიც მუდამ წელიწადსა შობს ხოლმე, ცალკე სახელი არა ჰქვიათ, ხოლო, რომელიც წელიწადს ჩააგდებს იმას იმ წელიწადს **ბერწი** ეწოდება. ზოგი ფური არასოდეს აჩენს, სამუდამოდ უშობელია, ასეთ საქონელს **მშრალ ბერწს**, **უძველ ბერწს**, **ხველ ბერწს**, **ბურწანს**, **ჰინირს**, **არწი-ვინ** და **ჰინირს** ეძახიან. ამასთან შედარებით მშობიარე ძროხას **საღლამს** უწოდებენ.

აქარული ძროხა მეოთხე წელს იგებს ხბოს.

მამალ საქონელს, რომელიც დაიყვერება და უღელში შეიბმება, **ხარი** ჰქვიათ. დაუყვერავს **ბუღა**, **კურო**, **სამტავრო**, **ტამაზულა** ეწოდება.

აქარლები კამეჩს **ჯამუშ**-ს, ეძახიან, დედალს **ძროხა-ჯამუშს**, **ლიშ**-ს, მამალს **ხარ-ჯამუშს**, **მრქამს**. ჯამუშის შვილს, ახლად შობილს **ჰაშ**-სა და **კოთია**-ს უწოდებენ წლამდე, ე. ი. გამოზამთრებამდე. წლის შემდეგ, გამოზამთრებიდან

გარედი კოტიან იქნება, ხოლო მეორე გამოზამთრებისას გედევი, გედევი. მამალ-დედლობის მიხედვით იქნება ხარი გედევი და ძროხა გედევი.

ისეთ ბუღას, რომელიც ვერ გადის ფურზე, ზან-ს ეტყვიან. ასეთს დაჰყვიერენ ხოლმე. ჩვეულებრივ ორი წლისას ყვიერენ.

ძროხას როცა დრო მოუვა და კუროს აიდევნებს, იტყვიან ხოლმე „ძროხა დევნულობს“-ო. არის გამოთქმები: ძროხის დევნა, ხოლო როცა უკვე მორჩება საქმეს, მაშინ იტყვიან: იდევნა ძროხა, ნადევნი-ო. ძროხას რომ მუცელი შეეტყობა, ამბობენ: ძროხამ დეიმაკა-ო; დამაკება, მაკე, მაკე ძროხა-ო.

მეოთხე წელს იმაკებს.

კურო რომ ფურს დაუწყებს საქმეს, იტყვიან: კურომ გევედა-ო.

ფური რომ ხბოს გააჩენს, იმაზე ამბობენ: ხბო მეთყვანა, ხბო იშოვა (იშოა), ხბოს შოვა, ხბო დასვა-ო. როცა გაბერწდება, მკვდარ ხბოს რომ დააგდებს, იმაზე იტყვიან: ხბო მოაგდო, ცარიელი დარჩა-ო.

რამიც ხბო არის გახვეული, იმას ბუღუ-ს ეძახიან.

## წველი

აჭარული ძროხა თუმცა ძალიან მცირე რძეს იწველიდა, მაგრამ აჭარლები ამ მცირესაც ძალიან მზრუნველობით ეკიდებოდნენ და ეკიდებიან ესლაც. მისგან მრავალნაირ რძის ნაწარმოებს ამზადებდნენ. მათი საქონლის შემოსავალი სწორედ წველი ყოფილა და აგრეთვე ნახევიც, რის შესახებ ზემოთ თავის აღვლას უკვე გვქონდა ლაპარაკი.

აჭარლებს რძის ნაწარმოებისათვის საერთო ზოგადი სახელი არა აქვთ. ყოველ რძის პროდუქტათაგანს კი თავისი საკუთარი სახელი მოეპოვება, რაც ქვემოთ თავთავის ალაგას იქნება მოყვანილი.

თვითონ რძეს ისინი რძე-სა, ძე-სა და ჯე-ს ეძახიან.

ფურებს სწველიან დილა-საღამოს. საწველელ ჭურჭლად გამოყენებულია კახრი, კოთხო, კაპიფი, ვეღრო, რომელთაც, როცა წველვაში ხმარობენ, ზოგადად საწველელი ეწოდება.

სწველის როგორც კაცი, ისევე ქალიც.

აჭარული ძროხა დღეში საშუალოდ ორ კილო, ე. ი. 2 ლიტრ რძეს იძლე-ვს თურმე.

მოწველილ რძეს ახორის მეორე სართულში სარძიე განყოფილებაში ინახავდნენ, გოგავში. 2-3 დღეს აგროვებდნენ. რაც ცხიმი აქვს, ზემოთ მოიგდებდა, მოჰხდიდნენ. მოხდილ შესქელებულ ცხიმს ნაღებს, შამიშალ-ს ეძახიან.

სარძიე განყოფილებას გარეთა მხრიდან პატარ-პატარა სათვალეები აქვს გამოჭრილი, რომ იქიდან ნიაგმა იმუშაოს. საჭიროა, რომ რძეს ნიაგმა უაროს, თორემ ისე გაფუჭდება, დამყვდება, აიჭრებაო.

რძის შენახვის შესახებ აჭარლები ამბობენ: „ძეს ქარიან ადგილზე ვდგამთ, რომ არ შედედდესო“, „2, 3 და 6 დღესაც დავტრვებთ რძეს თუ ცივა“-ო (ს. ბეშუმი). „ორ-სამ დღეს ნიაგზე ვამყოფებთ, მოიგდებს ნაღებს“-ო (ს. ორცვა).

რძეს, როგორც ავღნიშნეთ, აგროვებდნენ და 2-3 დღეს, შეიძლება მეტ ხანსაც, თუ ცოტა მეწველი ჰყავდათ, ან სხვა საქმე ჰქონდათ რამე. რძე ზვიდან

ნაღმას, ჰაიმაღს მოიგდებდა ამ ხნის განმავლობაში, რომელსაც ხელით მოჭხდიდნენ და მცირე გობზე დაამხოდნენ. ნალები იმდენი რომ მოგროვდებოდა, რომ ღირდა მისი შედღეება, გობზევე, ან ხელით, ან **ჰაშუღით** (ფიცარია) **შარქაქანე**, **პარაქს** მოიგდებდა. ამოიღებდნენ. კარაქს **აღ-საც** ეძახიან. მემრე ამ კარაქს დანით **ღაჭაიწვღანე**. ბეწვი ჩასდევს რძეს წველვის დროს; რომ გაეწურათ კიდევ, მაინც შეჰყვებოდა. დანას რომ უსვამდნენ, ბეწვი ჩამოჭქონდა. კარაქს უეჭველად რეცხდნენ ცივ წყალში. ხელით მაგრა ზელდნენ და რაც ჭუჭუი ჰქონდა, ან დო ჰქონდა შეყოლილი, წყალს მიჰქონდა. კარაქს ან გობში რეცხდნენ, ან კასრსა და მისთ. რამდენჯერმე გამოუცვლიდნენ წყალსა. წვენი რომ დაუწმინდავდებოდა, აკმარებდნენ. მერე მარილს მოაყრიდნენ, ოყაზე (კილოზე დაახლოებით) ერთ კვერცხს (50-60 გრ), ვარაუდით, არ უნდა დამლაშებულყო ძალიან. თან ნებით კარგად ზელდნენ, რომ ყველგან თანაბრად განზავებულყო მარილი. ინახავდნენ კოთხოში, ან კაპიწში.

აჭარლები კარაქს ჰყიდდნენ. იგი წარმოადგენდა თურმე მათს ერთადერთ გარეთ გასატან საქონელს. ნაწილს კარაქისას თვითონ მიირთმევდნენ და ინახავდნენ საბაირომოდ. ამ დროს, როგორც ცნობილია, მაჰმადიანები არაფერს გეახლებიან, მარხულობენ. ღამ-ღამეობით ჰმდნენ კარაქს, რომ ყუათი მიეცა, გული დაეჭირა და მთელი დღისა და რამდენიმე დღის ზედი-ზედი სიმშილი აეტანიებინა.

კარაქს ერბოდ არ ახალასებდნენ და ერბოს არც ხმარობდნენ. **მარბო** სახელი კი იციან. კარაქად ხმარობდნენ ყველაფერში.

როგორც აღვნიშნე, სარძივ გობებიდან ნალებს იღებდნენ. ნალებს რომ მოჭხდიდნენ ქვეშ რჩებოდა თხელი, უცხიმო რძე, რომელსაც **ჰჰჰჰჰ** ეძახიან. ქვევითს ქვაბში ჩაასხამდნენ, ცეცხლზე შეჰკიდებდნენ ქვაბს. თბებოდა და თან ყველდებოდა ქვევითი. თუ მუავე არ იყო, მაშინ **ჰჰჰ**ს უშვებოდნენ, ან აფთიაქებიდან გამოჰქონდათ ასაჭრელი წამალი და იმას უშვებოდნენ. ცეცხლზე თან თბებოდა და თან იჭრებოდა. ციცხეს ურევდნენ და თითო მტკავლის ოდენა ყველს იღებდნენ, ღავაშებსავით აბრტყელებდნენ. ყველს რომ ამოიღებდნენ, კოთხოში, ან კაპიწში ჩააწყობდნენ. თითოს თითო ჰაჭვს (პეწვი) მარილს დააყრიდნენ, რომელიც წათხს გააკეთებდა. ასე ინახავდნენ ყველს.

ძალიან უხვირო, პირდაპირ ჩალასავით ყველი ყოფილა, ასე ჰგონია, ცხიმი სულ არა აქვსო. ამიტომ არის, რომ აჭარლები როცა სტუმარს ყველს მიართმევდნენ ხოლმე, უეჭველად ერბოში მოსწავდნენ ხოლმე.

ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი თავისს საქართველოს გეოგრაფიაში აჭარული ყველის შესახებ ამბობს: „აქ (ე. ი. აჭარაში) აკეთებენ ყველს. ერთი იქნების 10, 15, 20 ლიტრა, არა-ოდესვე წარკდების, არცა დაობდების, რა-ჟამს გნებაეს შემგბარი, კეთილ-საკმარ არს“ (ბროსეს გამოც. გვ. 108-110).

მე რომ აჭარული წესით გაკეთებული ყველი ვნახე, თითო ნაჭერი 1-2 კილოზე მეტი არ იქნებოდა, სწორედ რომ წამხდარი, აობებული იყო. იმისი ჰამა მხოლოდ შეჩვეულ ადამიანს შეუძლია. უნდა ვიფიქროთ, რომ ან ვ ა ხ უ შ ტ ი ს დროს მართლაც აკეთებდნენ ისეთს ყველს, ან მისთვის ყალბი ცნობა მიუწოდებიათ.

ყველს რომ ამოიღებდნენ, ჭვეშ კიდეე რჩებოდა სითხე, რომელსაც **ზრატს**, **ზგრატს**, **ჩოროტანს** უწოდებენ. ამას კვლავ ცეცხლზე შესდგამდნენ და წა-  
შობადულებდნენ. თუ რამე რძეული იყო კიდეე შიგ, აიჭრებოდა. მერე სულ წა-  
შობასხამდნენ და **ჩახვში**, **თორბაში** გასწურავდნენ. **წურაშა**, ანუ **ბოლო შრათი**  
გაუვილია და შიგ დარჩებოდა **ნაღუზა**, რომელსაც მარილს უხამდნენ და შეი-  
ნახავდნენ.

ნაღულა ჰგავს აღმოსავლეთ საქართველოს აზლაქს, ანუ მოთალს.

გაზაფხულობით, სანამ ბარში არიან, რძეს **მაწვანად** ადვებენ. რძეს  
აადულებენ, გადმოსდგამენ, იმდენად გააცივებენ რომ ნეკს ოდნავ კიდეე ჰკბენ-  
დეს, მერე ცოტა სადგეს (მაწონია ან დო) უხამენ, ერთი ხელადის ოდენა  
რძეს ერთი კოვზის პირს. მაწონს ადვებენ ყოველგვარ ჭურჭელში, როგორც  
თიხისაში, ისე ხისაშიც. რძე იუ ცხელი მოვიდა, აშრატდება, ე. ი. წყლად იქ-  
ცევა ბევრი ნაწილი; თუ გაცივდა, ჭვერ ჩადვდება, რძესავით დარჩება. თუ  
ცივი ამინდია, ჭურჭელს გაახვევენ რამეში, თუ ცხელა, მაშინ თხელ რამეს, ჩარს-  
გადაფარებენ. საღამოთ რომ ჩაადვდონ, დილით მაწონი მზად იქნება. მაწონს  
**შიღურთისა**ც ეძახიან.

როგორც თვითონ აჭარლები გადმოგვცემენ, ბარში მაწონს თვითონ მი-  
ირთმევენ, რადგან გაზაფხულობით რძე არ არის მსუქანიო. (ზაფხულში (მთაში)  
და შემოდგომობით (ბარადაც) რძე **ხახია**, ნოყიერიო.

მაწონს დღევბენ, ანუ **შერაქან**, როგორც თვითონ ამბობენ, **ვარიში**,  
ან **დერაში**, ანუ **ღვარაღა დერაში**, **დერაღულაში**.

**ვარია ხახია**, უმთავრესად ცაცხვისა და იხმარება ზემო-აჭარას, ხოლო  
დერაგი თიხისაა და იხმარება შუახვევის არემარესა (შუახვეშია მეჭურჭლეობა,  
სადაც აკეუებენ დერგსაც) და ქვემო-აჭარას. ამასთანავე ზოგიერთის ცნობით  
ძველად ისეთ დერაში უდღვებიათ, რომელსაც **ჩორბანს** სცემდნენ თურმე. რო-  
გორც ამ ცნობიდან ჩანს, ეს უქანასქნელი, —რომელიც ჩვენ პირადად არ გვინახავს,  
მხოლოდ ცნობა მოვისმინეთ, —ჩხუტ-ბრუნელსა ჰგავს თუშეთსა და პირიქით-ხე-  
სურეთში რომ არის გავრცელებული.

შედღვების, ანუ მათებურად, შერევის დროს ვარიაში მყოფ მაწონს, ან  
ნაღებს, თბილ წყალს ასხამენ ჯერ ცოტ-ცოტას, მერე კი უმატებენ. თბილმა  
წყალმა უნდა მოიყვანოსო. ხვარხვარს რომ მოიგდებს, ჩამოსხნიან, წამოასხამენ  
ქებაში, ან სხვა რამე ჭურჭელში, კარაქს ხელით მოჰხდიან. ქვეშ რომ დარჩება,  
იმას **დოს** ეძახიან.

თუ ნაღები ცოტა აქვთ, იმასაც გაურევენ ხოლმე მაწონში და ერთად დღვებენ.

დოს **ჩახვში**, **თორბაში** ჩაასხამენ და გასწურავენ, რაც სისქეა, სიხინჭე  
ის შიგ დარჩება, რომელსაც **სქელ დოს** ეძახიან. წყალი და მისთანანი ჩახვს  
გაუვა, რომელსაც სქონელს ასმევენ. ამას **წურაშა** ჰქვიან.

სქელ დოს მარილს უხამენ და **წუთხე დოს** ეძახიან. დაარგვალბენ, მზეზე  
გაჰფენენ, გაახმობენ და საზამთროდ შეინახავენ. ასეთ დოს **წურაშითი** ჰქვიან.

დოს მოდულდებაც იციან, ისევე როგორც შრატისა, რომელსაც **შიღუ-**  
**ღვულ დოს** უწოდებენ. მარილს უხამენ და ესეც ისეთივე იქნება, როგორიც  
ნაღულა (აზლაქი).

ტუქანასკნელ დროს, საბჭოთა ხელისუფლების წყალობით, აჭარაში ფართოდ არის გავრცელებული სეპარატორი. თითქმის უმრავლესობას აქვს სეპარატორი. სეპარატორით ხდიან ნაღებს. ნაღებისა კარაქი კეთდება, ქვევითისა ყველი, ნადულა და სხვ.

აჭარლებიც კარაქის სიყვითლეს დიდად აფასებენ და იტყვიან: „ნესვი გუღღით ყვითელი კარაქი. მაქესო, შენი კარაქი რათ ვარგა ჯამუშისაა, დოსავითააო (ე. ი. თეთრიაო)“.

ფურის კარაქი ყვითელია, როგორც ცნობილია, ხოლო კამეჩისა, ანუ როგორც ისინი ეძახიან, ჯამუშისა, თეთრი. ამას გარდა, თურმე ვარიას თეთრი კარაქი გამოჰყავს, გინდაც ფურის მაწონი შედღებონ.

**კვეთის ღამეზადება.** როგორც ზემოთ რაგის ალაგას აღნიშნული გვექონდა, ყველის გასაკეთებლად კვეთიბ საჭირო. კვეთს შემდეგნაირად ამზადებენ: საქონლის კუქს (გინდა დიდისა იყოს, გინდა პატარისა. სბოსი მაგარბ გამოდი-სო) ტყემლის შეავესა და წყალს აურევენ. სამ ღღეს ასე ამყოფებენ. კუქი შეს-ტვამს შეავეს. კვეთი უკვე მზად არის.

ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ აჭარლები მთაში რჩებიან 3-4 თვესო. ასეღა-ჩამოსვლის დროა და დადლილობა რომ ვიანგარიშოთ და გამოვაკროთ, 3 თვე მაინც ჩაეთვლებათ ხალასად მთაში ყოფნად. ამ სამ თვეში სწველიან ფურებს და აკეთებენ კარაქს, ყველსა და დოს. ჩემს დაკითხვაზე, თუ მთელ თიობას, მოთბას, ე. ი. მთელ სეზონს რამდენს იძლევა წველს მთი ერთი ფური, ნაირნაირი პასუხი მივიღე. მათ მიერ მოცემული პასუხებიდან გამოირკვა, რომ აჭარული ფური ერთ თიობას იძლევა 3-6 ოყამდე (ოყა=კილოს დაახლოებით) კარაქს, 5-12 ოყამდე ყველსა და 3-6 ოყამდე დოს, ანუ ნადულას.

რა თქმა უნდა, პასუხებიდან აშკარად ჩანს გლეხების გულუბრყვილო სიფრთხილე. მაგრამ, ჩემი აზრით სწორე ცნობასთან მაინც მისულები ვართ. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ აჭარელი მთელ სეზონში ერთ ფურს გამოჰრჩება მაინიმუმ 5 კილო კარაქს, 10 კილო ყველს და 5 კილო ნადულას.

ჩვენ ერთგვარი შესამოწმებელი საშუალებაც გვაქვს ხელთ.

ზორტიყელში არსებობს სახელმწიფო ფერმა, საიდანაც ჩვენ ცნობები ავიღეთ. ამ ცნობების მიხედვით აჭარული ფური ღღეში 2 კილო რძეს იწველის საშუალოდ. 16 კილო რძიდან საშუალოდ 2 კილო კარაქი გამოდის, 3 კილო ყველი და 1 კილო ნადული. თუ ჩვენ წველვის პერიოდს 3 თვით განვსაზღვრავთ ფერმის ძროხისთვისაც, გამოვა, რომ ერთი ფური იძლევა საშუალოდ დაახლოებით 20 კილო კარაქს ( $90 \text{ ღღ.} \times 2 \text{ კ} = 180 \text{ კ}; 16 = 11 \times 2 = 22 \text{ კ დაახლ.}$ ), 30 კილო ყველსა და 10 კილო ნადულას დაახლ. სირგვალისათვის.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ, თვით ფერმის დირექტორის სიტყვითვე, აჭარლებმა კარგად არ იციან კარაქისა და საერთოდ წველის ხელი, ვერ აკეთებენ იმდენ კარაქს, რამდენიც უნდა გაკეთდესო, ვერცა სწველიან კარგაო. მისი სიტყვით იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებენ, რამდენსაც ჩვენ ვაკეუებთო.

იმ მასალით, რაც ჩვენ გლეხთაგან შეკრებილი ცნობებით გვაქვს, ერთი რამ აშკარად ჩანს: გლეხკაცობის მიერ მოწოდებული ცნობებით კარაქი და დო, ანუ ნადულა თანაბარი რაოდენობისაა, ხოლო ყველი ორჯერ აღემატება კა-

რაქს, ე. ი. იმდენია, რამდენიც კარაქი და ნაღულა ერთად აღებული. ფერმიდან მიღებული ცნობით კი კარაქი ორჯერ მეტია ნაღულაზე, ხოლო ყველი მხოლოდ ერთნახევარჯერ არის მეტი კარაქზე და სამჯერ მეტი ნაღულაზე, ე. ი. მაღალი ხარისხის პროდუქტების რაოდენობა შესამჩნევად არის გაზრდილი დაბალი ხარისხის პროდუქციის ხარჯზე. გლეხკაცობის წარმოებაში თუ კარაქი ნთელი პროდუქციის მეოთხედს ძლივ შეიცავს, ფერმაში მესამედი მოდის. გლეხობაში — 5 კ კ. 10 კ ყ. 5 კ ნ. შეფარდება = 1:3; ფერმაში — 20 კ კ. 30 კ ყ. 10 კ ნ. შეფარდება = 1:2. ამას გარდა ფერმის კარაქი 4-ჯერ აღემატება გლეხისას, ყველი 3-ჯერ, ნაღულა 2-ჯერ. ამკარაა, როგორც შედარებითაც და აბსოლუტურადაც, ფერმაში სარფიანი პროდუქტების რაოდენობა გაზრდილა.

ყოველივე ზემომოყვანილიდან ამკარად ჩანს, თუ რა დიდი უპირატესობა აქვს რაციონალურ წარმოებას და აგრეთვე რამდენად უპირატესია გაერთიანებულ მეურნეობა დაქუცმაცებულ მეურნეობასთან შედარებით. ცხადია რამდენი დოვლათი იღუპება ამ გზით წვრილ, დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობაში, რამდენი მუშა-ხელი ცდება, მაშინ როდესაც გაერთიანებულ მეურნეობაში უდრდესი ეკონომიაა ყოველმხრივ და სარფა.

უნდა გასწორდეს:

გვ. სტრ.	არის:	უნდა იყოს:
19 <sub>6</sub> ქვ.	1860, ტ. II, მაისი.	1860, ტ. II, ივნისი
20 <sub>14</sub> ზევ.	ბაქარ ქართლელი (დიმ. ბაქრაძე)	დიმ. ბაქრაძე
20 <sub>19</sub> „	1860, II, მაისი, გვ. 329	1860, II, გვ. 329 (აგვ.)
20 <sub>7</sub> ქვ.	1860, ტ. II, გვ. 327, მაისი.	1860, II, გვ. 327 (აგვ.)
21 <sub>7</sub> ზევ.	1862, ტ. II, 329	1860, გვ. 329 (აგვ.)

ტექნოდაქტორი თ. ანდლუაძე კორექტორები: ა. თოდუა, მ. კორძაია  
გამომშვები ან. თოდუა

გადაცემულია ასაწყობად 2.11.1937 ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.3.1938  
ქალაქის ზომა 72x105 სმ. ანაწყობის ზომა 7x11. 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> საბეჭდი თაბახი  
მთავლიტი № 163. შეკვეთა № 396. ტირაჟი 1000

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სტამბა. ტფილისი, წერეთლის ქ. 7